რუდოლფ შტაინერი

ზოგადი ადამიანთმცოდნეობა როგორც პედაგოგიკის საფუძველი

14 ლექცია, წაკითხული შტუტგარტში
1919 წლის 21 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე
თავისუფალი ვალდორფის სკოლის
დაარსებასთან დაკავშირებით

გამომცემლობა „აწმყო“

კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ

რუდოლფ შტაინერი
ზოგადი ადამიანთმცოდნეობა როგორც პედაგოგიკის საფუძველი

ბიბლიოგრაფიის №293
გერმანულიდან თარგმნა მარინა ბულიამ
გამომცემლობა „აწმყო". კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას
რომ საჭიროებენ. ტელ. 77 63 07. თბილისი 2005

© მარინა ბულია. 2005

ISBN 99928 - 877 - 9 - 6

თარგმანი შესრულებულია 1980 წლის მერე გამოცემიდან:

Rudolf Steiner
Allgemeine Menschenkunde als Grundlage der Pädagogik
Bibliographie - Nr.293
Rudolf Steiner Verlag, Dornach/Schweiz

© 1953, 1960 by Rudolf Steiner - Nachlaβverwaltung, Dornach/Schweiz

გამოცემა შეთანხმებულია რუდოლფ შტაინერის მემკვიდრეობის მმართველობასთან (დორნახი, შვეიცარია), რომელსაც ეკუთვნის რუდოლფ შტაინერის ნაშრომების თარგმნასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ყველა უფლება

დაბეჭდილია სოციალური თერაპიის სახლში.
თბილისი, ძმები უბილავების ქ. 8.

რუდოლფ შტაინერის
სალექციო ნაშრომების გამოქვეყნებისათვის

ანთროპოსოფიულად ორიენტირებული სულისმეცნიერების საფუძველს ქმნის რუდოლფ შტაინერის (1861-1925) მიერ დაწერილი და გამოქვეყნებული ნაშრომები. ამას გარდა 1900-1924 წლებში მან მრავალი ლექცია და კურსი წაიკითხა როგორც საჯაროდ, ისე თეოსოფიური, შემდგომში კი ანთროპოსოფიული საზოგადოების წევრებისთვის. თავად მისი ნება იყო, რომ არ მომხდარიყო სრულიად თავისუფლად წაკითხული ლექციების ჩაწერა, ვინაიდან ისინი მოიაზრებოდნენ როგორც „ზეპირსიტყვიერი და არა ბეჭდვისათვის განკუთვნილი უწყებანი". მაგრამ მას შემდეგ, რაც იმატა მსმენელთა არასრულყოფილი და შეცდომების შემცველი ჩანაწერების გავრცელებამ, მან საჭიროდ ჩათვალა, მოეწესრიგებინა ეს უკანასკნელნი. ეს ამოცანა მან მიანდო მარია შტაინერ-ფონ სივერსს. მას უნდა მოეხდინა სტენოგრამისტების შერჩევა, ჩანაწერების განკარგვა და გამოსაცემად ტექსტის გადამოწმება. ვინაიდან დროის სიმცირის გამო რუდოლფ შტაინერს მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში შეეძლო თავად გაესწორებინა ჩანაწერები, ლექციების ყველა გამოცემასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია მისი შენიშვნა: „ოღონდაც უნდა შეწყნარებით მოვეკიდოთ იმას, რომ ჩემს მიერ გადაუკითხავ ტექსტებში შესაძლოა შეცდომები იყოს".

წევრებისათვის წაკითხული ლექციების, რომლებიც თავდაპირველად ხელნაწერების სახით იყო მხოლოდ შიდა წრისათვის მისაწვდომი, მიმართებაზე საჯაროობისათვის განკუთვნილი ნაშრომებისადმი რუდოლფ შტაინერი თავის ავტობიოგრაფიაში „ჩემი ცხოვრების გზა" (35-ე თავი) საუბრობს. აქ ნათქვამი ასევე ეხება ცალკეული სპეციალობების შესახებ წაკითხულ კურსებს, რომლებიც განკუთვნილნი იყნენ მონაწილეთა შეზღუდული, სულისმეცნიერების საფუძვლებს ზიარებული წრისათვის.

მარია შტაინერის (1867-1948) გარდაცვალების შემდეგ მისი მითითების თანახმად დაიწყო რუდოლფ შტაინერის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა. წინამდებარე ნაშრომი ამ კრებულის ერთ-ერთი ტომი არის. გარკვეული მონაცემები ტექსტის პირველწყაროების შესახებ შეგიძლიათ დანართში იხილოთ.

შინაარსი

შესავლისათვის. მარია შტაინერის წინათქმა. ნაწყვეტები თავისუფალი ვალდორფის სკოლის გახსნაზე წარმოთქმული სიტყვიდან.

პირველი ლექცია, შტუტგარტი, 21 აგვისტო, 1919 წელი.

აღზრდის ამოცანა მეხუთე ატლანტიდისშემდგომ კულტურულ ეპოქაში. აღზრდა როგორც გაგრძელება იმისა, რასაც უმაღლესი არსებები დაბადებამდე ასრულებდნენ. სუნთქვის ჰარმონიზაცია. ძილ-ღვიძილის მონაცვლეობა. მასწავლებლის მიერ საკუთარი თავის აღზრდა.

მეორე ლექცია, 22 აგვისტო, 1919 წელი.

მშვინვიერი თვალთახედვით ადამიანის განხილვის დაწყება. წარმოდგენების სურათ-ხატოვანი ბუნება. დაბადებამდელი ცხოვრების არეკვლა. ნება, როგორც სიკვდილისშემდგომი ცხოვრების ჩანასახი. სიმპათია-ანტიპათია. გრძნობა. მეხსიერება. ფანტაზია. ნერვები — სისხლი. ადამიანის სამწეროვნება.

მესამე ლექცია, 23 აგვისტო, 1919 წელი.

ენერგიის შენახვის კანონი, როგორც დაბრკოლება ადამიანის გაგების გზაზე. ახლიდან შექმნა. განსჯის საშუალებით კვდომადის წვდომა; ნების საშუალებით ცოცხალის წვდომა. წმინდა აზროვნება. თავისუფლება. ადამიანის მაცოცხლებელი წვლილი დედამიწის განვითარებაში. სიკვდილის მომტანი ძალების წვლილი ადამიანის ბუნებაში. სისხლისა და კუნთური სისტემა. ძვლოვან-ნერვული სისტემა. გეომეტრია როგორც კოსმიური მოძრაობების არეკვლა. შემეცნების გარდაქმნა.

მეოთხე ლექცია, 25 აგვისტო, 1919 წელი.

ნებისა და გრძნობის ფორმირების სამომავლო მნიშვნელობა. ნებელობის ბუნება. ადამიანის ცხრაწევრა არსება. ნების გამოვლინების ფორმები სხეულებრივში — ინსტინქტი, ლტოლვა, ვნება; მშვინვიერში (შეში) — მოტივი; უმაღლეს წევრებში

— სურვილი, განზრახვა, გადაწყვეტილება. აღზრდის სოციალისტური რეფორმა. ზნე-ხასიათის აღზრდა. ნების აღზრდა.

მეხუთე ლექცია, 26 აგვისტო, 1919 წელი.

სამშვინველის ძალების ცოცხალი დანაწევრება. სიმპათია — ნებელობა; ანტიპათია — აზროვნება. მორალური განვითარების არსი. გრძნობა; მისი კავშირი გრძნობად ხედვასთან, ნებასა და შემეცნებასთან.

მეექვსე ლექცია, 27 აგვისტო, 1919 წელი.

ციკლის ზოგადი დანაწევრების მიმოხილვა. სულიერი პოზიციიდან ადამიანის განხილვის დაწყება. ღვიძილის, სიზმრის, ძილის ცნობიერების მდგომარეობები აზროვნებასთან, გრძნობასთან, ნებელობასთან მიმართებით. მეს ცხოვრება აზროვნებაში, გრძნობასა და ნებელობაში.

მეშვიდე ლექცია, 28 აგვისტო, 1919 წელი.

ნამდვილი ცნებები, მიღებული ფაქტების ურთიერთდაკავშირების გზით. მშვინვიერი ძალების ურთიერთკავშირი ბავშვობისა და ხანდაზმულობის ასაკში. ბავშვის მგრძნობი ნებელობიდან ხანდაზმულის მგრძნობი აზროვნებისკენ. შეგრძნება. ღვიძილი, სიზმარი და ძილი ადამიანის სივრცით აგებულებაში. ნერვული სისტემის არსი. ძილი და ღვიძილი ადამიანის დროით ასპექტთან მიმართებით: დავიწყება და გახსენება.

მერვე ლექცია, 29 აგვისტო, 1919 წელი.

გახსენება და დავიწყება გამოღვიძება-დაძინებასთან მიმართებით. მეხსიერების ჩამოყალიბება ცხოვრებისეული ჩვევების საშუალებით. თორმეტი გარე გრძნობა. შემეცნებით, გრძნობისმიერ და ნებელობით გარე გრძნობებად დანაწევრება. მათი ურთიერთქმედება მსჯელობის პროცესში.

მეცხრე ლექცია, 30 აგვისტო, 1919 წელი.

დასკვნა, მსჯელობა და ცნება. ცნების ჩამოყალიბების რაგვარობის ზემოქმედება სხეულებრივობაზე. დეფინიციის ნაცვ-

ლად – დახასიათება. ცოცხალი ცნებები. ბავშვის არაცნობიერი დაშვება: სამყარო მორალურია; სამყარო მშვენიერია; სამყარო ჭეშმარიტია.

მეათე ლექცია, 1 სექტემბერი, 1919 წელი.

ადამიანის სულიერი, მშვინვიერი და სხეულებრივი განხილვის ურთიერთშეჯერება. სამწევრა სხეული და მისი მიმართება კოსმოსთან. ხერხემლისა და მილაკოვანი ძვლების მეტამორფოზა. მატერიალისტური მოძღვრება ევოლუციის შესახებ.

მეთერთმეტე ლექცია, 2 სექტემბერი, 1919 წელი.

თავი, მკერდი და კიდურები სხეულებრივი, მშვინვიერი და სულიერი განვითარების ჭრილში. აღზრდა როგორც გამოღვიძება. დედის რძე. მხატვრული სწავლების გზით ნების საშუალებით ინტელექტის გამოღვიძება. ზრდისათვის ხელშეწყობა და მისი შეფერხება. მათი კავშირი ფანტაზიასა და მეხსიერებასთან.

მეთორმეტე ლექცია, 3 სექტემბერი, 1919 წელი.

ადამიანის სხეულებრივი განხილვის დაწყება. სხეული პროცესებიდან უნდა იქნეს გაგებული. თავი და ცხოველთა სამყარო. აზრების ჩამოყალიბება. მკერდის სისტემა და მცენარეთა სამყარო. დაავადების არსი. სუნთქვა და კვება. ძვლები, კუნთები და მინერალური საუფლო.

მეცამეტე ლექცია, 4 სექტემბერი, 1919 წელი.

ადამიანში სულიერ-მშვინვიერის მოღვაწეობა. ადამიანი როგორც შეგუბების აპარატი. ნერვები. სისხლი. ფიზიკური და სულიერი შრომა სულიერთან და სხეულებრივთან მიმართებით. აზრიანი და უაზრო საქმიანობა. ძილი. ტანვარჯიში, ევრითმია. სპორტი. ინტელექტუალური შრომა.

მეთოთხმეტე ლექცია, 5 სექტემბერი, 1919 წელი.

ადამიანის სხეულებრივი სამწევროვნება. თითოეული წევრი არის მთლიანობა, რომელიც დანარჩენ წევრებსაც შეიცავს. ხორხი. ენა. გრამატიკა. ფანტაზია დაწყებითი სკოლის ბო-

ლო სასწავლო წლის პერიოდში. მასწავლებლობის სასიცოცხ-
ლო პირობები.

დანართი

კურსის წინა საღამოს წარმოთქმული სიტყვა, შტუტგარტი, 20 აგვისტო, 1919 წელი.

შენიშვნები

შესავლისათვის

მარია შტაინერის წინათქმა
ნაწყვეტები თავისუფალი ვალდორფის სკოლის გახსნაზე
წარმოთქმული სიტყვიდან

„ზოგადი ადამიანთმცოდნეობა" – ეს სათაური აირჩია რუდოლფ შტაინერმა პირველი პედაგოგიური სალექციო კურსისთვის, რომელიც ახლადდაფუძნებული თავისუფალი ვალდორფის სკოლის მასწავლებლებს წაუკითხა. აღზრდის ხელოვნებას იგი აგებს ადამიანის არსების ყოველმხრივ ცოდნაზე, არა მარტო მიწიერი, არამედ დაფარული მშვინვიერი და სულიერი ადამიანის ცოდნაზე. მას სურს პირველხატების მიხედვით ქმნილი ფიზიკური მოვლენების სამყაროსათვის ფხიზელი ცნობიერების ჩამოყალიბებას მიაღწიოს აღზრდის ამ მეთოდით, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის არსების ცოცხალ, მარადიულ ბირთვსა და მოვლენათა სახეცვლილებას ბუნებისა და ისტორიული ქმნადობისას.

„ეს ახალი სკოლა, – ამბობდა იგი შესავალ სიტყვაში – უნდა ჰეშმარიტად ჩაერთოს მასში, რასაც სწორედ დღევანდელ დღეს და უახლოეს მომავალში მოითხოვს კაცობრიობის განვითარება. ყოველივე ის, რაც ამგვარი წანამძღვრიდან იღვრება აღზრდისა და გაკვეთილის არსში, სამგზის წმინდა მოვალეობად წარმოგვიდგება".

და იგი განაგრძობს: „რა ფასი ექნებოდა ადამიანის ყველა გრძნობას, შემეცნებას, ქმედებას, მათ რომ არ შეეძლოთ წმინდა მოვალეობად გაერთიანება, რომელიც სწორედ მასწავლებელს, აღმზრდელს აკისრია, რამდენადაც თავის განსაზღვრულ სოციალურ წრეში იგი განვითარებადი, მოზარდი ბავშვის მიმართ საზოგადოებრივ სამსახურს ეწევა, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით.

ყოველივე, რაც შეგვიძლია ვიცოდეთ ადამიანისა და სამ-

ყაროს შესახებ, მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილად ნაყოფიერი, როცა შევძლებთ მის ცოცხლად გადაცემას მათთვის, ვინც მაშინ შექმნის სოციალურ სამყაროს, როდესაც ჩვენ ფიზიკურად ვეღარ ვიმუშავებთ მათთან ერთად.

ჩვენი მხატვრული მოღვაწეობა მხოლოდ მაშინ მიაღწევს მწვერვალს, როცა შევძლებთ მის შერწყმას იმ უდიდეს ხელოვნებასთან, სადაც ჩვენს ხელთაა არა მკვდარი მხატვრული მასალა, როგორიცაა თიხა და ფერი, არამედ ჯერაც ჩამოუყალიბებელი ცოცხალი ადამიანი, რომელიც მხატვრულად, პედაგოგიურად გარკვეულწილად სრულყოფილ ადამიანად უნდა ვაქციოთ. განა უმაღლესი, წმინდა, რელიგიური მოვალეობა არ არის, აღზრდისას ვიზრუნოთ ღვთაებრივ სულიერზე, რომელიც ყოველ ადამიანში იბადება, გამოვლინდება და თავს განაცხადებს? განა არ არის ამგვარი აღმზრდელობითი მსახურება რელიგიური კულტი ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით? განა ჯელა ჩვენი უწმინდესი, სწორედ რელიგიური გრძნობისთვის მიძღვნილი ადამიანური აღტკინება არ უნდა შეერთდეს ღვთისმსახურებაში, რომელსაც ვასრულებთ, როცა კი ვცდილობთ გამოვზარდოთ ქმნად ბავშვში თვითგანცხადებისკენ მიდრეკილი ღვთაებრივ-სულიერი ადამიანი!

გაცოცხლებული მეცნიერება!
გაცოცხლებული ხელოვნება!
გაცოცხლებული რელიგია!

აი ესაა აღზრდა, ესაა გაკვეთილი. — როდესაც სწავლებასა და აღზრდას ამგვარად ვიგებთ, ჩვენ არ ვაპირებთ ხელაღებით ვაკრიტიკოთ ის, რასაც მეორე მხარე წარმოგვიდგენს როგორც აღმზრდელობითი ხელოვნების პრინციპებს, განზრახვებსა და დებულებებს. ვინც ვერ ამჩნევს, თუ რაოდენ აუცილებელია ჩვენს დროში მთლიანი სულიერი განახლება, ვინც ბოლომდე ვერ იმეცნებს, თუ როგორ უნდა შეერწყას მომავალში იმას, რასაც ჩვენ როგორც მასწავლებლები და აღმზრდელები ვაკეთებთ, სრულიად სხვა რამ, ვიდრე ისაა,

რასაც განვითარება ძალუძს იმ სფეროში, დღესდღეობით „მეცნიერულ აღზრდას" რომ უწოდებენ, — არა მგონია, იგი სწორად ჰვრეტდეს იმას, რასაც თანამედროვე კულტურა ავალებს აღზრდის, სწავლების ხელოვნებას. დღესდღეობით მასწავლებელი, რომელმაც მომავალი ადამიანი უნდა ჩამოაყალიბოს, ეზიარება თანამედროვე მეცნიერების აზრთა წყობას, აზროვნების ყაიდას! მე არასოდეს მომსვლია აზრად, მეძაგებინა ეს თანამედროვე მეცნიერება. მე უდიდესი პატივისცემით ვარ გამსჭვალული ყველაფრისადმი, რასაც კაცობრიობის განვითარების საკეთილდღეოდ მიაღწია და მომავალში კიდევ მიაღწევს თანამედროვე მეცნიერება, თავისი სწორედ ბუნებისმცოდნეობაზე დამყარებული მეცნიერული აზრთა წყობითა და მეთოდებით. მაგრამ სწორედ ამიტომ — ჩემი აზრით — ის, რაც გამომდინარეობს თანამედროვე მეცნიერული და სულიერი აზრთა წყობიდან, ნაყოფიერად ვერ გადავა აღზრდისა და სწავლების ხელოვნებაში, ვინაიდან თანამედროვე მეცნიერული და სულიერი აზროვნების სიღიადე მდგომარეობს სულ სხვა რამეში, ვიდრე ადამიანთან მიდგომა, ადამიანის გულის, ზნეხასიათის გაგება არის. იმით, რაც თანამედროვე აზრთა წყობიდან მოედინება, გრანდიოზული ტექნიკური წინსვლა არის შესაძლებელი. ასევე შესაძლებელია სოციალური მიმართებითაც განვითარდეს თავისუფალი აზროვნება. მაგრამ იმ მეცნიერული აზრთა წყობით, რომელიც ნელ-ნელა მივიდა დარწმუნებულობამდე, თითქოს ადამიანის გული ტუმბო, ფიზიკური სხეული კი მექანიკური ფაბრიკა არის, — ამ მეცნიერებიდან გამომდინარე გრძნობებითა და შეგრძნებებით (როგორც არ უნდა შეიცხადოს ეს უმრავლესობამ) ვერ შევძლებთ საკუთარი თავის ისე გაცოცხლებას, რომ ქმნადი ადამიანის შემოქმედებითი აღმზრდელები გავხდეთ. შეუძლებელია აღზრდის ცოცხალი ხელოვნების განვითარება სწორედ იქიდან, რასაც ჩვენი დროება ასე დიდებულად ახორციელებს მკვდარი ტექნიკის დაუფლების მხრივ. ამისთვის საჭიროა ახალი სული დამკვიდრდეს კაცობრიობის განვითარებაში, სწორედ ის სული, რომელსაც ჩვენი

სულისმეცნიერების მეოხებით ვეძიებთ. სული, რომელიც თავიდან აგვარიდებს ცოცხალი ადამიანის ტუმბოდ, მექანიზმად განხილვას, რისი წვდომაც მარტოოდენ საბუნებისმეტყველო მეთოდებით შეიძლება. კაცობრიობის აზრთა სულიერ წყობაში უნდა დამკვიდრდეს დარწმუნებულობა, რომ სული ბუნების ყველა საუფლოში ცოცხლობს და რომ ამ სულის შემეცნება შესაძლებელი არის.

კურსში, რომელიც წინ უსწრებდა ჩვენს ვალდორფის წამოწყებას და მასწავლებლებისთვის იყო ჩაფიქრებული, ჩვენ ვცადეთ დაგვეფუძნებინა ანთროპოლოგია, აღზრდის მეცნიერება, რომელსაც შეუძლია გახდეს აღზრდის ხელოვნება, კაცობრიობისმცოდნეობა, რომელიც ადამიანში მკვდარიდან კვლავ ცოცხალს გამოაღვიძებს. მკვდარი — ეს კი ჩვენი თანამედროვე, მომაკვდავი კულტურის საიდუმლოა —, მკვდარი ადამიანს მცოდნეს ხდის, გონიერს ხდის, თუკი ადამიანი იღებს მას როგორც ბუნების კანონებს; მაგრამ იგი ასუსტებს მის ზნე-ხასიათს, რომელიც აღზრდისას შთაგონების წყაროს უნდა წარმოადგენდეს. იგი ასუსტებს ნებას. იგი ადამიანს არ რთავს ჰარმონიულად მთლიან, ზოგად სოციალურ ყოფიერებაში. ჩვენ ვეძებთ მეცნიერებას, რომელიც უბრალოდ მეცნიერება კი არ არის, არამედ თავად სიცოცხლე და შეგრძნებაა და რომელიც მაშინვე, როგორც კი ადამიანის სამშვინველში ჩაედინება ცოდნის სახით, ავითარებს ძალას, იცხოვროს მასში როგორც სიყვარულმა, რათა გადმოიღვაროს როგორც ქმედითი ნება, როგორც სამშვინველის სითბოში ჩაძირული შრომა — შრომა, რომელიც განსაკუთრებით ცოცხალ, ქმნად ადამიანს გადაეცემა. ჩვენ გვჭირდება ახალი მეცნიერული აზროვნება. ჩვენ გვჭირდება ახალი სული უპირველეს ყოვლისა აღზრდის, სწავლების ხელოვნებისთვის...

რწმენა იმისა, რომ ძახილი, რომელიც კაცობრიობის განვითარებიდან მოისმის, ახალ სულს ითხოვს ჩვენი თანადროულობისათვის და რომ ჩვენ ეს სული პირველ ყოვლისა აღზრდის არსში უნდა შევიტანოთ, ეს რწმენა უდევს სა-

ფუძვლად ვალდორფის სკოლის ძალისხმევას, რომელიც ამ მიმართულებით სანიმუშო მაგალითი უნდა გახდეს. კეთდება მცდელობა, შევისმინოთ ის, რაც არაცნობიერად არსებობდა სწორედ იმ რჩეულთა მოთხოვნებში, რომელნიც უახლოეს წარსულში იღვწოდნენ აღზრდისა და სწავლების ხელოვნების გაჯანსაღებისთვის, აღდგენისათვის...

აქ პედაგოგიკის კეთილგონიერი მასწავლებელი იკითხავს: შეგვიძლია ისიც გავიგოთ, თუ რა ძალები მოქმედებს ადამიანის ბუნებაში, რომელიც თითქმის ყოველთვიურად, ყოველ შემთხვევაში ყოველწლიურად მაინც, სხვა სულიერ-მშვინვიერ-სხეულებრივი სახით წარმოგვიდგება? სანამ არ გაგვაჩნია ნამდვილი ისტორიის მეცნიერება – ასე ამბობენ ეს პედაგოგები –, მანამ ვერ გავიგებთ, თუ როგორ ვითარდება ცალკეული ადამიანი. რამეთუ ცალკეული ადამიანი კონცენტრირებულად წარმოადგენს იმას, რასაც მთლიანი კაცობრიობა წარმოადგენს ისტორიული ქმნადობის განმავლობაში.

ასეთი ხალხი გრძნობს, რომ თანამედროვე მეცნიერება არსებითად განზე დგება, როცა რაიმე უნდა თქვას იმ დიად კანონებზე, რომელნიც ისტორიაში მეფობენ და როცა თანამედროვე ეპოქაში საჭიროა ვწვდეთ იმას, რაც მომდინარეობს კაცობრიობის განვითარების ამ დიადი, ყოვლისმომცველი ისტორიული კანონებიდან. ცალკეული ადამიანის გაგება რომ განგვეზრახა იმ საკვების თვისებებიდან გამომდინარე, რომელსაც იგი იღებს პირველი ჩასუნთქვიდან სიკვდილამდე, ეს უკიდურესი უგუნურება იქნებოდა; მაგრამ ისტორიის, მთლიანი კაცობრიობის განვითარების წვდომისას დღესდღეობით არსებითად სწორედ ასე იქცევიან.

ადამიანთან მიმართებით უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ იჭრება განვითარებაში, მაგ., ისეთი ფიზიოლოგიური პროცესი, როგორიცაა კბილების მოცვლა. რაც აქ სხეულებრივად იდუმალად ხდება, უნდა შევიმეცნოთ გამომდინარე სრულიად ახალი ფიზიოლოგიიდან, რომელიც თანამედროვე მეცნიერებას ჯერ არ გააჩნია, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ,

რაც მშვინვიერად თან სდევს ამ გარდატეხას. უნდა შეიცნოთ ადამიანის ბუნების მეტამორფოზები. ცალკეული ადამიანის მიმართ სულ ცოტა არ უარყოფენ მაინც, რომ თავისი უშინაგანესი არსებიდან გამომდინარე იგი მეტამორფოზებს, გარდატეხებს განიცდის — თუნდაც არ შეეძლოთ მათი შემეცნება. მთელი კაცობრიობის ისტორიული ქმნადობის მიმართ კი ასეთ რამეს არ აღიარებენ. ერთი და იგივე მეთოდები გამოიყენება ძველი დროის, შუა საუკუნეებისა და ახალი დროისათვის. ამასთან არ უშვებენ, რომ კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში ადგილი აქვს დიდ ნახტომებს. თუ გადავხედავთ ისტორიულ ქმნადობას, უკანასკნელ ნახტომს XV საუკუნეში აღმოვაჩენთ. ყოველივე იმან, რაც ახალ დროში იქცა კაცობრიობის შეგრძნებებად, წარმოდგენებად, ნებელობად, როგორც მათ ამჟამად ვიცნობთ, თავისი ინტიმური ხასიათი ცივილიზებულ კაცობრიობაში პირველად XV საუკუნიდან მიიღო. ეს ცივილიზებული კაცობრიობა კი ისევე განსხვავდება X ან VIII საუკუნის კაცობრიობისაგან, როგორც 12 წლის ყმაწვილი განსხვავდება ბავშვისგან, რომელიც ჯერ არ შესრულებულა 7 წლის. ხოლო ის, რაც ნახტომის სახით განხორციელდა XV საუკუნეში, მომდინარეობდა კაცობრიობის უშინაგანესი არსებიდან: როგორც კბილების მოცვლის კანონზომიერი განვითარება მომდინარეობს ადამიანის უშინაგანესი ბუნებიდან. ყოველივე ის, რაშიც დღესდღეობით XX საუკუნეში ვცხოვრობთ — ეს მისწრაფება ინდივიდუალობისაკენ, მისწრაფება სოციალური ფორმირებისკენ, მისწრაფება პიროვნების ჩამოყალიბებისკენ —, მხოლოდ შედეგია იმისა, რაც ისტორიის შინაგანმა ძალებმა ამოატივტივა ხსენებული პერიოდის შემდეგ.

ჩვენ მხოლოდ მაშინ შევიცნობთ, თუ როგორ სურს ადამიანს თანადროულობაში ჩართვა, როცა გავიგებთ იმ გეზს, რომელიც კაცობრიობის განვითარებამ აიღო აღნიშნული სახით...

მას, ვინც მოზარდ თაობას განჭვრეტს, გაუჩნდება ცხადი გრძნობა: თავიანთი შრომით, აზროვნებით, შეგრძნებებით, ზრდასრული ადამიანისათვის დამახასიათებელი სამომავლო მისწრაფებებით ადამიანები ისტორიის წიაღიდან არიან ამოზრდილნი. და ის, რაც სადღეისოდ წარმოადგენს პროფესიას, სახელმწიფოებრივ მოწყობას, რაშიც ადამიანებს შეუძლიათ ჩაერთონ, ეს ხომ თვით ამ ადამიანებისაგან აღმოცენდა! იგი ხომ არაა ამ ადამიანებთან დაკავშირებული როგორც გარეგნული რამ! შეუძლებელია ვიკითხოთ: ადამიანი მისი საკუთარი არსებისთვის უნდა აღვზარდოთ, თუ გარე პროფესიისთვის? ვინაიდან სინამდვილეში ბოლოსდაბოლოს ორივე ხომ ერთი და იგივეა!

დღესდღეობით რომ შევძლოთ განვავითაროთ ცოცხალი გაგება იმისა, რასაც გარეთ პროფესიები, ადამიანები წარმოადგენენ, მაშინ მოვიპოვებთ იმის გაგებასაც, რაც წინა თაობებმა, რომელნიც დღესაც ცხოვრობენ და პროფესია გააჩნიათ, კაცობრიობის დედობრივი წიაღიდან თანამედროვეობაში ამოიტანეს.

ადამიანად აღზრდისა და პროფესიული აღზრდის ურთიერთგამიჯვნა ვერას გვარგებს, თუკი ისე უნდა შევიგრძნობდეთ, როგორც მასწავლებლებს, აღმზრდელებს უწესთ. ამისთვის ჩვენში უნდა ცოცხლობდეს რაღაც, რაც გარეგნულად არ ჩანს — არც პროფესიაში, არც სახელმწიფოებრივ მოწყობაში, არსად გარეგნულში. ჩვენში უნდა ცოცხლობდეს ის, რასაც ცხოვრების გარე პლანზე მხოლოდ ჩვენი შემდგომი თაობები გამოიტანენ. ჩვენში უნდა ცოცხლობდეს წინასწარმეტყველურად მოქმედი შეზრდილობა კაცობრიობის სამომავლო განვითარებასთან. ამ შეზრდილობასთანაა კავშირში მასწავლებლების აღმზრდელობით-მხატვრული გრძნობა, აზროვნება და ნებელობა. თანამედროვეობის ცოცხალი პედაგოგიკა და დიდაქტიკა უნდა ესწრაფოდეს, რომ მასწავლებლებში მშვინვიერ-სულიერი მაცოცხლებელი სისხლივით ჩაედინებოდეს ის, რისი ცოდნაც შეიძლება ქმნადი ადამიანის შესახებ და რაც ხელოვნებად იქცევა

ისე, რომ თავდაპირველად ცოდნას არ წარმოადგენს. მხოლოდ ამგვარი ცოცხალი დიდაქტიკიდან შეიძლება აღმოცენდეს ის, რაც უნდა შევიდეს ბავშვის გულში, ბავშვის სამშვინველში, ბავშვის ინტელექტში...

სულაც არაა საჭირო, მოზარდს მივაწოდოთ ჩვენი „დოგმები", პრინციპები, ჩვენი მსოფლმხედველობის შინაარსი. ჩვენ არ ვესწრაფვით დოგმატურ აღზრდა-განათლებას. ჩვენ ვესწრაფვით, რომ ის, რაც სულისმეცნიერების მეოხებით მოვიპოვეთ, *ცოცხალ აღმზრდელობით ქმედებად* იქცეს. ჩვენ გვსურს, რომ ჩვენი მეთოდიკა, ჩვენი დიდაქტიკა შეიცავდეს იმას, რაც სულისმეცნიერებიდან შეიძლება აღმოცენდეს როგორც ადამიანისადმი მშვინვიერი მიდგომა. მკვდარი მეცნიერებიდან მხოლოდ ცოდნა შეიძლება წარმოიშვას, ცოცხალი სულისმეცნიერებიდან კი აღმოცენდება მეთოდიკა და დიდაქტიკა სულიერ-მშვინვიერი გაგებით. შეგვეძლოს სწავლება, აღზრდა, აი, რას ვესწრაფვით ჩვენ!..

ჩვენ პატიოსნად დავიცავთ იმას, რასაც ვაქებდით! რომ ჩვენს სკოლაში თავისი მსოფლმხედველობის პრინციპების შემოტანა შეეძლოთ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის საზოგადოებებს, რომელთაც რელიგიის გაკვეთილების ჩატარება სურთ. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ როგორც ჩვენ მცირედითაც არ დავარღვევთ იმას, რაც ამგვარად მსოფლმხედველობის სახით იქნება შემოტანილი ჩვენს სკოლაში, ასევე არ დაირღვეს ის, რისი მოკრძალებულად შეტანაც გვნებავს ხელოვნების სახით. ვინაიდან ჩვენ ვიცით: კაცობრიობამ ჯერ ის უნდა გაიგოს, რომ სულიერი მსოფლმხედველობიდან აღმოცენება შეუძლია აღზრდის ხელოვნებას, პედაგოგიური, მეთოდური, დიდაქტიკური გაგებით და შემდეგ მოიპოვებს იგი მსოფლმხედველობრივი საკითხებისა და მათი ურთიერთმიმართებების სწორ გაგებას. ამგვარად, ჩვენ არ ვაფუძნებთ მსოფლმხედველობრივ სკოლას. ვალდორფის სკოლის სახით ჩვენ გვსურს შევქმნათ აღზრდის ხელოვნების სკოლა".

ლექციებს ზოგადი ადამიანთმცოდნეობის შესახებ მოჰყვა ლექციები აღზრდის მეთოდიკისა და დიდაქტიკის შესახებ, ამ უკანასკნელთ კი თავისუფალი საუბრის სახით მიმდინარე სემინარი.[1] ლექციების ამ სამი ციკლით მშვინვიერსა და მატერიალურ გასაჭირში მყოფ კაცობრიობას უებარი წამალივით მიეცა რუდოლფ შტაინერის აღზრდის ხელოვნების საფუძვლები.

დორნახი, 1932 წლის აგვისტო.

[1] იხ: „აღზრდის ხელოვნება. მეთოდურ-დიდაქტიკური" და „აღზრდის ხელოვნება. სემინარული საუბრები და ლექციები სასწავლო გეგმაზე". ბიბლ. №294 და 295.

პირველი ლექცია

შტუტგარტი, 21 აგვისტო, 1919 წელი

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ მხოლოდ მაშინ გავართმევთ თავს ჩვენს ამოცანას, როდესაც მას განვიხილავთ როგორც არა მარტო ინტელექტუალურ-ხასიათობრივს, არამედ როგორც მორალურ-სულიერს უმაღლესი გაგებით; აქედან თქვენთვის გასაგები გახდება, რომ ჩვენი მუშაობის დასაწყისში პირველ რიგში გავიაზრებთ იმ ურთიერთკავშირს, რომლის დამყარებაც თავიდანვე გვსურს სულიერ სამყაროებთან სწორედ ჩვენი მოღვაწეობის მეოხებით. ამგვარი ამოცანისას შეგნებული უნდა გვქონდეს, რომ ჩვენ არ ვმუშაობთ როგორც მხოლოდ ფიზიკურ პლანზე მცხოვრები ადამიანები; საკითხის ამგვარად დასმა განსაკუთრებით გავრცელდა უკანასკნელ საუკუნეში და თითქმის მთლიანად მოიცვა ადამიანები. ამოცანების ასეთმა ხედვამ აღზრდა-განათლება აქცია იმად, რაც უნდა გაუმჯობესდეს ჩვენს მიერ დასახული ამოცანით. ამიტომაც ჩვენი მოსამზადებელი სამუშაოს დასაწყისში გვინდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ ვამყარებთ კავშირს სულიერ მეუფეებანთან, რომელთა დავალებით და სახელით უნდა გარკვეულწილად იმუშაოს თითოეულმა ჩვენთაგანმა. ამის გამო გთხოვთ, ეს შესავალი სიტყვა გაიგოთ როგორც ერთგვარი ლოცვა იმ ძალებისადმი, რომელნიც იმაგინაციის, ინსპირაციის, ინტუიციის მომცემებად უნდა იდგნენ ჩვენს უკან მაშინ, როდესაც საკუთარ თავზე ავიღებთ ამ ამოცანას.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი ვალია, შევიგრძნოთ ჩვენი ამოცანის მნიშვნელოვნება. ეს მოხდება, თუ გვეცოდინება, რომ ამ სკოლას განსაკუთრებული ამოცანა აკისრია. და ჩვენ გვნებავს ნამდვილად დავაკონკრეტოთ ჩვენი აზრები, ჩვენ გვნებავს მართლაც ისე ჩამოვაყალიბოთ ჩვენი აზრები, რომ შევძლოთ შეგნება იმისა, რომ ამ სკოლით ხორციელდება რაღაც განსაკუთრებული. ეს მოხდება, თუ ჩვენ ყოველდღი-

ურობად არ ვაქცევთ იმას, რაც ამ სკოლის დაფუძნებით კეთდება, არამედ განვიხილავთ მას როგორც მსოფლიო წესრიგის სადღესასწაულო აქტს. ამ გაგებით პირველ რიგში მინდა კეთილი სულის სახელით, რომელმაც გასაჭირიდან და უიმედობიდან უნდა გამოიყვანოს კაცობრიობა, ამ კეთილი სულის სახელით, რომელმაც კაცობრიობა უნდა წაიყვანოს სწავლებისა და აღზრდის განვითარების უფრო მაღალი საფეხურისკენ, გულითადი მადლობა მინდა მოვუხადო იმ კეთილ სულებს, რომელთაც ჩვენს ძვირფას ბატონ მოლტს გამოუგზავნეს კეთილი აზრები, რათა ამ მიმართულებით და ამ ადგილას გაკეთდეს კაცობრიობის შემდგომი განვითარებისთვის ის, რაც მან ვალდორფის სკოლით გააკეთა. მე ვიცი, რომ იგი აცნობიერებს იმას, რომ დღესდღეობით მხოლოდ სუსტი ძალებით შეგვიძლია შევეწიოთ ამ ამოცანის განხორციელებას. ასეთია მისი ხედვა. მაგრამ სწორედ იმით, რომ ჩვენ მასთან ერთად შევიგრძნობთ ამოცანისა და მისი დაწყების მომენტის სიდიადეს როგორც მსოფლიო წესრიგში შეტანილ სადღესასწაულო ფაქტს, სწორედ ამით მას შეუძლია საკადრისი ძალით იმოქმედოს ჩვენს წრეში. ამ თვალთახედვით გვნებავს ჩვენ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი მოღვაწეობის დაწყება. ჩვენ გვსურს საკუთარი თავი განვიხილოთ ადამიანებად, რომელნიც კარმამ დააყენა იმ ადგილას, საიდანაც უნდა განხორციელდეს არა ჩვეულებრივი რამ, არამედ ის, რაც სადღესასწაულო მსოფლიო წამის შეგრძნებას ბადებს მონაწილეებში.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, პირველი, რითიც გვინდა დავიწყოთ, არის საუბარი ჩვენი პედაგოგიური ამოცანის შესახებ, საუბარი, რომლის ერთგვარ შესავალსაც გავაკეთებ ამჯერად. ჩვენი პედაგოგიური ამოცანა უნდა განვასხვავოთ იმ პედაგოგიური ამოცანებისგან, რომელთაც აქამდე ისახავდა კაცობრიობა. არა იმიტომ, რომ ცარიელი ქედმაღლობით გვჯერა, თითქოს სწორედ ჩვენ უნდა მივცეთ დასაბამი ახალ პედაგოგიურ მსოფლიო წყობას, არამედ იმიტომ, რომ ანთ-

როპოსოფიულად ორიენტირებული სულისმეცნიერებიდან გამომდინარე ჩვენთვის ცხადია, რომ კაცობრიობის განვითარების ურთიერთმომდევნო ეპოქები სულ ახალ-ახალ ამოცანებს უყენებს მას. კაცობრიობას სხვადასხვა ამოცანები ჰქონდა პირველ, მეორე და ა.შ. და ჩვენს, მეხუთე ატლანტიდისშემდგომ, განვითარების ეპოქებში, ხოლო განვითარების ცალკეულ ეპოქაში გასაკეთებელს კაცობრიობა პირველად აცნობიერებს განვითარების ამ ეპოქის დაწყებიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ.

განვითარების ეპოქა, რომელშიც ჩვენ დღესდღეობით ვიმყოფებით, XV საუკუნის შუიდან დაიწყო. სულიერი საფუძვლებიდან მხოლოდ დღეს გვეძლევა გარკვეულწილად შემეცნება იმისა, თუ რა უნდა გაკეთდეს ჩვენს ეპოქაში სწორედ აღზრდის ამოცანასთან დაკავშირებით. აქამდე, მაშინაც კი, როცა ადამიანები საუკეთესო განზრახვით მოღვაწეობდნენ პედაგოგიკაში, ეს ხდებოდა ძველი პედაგოგიკის სულისკვეთებით, განვითარების მეოთხე ატლანტიდისშემდგომი ეპოქის სულისკვეთებით. ბევრი იქნება იმაზე დამოკიდებული, რომ ამიერიდან ჩვენ თავს მივუძღვნით ჩვენს ამოცანას და ვისწავლით იმის გაგებას, რომ ჩვენს ეპოქას სრულიად გარკვეული მიმართულება უნდა მივცეთ; მიმართულება, რომელიც იმიტომ კი არაა მნიშვნელოვანი, რომ ძალაშია მთელი კაცობრიობის განვითარებისთვის, არამედ იმიტომ, რომ სწორედ ჩვენი დროისათვის არის შესატყვისი. ყველაფერთან ერთად მატერიალიზმმა ისიც მოიტანა, რომ ადამიანებს არავითარი გაგება არ გააჩნიათ გარკვეული დროის სპეციფიკური ამოცანებისა. პირველ ყოვლისა, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ყოველ ცალკეულ ეპოქას საკუთარი განსაკუთრებული ამოცანა აქვს.

აღზრდა-განათლების მისაღებად თქვენთან, რასაკვირველია, გარკვეული ასაკის ბავშვები მოვლენ. და თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენამდე სიცოცხლის პირველ ფაზაში ამ ბავშვებს მშობლები ზრდიდნენ, ხშირად შესაძლოა ცუდადაც კი. ჩვენი წადილი პირველად მაშინ განხორციელდება სრულყოფილად, როცა მთელი კაცობრიობა იმდენად შორს წავა

წინ, რომ მშობლებიც მიხვდებიან იმას, რომ თანამედროვე ადამიანების წინაშე განსაკუთრებული ამოცანები აღზრდის პირველივე ფაზაში დგას. ზოგიერთი რამ, რაც სიცოცხლის პირველ ფაზაში ვერ იქნა მიღწეული, შეიძლება ჯერაც გამოსწორდეს, როცა ბავშვები ჩვენს სკოლაში მოვლენ.

მაგრამ ჩვენ ძალზე ძლიერად უნდა გავიმსჭვალოთ იმ ცნობიერებით, საიდანაც ყოველი ჩვენთაგანი ააგებს გაკვეთილსა და აღმზრდელობით მოღვაწეობას.

როდესაც თავს უძღვნით თქვენს ამოცანას, არ დაგავიწყდეთ, რომ მთელი დღევანდელი კულტურა, სულიერი სფეროს ჩათვლით, კაცობრიობის ეგოიზმს ემყარება. აბა, მიუკერძოებლად დააკვირდით ყველაზე მეტად სულიერ სფეროს, რომელსაც დღესდღეობით მისდევს კაცობრიობა, დააკვირდით რელიგიურ სფეროს და იკითხეთ: განა არაა ჩვენი დღევანდელი კულტურა რელიგიურ სფეროში ადამიანის ეგოიზმზე დამყარებული? ჩვენს დროში სწორედ ქადაგების არსისთვის არის ტიპური, რომ მქადაგებელს ადამიანის ეგოიზმში ჩაჭერა სურს. აიღეთ ის, რამაც ღრმად უნდა მოიცვას ადამიანი: უკვდავების საკითხი; და გაიაზრეთ, რომ დღესდღეობით თითქმის ყველაფერი, თვით ქადაგებაც კი ისეა აგებული, რომ ადამიანთან მიმართებით გათვალისწინებულია მისი ეგოიზმი. ეგოიზმის მეშვეობით ადამიანს გააჩნია სწრაფვა, არსებადაკარგულმა კი არ განვლოს სიკვდილის კარიბჭე, არამედ შეინარჩუნოს საკუთარი მე. ესეც ეგოიზმია, თუმცაღა დახვეწილი. ამ ეგოიზმზე ახდენს დღესდღეობით აპელაციას ყოველგვარი რელიგიური აღმსარებლობა, როდესაც უკვდავების საკითხს ეხება. ამიტომაც რელიგიური აღმსარებლობა პირველ რიგში ისე ესაუბრება ადამიანს, რომ უმეტეს შემთხვევაში ივიწყებს ჩვენი მიწიერი არსებობის ერთ ბოლოს და მხოლოდ მის მეორე ბოლოს უწევს ანგარიშს; პირველ ყოლისა მხედველობაში მიღებულია სიკვდილი, დაბადება კი მივიწყებულია.

შესაძლებელია ყოველივე ამას ასე მკაფიოდ არ გამოთქვამდნენ, მაგრამ თავი და თავი მაინც ესაა. ჩვენ ვცხოვრობთ

ისეთ დროში, როდესაც ადამიანის ეგოიზმზე ამგვარი აპელაცია ყველა სფეროში უნდა დაიძლიოს, რათა ადამიანები უფრო მეტად არ დაეშვან ძირს კულტურის იმ დაღმავალ გზაზე, რომელზეც დღესდღეობით მიაბიჯებენ. ჩვენ უფრო და უფრო უნდა გავიცნობიეროთ მეორე ბოლო ადამიანის განვითარებისა მიწიერი ყოფიერების მანძილზე: დაბადება. ჩვენ უნდა შემოვუშვათ ჩვენს ცნობიერებაში ის ფაქტი, რომ ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში ვითარდება სიკვდილსა და ახალ დაბადებას შორის; რომ ამ განვითარებისას იგი აღწევს წერტილს, როდესაც სულიერი სამყაროსათვის გარკვეულწილად კვდება; როდესაც იგი ისეთ პირობებში ცხოვრობს სულიერ სამყაროში, რომ მეტი აღარ შეუძლია იქ ცხოვრება ყოფიერების სხვა ფორმაში გადასვლის გარეშე. ყოფიერების ამ სხვა ფორმას იგი იმით იძენს, რომ ფიზიკური და ეთერული სხეულით იმოსება. ადამიანი ვერ მიიღებდა იმას, რაც უნდა მიიღოს ფიზიკური და ეთერული სხეულით შემოსვის გზით, სწორხაზოვნად რომ გაეგრძელებინა სულიერ სამყაროში განვითარება. ამდენად, თუმცაღა ბავშვის ხედვა დაბადების შემდეგ მხოლოდ ფიზიკური თვალებით შეგვიძლია, უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ესეც - გაგრძელება არის. ჩვენ გვსურს თვალი მივადევნოთ არა მარტო იმას, რასაც ადამიანის ყოფიერება განიცდის სიკვდილის შემდეგ, ანუ ფიზიკურის სულიერ გაგრძელებას; ჩვენ გვსურს გავაცნობიეროთ, რომ ფიზიკური არსებობა სულიერის გაგრძელება არის, რომ აღზრდის გზით ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ის, რაზეც ჩვენი მონაწილეობის გარეშე ზრუნავდნენ ზენა არსებები. აღზრდა-განათლების არსს სწორი განწყობილება მიეცემა მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ შეგნებული გვექნება: შენი ქმედებით ამ ადამიანის არსებაში უნდა გააგრძელო ის, რაც ზენა არსებებმა დაბადებამდე შეასრულეს.

სადღეისოდ, როცა ადამიანებმა თავიანთ აზრებსა და შეგრძნებებში დაკარგეს სულიერ სამყაროსთან კავშირი, ხშირად აბსტრაქტულად კითხულობენ ისეთ რამეს, რასაც როგორც

კითხვას სულიერი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე არავითარი აზრი არ გააჩნია. კითხულობენ, თუ როგორ უნდა ე.წ. დაბადებამდელი აღზრდა. ბევრია ისეთი ადამიანი, ვინც დღესდღეობით აბსტრაქტულად უდგება ყველაფერს; ხოლო თუ კონკრეტულად მივუდგებით, გარკვეულ სფეროში კითხვებს როგორც მოგვესურვება ვეღარ დავსვამთ. მე ერთხელ უკვე მოვიყვანე მაგალითი: გზაზე ვხედავთ ღარებს. შეგვიძლია ვიკითხოთ ამ დროს: საიდან გაჩნდნენ ისინი? — იქიდან, რომ ეტლმა გაიარა. — რატომ გაიარა ეტლმა? — იმიტომ, რომ იქ მსხდომთ გარკვეულ ადგილამდე მისვლა სურდათ. — რატომ უნდოდათ მათ იმ ადგილამდე მისვლა? — ერთხელაც კითხვების დასმა წყდება სინამდვილეში. თუ აბსტრაქტულში დავრჩებით, შეგვიძლია განუწყვეტლივ ვიკითხოთ: რატომ? შეგვიძლია სულ ვატრიალოთ კითხვები. კონკრეტული აზროვნება მუდმივად პოულობს ბოლოს, აბსტრაქტული აზროვნება კი ბორბალივით დაუსრულებლად მიგორავს თავისი აზრებით. ეს ეხება კითხვებსაც, რომლებსაც სვამენ არც თუ ისე მახლობელი სფეროების შესახებ. ფიქრობენ აღზრდის შესახებ და კითხვას სვამენ დაბადებამდელ აღზრდაზე. მაგრამ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, დაბადებამდე ადამიანის არსება ჯერ კიდევ ფიზიკურზე მაღლამდგომი არსებების მფარველობის ქვეშაა. მათ უნდა მივანდოთ სამყაროსა და ცალკეულ არსებას შორის უშუალო კავშირი. ამიტომ თავად ბავშვთან მიმართებით დაბადებამდელი აღზრდა ამოცანას არ წარმოადგენს. დაბადებამდელი აღზრდა შეიძლება იყოს მხოლოდ იმის არაცნობიერი შედეგი, რასაც ასრულებენ მშობლები, განსაკუთრებით კი დედა. თუ დედა მშობიარობამდე ისე იქცევა, რომ ახორციელებს იმას, რაც ნამდვილად მორალურია და ინტელექტუალურად სწორია, მაშინ ბავშვს თავისით გადაეცემა ის, რასაც დედა განუწყვეტელი თვითაღზრდისას ახდენს. რაც უფრო ნაკლებად ვფიქრობთ ბავშვის აღზრდაზე მანამ, სანამ იგი მზის სინათლეს იხილავს, და რაც მეტს ვფიქრობთ იმაზე, რომ სწორად ვიცხოვროთ, მით უფრო კარგია ეს

ბავშვისთვის. აღზრდის დაწყება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვი ნამდვილად ჩაერთვება ფიზიკური პლანის მსოფლწესრიგში. ეს კი მაშინ ხდება, როცა ბავშვი გარე ჰაერით სუნთქვას იწყებს.

როდესაც ბავშვი ფიზიკურ პლანზე გადმოვა, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, თუ რა მოხდა მისთვის სულიერიდან ფიზიკურ პლანზე გადმოსვლისას. აქ პირველ რიგში ის უნდა გავაცნობიეროთ, რომ ადამიანის არსება ნამდვილად ორი წევრისგან შედგება. სანამ ადამიანის არსება ფიზიკურ მიწაზე შემოდგამდეს ფეხს, ხდება სულისა და სამშვინველის დაკავშირება; ჩვენ სულში ვგულისხმობთ იმას, რაც დღესდღეობით სავსებით დაფარულია ფიზიკური სამყაროსათვის და რასაც ანთროპოსოფიული სულისმეცნიერების ენით ვუწოდებთ: სულისადამიანს, სიცოცხლისსულს, თავადსულს. ადამიანის არსების ეს სამი წევრი გარკვეულწილად არსებობს ზეგრძნობად სფეროში, რომლისკენაც უნდა ვიღვწოდეთ ამჟამად; და ჩვენ სიკვდილსა და ახალ დაბადებას შორის გარკვეულ კავშირში ვიმყოფებით სულისადამიანთან, სიცოცხლისსულთან და თავადსულთან. ძალა, რომელიც ამ სამებიდან მოდის, მსჭვალავს ადამიანის მშვინვიერს: ცნობიერ სამშვინველს, განსჯით ანუ ზნე-ხასიათის სამშვინველსა და შეგრძნებების სამშვინველს.

და რომ დაკვირვებოდით ადამიანის არსებას, რომელიც ფიზიკურ სამყაროში ჩამოსვლას აპირებს მას შემდეგ, რაც გაიარა ცხოვრება სიკვდილსა და ახალ დაბადებას შორის, მაშინ ნახავდით, რომ ზემოთ დახასიათებული სულიერი შეერთებულია მშვინვიერთან. ზენა სფეროდან მიწიერ ყოფაში ადამიანი ჩამოდის გარკვეულწილად როგორც სული-სამშვინველი[1] ანუ სამშვინველი-სული[2]. იგი იმოსება მიწიერი ყოფიერებით. ეს მეორე წევრი არსებისა, რომელიც ზემოხსენებულს უერთდება, შეგვიძლია ასე დავახასიათოთ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ქვევით, მიწაზე სული-სამშვინველის შესახვედ-

[1] Geistseele
[2] Seelengeist

რად მოდის ის, რაც აღმოცენდება ფიზიკური მემკვიდრეობითობის გზით. ახლა სამშვინველი-სულისკენ ანდა სული-სამშვინველისკენ ისე მოემართება ტანი-სხეული[3] ანდა სხეული-ტანი[4], რომ კვლავ ორი სამეული კავშირდება. სული-სამშვინველში სულისადამიანი, სიცოცხლისსული და თავადისული დაკავშირებულია მშვინვიერთან, რომელიც შედგება ცნობიერი, განსჯითი ანუ ზნე-ხასიათის და შეგრძნებების სამშვინველისგან. ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ფიზიკურ სამყაროში ჩამოსვლისას უნდა შეუერთდნენ შეგრძნებების სხეულს ანუ ასტრალურ სხეულს, ეთერულ სხეულსა და ფიზიკურ სხეულს. ესენი კი თავის მხრივ დაკავშირებულნი არიან, ჯერ დედის სხეულში, შემდეგ კი ფიზიკურ სამყაროში, ფიზიკური სამყაროს სამ საუფლოსთან — მინერალურთან, მცენარეულთან და ცხოველურთან — ისე, რომ აქაც ორი სამეულია ურთიერთდაკავშირებული.

თუ საკმარისი მიუკერძოებლობით დააკვირდებით ბავშვს, რომელიც სამყაროსთანაა შეზრდილი, მაშინ ნახავთ: აქ ბავშვში სამშვინველი-სული ანუ სული-სამშვინველი ჯერ არაა დაკავშირებული ტანი-სხეულთან ანდა სხეული-ტანთან. აღზრდის ამოცანას, სულიერი გაგებით, წარმოადგენს სამშვინველი-სულისა და ტანი-სხეულის ურთიერთთანხმობაში მოყვანა. ისინი ურთიერთჰარმონიაში უნდა მოვიდნენ, ურთიერთთანწყობილნი უნდა გახდნენ, ვინაიდან ბავშვის ფიზიკურ სამყაროში დაბადებისას ჯერ არ შეესაბამებიან ერთმანეთს. აღმზრდელისა და ასევე მასწავლებლის ამოცანა არის ამ ორი წევრის ურთიერთშესატყვისობაში მოყვანა.

ახლა უფრო კონკრეტულად განვიხილოთ ეს ამოცანა. ყველა სახის მიმართებას შორის, რომელიც ადამიანს გააჩნია გარე სამყაროსთან, უმნიშვნელოვანესია სუნთქვა. ხოლო სუნთქვას ჩვენ ფიზიკურ სამყაროში შემობიჯებისას ვიწყებთ. დედის სხეულში სუნთქვა, ასე ვთქვათ, ჯერაც შესამზადებელი

---

[3] Körperleib
[4] Leibeskörper

სუნთქვაა, მას ადამიანი ჯერაც არ მოჰყავს გარე სამყაროსთან სრულყოფილ კავშირში. იმას, რასაც სწორი გაგებით უნდა ეწოდოს სუნთქვა, ადამიანი პირველად მაშინ იწყებს, როცა დედის სხეულს ტოვებს. ეს სუნთქვა ძალზე ბევრს ნიშნავს ადამიანის არსებისათვის, რადგანაც ამ სუნთქვაში ფიზიკური ადამიანის მთელი სამწევრა სისტემა არის მოცემული.

სამწევრა ფიზიკური ადამიანის სისტემას პირველ რიგში ნივთიერებათა ცვლას მივაკუთვნებთ. მაგრამ ნივთიერებათა ცვლა, ერთი მხრივ, ღრმადაა დაკავშირებული სუნთქვასთან; სუნთქვის პროცესი ნივთიერებათა ცვლის სახითაა დაკავშირებული სისხლის მიმოქცევასთან. სისხლის მიმოქცევას ადამიანის სხეულში შეაქვს გარე სამყაროს ნივთიერებები, რომელნიც სხვა გზით არიან შემოტანილნი. ამდენად, ერთი მხრივ, სუნთქვა გარკვეულწილად დაკავშირებულია ნივთიერებათა ცვლის მთელ სისტემასთან. სუნთქვას გააჩნია საკუთარი ფუნქციები, მაგრამ, ერთი მხრივ, იგი დაკავშირებულია ნივთიერებათა ცვლის სისტემასთან.

მეორე მხრივ, კი სუნთქვა დაკავშირებულია ადამიანის ნერვულ-გრძნობად ცხოვრებასთან. ჩასუნთქვისას ჩვენ განუწყვეტლივ ჩავწნეხთ თავის ტვინის სითხეს თავის ტვინში; ამოსუნთქვისას კი უკან გადმოვღვრით სხეულში. ამით ჩვენ სუნთქვის რიტმს თავის ტვინს გადავცემთ და როგორც, ერთი მხრივ, სუნთქვა უკავშირდება ნივთიერებათა ცვლას, ისე უკავშირდება იგი, მეორე მხრივ, ნერვულ-გრძნობად ცხოვრებას. შეგვიძლია ვთქვათ: სუნთქვა აკავშირებს ფიზიკურ სამყაროში შემოსულ ადამიანს გარე ფიზიკურ სამყაროსთან. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სუნთქვა ჯერ არ მიმდინარეობს მთლიანად ისე, როგორც უნდა მიმდინარეობდეს ადამიანის ფიზიკური სიცოცხლის შესანარჩუნებლად, სახელდობრ: ფიზიკურ ყოფიერებაში შემოსულ ადამიანში ჯერ არაა დამყარებული ნამდვილი ჰარმონია, სწორი ურთიერთკავშირი სუნთქვის პროცესსა და ნერვულ-გრძნობად პროცესს შორის.

თუ დავაკვირდებით ბავშვს, მისი არსების შესახებ უნდა

ვთქვათ: — ბავშვს ჯერ არ უსწავლია ისე სუნთქვა, რომ ამ უკანასკნელს სწორი მიმართება ჰქონდეს ნერვულ-გრძნობად პროცესთან. აქ კვლავ საქმე გვაქვს იმის დახვეწილ დახასიათებასთან, რასაც ადგილი აქვს ბავშვთან. ჯერ ადამიანის არსება უნდა გავიგოთ ანთროპოლოგიურ-ანთროპოსოფიულად. ამიტომ, უმნიშვნელოვანესი ღონისძიება აღზრდისას არის ყოველივე იმის დაკვირვება, რაც სწორად რთავს სუნთქვის პროცესს ნერვულ-გრძნობად პროცესში. ბავშვმა უმაღლესი გაგებით უნდა ისწავლოს საკუთარ სულში მიიღოს ის, რაც მას შეიძლება მიენიჭოს იმის წყალობით, რომ იგი სუნთქვისათვის იბადება. თქვენ ხედავთ, რომ აღზრდის ეს ნაწილი სულიერ-მშვინვიერისკენაა მიმართული: ნერვულ-გრძნობად პროცესთან სუნთქვის ჰარმონიაში მოყვანით ჩვენ ჩამოგვყავს სულიერ-მშვინვიერი ბავშვის ფიზიკურ სიცოცხლეში. უხეშად რომ ვთქვათ, ბავშვს ჯერ არ შეუძლია შინაგანად სწორად სუნთქვა და აღზრდა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მას სწორად სუნთქვა ვასწავლოთ.

მაგრამ ბავშვს სხვა რამეც არ შეუძლია სწორად და ამ სხვა რამეს უნდა მივხედოთ, რათა ჰარმონია დამყარდეს არსების ორ წევრს შორის, ხორციელ სხეულსა და სული-სამშვინველს შორის. ის, რაც ბავშვს სწორად არ შეუძლია თავისი ცხოვრების დასაწყისში — თქვენ თვალში გეცემათ, რომ ჩვეულებრივ ის, რასაც ჩვენ სულიერად უნდა გავუსვათ ხაზი, ერთი შეხედვით ეწინააღმდეგება გარე სამყაროს წყობას —, რაც ბავშვს არ შეუძლია სწორად, არის ძილ-ღვიძილის ურთიერთმონაცვლეობის განხორციელება ადამიანის არსებისათვის შესატფისი ფორმით. გარეგნული განხილვისას შესაძლებელია გვეთქვა: ბავშვს ძალიანაც კარგად შეუძლია ძილი; მას ბევრად უფრო მეტი სძინავს, ვიდრე მოზრდილ ადამიანს. მაგრამ მას ჯერ არ ძალუძს ის, რაც ძილ-ღვიძილს შინაგანად უდევს საფუძვლად. ბავშვი ყველაფერს განიცდის ფიზიკურ პლანზე. იგი იყენებს კიდურებს, ჭამს, სვამს და სუნთქავს. მაგრამ აკეთებს რა ყოველივე ამას ფიზიკურ პლა-

ნზე. იცვლის რა ძილ-ღვიძილის მდგომარეობას, მას არ შეუძლია ფიზიკურ პლანზე განცდილი — თვალებით დანახული, ყურებით მოსმენილი, ხელ-ფეხით შესრულებული, არ შეუძლია ფიზიკურ პლანზე განცდილი შეიტანოს სულიერ სამყაროში, იქ გადაამუშაოს და ამ სამუშაოს შედეგი უკან ჩამოიტანოს ფიზიკურ პლანზე. მისი ძილი სწორედ იმით ხასიათდება, რომ ეს სხვა ძილია, ვიდრე ზრდასრული ადამიანისა. მოზრდილი ძილში თანდათან გადაამუშავებს იმას, რასაც ადამიანი განიცდის გამოღვიძებასა და დაძინებას შორის. ბავშვს კი ჯერ არ შეუძლია შეიტანოს ძილში ის, რასაც განიცდის გამოღვიძებასა და დაძინებას შორის. ამიტომ ძილის დროს იგი ისე ერთვება ზოგად მსოფლწესრიგში, რომ არ შეაქვს მასში ის, რაც გარეგნულად განიცადა ფიზიკურ სამყაროში. ამიტომ სწორი აღზრდით ბავშვს უნდა შევაძლებინოთ, რომ ფიზიკურ პლანზე განცდილი გადაიტანოს მასში, რასაც დაძინებიდან გამოღვიძებამდე აკეთებს სამშვინველი-სული ანუ სული-სამშვინველი. როგორც აღმზრდელებმა თუ მასწავლებლებმა ჩვენ შეგვიძლია არაფერი მივაწოდოთ ბავშვს ზენა სამყაროდან. ვინაიდან ის, რაც ადამიანში ზენა სამყაროდან შემოდის, დაძინებიდან გამოღვიძებამდე შემოდის. ადამიანის მიერ ფიზიკურ პლანზე გატარებული დრო ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმისთვის გამოვიყენოთ, რომ მან თანდათან შეძლოს სულიერ სამყაროში იმის შეტანა, რასაც მასთან ერთად ვაკეთებთ და რომ ამის საშუალებით ფიზიკურ სამყაროში უკან გადმოიღვაროს სულიერი სამყაროდან წამოღებული ძალა, რათა მან შეძლოს იყოს ნამდვილი ადამიანი ფიზიკურ პლანზე.

ამგვარად ხდება აღზრდა-განათლება მიმართული ნამდვილად მაღალი სფეროსკენ, სწორი სუნთქვისა და ძილ-ღვიძილის მონაცვლეობის სწორი რიტმის სწავლისაკენ. ცხადია, ჩვენ გავეცნობით აღზრდა-განათლების იმ ღონისძიებებს, რომელნიც არ წარმოადგენენ სუნთქვის ანდა ძილ-ღვიძილის წვრთნას. ეს მხოლოდ უკანა პლანზე იდგება, რასაც გავეცნობით, კონკრე-

ტული ღონისძიებები იქნება. ოღონდ ჩვენ ძირის ძირამდე უნდა ვაცნობიერებდეთ იმას, რასაც ვაკეთებთ. როცა ბავშვს ამა თუ იმ საგანს ვასწავლით, უნდა შეგნებული გვქონდეს, რომ ერთი მიმართულებით ვმუშაობთ სული-სამშვინველის ფიზიკურ სხეულში უფრო მეტად შემოფანაზე, მეორე მიმართულებით კი სხეულებრიობის სული-სამშვინველში შემოფანაზე.

არ დააკნინოთ ნათქვამის მნიშვნელოვნება, ვინაიდან თქვენ ვერ გახდებით კარგი აღმზრდელები და მასწავლებლები, თუ მხოლოდ იმას მიაქცევთ ყურადღებას, რასაც აკეთებთ და არ მიაქცევთ ყურადღებას იმას, რანიცა ხართ. ანთროპოსოფიული ორიენტაციის სულისმეცნიერებიდან გამომდინარე ხომ უნდა გვესმოდეს მნიშვნელობა იმ ფაქტისა, რომ სამყაროში ადამიანის ზემოქმედება განისაზღვრება არა მარტო იმით, რასაც იგი აკეთებს, არამედ პირველ ყოვლისა იმით, რაც თავად არის. ძალიან დიდი განსხვავებაა, ჩემო ძვირფასებო, საკლასო ოთახში ამა თუ იმ ოდენობის მოწაფეებთან ერთი მასწავლებელი შევა თუ მეორე. დიდია განსხვავება და ის მდგომარეობს არა უბრალოდ იმაში, რომ ერთი მასწავლებელი უფრო ოსტატურად ფლობს გარეგნულ პედაგოგიკურ ხერხებს, ვიდრე მეორე; არამედ უმთავრესი განსხვავება, რომელიც ქმედითუნარიანია სწავლებისას, ეფუძნება აზრთა იმ მიმართულებას, რომელიც მასწავლებელს გააჩნია მთელი ცხოვრების მანძილზე და რომელიც მას საკლასო ოთახში შეაქვს თან. მასწავლებელი, რომელიც დაკავებულია აზრებით მოზარდი ადამიანის შესახებ, სრულიად სხვაგვარად მოქმედებს მოსწავლეებზე, ვიდრე ის, ვისაც ამისა არა გაეგება რა, ვისაც არასოდეს მიუმართავს თავისი აზრები ამისკენ. რამეთუ რა ხდება იმ მომენტში, როდესაც თქვენ ფიქრობთ ამგვარ აზრებზე, ანუ იწყებთ იმის შეცნობას, თუ რა კოსმიური მნიშვნელობა აქვს აღზრდისათვის სუნთქვის პროცესსა და მის გარდაქმნას, რა კოსმიური მნიშვნელობა აქვს ძილ-ღვიძილს შორის მიმდინარე რიტმულ პროცესს? როდესაც თქვენ ამგვარი აზრები გაქვთ, თქვენში დაიძლევა ყოველივე ის, რაც

მხოლოდ პირადულობის სულს წარმოადგენს. ამ მომენტში აორთქლდება ყველა ინსტანცია, რაც საფუძვლად უდევს პირადულობის სულს; რაღაც ქრება იქიდან, რაც უმეტეს შემთხვევაში ადამიანში არსებობს იმის წყალობით, რომ იგი ფიზიკური ადამიანი არის.

და თუ თქვენ ამგვარი განწყობით ცხოვრობთ და შედიხართ საკლასო ოთახში, მაშინ შინაგანი ძალების წყალობით ხდება ის, რომ ურთიერთობა მყარდება თქვენსა და მოსწავლეებს შორის. შეიძლება მოხდეს, რომ დასაწყისში გარეგანი ფაქტები ეწინააღმდეგებოდეს ამას. მიდიხართ სკოლაში და თქვენი ონავრები დაგცინიან. თქვენ ისე გამტკიცებული უნდა იყოთ ამგვარი აზრებით, რომ სულაც არ მიაქციოთ ყურადღება ამ დაცინვას და მიიღოთ ის, როგორც გარეგანი ფაქტი, ვთქვათ ისეთივე ფაქტი, როგორც უეცრად რომ გაწვიმდეს, თქვენ კი ქოლგა არ გქონდეთ თან. რასაკვირველია, ეს უსიამოვნო მოულოდნელობაა. ჩვეულებრივ, ადამიანი განასხვავებს იმას, როცა დასცინიან და როცა წვიმა მოუსწრებს, ქოლგა კი თან არა აქვს. ჩვენ კი არავითარი განსხვავება არ უნდა მოვახდინოთ. ჩვენ იმდენად მტკიცე აზრები უნდა განვავითაროთ, რომ ამგვარი განსხვავება არ მოვახდინოთ და ეს დაცინვა მივიღოთ როგორც თავსხმა წვიმა. თუ განმსჭვალულნი ვართ ამ აზრებით და ნამდვილად გვწამს მათი, მაშინ შესაძლოა რვა ან თოთხმეტი დღის, ან უფრო მეტი ხნის შემდეგ მოხდეს ის, რომ – თუნდ ჯერაც ძლიერად დაგვცინოდნენ ბავშვები – დავამყარებთ სასურველ ურთიერთობას მათთან. ჩვენ უნდა დავამყაროთ ეს ურთიერთობა ყველა დაბრკოლებისდა მიუხედავად იმის საშუალებით, რასაც ჩვენი საკუთარი თავიდან ვქმნით. პირველ რიგში კი უნდა გავაცნობიეროთ უპირველესი პედაგოგიური ამოცანა: რომ უწინარეს ყოვლისა ჩვენივე თავი უნდა გარდავქმნათ; რომ მასწავლებელსა და ბავშვებს შორის მკვიდრობს აზრობრივი, შინაგანი სულიერი დამოკიდებულება და რომ საკლასო ოთახში შემდეგი ცნობიერებით უნდა შევიდეთ: თუ არსე-

ბობს ეს სულიერი დამოკიდებულება და არა მარტო ის სიტყვები და მცნებები, რომელთაც ბავშვებს ვაწვდი, მაშინ ასევე იარსებებს პედაგოგიური ოსტატობა. ყოველივე ეს არის გარეგნულობა, რომელზეც, რასაკვირველია, უნდა ვიზრუნოთ; მაგრამ მასზე სწორად ვერ ვიზრუნებთ, თუკი საფუძვლად არ ავიღებთ ურთიერთმიმართებას ჩვენს საკუთარ აზრებსა და იმ ფაქტებს შორის, რომლებსაც სწავლების განმავლობაში ადგილი აქვთ ბავშვის სხეულსა და სამშვინველში. მთელი ჩვენი მოქმედება სწავლებისას არ იქნება სრულყოფილი, თუ არ გვექნება შემდეგი ცნობიერება: ადამიანი იბადება; ამით მას ეძლევა შესაძლებლობა, აკეთოს ის, რისი კეთებაც არ შეეძლო სულიერ სამყაროში. ჩვენ ის უნდა აღვზარდოთ, უნდა ვასწავლოთ მას, პირველ რიგში კი სუნთქვას უნდა დავამყარებინოთ საჭირო ჰარმონია სულიერ სამყაროსთან. ადამიანს არ შეეძლო იმავენაირად მოეხდინა ძილ-ღვიძილის რიტმული ურთიერთმონაცვლეობა სულიერ სამყაროში, როგორც ფიზიკურ სამყაროში ახორციელებს ამას. აღზრდა-განათლების საშუალებით ჩვენ ისე უნდა მოვაწესრიგოთ ეს რიტმი, რომ ადამიანში სწორად მოხდეს ხორციელი სხეულის ჩართვა სამშვინველ-სულში ანუ სული-სამშვინველში. ცხადია, ჩვენთვის ეს არაა აბსტრაქცია, რასაც, როგორც ასეთს, პირდაპირ უნდა ვიყენებდეთ სწავლებისას; მაგრამ ეს უნდა დაგვეუფლოს ჩვენ როგორც აზრი ადამიანის არსების შესახებ.

ეს მინდოდა მეთქვა თქვენთვის შესავლისათვის. ხვალ კი საკუთრივ პედაგოგიკას შევუდგებით.

მეორე ლექცია

შტუტგარტი, 22 აგვისტო, 1919 წელი

მომავალში ყოველი გაკვეთილი აგებულ უნდა იქნეს ჰეშმარიტი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, რომელიც სამყაროს ანთროპოსოფიული შემეცნებიდანაა წარმომდგარი. სწავლება და აღზრდის არსი რომ ფსიქოლოგიაზე უნდა დაშენდეს, კარგად ესმოდათ სხვადასხვა ადგილებში. მაგ., მოგეხსენებათ, რომ წარსულში მეტად გავრცელებული ჰერბარტიანული პედაგოგიკა თავის აღმზრდელობით მეთოდებს ჰერბარტის ფსიქოლოგიაზე აგებდა. სადღეისოდ და აგრეთვე უკანასკნელ საუკუნეებში არსებობდა ერთი გარკვეული ფაქტი, რომელიც წარმოშობის საშუალებას არ აძლევდა ჰეშმარიტ, პრაქტიკულ ფსიქოლოგიას. ეს იმის გამო იყო, რომ ეპოქაში, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით, ცნობიერი სამშვინველის ეპოქაში, ჯერაც არაა მიღწეული ისეთი სულიერი ჩაღრმავება, რომ შესაძლებელი გახდეს ადამიანის სამშვინველის ნამდვილი წვდომა. ხოლო ის ცნებები, რომელნიც შემუშავდა ფსიქოლოგიის, სამშვინველთმცოდნეობის სფეროში ატლანტიდისშემდგომი მეოთხე ეპოქის ძველი ცოდნიდან გამომდინარე, ეს ცნებები სადღეისოდ მეტ-ნაკლებად დაიცალა შინაარსისგან და ფრაზებად იქცა. ვინც დღესდღეობით ხელს მოჰკიდებს ფსიქოლოგიას ანდა რაიმეს, რასაც საქმე აქვს ფსიქოლოგიურ ცნებებთან, ნახავს, რომ ამგვარი ნაშრომები აღარ შეიცავს ჰეშმარიტ შინაარსს. გვიჩნდება გრძნობა, რომ ფსიქოლოგები მხოლოდ ცნებებით თამაშობენ. მაგ., ვის გააჩნია დღესდღეობით ნამდვილად მკაფიო ცნება იმისა, თუ რა არის წარმოდგენა, ნება? თქვენ შეგიძლიათ უამრავი განსაზღვრება ამოკრიბოთ ფსიქოლოგიიდან და პედაგოგიკიდან წარმოდგენის, ნების შესახებ: მაგრამ ნამდვილ წარმოდგენას წარმოდგენის თუ ნების შესახებ თქვენ ვერ შეიქმნით ამ განსაზღვრებებიდან. სრულიად გამორჩათ — რასაკვირველია, გარეგანი ის-

ტორიული აუცილებლობის გამო — ერთეული ადამიანი მშვინვიერადაც ჩაერთოთ მთელ სამყაროში. ვერ იქნა გაგებული, თუ როგორაა ადამიანის მშვინვიერი ბუნება დაკავშირებული მთელ სამყაროსთან. მხოლოდ მაშინ, როცა შეგვიძლია გავითვალისწინოთ ცალკეული ადამიანის კავშირი მთლიან სამყაროსთან, ვიძენთ ადამიანის, როგორც ასეთის, არსების იდეას.

მოდით, განვიხილოთ ის, რასაც, ჩვეულებრივ, წარმოდგენას ეძახიან. ჩვენ ხომ ბავშვებს უნდა განვუვითაროთ წარმოდგენა, გრძნობა და ნებელობა. ამიტომ პირველ რიგში უნდა მოვიპოვოთ მკაფიო ცნება იმისა, თუ რა არის წარმოდგენა. ვინც ნამდვილად მიუკერძოებლად განიხილავს იმას, რაც ადამიანში ცოცხლობს წარმოდგენის სახით, მას მაშინვე თვალში ეცემა წარმოდგენის სურათ-ხატოვანი ხასიათი: წარმოდგენას აქვს სურათ-ხატოვანი ხასიათი. და ვინც წარმოდგენაში ეძებს ყოფიერების ხასიათს, ჭეშმარიტ ეგზისტენციას ეძიებს წარმოდგენაში, იგი დიდ ილუზიაში ვარდება. მაგრამ რა იქნებოდა ჩვენთვის წარმოდგენა, იგი ყოფიერება რომ ყოფილიყო? უეჭველია, ჩვენ ყოფიერების ელემენტსაც შევიცავთ ჩვენში. აიღეთ თუნდაც ჩვენი სხეულებრივი ყოფიერების ელემენტი, აიღეთ თუნდაც, მაგ., თქვენი თვალები, რომელნიც ყოფიერების ელემენტს წარმოადგენენ, თქვენი ცხვირი, რომელიც ყოფიერების ელემენტია, ანდა თქვენი კუჭი, ასევე ყოფიერების ელემენტი. იტყვით, რომ თუმცაღა ყოფიერების ამ ელემენტებში ცხოვრობთ, მათი საშუალებით წარმოდგენა არ შეგიძლიათ. თქვენ ერწყმით ყოფიერების ელემენტებს თქვენივე საკუთარი არსებით, აიგივებთ თავს ყოფიერების ელემენტებთან. იმის შესაძლებლობას, რომ წარმოდგენებით რაიმეს მოხელთება, რაიმეს წვდომა შეგვიძლია, გვაძლევს სწორედ ის, რომ მათ სურათ-ხატოვანი ხასიათი აქვთ, რომ ისინი ისე არ გვერწყმიან, რომ ჩვენ მათში ვიმყოფებოდეთ. ამგვარად, ისინი ფაქტობრივად არ არსებობენ, ისინი ცარიელი სურათ-ხატები არიან. კაცობრიობის განვითარების უკანასკნელი ეპოქის დასაწყისში, უკანასკნელ საუკუნეებში დიდი შეცდომა

დაუშვეს, როდესაც ყოფიერება გააიგივეს აზროვნებასთან, როგორც ასეთთან. „Cogito, ergo sum" უდიდესი შეცდომაა, რომელიც ახალ მსოფლმხედველობას წარუმძღვანეს წინ; რამეთუ cogito-ს სფეროში ვერსად ვპოვებთ sum-ს, არამედ non sum-ს. ეს ნიშნავს, რომ სადამდეც ჩემი შემეცნება ვრცელდება, იქ მე არა ვარ, არამედ არის მხოლოდ სურათ-ხატი.

წარმოდგენის სურათ-ხატოვანი ხასიათის მხედველობაში მიღებისას ეს პირველ რიგში თვისებრივად უნდა მოახდინოთ. ყურადღება უნდა მიაქციოთ წარმოდგენის სიმარდეს, უნდა შექმნათ არცთუ მთლად შესატყვისი ცნება აქტიურობისა, რომელიც მოგვაგონებს ყოფიერებას. მაგრამ ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ აზრობრივ აქტიურობაშიც მხოლოდ სურათ-ხატოვანი აქტიურობა გვაქვს. ამგვარად ყველივე, რაც მოძრაობაა წარმოდგენაში, სურათ-ხატების მოძრაობაა. მაგრამ სურათ-ხატები უნდა რაიმეს სურათ-ხატები იყოს, არ შეიძლება ისინი უბრალოდ, თავისთავად სურათ-ხატები იყვნენ. თუ დაფიქრდებით მსგავსებაზე სარკის ანარეკლებთან, მაშინ იტყვით: თუმცა სარკეში ანარეკლები ჩნდება, ყველაფერი, რაც აირეკლება, არის არა სარკის უკან, არამედ სადღაც სხვაგან, სარკისგან სრულიად დამოუკიდებლად. სარკისთვის კი სულ ერთია, რა აირეკლება მასში, ათასგვარი რამ შეიძლება აირეკლოს. – თუ ჩვენ ზუსტად ამ გაგებით ვიტყვით წარმოდგენების აქტივობის შესახებ, რომ იგი სურათ-ხატოვანია, მაშინ საჭიროა ვიკითხოთ: რისი სურათ-ხატია წარმოდგენა? ამაზე, ბუნებრივია, არაფერს გვეუბნება გარეგნული მეცნიერება; მხოლოდ ანთროპოსოფიული ორიენტაციის მეცნიერებას ძალუძს პასუხის გაცემა. წარმოდგენა არის სურათ-ხატი ყველა იმ განცდისა, რომელიც ჩვენ გვქონდა დაბადებამდე, უფრო სწორად, ჩასახვამდე. თქვენ ვერ შეძლებთ წარმოდგენის ჭეშმარიტად წვდომას, თუ თქვენთვის ცხადი არ არის, რომ თქვენ ცხოვრობდით დაბადებამდე, ჩასახვამდე. და ისევე, როგორც ჩვეულებრივი სარკის ანარეკლები წარმოიქმნებიან სივრცობრივად, ასევე აირეკლება თქვენი ცხოვრება სიკვდილსა და ახალ

დაბადებას შორის ამჟამინდელ სიცოცხლეში და ეს ანარეკლი არის წარმოდგენა. ამგვარად, თუ ხატოვნად წარმოიდგენთ, უნდა წარმოიდგინოთ თქვენი ცხოვრების გზა გამავალი ორიენტ ჰორიზონტალურ წრფეს შორის, მარჯვნივ და მარცხნივ შემოსაზღვრული დაბადებითა და სიკვდილით.



შემდეგ უნდა წარმოიდგინოთ, რომ განუწყვეტლივ დაბადების მიღმური მხრიდან შემოდის წარმოდგენა და აირეკლება თავად ადამიანის არსების მიერ. იმის მეოხებით, რომ თქვენი სხეულებრიობა აირეკლავს იმ მოღვაწეობას, რომელსაც ეწეოდით სულიერ სამყაროში დაბადებამდე, უფრო სწორად ჩასახვამდე, ამ გზით განიცდით თქვენ წარმოდგენას. ჭეშმარიტი შემმეცნებლისთვის თავად წარმოდგენა არის დაბადებამდელი ყოფიერების საბუთი, რამეთუ იგი ამ დაბადებამდელი ყოფიერების ხატია.

მე მინდოდა ეს ჯერ იდეის სახით წარმომედგინა — ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამის ახსნას —, რათა ყურადღება მიაქციოთ, რომ ამ გზით ჩვენ თავს ვაღწევთ ცარიელ სიტყვიერ განმარტებებს, რომელთაც ვხვდებით ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში, და მივდივართ წარმოდგენითი აქტივობის ჭეშმარიტ წვდომამდე მაშინ, როცა ვიმეცნებთ, რომ წარმოდგენაში აირეკლება ის მოღვაწეობა, რომელსაც სამშვინველი ეწევა წმინდა სულიერ სამყაროში დაბადებამდე ანუ ჩასახვამდე. ყველა სხვა განსაზღვრება წარმოდგენისა სრულიად გამოუსადეგარია, რადგანაც ვერ გვაწვდის იმის ნამდვილ იდეას, თუ რა არის ჩვენში წარმოდგენა.

ახლა ამავე სახით გვსურს ვიკითხოთ ნების შესახებ. ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის ნება მართლაც რომ არაჩვეულებრივად იდუმალი რამაა; იგი ფსიქოლოგების თავსამტვრევია უბრალოდ იმიტომ, რომ ნება ფსიქოლოგებს წარუდგება როგორც მეტად რეალური რამ, მაგრამ ნამდვილი შინაარსი მაინც არ გააჩნია. ვინაიდან თუ ნახავთ, რა შინაარსს ანიჭებენ ფსიქოლოგები ნებას, აღმოაჩენთ, რომ ამგვარი შინაარსი წარმოდგენიდან მომდინარეობს. თავისთავად ნებას კი არ გააჩნია საკუთარი შინაარსი. აქაც არ არსებობს ნების განსაზღვრება; ნების დეფინიცია კიდევ უფრო რთულია, ვინაიდან მას არ გააჩნია ნამდვილი შინაარსი. მაგრამ რა არის ნება სინამდვილეში? იგი სხვა არაფერია, თუ არა ჩანასახი იმისა, რაც სიკვდილის შემდეგ ჩვენში სულიერ-მშვინვიერ რეალობად იქცევა. ამგვარად, თუ წარმოიდგენთ იმას, რაც სიკვდილის შემდეგ გახდება ჩვენთვის სულიერ-მშვინვიერი რეალობა, ჩანასახის სახით წარმოიდგენთ მას ჩვენში, მაშინ მიიღებთ თქვენ ნებას. ჩვენს ნახაზში სიცოცხლე მთავრდება სიკვდილით, ნება კი მის იქით გადის.

მაშასადამე, უნდა წარმოვიდგინოთ: ერთ მხარეს წარმოდგენა, რომელიც დაბადებამდელი სიცოცხლის ხატად უნდა მოვიაზროთ; მეორე მხარეს კი ნება, რომელიც მომავლის ჩანასახად უნდა მოვიაზროთ. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება განსხვავებას ჩანასახსა და ხატს შორის. ვინაიდან ჩანასახი არის ზერეალური რამ, ხატი კი ქვერეალური; ჩანასახი მხოლოდ მოგვიანებით იქცევა რეალურად, ე.ი. თავის თავში ატარებს მიდრეკილებას მოგვიანებითი რეალურისკენ; ამგვარად, ნება სინამდვილეში ძლიერ სულიერი ბუნებისაა. ეს იგრძნო *შოპენჰაუერმა*; მაგრამ, ბუნებრივია, იგი ვერ მივიდა იმის შემეცნებამდე, რომ ნება სულიერ-მშვინვიერის ჩანასახია და თუ როგორ გაიშლება ეს სულიერ-მშვინვიერი სიკვდილის შემდეგ სულიერ სამყაროში.

მაშ, თქვენ გარკვეული სახით ორ სფეროდ დაყავით ადამიანის მშვინვიერი ცხოვრება: ხატოვან წარმოდგენად და ჩანა-

სახოვან ნებად; ხატსა და ჩანასახს შორის კი არსებობს საზღვარი. ეს საზღვარი არის მთელი გარე გამოვლინება თავად ფიზიკური ადამიანისა, რომელიც არეკლავს დაბადებამდელს, რითაც წარმოშობს წარმოდგენის ხატს, და რომელიც ნებას არ უშვებს გამოვლინდეს და ამით მუდმივად შეიცავს მას როგორც ჩანასახს; მხოლოდ ჩანასახად ყოფნის საშუალებას აძლევს მას. ისმის კითხვა, თუ საკუთრივ რა ძალების დახმარებით ხდება ეს.

ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ადამიანში უნდა არსებობდეს გარკვეული ძალები, რომელნიც იწვევენ დაბადებამდელი რეალობის არეკლასა და სიკვდილისშემდგომი რეალობის ჩანასახად დატოვებას; აქ კი ჩვენ ვადგებით უმნიშვნელოვანეს ფსიქოლოგიურ ცნებებს იმ ფაქტებისა, რომელნიც წარმოადგენენ იმის ასახვას, რაც თქვენ უკვე იცით წიგნიდან „თეოსოფია“: ანტიპათიისა და სიმპათიის ასახვას. ჩვენ ჩამოვინაცვლეთ ფიზიკურ სამყაროში — და ამით ჩვენ ვაგრძელებთ პირველ ლექციაში ნათქვამს —, ვინაიდან მეტი აღარ შეგვეძლო სულიერ სამყაროში დარჩენა. იმის შედეგად, რომ აქ ჩამოვინაცვლებთ, ჩვენ ვავითარებთ ანტიპათიას ყოველივე სულიერისადმი ისე, რომ დაბადებამდელ სულიერ რეალობას ავრეკლავთ ჩვენთვის არაცნობიერი ანტიპათიით. ჩვენ საკუთარ თავში ვატარებთ ანტიპათიის ძალას და მისი საშუალებით გარდავქმნით დაბადებამდელ ელემენტს წარმოდგენის ცარიელ ხატად. ხოლო იმას, რაც სიკვდილისშემდგომი ნებელობითი რეალობის სახით ასხივებს ჩვენს ყოფიერებაში, ჩვენ სიმპათიით ვუკავშირდებით. ამ ორს, სიმპათიასა და ანტიპათიას, ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ უშუალოდ, ისინი არაცნობიერად ცხოვრობენ ჩვენში და წარმოადგენენ ჩვენს გრძნობას, რომელიც განუწყვეტლივ წარმოიქმნება სიმპათიასა და ანტიპათიას შორის არსებული რიტმისა და ურთიერთმონაცვლეობიდან.



ჩვენ აღმოვიცენებთ გრძნობის სამყაროს, რომელიც წარმოადგენს სიმპათიასა და ანტიპათიას შორის განუწყვეტელ მიმოქცევას — სისტოლა, დიასტოლას. ეს მიმოქცევა მუდმივადაა ჩვენში. ანტიპათია, რომელიც ერთ მხარეს მიემართება, გამუდმებით გარდაქმნის ჩვენს მშვინვიერ ცხოვრებას წარმოდგენებში; სიმპათია კი, რომელიც მეორე მხარეს მიემართება, გარდაგვიქმნის მშვინვიერ ცხოვრებას იმად, რასაც ვიცნობთ როგორც ჩვენს ქმედით ნებას, გარდაგვიქმნის იმის ჩანასახის მატარებლად, რაც სიკვდილის შემდეგ სულიერი რეალობა არის. ამით თქვენ აღწევთ სულიერ-მშვინვიერი ცხოვრების რეალურ გაგებას: ჩვენ ვქმნით მშვინვიერი ცხოვრების ჩანასახს როგორც სიმპათია-ანტიპათიის რიტმს.

მაშ, რას არეკლავთ თქვენ ანტიპათიით? თქვენ არეკლავთ თქვენს მიერ განვლილ მთელ ცხოვრებას, მთელ სამყაროს, რომელშიც ცხოვრობდით დაბადებამდე, უფრო სწორად, ჩასახვამდე. არსებითად ამას შემეცნებითი ხასიათი აქვს. ამგვარად, თქვენს შემეცნებას უნდა უმადლოდეთ თქვენი დაბადებამდელი ცხოვრების შემონათებას, შემოსხივებას. და ეს შემეცნება, რომელიც ბევრად უფრო მაღალი ხარისხით არსებობს, როგორც რეალობა არსებობს დაბადებამდე ანუ ჩასახვამდე, სურათ-ხატამდე სუსტდება ანტიპათიის საშუალებით. ამდენად შეგვიძლია ვთქვათ: ეს შემეცნება ხვდება ანტიპათიას და ამით წარმოდგენის ხატამდე სუსტდება.

თუ ანტიპათია საკმარისად გაძლიერდება, მაშინ ადგილი ექნება სრულიად განსაკუთრებულ რამეს. ჩვენ ჩვეულებრივი, დაბადებისშემდგომი ცხოვრების დროსაც ვერ შევძლებდით წარმოდგენას, გარკვეული გაგებით რომ არ გვემოქმედა იმავე ძალით, რომელიც დაბადებამდელი ხანიდან შემოგვრჩა. როდესაც თქვენ წარმოდგენას როგორც ფიზიკური ადამიანები ახორციელებთ, ამას ახდენთ არა იმ ძალით, რომელიც თქვენშია, არამედ დაბადებამდელი პერიოდის ძალით, რომელიც ჯერაც მოქმედებს თქვენში. შესაძლოა ეგონოთ, რომ ეს ძალა შეწყდა ჩასახვისთანავე, მაგრამ იგი ჯერაც ქმედითია და ჩვენ ამ ძალის საშუალებით ვახორციელებთ წარმოდგენას, რომელიც კვლავაც ასხივებს ჩვენში. თქვენ განუწყვეტლივ ატარებთ თქვენში ცოცხალს დაბადებამდელიდან, ოღონდ თქვენ გაქვთ მისი არეკვლის ძალა. იგი თქვენს ანტიპათიას ხვდება. როცა თქვენ წარმოიდგენთ, მაშინ ყოველი ამგვარი წარმოდგენა ანტიპათიას ხვდება და თუ ანტიპათია საკმარისად გაძლიერდება, მაშინ აღმოცენდება მოგონების ხატი, მეხსიერება, ასე რომ მეხსიერება სხვა არაფერია, თუ არა შედეგი ანტიპათიისა, ჩვენში რომ მეფობს. აქ თქვენს წინაშეა კავშირი ჯერაც წმინდა გრძნობისმიერ ანტიპათიას, რომელიც დიფუზურად აირეკლება და მიზანმიმართულ არეკვლას, ხატოვანი აღქმის მეხსიერებაში არეკვლას, შორის. მეხსიერება არის მხოლოდ გაძლიერებული ანტიპათია. თქვენ არ გექნებოდათ მეხსიერება, თქვენი წარმოდგენებისადმი რომ გქონოდათ იმდენად დიდი სიმპათია, რომ „ჩაგეყლაპათ" ისინი; თქვენ მხოლოდ იმის წყალობით გაგაჩნიათ მეხსიერება, რომ ერთგვარი ზიზღი გაქვთ წარმოდგენების მიმართ, რომ თქვენ უკუაგდებთ მათ და ამით აწმყოში გადმოგაქვთ. ესაა მათი რეალობა.

როდესაც თქვენ განახორციელებთ მთელ ამ პროცედურას, როდესაც ხატოვნად წარმოიდგენთ, უკუაგდებთ მეხსიერებაში და შეაკავებთ ხატოვანს, მაშინ აღმოცენდება ცნება. ამ სახით თქვენ გაქვთ მშვინვიერი აქტივობის ერთი მხარე, ანტიპათია,

რომელიც დაკავშირებულია ჩვენს დაბადებამდელ ცხოვრებასთან.

ახლა ავიღოთ მეორე მხარე, ნებელობისა, ჩანასახოვანისა, სიკვდილისშემდგომისა ჩვენში. ნებელობა ცოცხლობს ჩვენში, რადგანაც მის მიმართ ჩვენ სიმპათია გვაქვს, რადგანაც ამ ჩანასახის მიმართ, რომელიც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ვითარდება, გვაქვს სიმპათია. როგორც წარმოდგენა ემყარება ანტიპათიას, ისე ემყარება ნებელობა სიმპათიას. თუ სიმპათია საკმარისად გაძლიერდება – როგორც ეს წარმოდგენის შემთხვევაში იყო, რომელიც მეხსიერებად იქცა ანტიპათიის საშუალებით –, მაშინ სიმპათიიდან აღმოცენდება ფანტაზია. ზუსტად ისევე, როგორც ანტიპათიიდან წარმოიშვება მეხსიერება, ასევე წარმოიქმნება სიმპათიიდან ფანტაზია. და თუ ფანტაზია საკმარისად გაგიძლიერდათ, რაც ჩვეულებრივი სიცოცხლისას მხოლოდ არაცნობიერად ხდება, თუ იგი იმდენად გაძლიერდა, რომ გარე გრძნობებამდე განმსჭვალა მთელი თქვენი არსება, მაშინ თქვენ მიიღებთ ჩვეულებრივ წარმოსახვებს, რომელთა მეოხებითაც გარეშე საგნებს წარმოიდგენთ. როგორც ცნება მომდინარეობს მეხსიერებიდან, ისე მომდინარეობს ფანტაზიიდან წარმოსახვა, რომელიც გრძნობად თვალთახედვებს იძლევა. ისინი ნებიდან მომდინარეობენ.

დიდ შეცდომას უშვებენ, როდესაც ფსიქოლოგიაში გამუდმებით შემდეგს ამბობენ: ჩვენ ვუპვრეტთ საგნებს, შემდეგ ვახდენთ აბსტრაჰირებას და ვღებულობთ წარმოდგენას. ეს ასე არ არის. ჩვენ რომ, მაგ., ცარცს შევიგრძნობთ თეთრად, ეს მომდინარეობს ნების გამოყენებიდან, რომელიც სიმპათიისა და ფანტაზიის გავლით იმაგინაციად იქცევა. ხოლო როდესაც ცნებას ვაგებთ, ამას სულ სხვა წარმომავლობა გააჩნია, რამეთუ ცნება მეხსიერებიდან მომდინარეობს.

ამით მე თქვენ მშვინვიერი აღგიწერეთ. თქვენ ვერ შეძლებთ ადამიანის არსების წვდომას, თუკი არ დაიჭერთ განსხვავებას ადამიანში სიმპათიისა და ანტიპათიის ელემენტებს შორის. სიმპათიისა და ანტიპათიის ეს ელემენტები გარე გამოხატულებას მშვინვიერ საუფლოში სიკვდილის შემდეგ პოვებს

— როგორც მე აღგიწერეთ ეს. იქ დაუფარავად ბატონობს სიმპათია და ანტიპათია.

მე აღგიწერეთ მშვინვიერი ადამიანი. ფიზიკურ პლანზე იგი სხეულებრივ ადამიანთან არის დაკავშირებული. ყოველივე მშვინვიერი სხეულებრივში მყლავნდება, ცხადდება ისე, რომ, ერთი მხრივ, სხეულებრივში ცხადდება ყოველივე ის, რაც თავს იჩენს ანტიპათიაში, მეხსიერებასა და ცნებაში. ეს დაკავშირებულია ნერვების სხეულებრივ ორგანიზაციასთან. იმით, რომ სხეულში ნერვული ორგანიზაცია არის შექმნილი, ადამიანის სხეულში მოქმედებს ყოველივე დაბადებამდელი. დაბადებამდელი მშვინვიერი ადამიანის სხეულში მოქმედებს ანტიპათიის, მეხსიერებისა და ცნების საშუალებით და ქმნის ნერვებს. ეს არის ნერვების სწორი ცნება. ყოველგვარი საუბარი ნერვების გამიჯვნაზე სენსორულ და მოტორულ ნერვებად, როგორც ხშირად განმიმარტავს თქვენთვის, მხოლოდ უაზრობაა.

გარდა ამისა, ადამიანიდან ასევე მოქმედებს ნებელობა, სიმპათია, ფანტაზია და იმაგინაცია. ეს დაკავშირებულია ჩანასახოვანთან, ეს ჩანასახოვნად უნდა დარჩეს, არასდროს უნდა მივიდეს ჟეშმარიტ დასრულებამდე, არამედ აღმოცენების მდგომარეობაშივე უნდა წარვიდეს. იგი ჩანასახად უნდა დარჩეს, ჩანასახი დიდად არ უნდა განვითარდეს; ამიტომაც იგი აღმოცენების მდგომარეობაშივე უნდა წარვიდეს. აქ ჩვენს წინაა მეტად მნიშვნელოვანი რამ ადამიანში. თქვენ უნდა ისწავლოთ მთლიანი ადამიანის გაგება: სულიერის, მშვინვიერისა და სხეულებრივის. მაშ, ადამიანში გამუდმებით წარმოიქმნება რაღაც, რასაც სულ მუდამ გააჩნია ტენდენცია, გახდეს სულიერი, მაგრამ ვინაიდან ადამიანს დიდი სიფარულით, თუმცაღა ეგოისტური სიფარულით, სურს მისი სხეულში შეკავება, იგი ვერასოდეს ხდება სულიერი; იგი ქრება თავის სხეულებრიობაში. ჩვენში არის რაღაც, რაც მატერიალურია, მაგრამ განუწყვეტლივ სურს გადავიდეს მატერიალური მდგომარეობიდან სულიერში. ჩვენ არ ვუშვებთ მას, იქცეს სულიერად; ამიტომ ჩვენ მას ვანადგურებთ იმ მო-

მენტში, როცა მას სურს სულიერად გახდომა. ესაა სისხლი — ნერვების საპირისპირო.



სისხლი ჰეშმარიტად „სრულიად განსაკუთრებული წვენია". რამეთუ იგი ის წვენია, რომელიც, რომ შეგვეძლოს მისი ამოღება ადამიანის სხეულიდან — რაც მიწიერ პირობებში შეუძლებელია — ისე, რომ სისხლად დარჩეს და არ განადგურდეს სხვა ფიზიკური აგენტების მიერ, როგორც სული ისე აფრინდებოდა. იმისათვის, რომ სისხლი სულად არ იქცეს და სანამ მიწაზე ვართ, სიკვდილამდე შეგვეძლოს მისი შენარჩუნება ჩვენში, ამისთვის იგი უნდა ნადგურდებოდეს. ამიტომაც ჩვენში განუწყეტლივ მიმდინარეობს: სისხლის წარმოქმნა — სისხლის განადგურება, სისხლის წარმოქმნა — სისხლის განადგურება და ა.შ. ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის საშუალებით.

ჩვენში არსებობს პოლარული პროცესი. ჩვენში არსებობს პროცესები, რომელნიც მიმდინარეობენ სისხლის, სისხლძარღვთა გასწვრივ და გამუდმებით გააჩნიათ ტენდენცია, სულიერში გადაიყვანონ ჩვენი არსებობა. მოტორულ ნერვებზე ისე საუბარი, როგორც სჩვევიათ, უაზრობაა, ვინაიდან მაშინ მოტორული ნერვები საკუთრივ სისხლძარღვები იქნებოდნენ. სისხლისაგან განსხვავებით ყველა ნერვი მიდრეკილია განუწყეტელი სიკვდილისაკენ, მატერიალურად ქცევისკენ. ის, რაც ნერვული ბოჭკოების გასწვრივაა, არის გამოყოფილი მატერია; ნერვი სინამდვილეში გამოცალკევებული მატერიაა. სისხლი გამუდმებით მიისწრაფვის, იქცეს სულიერად, ნერვი

კი – მატერიალურად; ამაში მდგომარეობს პოლარული დაპირისპირება.

შემდგომ ლექციებში ჩვენ განვაგრძობთ აქ მოცემული ძირეული პრინციპების განხილვას და ვნახავთ, რომ ეს დაგვეხმარება სწავლების ჰიგიენურად ჩამოყალიბებაშიც, რათა ბავშვის აღზრდა მივმართოთ მშვინვიერი და სხეულებრივი სიჯანსაღისკენ და არა სულიერი და მშვინვიერი დაკნინებისკენ. არასწორი აღზრდა იმიტომაც ხდება, რომ ვერ იმეცნებენ ასე ბევრ რამეს. როგორც უნდა სჯეროდეს ფიზიოლოგიას, რომ სენსორული და მოტორული ნერვების შესახებ საუბრისას რაიმე უჭირავს ხელში, ეს მაინც მარტოოდენ სიტყვებით თამაში არის. მოტორულ ნერვებზე საუბრობენ, ვინაიდან არსებობს ფაქტი, რომ ადამიანი ვერ დადის გარკვეული ნერვების დაზიანებისას, მაგ., იმ ნერვებისა, რომელნიც ფეხისკენ მიდიან. ამბობენ, მას არ შეუძლიაო ეს, რადგანაც პარალიზებული აქვს ნერვები, რომელნიც ფეხს ამოძრავებენ, როგორც მოტორული ნერვები. სინამდვილეში კი ამგვარ შემთხვევაში ადამიანი იმიტომ ვერ დადის, რომ საკუთარ ფეხს ვერ აღიქვამს. ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, გარდუვალად უნდა გახლართულიყო შეცდომებში, რათა შესაძლებლობა მოგვცემოდა, თავი დაგვეღწია ამ შეცდომებისგან და დამოუკიდებელ ადამიანებად ვქცეულიყავით.

ახლა ყურადღება მიაქციეთ იმას, რაც აქ ვთქვი – რომ ადამიანის არსების წვდომა შესაძლებელია მხოლოდ კოსმიურთან კავშირში. ვინაიდან როდესაც ჩვენ წარმოვიდგენთ, მაშინ ჩვენში კოსმიური არსებობს. ჩვენ ვიყავით კოსმიურში, სანამ დავიბადებოდით და ჩვენი იმჟამინდელი განცდები აირეკლება ახლა ჩვენში; და ჩვენ კვლავ ვიქნებით კოსმიურში, როდესაც გავივლით სიკვდილის კარიბჭეს და ჩვენი მომავალი ცხოვრება ჩანასახის სახით ვლინდება იმაში, რაც ჩვენს ნებაში განაგებს. რაც ჩვენში არაცნობიერად განაგებს, ის ძლიერ ცნობიერად განაგებს კოსმოსში უმაღლესი შემეცნებისთვის.

ეს სიმპათია და ანტიპათია სამსახოვნად განაცხადებს თავს

სხეულებრივში. გარკვეული გაგებით გვაქვს სამი კერა, სადაც სიმპათია-ანტიპათია ურთიერთქმედებს. ჯერ ერთი, ამგვარი კერა გვაქვს თავში, ნერვებისა და სისხლის ურთიერთქმედების სახით, რითაც აღმოცენდება მეხსიერება. ყველგან, სადაც წყდება ნერვული მოქმედება, სადაც არის ნახტომი, არსებობს ამგვარი კერა, სადაც ხდება სიმპათია-ანტიპათიის ურთიერთქმედება. შემდეგი ამგვარი ნახტომი არის ზურგის ტვინში, როცა, მაგ., ერთი ნერვი შედის ზურგის ტვინის უკანა რქაში, მეორე კი გამოდის წინა რქიდან. და ამგვარი ნახტომი აგრეთვე არსებობს განგლიურ კვანძებში, რომლებიც სიმპათიკურ ნერვებში მდებარეობენ. ჩვენ არც თუ ისე მარტივი არსებები ვართ, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს. ჩვენს ორგანიზმში სამ ადგილას, თავში, მკერდსა და მუცლის ქვედა ნაწილში, არის საზღვრები, სადაც ანტიპათია და სიმპათია ერთმანეთს ხვდება. აღქმისას და ნებელობისას არ ხდება ისე, რომ რაიმე გადადიოდეს სენსორული ნერვიდან მოტორულზე, არამედ პირდაპირი ნაკადი გადახტება ერთი ნერვიდან მეორეზე, ამის შედეგად კი მშვინვიერთან შეხება ხდება: თავისა და ზურგის ტვინში. ამ ადგილებზე, სადაც ნერვები წყდება, ჩვენ ჩვენი სიმპათია-ანტიპათიითურთ ჩართულნი ვართ სხეულებრივში; და ასევე ჩართულნი ვართ იქაც, სადაც სიმპათიკურ ნერვულ სისტემაში განგლიური კვანძები წარმოიქმნება.

ჩვენ ჩვენი განცდებით კოსმოსში ვართ ჩართულნი — ისევე როგორც ჩვენ ვახორციელებთ აქტივობებს, რომელნიც გაგრძელებას კოსმოსში პოვებენ, ასევე კოსმოსი ჩვენს მიმართ განუწყვეტლივ ახორციელებს ქმედებებს, როდესაც გამუდმებით ახდენს ანტიპათიისა და სიმპათიის აქტივობას. თუ დავაკვირდებით ჩვენს თავს როგორც ადამიანებს, ვნახავთ, რომ ჩვენ თავად ვართ კოსმოსის სიმპათია-ანტიპათიის შედეგნი. ჩვენ ვავითარებთ ანტიპათიას: კოსმოსიც ჩვენთან ერთად ავითარებს ანტიპათიას; ჩვენ ვავითარებთ სიმპათიას: კოსმოსიც ავითარებს სიმპათიას ჩვენთან ერთად.

ვავლენთ რა თავს გარეგნულად, ჩვენ მკაფიოდ ვართ დანაწევრებულნი თავის, მკერდის და საკუთრივ სხეულებრივ, კიდურების ჩათვლით, სისტემებად. ოღონდ გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, რომ ძალზე იოლია შემოდავება ამ სისტემებად დანაწევრებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ახდენენ რა დღესდღეობით სისტემატიზაციას, ადამიანებს სურთ ცალკეული წევრები ერთმანეთის გვერდით კოხტად დაწყობილნი იქონიონ. და როცა ვამბობთ, რომ ადამიანში განირჩევა თავის სისტემა, მკერდის სისტემა და ქვედატანის სისტემა კიდურებითურთ, ამ ხალხის აზრით, თითოეულ სისტემას მკვეთრი საზღვარი უნდა გააჩნდეს. დანაწევრებისას სურთ ხაზების გავლება, ეს კი შეუძლებელია, როცა რეალობაზე ვსაუბრობთ. თავში ჩვენ უპირატესად ვართ თავი, მაგრამ მთლიანი ადამიანიც თავი არის, ოღონდ დანარჩენი არაა უპირატესად თავი. ვინაიდან როგორც თავში გვაქვს საკუთრივ გრძნობადი ინსტრუმენტები, ისე მთელ სხეულში არის, მაგ., შეხებისა და სითბოს გრძნობა; ამიტომ შევიგრძნობთ რა სითბოს, ჩვენ მთლიანად თავი ვართ. მხოლოდ თავში ვართ ჩვენ უპირატესად თავი, სხვაგან კი „სხვათა შორის" ვართ თავი. ე.ი. ნაწილები ერთმანეთში შედის და არც ისე მოხერხებულადაა საქმე აქ, როგორც პედანტებს მოესურვებოდათ. ამგვარად, თავი სხვაგანაც გრძელდება; ოღონდ თავში იგი განსაკუთრებით სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული. ასევეა მკერდის შემთხვევაშიც. მკერდი საკუთრივ მკერდია, ოღონდ უპირატესი გაგებით, რადგანაც კვლავ მთლიანი ადამიანიც მკერდი არის. ასე რომ თავიც რამდენადმე მკერდს წარმოადგენს და ასევე ქვედატანი კიდურებთან ერთად. ასე გადადიან წევრები ერთმანეთში. იგივე ითქმის ქვედატანზეც. თავი რომ ქვედატანია, ეს რამოდენიმე ფიზიოლოგმა შეამჩნია, ვინაიდან ყველაზე დახვეწილი სტრუქტურა თავისა და ნერვული სისტემისა მდებარეობს არა იქ, რაც ჩვენი სიამაყეა, არა თავის ტვინში, არა თავის ტვინის ქერქში, არამედ თავის ტვინის ქერქის ქვეშ. დიახ, მხატვრული ნაგებობა, თავის ტვი-

ნის ქერქი, გარკვეულწილად უკვე ინვოლუციაა; ეს რთული ნაგებობა უკვე დაკნინებას განიცდის; თავის ტვინის გარსში უკვე უპირატესად კვების სისტემაა სახეზე. ასე რომ, თუ შეფარდებით ვიტყვით, არაფერ განსაკუთრებულს არ წარმოადგენს თავის ტვინის გარსი; იგი არის უფრო რთული თავის ტვინის დეგრადირება უფრო მკვებავ ტვინად. ჩვენ იმისთვის გაგვაჩნია თავის ტვინის გარსი, რომ ნერვები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან შემეცნებასთან, ჯეროვნად იყოს უზრუნველყოფილი საკვებით. ხოლო მიზეზი იმისა, რომ ჩვენი თავის ტვინი ცხოველისაზე გაცილებით უკეთესია, არის ის, რომ ჩვენ უკეთ ვკვებავთ ჩვენი ტვინის ნერვებს. ჩვენ მხოლოდ იმიტომ გვაქვს უმაღლესი შემეცნების განხორციელების უნარი, რომ უკეთ ვკვებავთ ჩვენი თავის ტვინის ნერვებს, ვიდრე ეს ცხოველებს შეუძლიათ. მაგრამ ნამდვილ შემეცნებასთან თავის ტვინსა და ნერვულ სისტემას არაფერი აქვს საერთო, არამედ მხოლოდ შემეცნების გამოხატულებასთან ფიზიკურ ორგანიზმში.

ახლა ვიკითხოთ: რატომ გვაქვს დაპირისპირება თავის სისტემასა და — დავტოვოთ ჯერ უყურადღებოდ შუა სისტემა — კიდურებისა და ქვედატანის სისტემას შორის? იმიტომ, რომ თავის სისტემა გარკვეულ პერიოდში „ამოსუნთქულ" იქნა კოსმოსის მიერ. ადამიანს თავის აგებულება გააჩნია კოსმოსის ანტიპათიის შედეგად. როდესაც კოსმოსს, ასე ვთქვათ, იმდენად „სძულს" ის, რასაც ადამიანი ატარებს, რომ განაგდებს ამას, მაშინ აღმოცენდება ეს ანარეკლი. ადამიანი თავში მართლაც ატარებს კოსმოსის ხატს. ადამიანის მრგვალი ფორმის თავი ამ ხატს წარმოადგენს. საკუთარი ანტიპათიის საშუალებით კოსმოსი თავისი თავის გარეთ საკუთარ ანარეკლს ქმნის. ესაა ჩვენი თავი. ჩვენ იმიტომ შეგვიძლია გამოვიყენოთ თავი ჩვენი თავისუფლების ორგანოდ, რომ კოსმოსმა იგი საკუთარი თავიდან გამოდევნა. ჩვენ სწორად არ განვიხილავთ თავს, თუკი ვფიქრობთ, რომ იგი იმავე გაგებითაა ინტენსიურად ჩართული კოსმოსში, როგორც ჩვენი კი-

დურების სისტემა, რომელსაც სქესობრივი სფეროც მიეკუთვნება. ჩვენი კიდურების სისტემა ჩართულია კოსმოსში, კოსმოსი მიიზიდავს მას, აქვს სიმპათია მისდამი ისევე, როგორც თავის მიმართ გააჩნია ანტიპათია. თავში ჩვენი ანტიპათია კოსმოსის ანტიპათიას ხვდება, აქ ისინი ეჯახებიან ერთმანეთს. აქ, ჩვენი და კოსმოსის ანტიპათიის შეჯახებისას, აღმოცენდება ჩვენი აღქმები. მთელი შინაგანი ცხოვრება კი, რომელიც ადამიანის მეორე მხარეს წარმოიშვება, მომდინარეობს კოსმოსის მიერ ჩვენი კიდურების სისტემის სიფარულით, სიმპათიით სავსე ჩაკონებიდან.

ასე მეღავნდება ადამიანის სხეულებრივ ორგანიზაციაში, თუ როგორაა ადამიანი მშვინვიერად აგებული კოსმოსიდან და რას იღებს იგი კოსმოსისაგან მისგან გამოყოფისას. ამგვარ განხილვაზე დაყრდნობით თქვენ ადვილად შეამჩნევთ, რომ არსებობს დიდი განსხვავება ნების ფორმირებასა და წარმოდგენის ფორმირებას შორის. თუ განსაკუთრებით ზემოქმედებთ წარმოდგენის ფორმირებაზე, თუ ცალმხრივად ზემოქმედებთ წარმოდგენის ფორმირებაზე, მაშინ მთელ ადამიანს დაბადებამდელისკენ მიმართავთ და თქვენ მას ვნებთ, როდესაც რაციონალისტურად აღზრდით, ვინაიდან ამ დროს მის ნებას რთავთ იმაში, რაც მან უკვე მოამთავრა: დაბადებამდელში. თქვენ არ უნდა შეურიოთ ზედმეტი აბსტრაქტული ცნებები იმაში, რასაც აწვდით ბავშვს აღზრდისას. თქვენ მეტი სურათ-ხატები უნდა ჩაურთოთ მასში. რატომ? ეს შეგიძლიათ ჩვენი განხილვებიდან ამოიკითხოთ. სურათ-ხატები იმაგინაციებია, ფანტაზიისა და სიმპათიის საშუალებით წარმოიქმნება. ცნებები, განჟენებული ცნებები კი აბსტრაქციები არის, მეხსიერებისა და ანტიპათიის საშუალებით წარმოიქმნება და დაბადებამდელი ცხოვრებიდან მოდის. ამიტომ როცა ბავშვთან ბევრ აბსტრაქციას იჟენთ, ამით ხელს უწყობთ იმას, რომ ბავშვში განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდეს ნახშირმჟავების წარმოქმნის პროცესი, სისხლში ნახშირმჟავების წარმოქმნის პროცესი, სხეულის გამყარების, სიკვდილის პროცესი. როცა

კი ბავშვს რაც შეიძლება მეტ იმაგინაციებს აწვდით, ისე ზრდით მას, რომ სურათ-ხატებით ესაუბრებით, მაშინ თქვენ ბავშვში სდებთ თესლს ჟანგბადის განუწყვეტელი შენარჩუნებისათვის, განუწყვეტელი ქმნადობისათვის, ვინაიდან მიმართავთ მას მომავლისაკენ, სიკვდილისშემდგომისაკენ. აღზრდისას ჩვენ გარკვეულწილად კვლავ საქმეს ვიჭერთ იმ აქტივობებთან, რომელნიც ადამიანის მიმართ ხორციელდებოდნენ დაბადებამდე. დღესდღეობით უნდა ვაღიაროთ: წარმოდგენა არის სურათ-ხატოვანი აქტივობა, რომელიც მომდინარეობს იქიდან, რაც დაბადებამდე ანუ ჩასახვამდე განვიცადეთ. იქ სულიერი მეუფებანი ისე გვეპყრობოდნენ, რომ ჩვენში საფუძველი ჩაეყარა სურათ-ხატოვან აქტივობას, რომელიც ჩვენში კიდევ მოქმედებს დაბადების შემდეგ. გადავცემთ რა ბავშვებს სურათ-ხატებს, ამით ვიწყებთ აღზრდაში ამ კოსმიური აქტივობის შემოტანას. ჩვენ მათ ვუნერგავთ სურათ-ხატებს, რომელთაც შეუძლიათ თესლად ქცევა, ვინაიდან ჩვენ ისინი სხეულებრივ აქტივობაში შეგვაქვს. ამიტომ როდესაც, როგორც პედაგოგები, ვიძენთ სურათ-ხატებით ზემოქმედების უნარს, უნდა განუწყვეტლივ გაგვაჩნდეს გრძნობა: როდესაც შენ სურათ-ხატებით მოქმედებ, მაშინ შენ მთლიან ადამიანზე ზემოქმედებ და მაშინ მთლიანი ადამიანი მოდის რეზონანსში.

საკუთარ გრძნობად ქცევა იმისა, რომ აღზრდისას ვახდენთ დაბადებამდელი ზეგრძნობადი მოღვაწეობის ერთგვარ გაგრძელებას, აძლევს აღზრდას საჭირო სიწმინდეს, ურომლისოდაც საერთოდ შეუძლებელია აღზრდა.

ამგვარად, ჩვენ ავითვისეთ ცნებათა ორი სისტემა: შემეცნება, ანტიპათია, მეხსიერება, ცნება – ნებელობა, სიმპათია, ფანტაზია, წარმოსახვა; ორი სისტემა, რომელიც შემდეგში შეგვიძლია კონკრეტულად გამოვიყენოთ ჯელაფერში, რაც პრაქტიკულად უნდა განვახორციელოთ ჩვენი პედაგოგიური მოღვაწეობისას. ამაზე ხვალ გავაგრძელოთ საუბარი.

მესამე ლექცია

შტუტგარტი, 23 აგვისტო, 1919 წელი

ყველაფერი იმის საფუძვლად, რასაც ასწავლის, თანამედროვე მასწავლებელს უნდა გააჩნდეს ყოვლისმომცველი თვალთახედვა სამყაროს კანონებისა. თავისთავად ცხადია, რომ სწორედ პირველ კლასებში, სკოლის დაწყებით საფეხურებზე, მოითხოვს სწავლება მასწავლებლის სამშვინველის კავშირს კაცობრიობის უმაღლეს იდეებთან. დღევანდლამდე სკოლის ორგანიზების ავთვისებიანი სიმსივნე არის ის, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებელს ამყოფებენ გარკვეულ, ასე ვთქვათ, დაქვემდებარებულობაში, კერძოდ, ამყოფებენ ისეთ სფეროში, რომლის წყალობითაც მისი ეგზისტენცია მაღალი კლასების მასწავლებლის ეგზისტენციაზე ნაკლებ მნიშვნელოვნად ჩანს. ბუნებრივია, აქ არ შევუდგები სოციალური ორგანიზმის ამ სულიერი წევრის საკითხის შესახებ საუბარს. მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ყველაფერი, რაც მასწავლებლობას განეკუთვნება, მომავალში ურთიერთთანასწორი უნდა იყოს და რომ საზოგადოებაში უნდა განვითარდეს მძაფრი გრძნობა იმისა, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებელი მაღალი კლასების მასწავლებლის ტოლფასია, თავისი სულიერი კონსტიტუციის მიხედვითაც. ამდენად აღარ უნდა გაგიკვირდეთ, როდესაც მივუთითებთ, რომ ყველა სახის სწავლების უკან — დაწყებითი კლასების ჩათვლით — უნდა იდგეს ის, რასაც, რასაკვირველია, უშუალოდ ბავშვების მიმართ ვერ გამოვიყენებთ, მაგრამ რაც აუცილებლად უნდა იცოდეს მასწავლებელმა, თორემ სწავლება ვერ იქნება ნაყოფიერი.

სწავლებისას ბავშვს, ერთი მხრივ, ვაწვდით ბუნების სამყაროს, მეორე მხრივ, კი სულიერს. როგორც ადამიანები ჩვენ, ერთი მხრივ, ვენათესავებით ბუნების საუფლოს, მეორე მხრივ, კი სულიერ სამყაროს, რამდენადაც ჩვენ ვიმყოფებით მიწაზე, ფიზიკურ პლანზე და არსებობას გავდივართ დაბა-

დებასა და სიკვდილს შორის.

ჩვენს დროში უაღრესად სუსტია ფსიქოლოგიური შემეცნება. კერძოდ, ფსიქოლოგიური შემეცნება განიცდის 869 წლის იმ დოგმატური საეკლესიო განაცხადის ზემოქმედებას, რომელმაც დაჩრდილა ძველი, ინსტინქტურ შემეცნებაზე დაფუძნებული, ცოდნა: ცოდნა, რომ ადამიანი შედგება სხეულის, სამშვინველისა და სულისაგან. თითქმის ყველგან, სადაც დღესდღეობით ფსიქოლოგიაზე საუბრობენ, საუბრობენ ადამიანის არსების მარტოოდენ ორწევროვნებაზე. ამბობენ, რომ ადამიანი შედგება სხეულისა და სამშვინველისგან ანდა სხეულისა და სულისგან, როგორც უნდა უწოდონ მათ; ხოლო ტანსა და სხეულს და ასევე სულსა და სამშვინველს თითქმის თანაბარმნიშვნელოვნად განიხილავენ. თითქმის ყველა სახის ფსიქოლოგია ამ შეცდომაზეა აგებული — რომ ადამიანის არსება ორწევროვანია. მაგრამ ადამიანის არსების ჭეშმარიტად წვდომას ვერაფრით შევძლებთ, თუკი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენთვის მხოლოდ ამ ორწევროვნებას ექნება. ამიტომაცაა თითქმის ყველაფერი, რაც დღესდღეობით ფსიქოლოგიის სახით მოგვევლინა, მთლიანად დილეტანტური, ზოგჯერ კი მხოლოდ სიტყვებით თამაში.

ზოგადად ეს ეფუძნება იმ დიდ შეცდომას, რომელიც ასე მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაიზარდა, ვინაიდან არასწორად იქნა გაგებული ფიზიკალური მეცნიერების დიდი მიღწევა. თქვენ ხომ იცით, რომ ყოჩაღმა ჰაილბრონელებმა თავიანთი ქალაქის შუაგულში ძეგლი დაუდგეს კაცს, რომელიც საგიჟეთში გამოამწყვდიეს მისი სიცოცხლის განმავლობაში: *იულიუს რობერტ მაიერს.* ისიც იცით, რომ ეს პიროვნება, რომლითაც, ცხადია, ჰაილბრონელები დღესდღეობით ძლიერ ამაყობენ, დაკავშირებულია ე.წ. ენერგიის ანუ ძალის შენახვის კანონთან. ამ კანონის თანახმად, სამყაროში არსებული ენერგიების ანუ ძალთა ჯამი მუდმივია, ეს ძალები მხოლოდ გარდაიქმნებიან ისე, რომ რომელიმე ძალა გვევლინება ერთხელ როგორც სითბო, მეორეჯერ — როგორც მე-

ქანიკური ძალა და ა.შ. მაგრამ ამ ფორმას მხოლოდ მაშინ აძლევენ იულიუს რობერტ მაიერის კანონს, როცა ძირეულად არასწორად ესმით იგი! ვინაიდან მას საქმე ჰქონდა ძალების მეტამორფოზის აღმოჩენასთან და არა ისეთი აბსტრაქტული კანონის დადგენასთან, როგორიცაა ენერგიის შენახვის კანონი.

რას წარმოადგენს ენერგიის ანუ ძალის შენახვის ეს კანონი, თუ მას უფრო ფართო მასშტაბურად, კულტურის ისტორიის კუთხით განვიხილავთ? იგი დიდი დაბრკოლებაა ადამიანის გაგებისათვის, სახელდობრ, სანამ თვლიან, რომ ძალები ვერასოდეს წარმოიქმნებიან ნამდვილად ახლიდან, მანამდე ვერ მიაღწევენ ადამიანის ჭეშმარიტი არსის შემეცნებას. ვინაიდან ეს ჭეშმარიტი არსი ადამიანისა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ მისი საშუალებით განუწყვეტლივ ახალი ძალები წარმოიქმნება. იმ ურთიერთმიმართებებში, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ ამქვეყნად, ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელშიც წარმოიქმნება ახალი ძალები და — ამაზე მოგვიანებით კიდევ ვისაუბრებთ — ახალი ნივთიერებებიც კი. მაგრამ რადგანაც დღევანდელ მსოფლმხედველობას სრულებით არ სურს ისეთი ელემენტის მიღება, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი იქნება ადამიანის სრულად შემეცნება, იგი ძალის შენახვის ამ კანონის ანაბარა რჩება, რომელიც გარკვეული გაგებით არას აშავებს, როდესაც მხედველობაში გვაქვს ბუნების მხოლოდ სხვა საუფლოები — მინერალური, მცენარეული და ცხოველური —, მაგრამ ჭეშმარიტ შემეცნებას სრულიად გამორიცხავს, როდესაც გვსურს ადამიანთან მიახლოება.

როგორც მასწავლებლები, თქვენ დადგებით აუცილებლობის წინაშე, ერთი მხრივ, ბუნება გასაგები გახადოთ თქვენი მოსწავლეებისათვის, მეორე მხრივ, კი წარუძღვეთ მათ სულიერი ცხოვრების გარკვეული წვდომისკენ. ბუნების გაცნობისა (თუნდაც გარკვეული ხარისხით) და სულიერ ცხოვრებასთან მიმართების დამყარების გარეშე ადამიანი დღესდღეობით ვერც სოციალურ ცხოვრებაში ჩაბმას შეძლებს. ამი-

ტომ პირველ რიგში, მოდით, გარე ბუნებისკენ მიემართოთ მზერა.

გარე ბუნება ისეთ დამოკიდებულებაშია ჩვენდამი, რომ, ერთი მხრივ, მას უპირისპირდება ჩვენი წარმოდგენების, აზრების ცხოვრება, რომელიც, როგორც იცით, სურათ-ხატოვანი ბუნებისაა, დაბადებამდელი ცხოვრების ერთგვარი არეკვლაა, ხოლო, მეორე მხრივ, გარე ბუნებისკენ მიემართება ყოველივე ის, რაც ნებელობითი ბუნებისაა, რაც როგორც ჩანასახი, ისე მიგვანიშნებს ჩვენს გარდაცვალებისშემდგომ ცხოვრებაზე. ამ სახით ჩვენ მუდამ ბუნებისკენ ვართ მიმართულნი. ერთი შეხედვით, ბუნებისადმი მიმართება ორად ნაწევრდება; ამანაც გამოიწვია ადამიანის ორწევროვნების შესახებ მცდარი მოსაზრება. ამ საკითხს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით.

როცა ბუნების წინაშე ისე ვდგავართ, რომ მისკენ მიქცეული გვაქვს ჩვენი აზროვნების, წარმოდგენის მხარე, მაშინ ბუნებაში მხოლოდ იმას ვწვდებით, რაც განუწყვეტელ კვდომას წარმოადგენს მასში. ეს არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანი კანონია. დაე, იყოს თქვენთვის სრულიად ცხადი: როცა იმეცნებთ ბუნების ასე მშვენიერ კანონებს, რომელნიც აღმოჩენილნი არიან განსჯის, წარმოდგენითი ძალების დახმარებით, ბუნების ეს კანონები ყოველთვის ეხება იმას, რაც კვდება ბუნებაში.

ბუნების ამ კანონებისგან განსხვავებით, რომელნიც მკვდარს ეხებიან, სრულიად განსხვავებულ რამეს განიცდის ცოცხალი ნება, ჩანასახის სახით რომ არსებობს, როცა კი ბუნებისკენაა მიმართული. აქ თქვენ წააწყდებით საგრძნობ სირთულეს გააზრებაში, ვინაიდან ჯერაც აღვსილნი ხართ სხვადასხვა წარმოდგენებით, რომელნიც აღმოცენდებიან თანადროულობიდან და მისი მეცნიერების შეცდომებიდან. — ის, რაც გარე გრძნობების, თორმეტი გრძნობის, საშუალებით გვაკავშირებს გარე სამყაროსთან, არა შემეცნებითი, არამედ ნებელობითი ბუნების არის. თანამედროვე ადამიანს სრულიად გაუქრა ამისი ნამდვილი გაგება, ამიტომაც მიაჩნია მას ბავშვურ

რამედ, როცა პლატონთან კითხულობს, რომ მხედველობა ეყრდნობა იმას, რომ თვალებიდან საგნებისკენ ერთგვარი საცეცები გაიწვდინება. რასაკვირველია, შეუძლებელია ამ საცეცების გრძნობადი საშუალებებით შემეცნება, მაგრამ პლატონს გაცნობიერებული ჰქონდა ეს, რაც ადასტურებს იმას, რომ იგი ზეგრძნობად სამყაროში იყო შესული. და მართლაც, საგნების ყურებისას ფაქიზად თამაშდება პროცესი, მსგავსი იმისა, რომელიც საგნებისათვის ხელის მოკიდებისას მიმდინარეობს. როდესაც, მაგ., ხელს ჰკიდებთ ცარცის ნაჭერს, ეს ფიზიკური პროცესი სავსებით ჰგავს იმ სულიერ პროცესს, რომელიც თამაშდება მაშინ, როცა თქვენი თვალებიდან აგზავნით ეთერულ ძალებს, რათა მხედველობით სწვდეთ საგანს. ადამიანებს რომ შეეძლოთ აწმყოში დაკვირვება, ისინი ბუნების დაკვირვებიდან მიიღებდნენ ამ ფაქტს. მაგ., თუ შეხედავთ ცხენის განზე ჩასმულ თვალებს, გაგიჩნდებათ გრძნობა, რომ სწორედ თვალების განლაგების გამო ცხენი სხვა მიმართებაშია გარემოსთან, ვიდრე ადამიანი. ამის საფუძველს ყველაზე უკეთ იმით გაგაგებინებთ, რომ ჰიპოთეტურად წარმოგიდგენთ შემდეგს. წარმოიდგინეთ, ორივე ხელი ისე გქონდეთ ჩამოყალიბებული, რომ შეუძლებელი იყოს თქვენთვის მათი შეერთება წინისკენ, ისე რომ ერთი ხელი ვერ მოჰხვიოთ მეორეს. ევრითმიულად სულ „ა"-ს მდგომარეობაში რომ გიწევდეთ დარჩენა, არ შეგეძლოთ „ო"-ს გაკეთება. წინაღობის ძალის გამო თქვენთვის შეუძლებელი იყოს ხელების შეერთება ფრონტალური მიმართულებით. ცხენი სწორედ ამ მდგომარეობაშია თავისი თვალების ზეგრძნობად საცეცებთან მიმართებით: მას არ ძალუძს მარცხენა თვალის საცეცი შეახოს მარჯვენა თვალისას, ადამიანს კი თავისი თვალების განლაგების წყალობით აქვს უნარი, საკუთარი თვალების ეს ორი ზეგრძნობადი საცეცი შეახოს ურთიერთს. ამას ეფუძნება მეს შეგრძნება — რომელიც ზეგრძნობადი ბუნებისაა. ჩვენ ვერ მივაღწევდით ჩვენი მეობის განსულიერებულ შეგრძნებას, რომ არ შეგვძლებოდა ერთმანეთისთვის შეგვეხო მარჯვენა და

მარცხენა, ანდა ეს ურთიერთშეხება იმდენად უმნიშვნელო რომ ყოფილიყო, როგორც ცხოველებთანაა, რომელნიც არასოდეს იყენებენ წინა თათებს, ვთქვათ, ლოცვის თუ სხვა მსგავსი სულიერი პროცესისათვის.

ის, რაც თვალსა და ყურში მნიშვნელოვანია შეგრძნებებისთვის, არც იმდენად პასიურია; იგი აქტიურია — არის ის, რაც ნებით გაგვაქვს საგნების შესახვედრად. ახალ ფილოსოფიას რამდენჯერმე ჰქონია რაღაც ნამდვილის წინათგრძნობა და ყოველნაირი სიტყვები გამოუგონია, რომლებიც როგორც წესი ამტკიცებენ, თუ რაოდენ შორს არის ხალხი საკითხის წვდომისაგან. ასე მაგ., ლოტცეს ფილოსოფიაში ვხვდებით ნებელობით-გრძნობადი ცხოვრების აქტიურობის შეცნობის ამგვარ წინათგრძნობებს. მაგრამ ჩვენი გარე გრძნობების ორგანიზმი, რომელიც შეხების, გემოსა და ყნოსვის გრძნობების შემთხვევაში სრულიად ცხადად ამყღავნებს თავის კავშირს ნივთიერებათა ცვლასთან, უმაღლესი გარე გრძნობების ჩათვლით არის დაკავშირებული ნივთიერებათა ცვლასთან და სწორედ იგია ნებელობითი ბუნების.

ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: თავისი განსჯისმიერით ადამიანი დგას ბუნების პირისპირ და ამ დროს ყოველივე იმას სწვდება, რაც მკვდარია ბუნებაში; და ამ მკვდარიდან იგი კანონებს ითვისებს. მაგრამ რაც ბუნებაში ამაღლდება მკვდარის წიაღიდან, რათა სამყაროს მომავლად იქცეს, ამას ადამიანი სწვდება ნების საშუალებით, რომელიც ასე ბუნდოვნად ეკლინება და გარე გრძნობებამდე ვრცელდება.

დაფიქრდით, როგორ გაცოცხლდება თქვენი მიმართება ბუნებისადმი, თუ ჯეროვნად გაითვალისწინებთ ზემოთქმულს. მაშინ თქვენ იტყვით: როცა ბუნებაში გავდივარ, ჩემს შესახვედრად გამობრწყინდება სინათლე და ფერები; აღვიქვამ რა სინათლესა და მის ფერებს, მე ვერწყმი იმას, რასაც ბუნება გზავნის მომავალში, ხოლო როდესაც ვუბრუნდები ჩემს ოთახს, ვფიქრობ ბუნებაზე და ვთხზავ მასზე კანონებს, მაშინ დაკავებული ვარ იმით, რაც განუწყვეტლივ კვდება ბუნებაში.

ბუნებაში ურთიერთდაკავშირებულია განუწყვეტელი კვდომა და ქმნადობა. ჩვენს მიერ სიკვდილის წვდომა მომდინარეობს იქიდან, რომ გაგვაჩნია ჩვენი დაბადებამდელი ცხოვრების ანარეკლი, განსჯის, აზროვნების სამყარო, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია მხედველობაში მივიღოთ ბუნების საფუძვლად მდებარე მკვდარი. ის კი, რომ შეგვიძლია გათვალისწინება იმისა, რაც მომავალში იარსებებს ბუნებისაგან, მომდინარეობს იქიდან, რომ ჩვენ ბუნებას ვახვედრებთ არა მარტო ჩვენს განსჯას, ჩვენი აზროვნების ცხოვრებას, არამედ იმასაც, რაც ჩვენში ნებელობითი ბუნების არის.

ადამიანს რომ არ შეძლებოდა თავისი დაბადებამდელი ცხოვრებიდან მიწიერი ცხოვრების მანძილზე გადაერჩინა ის, რაც გამუდმებით რჩება მასში, რომ არ შეძლებოდა ეხსნა რაღაც იქიდან, რაც მისი დაბადებამდელი ცხოვრების განმავლობაში ბოლოს მარტოოდენ აზრთა ცხოვრებად იქცა, მაშინ იგი ვერასოდეს მივიდოდა თავისუფლებამდე, რამეთუ ადამიანი დაკავშირებული იქნებოდა მკვდართან და იმ მომენტში, როცა მოინდომებდა თავისუფლებისაკენ მოეხმო ის, რაც მკვდარი ბუნების მონათესავეა მასში, იგი მოკვდავს მოუხმობდა თავისუფლებისკენ. ხოლო როდესაც მოისურვებდა გამოეჯნებინა ის, რაც, როგორც ნებელობითი არსება აკავშირებს მას ბუნებასთან, იგი გაბრუდებოდა; ვინაიდან მასში, რაც ადამიანს აკავშირებს ბუნებასთან როგორც ნებელობითი არსება, ყოველივე ჯერ კიდევ ჩანასახოვანია. იგი ბუნებრივი და არა თავისუფალი არსება იქნებოდა.

ამ ორ ელემენტზე მაღლა — განსჯის საშუალებით მკვდარის წვდომასა და ნების საშუალებით ცოცხალის, ქმნადის წვდომაზე მაღლა — ადამიანში დგას ერთი რამ, რასაც მხოლოდ ის (და არც ერთი სხვა მიწიერი არსება) დაატარებს დაბადებიდან სიკვდილამდე საკუთარ თავში: ესაა წმინდა აზროვნება, ის აზროვნება, რომელიც ეხება არა გარე ბუნებას, არამედ მარტოოდენ იმ ზეგრძნობადს, რომელიც თავად ადამიანშია, რომელიც ავტონომიურ არსებად ხდის ადამიანს,

ხდის იმად, რაც მკვდარსა და ცოცხალზე მაღლა იმყოფება. ამიტომ თუ გვსურს ადამიანის თავისუფლებაზე საუბარი, ადამიანში ამ ავტონომიურს უნდა მივაპყროთ თვალი, წმინდა, გრძნობადისაგან თავისუფალ აზროვნებას, რომელშიც მუდამ ნებაც ცხოვრობს.

თუ ამ თვალთახედვიდან გამომდინარე განიხილავთ ბუნებას, მაშინ იტყვით: მე ვუმზერ ბუნებას, ჩემში არსებობს სიკვდილის ნაკადი და აგრეთვე ახლიდან შექმნის ნაკადი: სიკვდილი — ხელახალი დაბადება. უახლეს მეცნიერებას ძლიერ ცოტა ესმის ამ ურთიერთკავშირისა; ვინაიდან მისთვის ბუნება გარკვეულწილად მთლიანობა არის და იგი გამუდმებით ერთმანეთში ურევს მოკვდავსა და ქმნადს ისე, რომ ყველაფერი, რასაც დღესდღეობით ამბობენ ბუნებასა და მის არსზე, მეტად არეულ-დარეული რამაა, რადგანაც განუწყვეტლივ ურევენ ერთმანეთში სიკვდილსა და ქმნადობას. თუ გვსურს ზუსტად გავარჩიოთ ერთმანეთისგან ბუნების ეს ორი ნაკადი, მაშინ უნდა ვიკითხოთ: რა მოუვიდოდა ბუნებას, მასში რომ არ ყოფილიყო ადამიანი?

ამ კითხვასთან დაკავშირებით უახლესი მეცნიერება თავისი ფილოსოფიითურთ დიდ სირთულეს აწყდება. აბა, წარმოიდგინეთ, ბუნების ნამდვილად თანამედროვე მკვლევარისთვის რომ დაგესვათ კითხვა: რა მოუვიდოდა ბუნებასა და მის არსს, ადამიანი რომ არ ყოფილიყო მასში? პირველად, ბუნებრივია, იგი ცოტათი შოკირებული იქნებოდა, ვინაიდან კითხვა უცნაური მოეჩვენებოდა. მაგრამ შემდეგ დაფიქრდებოდა, თუ რა საბუთებს იძლევა მისი მეცნიერება ამ კითხვისათვის პასუხის გასაცემად და იტყოდა: მაშინ დედამიწაზე იქნებოდნენ მინერალები, მცენარეები, ცხოველები, მხოლოდ ადამიანი არ იქნებოდა; დასაბამიდანვე, როდესაც დედამიწა ჯერაც კანტლაპლასისეულ ნისლოვან მდგომარეობაში იყო, მიწის განვითარება ისე წარიმართებოდა, რომ ყველაფერი ისევე განხორციელდებოდა, როგორც ეს მოხდა; მხოლოდ ადამიანი არ იარსებებდა ამ პროცესში. — სხვაგვარი პასუხი არსებითად

შეუძლებელია. შესაძლოა, მას კიდევ დაემატებინა: როგორც მიწათმოქმედი, ადამიანი ამუშავებს ნიადაგს და ცვლის მიწის ზედაპირს, ანდა აგებს მანქანებს და ამით შეაქვს ცვლილებანი; მაგრამ ეს არაა იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც ის სახეცვლილებანი, რომელთაც თავად ბუნება ახდენს. ამგვარად, ბუნების მკვლევარი იტყოდა: მინერალები, მცენარეები და ცხოველები ადამიანის არსებობის გარეშე განვითარდებოდნენ.

ეს არაა სწორი. ადამიანი რომ არ არსებობდეს დედამიწის ევოლუციაში, მაშინ ცხოველთა უმეტესობაც არ იარსებებდა; ვინაიდან მათი დიდი ნაწილი, კერძოდ, უმაღლესი ცხოველები, მხოლოდ იმის წყალობით წარმოიშვა მიწის ევოლუციისას, რომ ადამიანი იძულებული იყო – ახლა, ბუნებრივია, ხატოვნად ვამბობ – გამოეჯნებინა თავისი მკლავები. დედამიწის განვითარების გარკვეულ საფეხურზე თავისი საკუთარი არსებიდან, რომელიც სრულიად სხვაგვარი იყო, ვიდრე ამჟამადაა, ადამიანს უნდა გამოეყო უმაღლესი ცხოველები, ჩამოეცილებინა ისინი, რათა შეძლებოდა წინსვლა. ეს ჩამოცილება მინდა შევადარო შემდეგს: წარმოიდგინეთ ნარევი, რომელშიც რაიმეა გახსნილი; შემდეგ წარმოიდგინეთ, რომ ეს გახსნილი ნივთიერება გამოცალკევდა და ფსკერზე დაილექა, ასე იყო ადამიანი ცხოველთა სამყაროსთან ერთად განვითარების ადრეულ სტადიაზე, შემდგომში კი გამოყო ცხოველთა საუფლო, როგორც ნალექი. დედამიწის განვითარებისას ცხოველები ვერ იქცეოდნენ დღევანდელ ცხოველებად, ადამიანი რომ არ უნდა გამხდარიყო იმგვარი, როგორიც ამჟამადაა. ამგვარად, დედამიწის განვითარებაში ადამიანის არსებობის გარეშე ცხოველები და დედამიწა სულ სხვაგვარი შესახედაობისანი იქნებოდნენ, ვიდრე დღესდღეობით არიან.

მაგრამ გადავიდეთ ახლა მინერალურ და მცენარეულ საუფლოებზე. აქაც ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ არა მარტო უმდაბლესი ცხოველები, არამედ მცენარეული და მინერალური საუფლოებიც დიდი ხანია გაქვავდებოდა, აღარ იქნებოდა ქმნადობაში, დედამიწაზე ადამიანი რომ არ ყოფილი-

ჯო. დღევანდელი, ცალმხრივ ბუნებისმეტყველებაზე დამყარებული, მსოფლმხედველობა უცილობლად იტყვის: ადამიანები კვდებიან, მათ სხეულებს წვავენ ან ასაფლავებენ და ამით მიწას მიაბარებენ; მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მიწის განვითარებისათვის; ვინაიდან მიწის განვითარებას რომც არ მიეღო ადამიანების სხეულები, იგი მაინც ზუსტად ისევე განხორციელდებოდა, როგორც ამჟამად, როდესაც ის ადამიანთა სხეულებს იღებს. — ეს კი ნიშნავს, რომ სრულებით ვერ აცნობიერებენ იმას, რომ ადამიანების ცხედრების განუწყვეტელი გადასვლა მიწაში, სულერთია დასაფლავებით ხდება ეს, თუ დაწვით, რეალური პროცესია, რომელიც განაგრძობს მოქმედებას.

სოფლელმა გლეხის ქალებმა ქალაქელ მანდილოსნებზე უკეთ იციან, რომ საფუარს გარკვეული მნიშვნელობა აქვს პურის ცხობისათვის, თუმცაღა მხოლოდ ცოტა ოდენობით ემატება ცომს; მათ იციან, რომ პური არ ამოვა, თუ ცომს საფუარს არ დაუმატებთ. ზუსტად ასევე დედამიწის განვითარება დიდი ხანია დასასრულს მიაღწევდა, მას რომ გამუდმებით არ მისდიოდეს ადამიანების გვამების ძალები, რომლებიც სიკვდილისას გამოეყოფიან სულიერ-მშვინვიერს. დედამიწის ევოლუცია ნარჩუნდება იმ ძალებით, რომელთაც იგი განუწყვეტლივ იღებს ადამიანების გვამებთან ერთად, ანუ იმ ძალებით, რომელნიც გვამებში არიან. ამის მეოხებით შეუძლიათ მინერალებს დღესდღეობითაც აამოქმედონ კრისტალიზაციის ძალები, რასაც დიდი ხანია ვეღარ შეძლებდნენ ამ ძალების გარეშე; ისინი დიდი ხანია, რაც გაცამტვერდებოდნენ, განზავდებოდნენ. ამის მეოხებით შეუძლიათ მცენარეებს დღესაც იზრდებოდნენ, თორემ დიდი ხანია, რაც ვეღარ გაიზრდებოდნენ. ეს ეხება უმდაბლეს ცხოველებსაც. თავისი სხეულით ადამიანი დედამიწას აძლევს საფუარის მსგავს ფერმენტს შემდგომი განვითარებისათვის.

ამიტომაც არაა უმნიშვნელო, ცხოვრობს თუ არა ადამიანი მიწაზე. სულაც არაა მართალი, თითქოს მინერალურ,

მცენარეულ და ცხოველურ საუფლოებთან დაკავშირებით მიწის განვითარება მაშინაც წინ წაიწევდა, ადამიანი რომ არ ყოფილიყო აქ! ბუნების პროცესები, რომელთაც ადამიანი ეკუთვნის, ერთიანი და გამთლიანებულია. ჩვენ მხოლოდ მაშინ წარმოვიდგენთ სწორად ადამიანს, თუკი სიკვდილის ჩათვლით მოვიაზრებთ მას როგორც კოსმიური პროცესის შიგნით მდგომს.

თუ გაიაზრებთ ამას, მაშინ აღარ გაოცდებით, თუ შემდეგსაც ვიტყვი: სულიერი სამყაროდან ფიზიკურში ჩამოსვლისას ადამიანი იძენს თავისი ფიზიკური სხეულის სამოსს. მაგრამ, ბუნებრივია, ბავშვის ფიზიკური სხეული განსხვავდება იმ სხეულისგან, რომელსაც რომელიმე ასაკში ვიშორებთ სიკვდილის შედეგად. ფიზიკურ სხეულს რაღაც მოსდის ამ დროს. ეს კი მხოლოდ იმის წყალობით შეიძლება მოხდეს, რომ სხეული გამსჭვალულია ადამიანის სულიერ-მშვინვიერი ძალებით. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ იმასვე ვქმამთ, რასაც ცხოველები; ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ისევე გარდავქმნით გარე ნივთიერებებს, როგორც ცხოველები. მაგრამ ჩვენ გარდავქმნით მათ იმის მონაწილეობით, რაც ცხოველებს არ გააჩნიათ, რაც სულიერი სამყაროდან ეშვება, რათა შეუერთდეს ადამიანის ფიზიკურ სხეულს. ამით ჩვენ ნივთიერებებს სხვა რამეს ვუკეთებთ, ვიდრე ცხოველები თუ მცენარეები. ხოლო ნივთიერებები, რომლებიც მიწას გადაეცემიან ადამიანების გვამებთან ერთად, გარდაქმნილი ნივთიერებებია, ისინი სხვა რამაა, ვიდრე ის ნივთიერებები, ადამიანმა დაბადებისას რომ მიიღო. ამდენად შეიძლება ითქვას: სიცოცხლის განმავლობაში ადამიანი განაახლებს დაბადებისას მიღებულ ნივთიერებებსა და ძალებს და სახეცვლილი ფორმით უბრუნებს მათ მიწიერ პროცესს. ნივთიერებები, რომელთაც ადამიანი სიკვდილისას უბრუნებს მიწიერ პროცესებს, არაა იგივე ნივთიერებები, რომელნიც მან მიიღო დაბადებისას. ამით ადამიანი გადასცემს მიწიერ პროცესს იმას, რაც მისი საშუალებით განუწყვეტლივ მოედინება ზეგრძნობადი სამყაროდან ფიზიკურ-გრძნობად მი-

წიერ პროცესში. დაბადებისას ადამიანს რაღაც ჩამოაქვს ზეგრძნობადი სამყაროდან; ამას მისი სიკვდილისას ღებულობს მიწა იმის წყალობით, რომ ადამიანმა ხორციელქმნა ნივთიერებები და ძალები, რომელნიც მისი სიცოცხლისას მის სხეულს შეადგენენ. ამით ადამიანი გამუდმებით აშუალებს ზეგრძნობადის ჩამოწვეთებას გრძნობადში, ფიზიკურში. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თითქოს რაღაც განუწყეტლივ მოწვეთავს ზეგრძნობადიდან გრძნობადისკენ, მაგრამ ეს წვეთები სრულიად უნაყოფო დარჩებოდა დედამიწისთვის, ადამიანს ისინი რომ არ მიეღო და არ გადაეცა მიწისთვის. ეს წვეთები, რომელთაც ადამიანი იღებს დაბადებისას და აბრუნებს სიკვდილისას, განუწყეტლივ ანაყოფიერებს დედამიწას ზეგრძნობადი ძალებით და ამ განმანაყოფიერებელი ზეგრძნობადი ძალებით ნარჩუნდება ევოლუციის პროცესი. ამდენად, ადამიანთა გვამების გარეშე დედამიწა დიდი ხანია მკვდარი იქნებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია ვიკითხოთ:



რას უკეთებს მკვდარი ძალები ადამიანის ბუნებას? ადამიანის ბუნებაში ხომ მოქმედებს სიკვდილის მომტანი ძალები, რომლებიც მძლავრობენ გარეთ ბუნებაში; და რომ არ აცოცხლებდეს ადამიანი გამუდმებით გარე ბუნებას, ეს უკანასკნელი მოკვდებოდა. როგორ განაგებს ეს სიკვდილის მომტანი ძალები ადამიანის ბუნებაში? ისინი განაგებენ ისე, რომ მათი საშუალებით ადამიანი წარმოქმნის ყველა ორგანიზაციას

დაწყებული ძვლოვანი სისტემიდან ნერვული სისტემის ჩათვლით. ის, რაც ძვლებსა და ყოველივე მათ მონათესავეს აგებს, სულ სხვა ბუნებისაა, ვიდრე სხვა სისტემების ამგები. ჩვენში მოქმედებს სიკვდილის მომტანი ძალები: ჩვენ ვტოვებთ მათ ისეთებად, როგორნიც ისინი არიან და ამის შედეგად ვართ ძვლოვანი ადამიანები. მაგრამ ჩვენში კვლავ მოქმედებს სიკვდილის მომტანი ძალები: ჩვენ ვასუსტებთ მათ და ამის შედეგად ვართ ნერვული ადამიანები. — რა არის ნერვი? ნერვი ისაა, რასაც გამუდმებით სურს ძვლად ქცევა; მას მხოლოდ ის უშლის ხელს ძვლად ქცევაში, რომ იგი დაკავშირებულია ადამიანის არაძვლისმიერ და არანერვულ ელემენტებთან. ნერვს განუწყვეტლივ სურს გაძვალება, იგი გამუდმებით მიისწრაფვის კვდომისკენ, როგორც ძვალია ადამიანში ყველაზე მეტად მკვდარი რამ. ცხოველის ძვლის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა, იგი ადამიანის ძვალზე ბევრად უფრო ცოცხალია. — ამგვარად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ადამიანის ბუნების ერთი მხარე და თქვათ: ძვლოვან და ნერვულ სისტემაში მოქმედებს სიკვდილის მომტანი ნაკადი. ესაა ერთი პოლუსი.

სიცოცხლის მუდმივად მომცემი ძალები, მეორე ნაკადი, მოქმედებს კუნთურ და სისხლის სისტემებში და ყოველივე იმაში, რაც მათ განეკუთვნება. ნერვი მხოლოდ იმიტომ არ არის ძვალი, რომ ისეთ კავშირში იმყოფება სისხლისა და კუნთურ სისტემებთან, რომ მისი მისწრაფება ძვლად ქცევისა უპირისპირდება სისხლსა და კუნთებში მოქმედ ძალებს. ნერვი მხოლოდ იმიტომ არ იქცევა ძვლად, რომ მას წინ აღუდგება სისხლსა და კუნთების სისტემა და ხელს უშლის ძვლად ქცევაში. თუ ზრდისას არსებობს არასწორი კავშირი, ერთი მხრივ, ძვლებსა და, მეორე მხრივ, სისხლსა და კუნთებს შორის, მაშინ აღმოცენდება რაქიტი, რომელიც წარმოადგენს კუნთებისა და სისხლის სისტემის მიერ ძვლის სწორი კვდომისთვის ხელის შეშლას. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, ადამიანში არსებობდეს სწორი ურთიერთქმედება,

ერთი მხრივ, კუნთებისა და სისხლის სისტემასა და, მეორე მხრივ, ძვლოვან და ნერვულ სისტემას შორის. იმის წყალობით, რომ ჩვენს თვალში, მის გარსში, ძვლოვან-ნერვულ სისტემას ხვდება ისეთი რამ, რაც უკან სწევს ძვლოვან სისტემას და მხოლოდ მის შესუსტებას, ნერვს, წარმოქმნის, თვალში წარმოიშვება შესაძლებლობა, კუნთსა და სისხლში მცხოვრები ნებელობითი არსება დაკავშირდეს ძვლოვან-ნერვულ სისტემაში არსებულ წარმოდგენისმიერ აქტივობასთან. აქ კვლავ მივადექით იმას, რამაც ძველ მეცნიერებაში დიდი როლი ითამაშა და რასაც დღევანდელი მეცნიერება დასცინის როგორც ბავშვურ წარმოდგენას. თუმცა უახლესი მეცნიერება კვლავ დაუბრუნდება მას, ოღონდ სხვა ფორმით.

ძველად ადამიანები ყოველთვის გრძნობდნენ ნათესაობას ნერვის შიგთავსს, ნერვის სუბსტანციასა და ძვლის ტვინს, ძვლის სუბსტანციას შორის. მათი აზრით, ადამიანი ისევე აზროვნებს ძვლით, როგორც ნერვით. ეს ჰეშმარიტებაა. ყოველგვარ აბსტრაქტულ მეცნიერებებს ჩვენ ჩვენი ძვლოვანი სისტემის უნარს ვუმადლით. რატომ შეუძლია, მაგ., ადამიანს გეომეტრიის შექმნა? უმაღლეს ცხოველებს არავითარი გეომეტრია არ გააჩნიათ; ეს ჩანს მათი ცხოვრების წესიდან. ეს მხოლოდ უმეცრებაა, როცა ზოგიერთნი ამბობენ: შესაძლოა უმაღლეს ცხოველებსაც გააჩნდეთ გეომეტრია, მაგრამ ამას, ალბათ, ვერ ვამჩნევთ. — ამგვარად, ადამიანი ქმნის გეომეტრიას. მაგრამ საიდან ქმნის იგი, მაგ., სამკუთხედის წარმოდგენას? ვინც ნამდვილად დაფიქრდება იმ ფაქტზე, რომ ადამიანი ქმნის სამკუთხედის წარმოდგენას, მისთვის საოცრება უნდა იყოს ის, რომ ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ თავისი გეომეტრიულ-მათემატიკური ფანტაზიიდან აგებს სამკუთხედს, აბსტრაქტულ სამკუთხედს, რომელიც კონკრეტულ ცხოვრებაში არსად არსებობს. სამყაროს თვალსაჩინო მოვლენების საფუძვლად ბევრი უცნობი რამ იმყოფება. მაგ., წარმოიდგინეთ, რომ დგახართ ამ ოთახში გარკვეულ ადგილას. როგორც ზეგრძნობადი ადამიანური არსება გარკვეულ

ხანს ასრულებთ უცნაურ მოძრაობებს, რომელთა შესახებაც, ჩვეულებრივ, არაფერი იცით, დაახლოებით ამგვარად: ცოტას წაიწევთ ერთ მხარეს, შემდეგ ცოტას უკან წახვალთ და შემდეგ დაუბრუნდებით თქვენს ადგილს. ხაზი, რომელიც არაცნობიერი რჩება და რომელსაც თქვენ მოხაზავთ ოთახში, სამკუთხედის მოძრაობას აკეთებს. ასეთი მოძრაობები ნამდვილად არსებობს, ოღონდ თქვენ ვერ აღიქვამთ მათ. მაგრამ იმის შედეგად, რომ თქვენი ხერხემალი ვერტიკალურ სიბრტყეში მდებარეობს, თქვენ იმ სიბრტყეში იმყოფებით, სადაც ეს მოძრაობები მიმდინარეობს. ცხოველი არ იმყოფება ამ



სიბრტყეში, მისი ხერხემალი სხვა მდებარეობაშია; იქ კი ეს მოძრაობები არ სრულდება. იმით, რომ ადამიანის ხერხემალი ვერტიკალურ მდგომარეობაშია, იგი იმყოფება იმ სიბრტყეში, სადაც ხორციელდება ეს მოძრაობები. იგი ვერ აცნობიერებს ამას და ვერც ამბობს: იქ მე სულ სამკუთხედზე ვცეკვავ. — მაგრამ იგი ხაზავს სამკუთხედს და ამბობს: ეს არის სამკუთხედი! — სინამდვილეში ეს არის არაცნობიერად განხორციელებული მოძრაობა, რომელსაც იგი კოსმოსში ასრულებს.

ამ მოძრაობებს, რომელთაც გეომეტრიული ფიგურების ხაზვისას აფიქსირებთ გეომეტრიაში, თქვენ ასრულებთ დედამიწასთან ერთად. დედამიწა არა მარტო იმ მოძრაობას ასრულებს, რომელსაც მას კოპერნიკისეული მსოფლმხედველობა მიაწერს: იგი სრულიად სხვა, მხატვრულ მოძრაობებსაც ასრულებს განუწყვეტლივ. ხორციელდება მეტად რთული მოძრაობები, მაგ., ისეთები, რომლებიც იმ მოხაზულობას მიჰყვე-

ბიან, რაც გეომეტრიულ სხეულებს გააჩნიათ: კუბს, ოქტაედრს, დოდეკაედრს, იკოსაედრს და ა.შ. ეს სხეულები არ გამოუგონებიათ, ისინი სინამდვილეში არსებობენ, ოღონდ არაცნობიერ სინამდვილეში. მათი და კიდევ სხვა სხეულების ფორმები უცნაურ გამოხმაურებას პოვებს ამ, ადამიანებისთვის არაცნობიერ, ცოდნაში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩვენს ძვლოვან სისტემას ძირეული ცოდნა გააჩნია; მაგრამ თქვენ თქვენი ცნობიერებით ვერ აღწევთ ძვლოვან სისტემამდე. ამის შესახებ ცნობიერება კვდება, იგი მხოლოდ აირეკლება გეომეტრიის სურათ-ხატებში, რომელთაც ადამიანი ქმნის. ადამიანი მართლაც ძლიერაა ჩართული კოსმოსში, ქმნის რა გეომეტრიას, იგი ასახავს იმას, რასაც თავად აკეთებს კოსმოსში.

მაშ, ერთი მხრივ, ჩვენ ვქვრეტთ სამყაროს, რომელიც გარს გვარტყია და განუწყვეტელ სიკვდილს განიცდის. მეორე მხრივ, ჩვენ ვუმზერთ ყოველივე იმას, რაც ჩვენი სისხლისა და კუნთური სისტემის ძალებში შემოდის: იგი განუწყვეტელ მოძრაობაში, განუწყვეტელ დინებაში, განუწყვეტელ ქმნადობასა და აღმოცენებაში არის; იგი მთლიანად ჩანასახოვანია, აქ არაფერია მკვდარი. ჩვენ ვაკავებთ ჩვენს თავში სიკვდილის პროცესს; და მხოლოდ ადამიანებს ძალგვიძს მისი შეკავება და მოკვდავში ქმნადობის შეტანა. ადამიანი რომ არ ყოფილიყო დედამიწაზე, სიკვდილი უკვე დიდი ხანია, რაც გავრცელდებოდა მიწიერ პროცესებზე, დედამიწა კი, როგორც მთლიანი, დიდ კრისტალიზაციას დაექვემდებარებოდა. ოღონდაც, ცალკეული კრისტალები არ შენარჩუნდებოდნენ. ჩვენ გამოვგლეჯთ ცალკეულ კრისტალებს დიდ კრისტალიზაციას და ვინარჩუნებთ მათ მანამ, სანამ ჩვენი ადამიანური ევოლუციისთვის გვჭირდება. მაგრამ ამით ჩვენ დედამიწასაც ვუნარჩუნებთ სიცოცხლეს. ამგვარად, ჩვენ ვართ ისინი, ვინც დედამიწის სიცოცხლეს ვინარჩუნებთ და ვისი გამორიცხვაც დედამიწის ცხოვრებიდან შეუძლებელია. ამიტომაც რეალურია *ედუარდ ფონ ჰარტმანის* აზრი, რომელსაც გამომდინარე თავისი პესიმიზმიდან სურდა, რომ კაცობრიობა ერთ დღესაც ისე მომწიფებულიყო, რომ

ყველა ადამიანს თავი მოეკლა. ამის შემდეგ ზედმეტი ხდება ის, რაც ჰარტმანს ასევე სურდა გამომდინარე საბუნებისმეტყველო მსოფლმხედველობის შეზღუდულობიდან: კერძოდ, მისთვის საკმარისი არ იყო, რომ ყველა ადამიანს ერთ დღესაც თავი მოეკლა და ისიც უნდოდა, რომ რაიმე მასშტაბური ღონისძიების საშუალებით დედამიწა ჰაერში აფეთქებულიყო. მაგრამ ეს სულაც აღარ იქნებოდა საჭირო. მას მხოლოდ დიდი თვითმკვლელობის დღე უნდა მოეწყო და მიწა ნელ-ნელა თავისით დაინთქმებოდა ჰაერში! ვინაიდან იმის გარეშე, რაც ადამიანს გადააქვს დედამიწაში, მიწის განვითარება ვერ გაგრძელდება. ამ შემეცნებიდან გამომდინარე, ჩვენ შესაბამისი გრძნობებით უნდა გავიმსჭვალოთ. აუცილებელია, რომ ყოველივე ეს გაგებულ იქნეს ჩვენს დროში.

არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, რომ ჩემს პირველ ნაშრომებში სულ მეორდება ერთი აზრი, რომლის დახმარებითაც მსურდა სხვა საფუძველზე დამეფუძნებინა შემეცნება, ვიდრე იგი სადღეისოდ დგას. გარეგნულ ფილოსოფიაში, რომელიც ანგლო-ამერიკული აზროვნებიდან მიმდინარეობს, ადამიანი მარტოოდენ მაყურებელია სამყაროსი; თავისი შინაგანი მშვინვიერი პროცესებით იგი სამყაროს მაყურებელია მხოლოდ. ადამიანი რომ არ ყოფილიყო აქ – ასე მიაჩნიათ –, რომ არ განეცადა საკუთარ სამშვინველში ის, რაც თავისით ხდება გარე სამყაროში, ყველაფერი მაინც ისევე იქნებოდა, როგორც არის. ბუნებისმეტყველებისთვის ეს ძალაშია იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც მოგიყვანეთ, მაგრამ ეს ფილოსოფიისთვისაცაა ძალაში. დღევანდელი ფილოსოფოსი თავს კარგად გრძნობს სამყაროს მაყურებლად, ანუ შემეცნების მკვდარ ელემენტში. მე მინდოდა შემეცნება გამომეყვანა ამ მკვდარი ელემენტიდან. ამიტომაც სულ ვიმეორებდი: ადამიანი არ არის უბრალოდ სამყაროს მაყურებელი, არამედ არის სამყაროს არენა, რომელზედაც კვლავ და კვლავ უდიდესი კოსმიური მოვლენები თამაშდება. მე მუდამ ვამბობდი: თავისი მშვინვიერი ცხოვრებით ადამიანი არის არენა, სადაც მსოფლიო მოვლენები თამაშდება. შესაძ-

ლებელია ეს ფილოსოფიურ-აბსტრაქტული ფორმითაც შევმოსოთ. განსაკუთრებით, თუ წაიკითხავთ ჩემი ნაშრომის „ჰეშმარიტება და მეცნიერება" ბოლო თავს თავისუფლების შესახებ, თქვენ ნახავთ, რომ ეს აზრი მკვეთრადაა ხაზგასმული: კერძოდ ის, რომ რაც ადამიანში ხორციელდება, არ არის სულერთი დანარჩენი ბუნებისათვის, დანარჩენი ბუნება შემოიჭრება ადამიანში და ის, რაც ამ უკანასკნელში ხორციელდება, ამავე დროს კოსმიური პროცესი არის, ასე რომ ადამიანის სამშვინველი არის არენა, სადაც თამაშდება კოსმიური და არა მარტო ადამიანური პროცესები. ბუნებრივია, გარკვეული წრეები ამას დღესდღეობით ჯერაც ძნელად თუ გაიგებენ. მაგრამ თუ არ გავიმსჭვალებით ამგვარი თვალსაზრისით, ვერაფრით გავხდებით ნამდვილი ალმზრდელები.

ვინაიდან რა ხდება ადამიანის არსებაში? ერთ მხარეს არის ძვლებისა და ნერვების ბუნება, მეორე მხარეს კი სისხლის და კუნთებისა. მათი ურთიერთქმედებით გამუდმებით ახლიდან წარმოიქმნება ნივთიერებები და ძალები. დედამიწა იმითი გადაურჩება სიკვდილს, რომ თავად ადამიანში ახლიდან წარმოიქმნება ნივთიერებები და ძალები. ახლა შეგიძლიათ ახლახანს ნათქვამი — რომ ნერვებთან კონტაქტის შედეგად სისხლი იწვევს ნივთიერებებისა და ძალების ახლიდან წარმოქმნას — დაუკავშიროთ წინა ლექციაში ნათქვამს — რომ სისხლი გამუდმებით სულიერებისაკენ მიიწევს, მაგრამ კავდება ამ დროს. ჩვენ შევაერთებთ ამ ორ ლექციაში მოპოვებულ აზრებს და შემდგომში ამას დავეყრდნობით. თქვენ უკვე ხედავთ, თუ რაოდენ მცდარია მოსაზრება ძალისა და ნივთიერების შენახვის შესახებ, როგორც მას ჩვეულებრივ ჩამოაყალიბებენ ხოლმე: მას უარყოფს ის, რაც ადამიანის ბუნების შინაგანში ხდება, ხოლო ადამიანის არსების ჰეშმარიტი წვდომისათვის იგი მარტოოდენ დაბრკოლებას წარმოადგენს. მხოლოდ მაშინ, როცა მივლენ სინთეზურ აზრამდე, რომ, მართალია, შეუძლებელია არაფრისაგან რაიმე წარმოიქმნას, სამაგიეროდ კი შესაძლებელია რაიმე ისე გარდაიქმნას, რომ

იგი წარვიდეს და სხვა რამ აღმოცენდეს — მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ აზრს დააჯენებენ ძალისა და ნივთიერების შენახვის შესახებ მოსაზრების ადგილას, შეძლებენ მეცნიერებისათვის რაიმე სასიკეთოს მიცემას.

თქვენ ხედავთ, თუ რა მიმართულებით მახინჯდება ზოგიერთი რამ, რაც ჩვენს აზროვნებაში ცოცხლობს. ჩვენ ვადგენთ რაიმეს, მაგ., ძალისა და ნივთიერების შენახვის კანონს და მსოფლიო კანონად ვაცხადებთ. ამას საფუძვლად უდევს ჩვენი წარმოდგენების ცხოვრების, საერთოდ ჩვენი მშვინვიერი ცხოვრების გარკვეული მიდრეკილება, მოახდინოს ცალმხრივი აღწერა, მაშინ როცა ჩვენ მხოლოდ პოსტულატები უნდა წამოგვეჯენებინა იქიდან, რასაც წარმოდგენებში ვავითარებთ. ასე მაგ., ფიზიკის წიგნებში ვპოულობთ სხეულის შეუღწევადობის კანონს, რომელიც აქსიომის სახითაა წარმოდგენილი: სივრცეში იმ ადგილას, სადაც რაიმე სხეული იმყოფება, იმავდროულად სხვა სხეული ვერ იარსებებს. — ეს გამოცხადებულია სხეულის საყოველთაო თვისებად. უწესთ კი მარტოოდენ შემდეგის თქმა: სხეულები ანდა არსებები, რომელნიც ისეთნი არიან, რომ სივრცის იმ ადგილას, სადაც ისინი მდებარეობენ, იმავდროულად ვერ იმყოფება ვერც ერთი იმავე ბუნების სხვა არსება, შეუღწევადნი არიან. — ცნებები მხოლოდ იმისთვის უნდა გამოეჯენებინათ, რომ ერთი გარკვეული სფერო მეორისგან გაემიჯნათ, მხოლოდ პოსტულატები უნდა წამოეჯენებინათ და არ მოეცათ არავითარი ისეთი დეფინიცია, რომელსაც უნივერსალურობის პრეტენზია ექნებოდა. ამდენად, არც ძალისა და ნივთიერების შენახვის კანონი უნდა წამოეჯენებინათ, არამედ უნდა ეკვლიათ, თუ რომელი არსებებისთვის აქვს ამ კანონს მნიშვნელობა. სწორედ XIX საუკუნეში არსებობდა მისწრაფება, დაედგინათ კანონი და ეთქვათ: ეს ძალაშია ყველაფრისათვის — ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი მშვინვიერი ცხოვრება გამოგვეჯენებინა იმისათვის, რომ მივახლოვებოდით საგნებს და დავკვირვებოდით, თუ რას განვიცდით მათთან დაკავშირებით.

მეოთხე ლექცია

შტუტგარტი, 25 აგვისტო, 1919 წელი

მომავლის აღზრდა-განათლებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ნების და ზნე-ხასიათის ჩამოყალიბებას. მართალია, მუდამ ხაზგასმით აღნიშნავენ, ისინიც კი, ვინც სულაც არ ფიქრობს აღზრდა-განათლების არსის განახლებაზე, რომ აღზრდისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნებასა და ზნე-ხასიათს, მაგრამ მიუხედავად ამ ადამიანების კეთილი ნებისა, ნებელობის და ზნე-ხასიათის აღზრდისთვის ბევრი ვერაფერი კეთდება. ეს უკანასკნელნი სულ უფრო ბედის ანაბარა რჩებიან, ვინაიდან არ არსებობს გაგება ნების ნამდვილი ბუნებისა.

შესავლისათვის მინდა შემდეგი რამ შევნიშნო: მხოლოდ ნების ჭეშმარიტად შემეცნების შემთხვევაშია შესაძლებელი ზნე-ხასიათის სხვა მოძრაობების სულ მცირე ერთი ნაწილის შეცნობა, კერძოდ, გრძნობის ნაწილისა. ჩვენ შეგვიძლია დავსვათ კითხვა: რა არის სინამდვილეში გრძნობა? გრძნობა დიდად ენათესავება ნებას. ნება არის გარეთ გამოხატული გრძნობა, გრძნობა კი შეკავებული ნებაა. ნება, რომელიც ნამდვილად ჯერ არ ვლინდება, რომელიც სამშვინველში რჩება, არის გრძნობა; გრძნობა არის დაჩლუნგებული ნება. ამიტომაც გრძნობის არსს მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როცა ნების არსს ჩაეწვდებით.

ჩემი ახსნა-განმარტებიდან უკვე ჩანს, რომ ყველაფერი, რაც ნებაში ცხოვრობს, სრულყოფილად არ ფორმირდება დაბადებასა და გარდაცვალებას შორის სიცოცხლისას. ნებელობითი გადაწყვეტილების შესრულებისას ადამიანში მუდამ რჩება ნარჩენი, რომელიც გარდაცვალებამდე სიცოცხლის მანძილზე არ ამოიწურება; რჩება ნაშთი, რომელიც განაგრძობს ადამიანში ცხოვრებას და რომელიც ყოველი ნებელობითი გადაწყვეტილებიდან და მოქმედებიდან გრძელდება გარდაც-

ვალების შემდეგ. ამ ნაშთს ყურადღება უნდა მიექცეს მთელი ცხოვრების განმავლობაში, განსაკუთრებით კი ბავშვობის ასაკში.

როგორც ვიცით, სრულყოფილ ადამიანს ჩვენ სხეულის, სამშვინველისა და სულის მიხედვით განვიხილავთ. პირველად სხეული იბადება — მისი უხეში შემადგენელი ნაწილები მაინც. უფრო ზუსტად ამაზე ჩემს წიგნში „თეოსოფია" წაიკითხავთ. სხეული ჩართულია მემკვიდრეობითობის ნაკადში, ატარებს მემკვიდრულ ნიშან-თვისებებს და ა.შ. მშვინვიერი უმთავრესად ისაა, რაც დაბადებამდელი ყოფიერებიდან უკავშირდება სხეულებრივს, ჩამოდის სხეულებრივში. სულიერი კი თანამედროვე ადამიანში — შორეული მომავლის ადამიანში ეს სხვაგვარად იქნება — მხოლოდ ჩანასახის სახით არსებობს. და აქ, სადაც გვსურს საფუძველი ჩავუყაროთ კარგ პედაგოგიკას, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რაც განვითარების თანამედროვე ეპოქაში ადამიანში არსებობს როგორც სულიერი მხოლოდ ჩანასახის სახით. პირველ ყოვლისა, მოდით, სავსებით ცხადი გავხადოთ ის, რაც კაცობრიობის შორეული მომავლის ჩანასახის სახით არსებობს ადამიანში.

პირველ რიგში არსებობს, ოღონდ ჩანასახის სახით, ის, რასაც ჩვენ თავადსულს ვუწოდებთ. თავადსულს პირდაპირ ვერ მივაკუთვნებთ ადამიანის ბუნების შემადგენელ ნაწილებს, წევრებს, თუკი თანამედროვე ადამიანზე ვსაუბრობთ; თავადისულის მკაფიო ცნობიერება გააჩნიათ განსაკუთრებით იმ ადამიანებს, რომელთაც ძალუძთ სულიერის ჭვრეტა. თქვენ იცით, რომ მთელი აღმოსავლური ცნობიერება, რამდენადაც იგი კულტივირებული ცნობიერებაა, ამ თავადსულს „მანასს" ეძახის და რომ მთელ აღმოსავლურ სულიერ კულტურაში მანასზე საუბარია როგორც ადამიანში მცხოვრებ რამეზე. მაგრამ დასავლეთის კაცობრიობაშიც, თუკი ის არ გამხდარა „განსწავლული", არსებობს ამ თავადისულის მკაფიო ცნობიერება. მე შემთხვევით არ ვამბობ: არსებობს მკაფიო ცნობიერება; ვინაიდან იმას, რაც ადამიანისაგან რჩება გარდაც-

ვალების შემდეგ, ხალხში ეძახიან „მანებს"[1] — ყოველ შემთხვევაში ეძახდნენ მანამ, სანამ ხალხს მთლიანად არ დაეუფლა მატერიალისტური აზრთა წყობა. ამბობენ, რომ გარდაცვალების შემდეგ რჩებიან მანები; მანასი = მანები. როგორც ვთქვი, ხალხს ამის მკაფიო ცნობიერება აქვს; ვინაიდან ამ შემთხვევაში იყენებენ მრავლობით ფორმას — მანები. ჩვენ, რომელნიც მეცნიერულად უფრო გარდაცვალებამდელ ადამიანს ვუკავშირებთ თავადსულს, ვამბობთ მხოლობითში: თავადისული. ხალხი კი, რომელიც უფრო რეალობიდან, გულუბრყვილო შემეცნებიდან გამომდინარე საუბრობს ამ თავადსულზე, მრავლობით რიცხვს იყენებს მანების შესახებ საუბრისას, ვინაიდან როგორც კი ადამიანი გაივლის სიკვდილის კარიბჭეს, მას სულიერ არსებათა სიმრავლე იღებს. სხვაგან მე აღმინიშნავს: არსებობს ჩვენი პირადი წარმმართველი სული ანგელოზთა იერარქიიდან; მათზე მაღლა მდგომნი არიან სულნი მთავარანგელოზთა იერარქიიდან, რომელნიც მაშინვე ერთვებიან, როგორც კი ადამიანი სიკვდილის კარიბჭეს გაივლის, ისე რომ თავის არსებობას ადამიანი გარკვეული გაგებით მრავალრიცხოვნებაში ეწევა, ვინაიდან მის ყოფიერებაში მრავალი მთავარანგელოზია ჩართული. ხალხი ამას ძალზე მკაფიოდ გრძნობს, რადგანაც იცის, რომ ადამიანი საიქიოს თავს მეტ-ნაკლებად სიმრავლედ აღიქვამს, საპირისპიროდ მისი ყოფიერებისა საჰაოს, რაც ერთი მთლიანის სახით ვლინდება. ამგვარად, მანები არის ის, რაც გულუბრყვილო ხალხურ ცნობიერებაში მანასიდან, თავადსულთა სიმრავლიდან ცოცხლობს.

მეორე, უფრო მაღალი წევრი ადამიანისა არის ის, რასაც ჩვენ სიცოცხლისსულს ვუწოდებთ. იგი ძალზე ნაკლებად აღიქმება თანამედროვე ადამიანში. სიცოცხლისსული დიდად სულიერი ნაწილია ადამიანისა და კაცობრიობის შორეულ მომავალში განვითარდება. დაბოლოს, უმაღლესი, რაც არის ადამი-

[1] გერმანულად die Manen (მთარგმნ. შენიშვნა).

ან"ში და რაც სადღეისოდ მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ჩანასახის სახით არსებობს, არის საკუთრივ სულისადამიანი.

მართალია, თანამედროვე, დაბადებიდან გარდაცვალებამდე მიწაზე მცხოვრებ ადამიანში ეს სამი უმაღლესი წევრი ადამიანური ბუნებისა მხოლოდ ჩანასახის სახით არსებობს, ისინი მაინც მეტად მნიშვნელოვნად ვითარდებიან გარდაცვალებიდან ხელახალ დაბადებამდე, ოღონდ უმაღლესი სულიერი არსებების მფარველობის ქვეშ. ამგვარად, როცა ადამიანი გარდაიცვლება და კვლავ იწყებს ცხოვრებას სულიერ სამყაროში, ეს სამი წევრი ძალზე მკაფიოდ ვითარდება და გარკვეულწილად წინასწარ გვაუწყებს კაცობრიობის სამომავლო ყოფიერებას. ისევე როგორც ადამიანი სულიერ-მშვინვიერად ვითარდება თავისი ამჟამინდელი სიცოცხლისას დაბადებასა და გარდაცვალებას შორის, ასევე გადის იგი აშკარა განვითარებას გარდაცვალების შემდეგ, ოღონდ ამ დროს ის როგორც ჭიპლარით, ისეა გამობმული უმაღლეს იერარქიათა სულიერ არსებებს.

ახლა დავუმატოთ ადამიანის ბუნების ჯერაც ოდნავ შესამჩნევ უმაღლეს წევრებს ის, რაც ამჟამად უკვე აღქმადია. პირველ ყოვლისა ესაა ის, რაც თავს იჩენს ცნობიერ სამშვინველში, განსჯით ანუ ზნე-ხასიათის სამშვინველსა და შეგრძნებების სამშვინველში. ესაა ადამიანის საკუთრივ მშვინვიერი ელემენტები. თუკი დღესდღეობით გვსურს ადამიანის სამშვინველზე საუბარი, როგორც ის სხეულში ცხოვრობს, მაშინ ჩვენ სამშვინველის სამ ზემოხსენებულ წევრზე უნდა ვილაპარაკოთ. თუ გვინდა ადამიანის სხეულზე საუბარი, მაშინ ვლაპარაკობთ შეგრძნებების სხეულზე, ყველაზე ნატიფ სხეულზე, რომელსაც ასტრალურ სხეულსაც ეძახით, ეთერულ სხეულსა და უხეშ ფიზიკურ სხეულზე, რომელსაც თვალით ვხედავთ და რომელსაც გარეგნული მეცნიერება ანაწევრებს. ამით მთლიანი ადამიანია სახეზე.

როგორც იცით, ფიზიკური სხეული, როგორც ჩვენ მას დავატარებთ, ცხოველებისთვისაცაა დამახასიათებელი. როდესაც

მთლიან ადამიანს ამ ცხრა წევრის მიხედვით ვადარებთ ცხოველთა სამყაროს, ადამიანის ცხოველებთან მიმართების შესახებ წარმოდგენა, რომელიც შეგრძნებების შესაბამისი და ნების გაგებისათვის გამოსადეგი არის, ჩვენ მხოლოდ მაშინ გვექმნება, როდესაც ვიცით: როგორც ადამიანის სამშვინველია შემოსილი ფიზიკური სხეულით, ასევეა ცხოველიც შემოსილი ფიზიკური სხეულით, ოღონდ ცხოველის ფიზიკური სხეული სხვაგვარადაა ფორმირებული, ვიდრე ადამიანისა. ადამიანის ფიზიკური სხეული არსებითად არაა ცხოველისაზე უფრო სრულყოფილი. აიღეთ ისეთი უმაღლესი ცხოველი, როგორიცაა თახვი, როდესაც იგი თავის ნაგებობას აგებს. ადამიანს არ ძალუძს ეს, თუკი არ ისწავლა, თუკი არ გაიარა მეტად რთული სწავლება, არ შეისწავლა არქიტექტურა და მსგავსი რამ. თახვი კი თავის ნაგებობას საკუთარი სხეულის ორგანიზაციიდან ქმნის. მისი გარეგანი, ფიზიკური სხეული ისეა ფორმირებული, რომ თახვი იმგვარად ერთვება გარე ფიზიკურ სამყაროში, რომ შეუძლია თავისი ნაგებობის დასამზადებლად გამოიყენოს ის, რაც მისი ფიზიკური სხეულის ფორმებში ცხოვრობს. ამ მხრივ თავად ფიზიკური სხეულია თახვის მოძღვარი. ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ კრაზანებს, ფუტკრებს, ასევე ე.წ. უმდაბლეს ცხოველებს და მათი ფიზიკური სხეულის ფორმაში აღმოვაჩენთ, რომ აქ ბუდობს რაღაც, რაც ამ ზომით, ამ სიძლიერით არ არსებობს ადამიანის ფიზიკურ სხეულში. ესაა ყოველივე ის, რასაც ჩვენ ინსტინქტის ცნებით მოვიცავთ; ასე რომ, ინსტინქტის შესწავლას სინამდვილეში შეეძლებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ფიზიკური სხეულის ფორმასთან კავშირში განვიხილავთ. თუ შევისწავლით ცხოველთა მთელ საუფლოს, როგორც ის გარეთაა განფენილი, მაშინ ცხოველების ფიზიკური სხეულის ფორმები გვიხელმძღვანელებენ სხვადასხვა სახის ინსტინქტების შესწავლისას. თუ გვსურს ნების შესწავლა, პირველ რიგში იგი ინსტინქტების სფეროში უნდა მოვიძიოთ და გავაცნობიეროთ, რომ ამ უკანასკნელთ ვპოულობთ სხვადასხვა ცხოველების ფიზიკური სხე-

ულის ფორმებში. ყურადღება რომ მიგვექცია და ჩაგვეხატა ცალკეული ცხოველების ძირითადი ფორმები, მაშინ ინსტინ-ქტის სხვადასხვა სფეროების დახატვას შევძლებდით. სურათ-ხატი იმისა, რასაც ინსტინქტი წარმოადგენს როგორც ნება, არის სხვადასხვა ცხოველების ფიზიკური სხეულის ფორმა. თქვენ ხედავთ, რომ ამ თვალთახედვის შედეგად სამყარო აზრით იმსჭვალება. ჩვენ თვალს ვავლებთ ცხოველთა ფიზიკური სხეულის ფორმებს და ვხედავთ მათში თავად ბუნების მიერ გაკეთებულ ჩანახატს ინსტიქტებისას, რომელთა საშუალებითაც მას სურს იმის განხორციელება, რაც ყოფიერებაში ცოცხლობს.

ჩვენს ფიზიკურ სხეულში ცხოვრობს ეთერული სხეული და მთლიანად ფორმას აძლევს, განმსჭვალავს მას. გარე გრძნობებისთვის იგი ზეგრძნობადია, უხილავია. მაგრამ თუ შევხედავთ ნებელობის ბუნებას, მაშინ ვნახავთ, რომ ეთერული სხეული განმსჭვალავს ფიზიკურს და ასევე მოიცავს იმას, რაც ფიზიკურ სხეულში ინსტინქტის სახით იჩენს თავს. ამ დროს ინსტინქტი იქცევა ლტოლვად.[2] ფიზიკურ სხეულში ნება ინსტინქტი არის; ხოლო როგორც კი ეთერული სხეული და-ეუფლება ინსტინქტს, ნება ლტოლვად იქცევა. მეტად საინტე-რესოა დავაკვირდეთ, თუ როგორ ხდება ინსტინქტის, რომელ-საც უფრო კონკრეტულად გარეგნულ ფორმაში შეიძლება ვწვდეთ, გაშინაგნება და უფრო მეტად გამთლიანება, რო-დესაც მას განვიხილავთ როგორც ლტოლვას. ინსტინქტზე მუდამ ისე ვსაუბრობთ, რომ ცხოველში თუ შესუსტებული სახით ადამიანში არსებობისას იგი გარედან თავს მოეხვევა არსებას, ლტოლვისას კი უნდა ვიფიქროთ, რომ ის, რაც უფრო გაშინაგნებული ფორმით ვლინდება, უფრო შიგნიდან მოდის, ვინაიდან ზეგრძნობადი ეთერული სხეული ეუფლება ინსტინქტს და ამით აქცევს მას ლტოლვად.

ადამიანს კიდევ გააჩნია შეგრძნებების სხეული. იგი კიდევ

[2] გერმანულად Trieb.

უფრო შინაგანია. ამჯერად იგი მოიცავს ლტოლვას და აღმოცენდება არა მარტო გაშინაგნება, არამედ ინსტინქტი და ლტოლვა ამოიტანება ცნობიერებაში და იქცევა ვნებად.[3] ვნებას თქვენ ცხოველთანაც პოულობთ, ისევე როგორც ლტოლვას, ვინაიდან ცხოველსაც ხომ გააჩნია სამივე ეს წევრი – ფიზიკური სხეული, ეთერული სხეული და შეგრძნებების სხეული. მაგრამ როდესაც ვნებაზე საუბრობთ, მას უკვე სრულიად ინსტინქტურად უნდა შეხედოთ როგორც მეტად შინაგან რამეს. ლტოლვაზე ამბობთ, რომ იგი ერთგვაროვნად ვლინდება დაბადებიდან გვიანდელ ასაკამდე; ვნებაზე კი იტყვით, რომ ეს ისეთი რამაა, რასაც მშვინვიერი აძლიერებს, რაც უფრო ერთჯერადად ძლიერდება. ვნებისთვის არაა საჭირო იყოს ხასიათობრივი, მისთვის არაა აუცილებელი მშვინვიერთან მჭიდრო კავშირი. იგი აღმოცენდება და ქრება. ამიტომაც ვნება უფრო მეტადაა მშვინვიერისათვის დამახასიათებელი, ვიდრე ცარიელი ლტოლვა.

ახლა ვიკითხოთ: რა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი – ამას ცხოველთან უკვე ვეღარ ექნება ადგილი – თავის მეში ანუ შეგრძნებების სამშვინველში, განსჯით ანუ ზნე-ხასიათის სამშვინველში და ცნობიერ სამშვინველში მიიღებს იმას, რაც ინსტინქტის, ლტოლვისა და ვნების სახით ცხოვრობს მის სხეულებრივში? აქ არ ვახდენთ ისეთ მკვეთრ დიფერენციაციას, როგორც სხეულებრივის შიგნით, რადგანაც სამშვინველში, კერძოდ, თანამედროვე ადამიანთან, ყველაფერი მეტ-ნაკლებად ერთმანეთში შერეული არის. ესეც თანამედროვე ფსიქოლოგიის უბედურებაა, რომ ფსიქოლოგებმა არ იციან, სამშვინველის წევრები მკაცრად უნდა გამიჯნონ ერთმანეთისგან, თუ გაუშვან, რომ ურთიერთში გადაედინებოდეს. ცალკეულ ფსიქოლოგთან ჯერ კიდევ გამოკრთება ხოლმე ნების, გრძნობისა და აზროვნების ძველებური მკვეთრი ურთიერთგანსხვავება; სხვებთან, მაგ., ჰერბარტიანელებთან, ყველაფერი გადახრილია უფრო წარმოდ-

[3] გერმანულიდან Begierde.

გენის მხარეს, ვუნდტიანელებთან კი ნების მხარეს. ამდენად, არ არსებობს სწორი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ სამშვინველის დანაწევრებასთან დაკავშირებით. ეს იმიტომაა, რომ პრაქტიკულ ცხოვრებაში მე განმსჭვალავს სამშვინველის ყველა უნარს და რომ თანამედროვე ადამიანში განსხვავება სამშვინველის სამ წევრს შორის პრაქტიკაშიც არ მჟღავნდება მკვეთრად. ამიტომაც არც ენას გააჩნია სიტყვები, რათა დიფერენცირებულად აღნიშნოს ინსტინქტი, ლტოლვა და ვნება — რომელნიც სამშინველში ნებელობითი ბუნებისანი არიან —, როდესაც მათ მე მოიცავს. მაგრამ ზოგადად ჩვენ მოტივს ვუწოდებთ იმას, რასაც მე მოიცავს როგორც ინსტინქტს, ლტოლვასა და ვნებას, ისე რომ საკუთრივ მშვინვიერში, მეობრივში ნებელობით იმპულსებზე საუბრისას ჩვენ ვლაპარაკობთ მოტივზე და ვიცით, რომ ცხოველებს გააჩნიათ ვნებები, მაგრამ არა მოტივები. მხოლოდ ადამიანთან მაღლდება ვნება მაშინ, როდესაც ადამიანი მშვინვიერ სამყაროში იღებს მას. ამით გამოიწვევა ძლიერი სწრაფვა, შინაგანად ვწვდეთ მოტივს. ვნება პირველად ადამიანთან იქცევა საკუთრივ ნებელობით მოტივად. იმის წყალობით, რომ ადამიანში ცხოველთა სამყაროდან ჯერ კიდევ ცოცხლობს ინსტინქტი, ლტოლვა და ვნება, მაგრამ იგი მოტივამდე აამაღლებს მათ, ამის წყალობით გვაქვს, როდესაც ნებას ეხება საქმე, ის, რაც არსებობს თანამედროვე ადამიანში. ეს მკაფიოდაა მოცემული. და ვინც ადამიანს მისი ნებელობითი ბუნების მხრივ დააკვირდება, იგი იტყვის: ადამიანს მაშინ შევიცნობ, თუკი მისი მოტივები მეცოდინება. მაგრამ არა მთლიანად! ვინაიდან როდესაც ადამიანს მოტივები უჩნდება, მაშინ ქვევიდან ჩუმად მოისმის რაღაც და ეს ჩუმად მჟღერი რამ ძლიერ, ძლიერ უნდა გავითვალისწინოთ.

ახლა გთხოვთ, ზუსტად გაარჩიოთ ერთმანეთისგან ის, რასაც ნებელობითი იმპულსისას ვგულისხმობ ამ მჟღერ რამეში და ის, რაც უფრო წარმოდგენისმიერია. მე არ ვგულისხმობ იმას, რაც უფრო წარმოდგენისმიერია ნების იმპულსში.

თქვენ შეიძლება გქონდეთ, მაგ., წარმოდგენა: კარგი იყო, რაც მე ვინებე ანდა გავაკეთე, — ან შეიძლება სხვა წარმოდგენაც გქონდეთ, მე ამას არ ვგულისხმობ, არამედ ამჯერად მხედველობაში მაქვს ის, რაც ხშირად ნებელობისმიერად ეღერს ჩუმად. ეს პირველ რიგში არის ის, რაც მოტივის არსებობისას ჯერაც მოქმედებს ნებაში — სურვილი.[4] აქ მე ვგულისხმობ არა ძლიერად გამოხატულ სურვილებს, რომელთაგანაც შემდეგ ვნებები წარმოიქმნება, არამედ სურვილების, რომელნიც ყველა ჩვენს მოტივს ახლავს თან, ჩუმ გამოძახილს. ისინი მუდამ არსებობენ. ამ სურვილს განსაკუთრებით მაშინ აღვიქვამთ ძლიერად, როდესაც რაიმეს ვასრულებთ, რაც ჩვენი ნების მოტივიდან აღმოცენდება და როდესაც მასზე ფიქრისას ვამბობთ: რაც ახლა შეასრულე, შეგეძლო ბევრად უკეთ გაგეკეთებინა. — ვინაიდან განა არსებობს რაიმე, რისი გაკეთებისასაც შეიძლება არ გვქონოდა იმის შეგნება, რომ იგი უკეთ შეგვეძლო შეგვესრულებინა? სავალალო იქნებოდა, რომ შეგვძლებოდა სრულებით კმაყოფილნი ვყოფილიყავით რაიმეთი, ვინაიდან არაფერია ისეთი, რისი უკეთ გაკეთებაც არ შეგვეძლოს. კულტურულად უფრო მაღლა მდგომი ადამიანი სწორედ იმით განირჩევა დაბლა მდგომისგან, რომ ამ უკანასკნელს უნდა მუდამ კმაყოფილი იყოს საკუთარი თავით. მაღლა მდგომი არასოდესაა თავისი თავით ნამდვილად კმაყოფილი, ვინაიდან მუდამ როგორც მოტივი, ისე მოისმის ჩუმი სურვილი უკეთესად, სხვანაირად გაკეთებისა. ამ სფეროში ბევრს სცოდავენ. ადამიანებს დიდ რამედ მიაჩნიათ რაიმე საქციელის მონანიება, მაგრამ ეს არაა საუკეთესო გამოსავალი რაიმე ქცევისას, ვინაიდან მონანიება ხშირად მხოლოდ ეგოიზმს ეყრდნობა; სურთ, უკეთ გაეკეთებინათ რაიმე, რათა უფრო კარგები ყოფილიყნენ. ეს ეგოისტურია, ჩვენი სწრაფვა პირველად მაშინ ხდება არაეგოისტური, როცა ის კი არ გვინდა, რომ უკვე შესრულებული მოქმედება უკეთ

[4] გერმანულად Wunsch.

განგვეხორციელებინა, არამედ როდესაც ჩვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, იგივე მოქმედება სხვა დროს უკეთ შევასრულოთ. განზრახვა, ძალისხმევა – მეორეჯერ საქმე უკეთ გააკეთო და არა მონანიება, აი რა არის უმაღლესი რამ. ამ განზრახვიდანაც მოისმის სურვილი, ასე რომ შეგვიძლია დავსვათ კითხვა: რა არის ეს, რაც ჟღერს როგორც სურვილი? – იმისთვის, ვისაც ჭეშმარიტად ძალუძს სამშვინველის დაკვირვება, ეს არის ყოველივე იმის პირველი ელემენტი, რაც გარდაცვალების შემდეგ რჩება. ჩვენ ვგრძნობთ რაღაცას ნაშთიდან: ჩვენ ეს უკეთ უნდა გაგვეკეთებინა, ჩვენ გვსურდა ამისი უკეთ გაკეთება. ეს უკვე თავადსულს განეკუთვნება: სურვილი იმ ფორმით, როგორც განგიმარტეთ.

სურვილი უფრო კონკრეტული შეიძლება გახდეს, მან შეიძლება უფრო გამოკვეთილი სახე მიიღოს. მაშინ იგი განზრახვას[5] დაემსგავსება. მაშინ ვიქმნით ერთგვარ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ შევასრულებდით მოქმედებას უკეთესად, კიდევ ერთხელ რომ განგვეხორციელებინა იგი. ოღონდ მე წარმოდგენას კი არ ვანიჭებ დიდ მნიშვნელობას, არამედ გრძნობისა და ნებელობისმიერს, რომელიც ყოველ მოტივთან ახლავს, მოტივს: მეორეჯერ მსგავსი შემთხვევისას უკეთ გაკეთდეს რაიმე. ამ დროს ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ე.წ. არაცნობიერი. როდესაც დღესდღეობით თქვენი ნებით რაიმე მოქმედებას ასრულებთ, ჩვეულებრივი ცნობიერებით არ იწყებთ იმის წარმოდგენას, თუ როგორ განახორციელებდით მეორეჯერ მსგავს ქმედებას უკეთესად. მაგრამ ის ადამიანი, თქვენში რომ ცხოვრობს, მეორე ადამიანი – მართალია, ამჯერად არა წარმოდგენისმიერად, არამედ ნებელობისმიერად – მუდამ ქმნის იმის მკაფიო სურათ-ხატს, თუ როგორ შეასრულებდა იგი მოქმედებას, კიდევ ერთხელ იმავე მდგომარეობაში რომ აღმოჩენილიყო. ჯეროვნად შეაფასეთ ამგვარი შემეცნება! ჯეროვნად შეაფასეთ ეს მეორე ადამიანი,

[5] გერმანულად Vorsatz

თქვენში რომ ცხოვრობს.

ამ მეორე ადამიანზე დღესდღეობით ბევრს ლაყბობს ის ე.წ. მეცნიერული მიმდინარეობა, ანალიტიკურ ფსიქოლოგიას, ფსიქოანალიზს რომ უწოდებს თავს. საკუთარი თავის წარდგენისას ეს ფსიქოანალიზი, ჩვეულებრივ, ამოდის ერთი თვალსაჩინო მაგალითიდან. მე უკვე მოყოლილი მაქვს ეს თვალსაჩინო მაგალითი, მაგრამ კარგი იქნება, კიდევ ერთხელ დავიჯნოთ იგი თვალწინ. ის შემდეგში მდგომარეობს: ერთი კაცი წვეულებას იხდიდა თავის სახლში. პროგრამით გათვალისწინებული იყო, რომ წვეულების დამთავრებისთანავე დიასახლისი კურორტს უნდა გამგზავრებულიყო. წვეულებაზე სხვადასხვა ხალხი იყო, მათ შორის ერთი ქალბატონი. წვეულება დამთავრდა. დიასახლისი სადგურში მიიყვანეს კურორტს გასამგზავრებლად. დანარჩენმა საზოგადოებამ გზა განაგრძო, მათ შორის იმ ქალბატონმაც. გზაჯვარედინზე მოულოდნელად მას და საზოგადოების სხვა წევრებსაც ეტლი გამოუტტათ, რომელმაც მეორე ქუჩის კუთხიდან გამოუხვია ისე, რომ პირველად მაშინ დაინახეს, როცა სულ ახლოს იყო. რა გააკეთეს საზოგადოების წევრებმა? ცხადია, მარცხნივ და მარჯვნივ გაიწ-გამოიწიენ ეტლისთვის გზის დასათმობად, მხოლოდ იმ ქალბატონმა არ გააკეთა ეს. იგი რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაიქცა და შუა ქუჩაში მირბოდა ცხენების წინ. მეეტლემაც არ შეაჯნა ცხენები, საზოგადოების სხვა წევრები კი ძალზე შეშინდნენ. ქალბატონი ისე სწრაფად მირბოდა, რომ სხვები ვერ ეწეოდნენ, მირბოდა, სანამ ხიდს არ მიაღწია. აქაც მას თავში არ მოუვიდა, ახლა მაინც გაწეულიყო გვერდზე. იგი ჩავარდა წყალში, მაგრამ გადაარჩინეს და მასპინძლის სახლში მიიყვანეს. იქ შეეძლო მას ღამე გაეთია. — ეს შემთხვევა მაგალითის სახით არის მოყვანილი ბევრ ფსიქოანალიზურ ნაშრომში. ოღონდ ყველგან რაღაც არასწორადაა ახსნილი მასში. ვინაიდან უნდა ვიკითხოთ: რა უდევს მთელ პროცესს საფუძვლად? საფუძველი არის ქალბატონის ნება. რა ნებავდა მას? მას ნებავდა, დიასახლისის

გამგზავრების შემდეგ დაბრუნებულიყო მასპინძლის სახლში, რადგანაც ამ მამაკაცში იყო შეფარებული. მაგრამ ეს არ იყო ცნობიერი ნება, არამედ ის, რაც ღრმად ქვეცნობიერში ზის. ამ მეორე ადამიანის, რომელიც ჩვენში ზის, ქვეცნობიერება ხშირად ბევრად უფრო დახვეწილია, ვიდრე ზედა შრეების ადამიანი. ამ შემთხვევაში ქვეცნობიერი იმდენად დახვეწილი იყო, რომ ქალბატონმა მასპინძლის სახლში დასაბრუნებლად მოაწყო მთელი პროცედურა წყალში ჩავარდნის ჩათვლით. მან წინასწარმეტყველურად ისიც კი განჭვრიტა, რომ გადაარჩენდნენ. — ფსიქოანალიზი ცდილობს მიუახლოვდეს სამშვინველის ამ დაფარულ ძალებს, მაგრამ იგი მხოლოდ ზოგადად საუბრობს მეორე ადამიანზე. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ, რომ ყოველ ადამიანში არსებობს ის, რაც სამშვინველის ქვეცნობიერ ძალებში მოქმედებს და ხშირად არაჩვეულებრივად დახვეწილად ამჟღავნებს თავს, ბევრად უფრო დახვეწილად, ვიდრე ნორმალური მშვინვიერი თვისებებისას.

ყოველ ადამიანში ქვევით, თითქოს მიწისქვეშეთში ზის მეორე ადამიანი. ამ მეორე ადამიანში აგრეთვე ცხოვრობს უკეთესი ადამიანი, რომელიც მუდამ განიზრახავს, როცა კი იწყებს რაიმე ქმედებას, მეორეჯერ მსგავსი შემთხვევისას უკეთ გააკეთოს საქმე, ისე რომ მუდამ ჩუმად ელერს განზრახვა, არაცნობიერი, ქვეცნობიერი განზრახვა, მსგავსი შემთხვევისას უკეთ შეასრულოს მოქმედება.

და მხოლოდ მაშინ, როდესაც სამშვინველი ერთხელაც გათავისუფლდება სხეულისაგან, ეს განზრახვა გადაწყეტილებად[6] იქცევა. განზრახვა სამშვინველში მთლიანად ჩანასახოვან მდგომარეობაში რჩება; შემდეგში მოგვიანებით ამას გადაწყეტილება მოსდევს. ხოლო გადაწყეტილება ისევე ზის სულისადამიანში, როგორც განზრახვა — სიცოცხლისსულში, წმინდა სურვილი კი თავადსულში. ამგვარად, თუ მხედველობაში მიიღებთ ადამიანს, როგორც ნებელობით არსებას, მაშინ

[6] გერმანულად Entschluß.

თქვენ შეძლებთ ყველა ამ შემადგენელი ნაწილის პოვნას: ინ-სტინქტი, ლტოლვა, ენება და მოტივი, შემდეგ კი ჩუმი გა-მოძახილი იმისა, რაც უკვე თავადსულში, სიცოცხლისსულსა და სულისადამიანში ცოცხლობს როგორც სურვილი, განზრახ-ვა და გადაწყვეტილება.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის განვითარებისთვის, ვინაიდან რაც ჩუმად ცოცხლობს და ნარჩუნდება გარდაცვა-ლებისშემდგომი დროისათვის, ის სურათ-ხატოვნად ავლენს თავს ადამიანში დაბადებიდან გარდაცვალებამდე. აქ მას იმავე სიტყვებით აღნიშნავენ. აქაც განვიცდით ჩვენ წარმოდგენისეუ-ლად სურვილს, განზრახვასა და გადაწყვეტილებას. მაგრამ ჩვენ მხოლოდ მაშინ განვიცდით სურვილს, განზრახვასა და გა-დაწყვეტილებას ადამიანისათვის შესაფერისი სახით, როდესაც ყო-ველივე ეს სწორად იქნება ჩამოყალიბებული. ის, რასაც სუ-რვილი, განზრახვა და გადაწყვეტილება წარმოადგენს ადამიანის უღრმეს ბუნებაში, არ იჩენს თავს გარეგნულ ადამიანში და-ბადებასა და გარდაცვალებას შორის. წარმოდგენების ცხოვრე-ბაში სახეზეა სურათ-ხატები. ავითარებთ რა ჩვეულებრივ ცნო-ბიერებას, თქვენ სულაც არ იცით, თუ რა არის სურვილი. ნაცვლად ამისა თქვენ მხოლოდ წარმოდგენა გაქვთ სურვილის შესახებ. ამიტომაც ფიქრობდა ჰერბარტი, რომ სურვილის შესა-ხებ წარმოდგენაში უკვე არსებობს სწრაფვის მომენტი. გან-ზრახვისასაც ასევეა; მის შესახებაც მხოლოდ წარმოდგენა გაქვთ. თქვენ გნებავთ რაიმეს ასე და ამგვარად გაკეთება, რაც რეა-ლურად ქვევით, სამშვინველში მიმდინარეობს. მაგრამ თქვენ არ იცით, თუ რა უდევს ამას საფუძვლად. ანდა გადაწყვეტილე-ბა! ვინ იცის რაიმე მის შესახებ? ზოგადი ფსიქოლოგია მხო-ლოდ ზოგად ნებელობაზე საუბრობს. — და მაინც, მასწავლე-ბელი და აღმზრდელი, როგორც მარეგულირებელი და მომწეს-რიგებელი, სამშვინველის სამივე ამ ძალაში უნდა ჩაერიოს. თუ გვსურს ვიმუშაოთ როგორც აღმზრდელებმა და მასწავ-ლებლებმა, მაშინ სწორედ იმაზე უნდა ვიმუშაოთ, რაც ადა-მიანის ბუნების სიღრმეებში თამაშდება.

სულისადამიანი:	გადაწყვეტილება
სიცოცხლისსული:	განზრახვა
თავადისული:	სურვილი
ცნობიერი სამშვინველი: განსჯითი სამშვინველი: შეგრძნებების სამშვინველი:	მოტივი
შეგრძნებების სხეული:	ვნება
ეთერული სხეული:	ლტოლვა
ფიზიკური სხეული:	ინსტინქტი

ყოველთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელი და მასწავლებელი აცნობიერებდეს: არ არის საკმარისი ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთმიმართების მიხედვით სწავლების ორგანიზება; სწავლება უნდა აიგოს შინაგანი ადამიანის წვდომიდან გამომდინარე.

ამ შეცდომის — სწავლების ორგანიზება ადამიანთა ჩვეულებრივი ურთიერთკავშირების მიხედვით — დაშვება სურს სწორედ საყოველთაოდ გავრცელებულ სოციალიზმს. ერთხელ მაინც წარმოიდგინეთ, მომავლის სკოლა მარქსისტი სოციალისტების იდეალის მიხედვით რომ ჩამოყალიბდეს. რუსეთში ეს უკვე მოხდა; ლუნაჩარსკის სასკოლო რეფორმა იქ სრულიად საზარელი რამაა. იგი ყოველგვარი კულტურის სიკვდილია! ბოლშევიზმიდან ძალზე ბევრი ცუდი რამ წარმოიქმნება, მაგრამ ყველაზე ცუდი აქედან სწავლების ბოლშევიკური მეთოდი იქნება! ვინაიდან თუკი გაიმარჯვებს, იგი ძირ-ფესვიანად აღმოფხვრის ყოველივე იმას, რაც ადრეული პერიოდებიდან გადმოვიდა კულტურაში. ის ვერ მიაღწევს ამას პირველივე თაობაში, მაგრამ მომავალ თაობებში მით უფრო დანამდვილებით მოახერხებს ამას და მაშინ ყოველგვარი კულტურა ძალზე სწრაფად აღიკვეთება პირისაგან მიწისა. ეს უნდა შეიგნონ ზოგიერთებმა. ვინაიდან, აბა, დაფიქრდით, ჩვენ ხომ ამჟამად ზომიერი სოციალიზმის დილე-

ტანტური მოთხოვნების ქვეშ ვცხოვრობთ. მათში ეღერს ხმები, რომელთაც სურთ ყველაზე უფრო გაუკეღმართებული სახით ჩამოაყალიბონ სოციალიზმი. აქ ერთად ეღერს კარგიც და ცუდიც. თქვენ ხომ თავად მოუსმინეთ ამ ოთახში ადამიანებს, რომელნიც დითირამბებს უმღეროდნენ ბოლშევიზმს და წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმისა, რომ ამით თვით სოციალიზმში ეშმაკეულის შეტანა ხდება.

აქ განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო. უნდა არსებობდნენ ადამიანები, რომელთაც ეცოდინებათ, რომ სოციალური მიმართულებით წინსვლა აღზრდისგან ადამიანის ინტიმურ წვდომას მოითხოვს. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ სწორედ მომავლის აღმზრდელი და მასწავლებელი უნდა სწვდეს ადამიანის ბუნების უშინაგანესს, რომ ადამიანის ბუნების ამ უშინაგანესთან ერთად უნდა ვიცხოვროთ და რომ დაუშვებელია სწავლებისას ჩვეულებრივი ურთიერთკავშირების გამოყენება, როგორც მათ ადგილი აქვთ მოზრდილებს შორის. ვინაიდან რა ნებავთ ჩვეულებრივ მარქსისტებს? მათ სურთ სკოლის სოციალისტურად ფორმირება, სურთ რექტორატის გაუქმება, მის ადგილას კი არაფერს აყალიბებენ, სურთ აღზრდისას ბავშვები თავიანთ ნებაზე მიუშვან. აქედან საზარელი რამ გამოვა!

ერთხელ ჩვენ ვიყავით სოფლის სკოლა-ინტერნატში და გვინდოდა დავსწრებოდით რელიგიის, ამ უზენაესი საგნის, გაკვეთილს. ჩვენ შევედით საკლასო ოთახში. იქ ფანჯრის რაფაზე ერთი ბიჭუნა იჯდა და ფეხებით ფანჯარას მიყრდნობოდა; მეორე ძირს ჩაცუცქულიყო; მესამე სადღაც მუცელზე იწვა და თავი წამოეწია. დაახლოებით ასე იყო განლაგებული ოთახში ყველა მოწაფე. შემდეგ შემოვიდა ე.წ. რელიგიის მასწავლებელი და რაიმე განსაკუთრებული შესავლის გარეშე ხმამაღლა წაიკითხა გოტფრიდ კელერის თხზულება. მის კითხვას მოწაფეები ყველანაირ ზუზუნს აყოლებდნენ თან. და როცა მან მოამთავრა კითხვა, რელიგიის გაკვეთილიც დამთავრდა და ყველა თავისუფალი იყო. ამის განცდისას ჩემში

აღმოცენდა ხატი, რომ სოფლის ამ სკოლის ახლოს იყო ფარეხი და მისგან რამოდენიმე ნაბიჯის დაშორებით ცხოვრობდნენ სკოლის ეს მოწაფეები. — რასაკვირველია, ასეთი რაღაცეები არ უნდა გავიცხოთ მკაცრად. ბევრი კეთილი ნება უდევს ამას საფუძვლად, მაგრამ ესაა სრული უმეცრება იმისა, რაც მომავლის კულტურისთვის არის საჭირო.

რა სურთ დღესდღეობით ე.წ. სოციალისტური პროგრამების თანახმად? — სურთ, ბავშვებს ნება მისცენ, ერთმანეთთან ისეთი ურთიერთობა ჰქონდეთ, როგორც ეს ზრდასრულებისთვისაა ჩვეული. მაგრამ ეს ყველაზე უფრო ყალბი რამაა, რისი გაკეთებაც შეიძლება აღზრდისას. უნდა აცნობიერებდნენ, რომ ბავშვებმა სულ სხვა მშვინვიერი და სხეულებრივი ძალები უნდა განავითარონ, ვიდრე მოზრდილებმა ერთმანეთთან ურთიერთობისას. ამგვარად, აღზრდა-განათლებას უნდა შეეძლოს მიუდგეს იმას, რაც ღრმად სამშვინველში ზის; სხვანაირად წინ ვერ წავალთ. ამიტომაც უნდა ვიკითხოთ: აღზრდა-განათლებიდან რა ზემოქმედებს ადამიანის ნებელობით ბუნებაზე? — ერთხელაც სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ ამ საკითხზე.

თუ გუშინ ნათქვამზე იფიქრებთ, გაგახსენდებათ: ყოველივე ინტელექტუალური არის უკვე დაბერებული ნება, არის ასაკოვანი ნება. ამდენად, ყველა სახის ჩვეულებრივი განსჯითი სწავლება, ყველა ჩვეულებრივი შეგონება, ყველაფერი, რისი ცნებებში მოქცევაც ხდება აღზრდისას, სულაც არ მოქმედებს ბავშვზე იმ ასაკში, როდესაც აღზრდა ხდება. მოდით, კიდევ ერთხელ შევაჯამოთ ყოველივე, რათა ვიცოდეთ: გრძნობა არის ქმნადი, ჯერ არქმნილი ნება; მაგრამ ნებაში მთელი ადამიანი ცხოვრობს, ასე რომ ბავშვთანაც ანგარიში უნდა გავუწიოთ ქვეცნობიერ გადაწყვეტილებებს. ოღონდ უნდა ვერიდოთ რწმენას, რომ იმით, რაც ჩვენი აზრით, კარგად მოვიფიქრეთ, ჩვენ ვზემოქმედებთ ბავშვის ნებაზე. ჩვენ უნდა ვიკითხოთ: როგორ შეგვიძლია კარგი ზეგავლენა ვიქონიოთ ბავშვის გრძნობების ბუნებაზე? ჩვენ ეს მხოლოდ განმეორე-

ბადი ქმედების საშუალებით შეგვიძლია. ნებელობით იმპულსზე სწორი ზემოქმედების მოხდენა შეიძლება არა იმით, რომ ერთხელ ეტყვით ბავშვს, თუ რა არის სწორი, არამედ იმით, რომ დღეს, ხვალ და ზეგ რაღაცას გააკეთებინებთ. მართებული ის კი არაა, შეგონებები, ზნეობრივი წესები მიაწოდოთ ბავშვს, არამედ მიმართოთ იგი იმისკენ, რაც, თქვენი აზრით, გამოაღვიძებს ბავშვში მართებულის გრძნობას და გაამეორებინოთ ეს. ამგვარი ქცევა ჩვევამდე უნდა აამაღლოთ. რაც მეტად დარჩება ეს არაცნობიერ ჩვევად, მით უკეთესია გრძნობის განვითარებისათვის; რაც უფრო აცნობიერებს ბავშვი, რომ თავდავიწყებით უნდა გაიმეოროს მოქმედება, ვინაიდან იგი შესრულებულ უნდა იქნეს, მით უფრო აამაღლებთ თქვენ მას ჭეშმარიტ ნებელობით იმპულსამდე. ამგვარად, არაცნობიერი განმეორება ახდენს გრძნობის კულტივირებას; სრული ცნობიერებით განმეორება კი ახდენს საკუთრივ ნებელობითი იმპულსის კულტივირებას, რადგანაც ამით იზრდება გადაწყვეტილების ძალა. ხოლო გადაწყვეტილების ძალა, რომელიც სხვა შემთხვევაში ქვეცნობიერში რჩება, სტიმულირდება იმით, რომ ბავშვს ცნობიერად ამეორებინებთ რაღაცას. ამგვარად, ნების კულტურასთან დაკავშირებით არ უნდა მივსდიოთ იმას, რაც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ინტელექტუალურ ცხოვრებაში. ინტელექტუალურ ცხოვრებაში მუდამ ანგარიშს ვუწევთ შემდეგს: ბავშვს ვაწოდებთ რაიმეს და რაც უფრო კარგად სწვდება იგი ამას, მით უმჯობესია. ერთჯერად მიწოდებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ; ამ დროს უნდა მხოლოდ შეამჩნიო, დაიხსომო მოწოდებული. მაგრამ ამგვარად ერთხელ მოცემული და დახსომებული არ მოქმედებს გრძნობაზე და ნებაზე; გრძნობაზე და ნებაზე მოქმედებს ის, რაც კვლავ და კვლავ კეთდება და რისი გაკეთებაც მოცემულ პირობებში სწორად ითვლება.

ადრინდელი, აღზრდის უფრო გულუბრყილო პატრიარქალური ფორმები ასევე გულუბრყილო პატრიარქალურად იყენებდა ამას. ეს უბრალოდ ცხოვრებისეული ჩვევა იყო.

ყოველივე იმას, რაც ამგვარად გამოიყენებოდა, სწორი პედაგოგიური საფუძველი აქვს. რატომ ლოცულობდნენ, მაგ., ყოველ დღე ერთსა და იმავე „მამაო ჩვენოს"? იძულებული რომ ყოფილიყო ყოველდღე ერთი და იგივე ამბავი წაეკითხა, დღევანდელი ადამიანი არ გააკეთებდა ამას, მისთვის ეს მოსაწყენი იქნებოდა. დღევანდელი ადამიანი ერთჯერადობაზეა გაწვრთნილი. ადრინდელი ადამიანები კი ჯერაც მომსწრენი იყვნენ არა მარტო იმისა, რომ ერთი და იგივე „მამაო ჩვენო" უნდა ელოცათ ყოველდღე, არამედ მათ აგრეთვე ჰქონდათ მოთხრობების წიგნი, რომელსაც კვირაში ერთხელ მაინც წაიკითხავდნენ ხოლმე. ამის წყალობით ისინი ნებელობის მხრივაც უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრე ის ადამიანები, დღევანდელ აღზრდას რომ გადიან; ვინაიდან ნების კულტურა განმეორებასა და ცნობიერ განმეორებას ეფუძნება. ეს უნდა გავითვალისწინოთ. ამიტომაც არაა საკმარისი აბსტრაქტულად თქმა იმისა, რომ საჭიროა ნების აღზრდაც. რადგანაც ამ დროს ეგონებათ, რომ ნების აღზრდას ხელს უწყობენ, როდესაც ნებელობის აღზრდის შესახებ კარგი იდეები აქვთ და რომელიმე დახვეწილი მეთოდების საშუალებით აწვდიან მათ ბავშვს. სინამდვილეში კი ეს არაფრად გამოდგება. მხოლოდ სუსტი, ნერვიული ადამიანები გამოვლენ ისინი, ვისაც სურთ მორალური შეგონებანი უკითხონ. შინაგანად ძლიერნი კი მაშინ გახდებიან ადამიანები, როდესაც ბავშვებს ეტყვიან, მაგ.: დღეს შენ ამას გააკეთებ, შენ კი ამას და ორივენი ამასვე გააკეთებთ ხვალაც და ზეგაც. — ამას ისინი ავტორიტეტის ძალით გააკეთებენ, რადგანაც ესმით, რომ ვინმე უნდა ბრძანებებს იძლეოდეს სკოლაში. ასე რომ: ყოველი ბავშვისთვის ყოველი დღისათვის გამოიძებნოს გარკვეული მოქმედება, რომელიც შემდეგ ყოველდღე, შესაბამის პირობებში კი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შესრულდება — ესაა ის, რაც მეტად ძლიერად მოქმედებს ნების ფორმირებაზე. პირველ რიგში იგი ამყარებს კონტაქტს მოსწავლეებს შორის; გარდა ამისა, ის აძლიერებს მასწავლებლის ავტორიტეტს და რთავს

ადამიანებს განმეორებად მოღვაწეობაში, რაც ძლიერად ზემოქმედებს ნებაზე.

რატომ მოქმედებს სრულებით განსაკუთრებულად მხატვრული ელემენტი ნების ფორმირებაზე? იმიტომ, რომ ვარჯიშისას იგი, პირველ ჯოვლისა, ეფუძნება განმეორებას, მეორეც, იმიტომ, რომ ის, რასაც ადამიანი მხატვრულად აითვისებს, მუდამ სიხარულს ანიჭებს მას. მხატვრულით ჩვენ კვლავ და კვლავ ვტკბებით და არა მხოლოდ პირველ ჯერზე. მას აქვს უნარი, არა მარტო ერთხელ აღაფრთოვანოს ადამიანი, არამედ სულ მუდამ ახარებდეს მას. ამიტომაც ვუკავშირებთ ჩვენ მხატვრულ ელემენტს იმას, რისი გაკეთებაც გვსურს სწავლებისას. ამაზე ხვალ გავაგრძელებთ საუბარს.

დღეს კი მინდოდა მეჩვენებინა, რომ ნების ფორმირებაზე სხვაგვარად უნდა ვიმოქმედოთ, ვიდრე ინტელექტუალურის ჩამოყალიბებაზე.

მეხუთე ლექცია

შტუტგარტი, 26 აგვისტო, 1919 წელი

გუშინ ვისაუბრეთ ნების არსზე, რამდენადაც ნება ადამიანის ორგანიზმშია ჩართული. ახლა კი გვსურს ნების მიმართება ადამიანთან, რაც უკვე შევიცანით, ნაყოფიერი გავხადოთ ადამიანის დანარჩენი არსების შესახებ შეხედულებისათვის.

თქვენ შეამჩნევდით, რომ აქამდე ადამიანის არსების განხილვისას ძირითადად ყურადღებას ვამახვილებდი, ერთი მხრივ, ინტელექტუალურ, შემეცნებით აქტივობაზე და მეორე მხრივ, ნებელობითზე. ისიც გაჩვენეთ, რომ შემეცნებითი აქტივობა ადამიანის ნერვულ არსებასთან არის დაკავშირებული, ნების სიმტკიცე კი სისხლის აქტივობასთან. თუ დაფიქრდებით ყოველივე ამაზე, დაგებადებათ კითხვა: რა ითქმის სამშვინველის მესამე უნარზე — გრძნობის აქტივობაზე? იგი აქამდე თითქმის არ გაგვითვალისწინებია. მაგრამ სწორედ იმით, რომ ამჯერად ყურადღებას გრძნობის აქტივობას დავუთმობთ, მოგვეცემა შესაძლებლობა, უფრო ინტენსიურად ჩავწვდეთ ადამიანის ბუნების ორივე მხარეს, შემეცნებითსა და ნებელობითს.

ოღონდ ჯერ ერთი რამ ცხადი უნდა გახდეს ჩვენთვის, რაც სხვადასხვა შემთხვევებისას უკვე მიხსენებია. შეუძლებელია მშვინვიერი უნარები ასე პედანტურად ჩავამწკრივოთ ერთმანეთის გვერდით: აზროვნება, გრძნობა, ნებელობა — ვინაიდან ცოცხალ სამშვინველში ერთი აქტივობა მუდამ მეორეში გადადის.

აბა, განიხილეთ, ერთი მხრივ, ნება. იცოდეთ, რომ თქვენ ვერ ინებებდით იმას, რასაც არ განმსჭვალავდით წარმოდგენით ანუ შემეცნებითი აქტივობით. შეეცადეთ, თუნდაც ზედაპირული თვითდაკვირვებით, ნებელობაზე მოახდინოთ კონცენტრაცია. თქვენ ყოველთვის აღმოაჩენთ: ნებელობით აქტში მუდამ რაიმენაირად წარმოდგენაა ჩართული. თქვენ ვერ

იქნებოდით ადამიანი, თქვენს ნებელობით აქტში წარმოდგენა რომ არ გქონოდათ. თქვენ ბრმად, ინსტინქტურად შეასრულებდით ყოველივეს, რაც თქვენი ნებიდან მოედინება, წარმოდგენითი აქტივობით რომ არ განგემსჭვალათ თქვენი ნებიდან აღმოცენებული მოქმედება.

ისევე როგორც ყოველ ნებელობით ქმედებაში არის ჩართული წარმოდგენა, ასევე ნება არის ჩართული აზროვნებაში. კვლავ ზედაპირული თვითდაკვირვებაც კი ნათელყოფს, რომ აზროვნებისას აზრთა სურათ-ხატებში მუდმივად ჩაედინება ნება. თქვენს მიერ აზრის ფორმირება, ერთი აზრის მეორესთან დაკავშირება, მსჯელობაზე და დასკვნაზე გადასვლა, ყველაფერი ეს განმსჭვალულია ფაქიზი ნებელობითი აქტივობით.

ამიტომ ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვთქვათ: ნებელობითი აქტივობა უპირატესად არის ნებელობითი აქტივობა, მაგრამ აზროვნების აქტივობის ნაკადსაც შეიცავს; აზროვნების აქტივობა უპირატესად არის აზროვნების აქტივობა, მაგრამ ნებელობითი აქტივობის ნაკადსაც შეიცავს. ამგვარად, პედანტურად გვერდ-გვერდ დალაგება უკვე ცალკეული მშვინვიერი აქტივობების დაკვირვებისთვისაა შეუძლებელი, ვინაიდან ერთი აქტივობა მეორეში გადაედინება.

რასაც სამშვინველისათვის იმეცნებთ — მშვინვიერ აქტივობათა ერთმანეთში გადასვლა —, ამას სხეულში გამოხატულსაც ხედავთ, სადაც მშვინვიერი აქტივობა ვლინდება. განიხილეთ, მაგ., ადამიანის თვალი. თუ მას მთლიანობაში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ თვალში გაგრძელებას პოვებს ნერვები; მაგრამ თვალში სისხლძარღვებიც გრძელდება. იმის წყალობით, რომ ნერვები ადამიანის თვალში გრძელდება, მასში ჩაედინება აზრისმიერი, შემეცნებითი აქტივობა; ხოლო იმის მეოხებით, რომ თვალში სისხლძარღვები გრძელდება, მასში ნებელობითი აქტივობა ჩაედინება. ამდენად, გარე გრძნობების აქტივობის პერიფერიის ჩათვლით სხეულში ურთიერთდაკავშირებულია ნებელობისმიერი და წარმოდგენის ანუ შემეცნებისმიერი. ეს ეხება ყველა გარე გრძნობას და აგრეთვე კი-

დურებს, რომელნიც ნებელობას ემსახურებიან: ჩვენს ნებელობაში, ჩვენს მოძრაობებში ნერვების საშუალებით მიედინება შემეცნებისმიერი, სისხლძარღვების საშუალებით კი ნებელობისმიერი.

ახლა უნდა გავეცნოთ შემეცნებითი აქტივობის განსაკუთრებულ სახეობას. ჩვენ უკვე მივუთითეთ ამაზე, მაგრამ ჩვენ სრულად უნდა გავაცნობიეროთ, თუ რასთანა გვაქვს საქმე ადამიანის აქტივობის მთელ ამ კომპლექსში, რომელიც შემეცნებითის, წარმოდგენითისკენ არის მიქცეული. როგორც უკვე ვთქვით, შემეცნებაში, წარმოდგენაში ანტიპათია ცხოვრობს. რა უცნაურიც უნდა იყოს, ყოველივე, რაც წარმოდგენისკენ იხრება, ანტიპათიითაა გამსჭვალული. თქვენ იტყვით: როცა კი რაიმეს ვუცქერ, ამ ცქერისას სულაც არ ვახორციელებ ანტიპათიას! — დიახაც, ახორციელებთ! თქვენ ახორციელებთ ანტიპათიას, როდესაც უყურებთ საგანს. თქვენს თვალში რომ მხოლოდ ნერვულ მოქმედებას ჰქონდეს ადგილი, მაშინ ყველი საგანი, რომელსაც თვალს შეავლებდით, საძულველი, ანტიპათიური იქნებოდა თქვენთვის. მხოლოდ იმის შედეგად, რომ თვალის აქტივობაში ნებელობითი აქტივობაც ჩაიღვრება, რომელიც სიმპათიაში მდგომარეობს, იმის შედეგად, რომ თქვენს თვალში სხეულებრივად ვრცელდება სისხლისმიერი, მხოლოდ ამითი ქრება თქვენი ცნობიერებისათვის ანტიპათიის შეგრძნება. გრძნობადი ხედვისას და სიმპათია-ანტიპათიის გათანაბრების გზით გამოიწვევა მხედველობის ობიექტური, გულგრილი აქტი. იგი გამოიწვევა იმით, რომ სიმპათია და ანტიპათია წონასწორდება და მათი ეს ურთიერთქმედება სულაც არ ცნობიერდება ჩვენს მიერ.

თუ შეისწავლით გოეთეს ფერთა მოძღვრებას, რომელსაც ამ კონტექსტში ერთხელ უკვე მივაპყარი ყურადღება, კერძოდ, მის ფიზიოლოგიურ-დიდაქტიკურ ნაწილს, მაშინ ნახავთ: ვინაიდან *გოეთე* ღრმად ჩაწვდა მხედველობის აქტივობას, მისი დაკვირვებებისას ფერთა ნიუანსებში სწორედ სიმპათიური და ანტიპათიური გამოვლინდა. გრძნობის ორგანოს მოქმედებაში

ოდნავ შეღწევისასაც კი შეგრძნებათა აქტივობაში სიმპათიურსა და ანტიპათიურს აღმოაჩენთ. გრძნობად მოქმედებაში ანტიპათიური საკუთრივ შემეცნებითი ნაწილიდან, წარმოდგენითი ნაწილიდან, ნერვული ნაწილიდან წარმოდგება, ხოლო სიმპათიური წარმოდგება საკუთრივ ნების, სისხლის ნაწილიდან.

არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც ხშირად აღმინიშნავს ზოგად ანთროპოსოფიულ ლექციებშიც, ცხოველისა და ადამიანის თვალის აგებულებას შორის. მეტად სახასიათოა, რომ ცხოველის თვალში სისხლის ბევრად უფრო მეტ აქტივობას აქვს ადგილი, ვიდრე ადამიანისაში. გარკვეულ ცხოველებთან ორგანოებსაც კი ვნახულობთ, რომელნიც სისხლის ამ აქტივობას ემსახურებიან, მაგ., „მახვილისებრი წანაზარდი" ანდა „მარაო". აქედან შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ ცხოველი სისხლის ბევრად უფრო მეტ აქტივობას აგზავნის თვალში — და იგივე ითქმის სხვა შეგრძნებებზე —, ვიდრე ადამიანი. ეს ნიშნავს, რომ ცხოველი თავის შეგრძნებებში გარე სამყაროსადმი გაცილებით მეტ სიმპათიას, ინსტინქტურ სიმპათიას ავითარებს, ვიდრე ადამიანი. სინამდვილეში ადამიანს გარე სამყაროსადმი მეტი ანტიპათია გააჩნია, ვიდრე ცხოველს, მაგრამ ჩვეულებრივი ცხოვრებისას იგი არ ცნობიერდება. ცნობიერდება ის მხოლოდ მაშინ, როდესაც გარე სამყაროს ხედვა ძლიერდება ისეთ შთაბეჭდილებამდე, რომელზეც ჩვენ ზიზღით ვრეაგირებთ. ეს მხოლოდ გაძლიერებული შთაბეჭდილებაა ყველა გრძნობადი აღქმისა: თქვენ ზიზღით რეაგირებთ გარე შთაბეჭდილებაზე. როცა მიდიხართ ისეთ ადგილას, სადაც მყრალი სუნი დგას და ამ დროს შეიგრძნობთ ზიზღს, მაშინ ზიზღის ეს შეგრძნება სხვა არაფერია, თუ არა გაძლიერება იმისა, რასაც ყოველი გრძნობადი აქტივობისას აქვს ადგილი, ოღონდ ჩვეულებრივი შეგრძნებისას ზიზღის მიერ მისი თანხლება ცნობიერების ზღურბლს ქვევით რჩება. მაგრამ ჩვენ, ადამიანებს, რომ არ გვქონოდა ცხოველებზე მეტი ანტიპათია გარე სამყაროსადმი, მაშინ ისე ძლიერად ვერ გამოვეყოფოდით ჩვენს გარემოს, როგორც ამას ფაქტო-

ბრივად ვაკეთებთ. ცხოველს ადამიანზე ბევრად მეტი სიმპათია გააჩნია გარემოსადმი, ამდენად, ბევრად უფრო შეზრდილია მასთან და ამიტომაც გაცილებით უფრო დამოკიდებულია კლიმატზე, წელიწადის დროებზე და ა.შ. იმის გამო, რომ ადამიანს ბევრად მეტი ანტიპათია გააჩნია გარემოსადმი, იგი პიროვნება არის. ჩვენს გამოცალკევებულ პიროვნებისეულ ცნობიერებას იწვევს ის გარემოება, რომ ჩვენ შეგვიძლია გარემოსაგან გამოცალკევება ანტიპათიის საშუალებით, რომელიც ცნობიერების ზღურბლს ქვევით იმყოფება.

მაგრამ ამით ჩვენ იმაზეც მივუთითეთ, რასაც ადამიანის წვდომაში მეტად არსებითი წვლილი შეაქვს. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს შემეცნებით ანუ წარმოდგენით აქტივობაში: აზროვნება – ნერვული მოქმედება, სხეულებრივად გამოხატული, და ნებელობა – სისხლის მოქმედება, სხეულებრივად გამოხატული.

მაგრამ ნებელობით მოღვაწეობაშიც ერწყმის ერთმანეთს წარმოდგენითი და საკუთრივ ნებელობითი აქტივობა. ყოველთვის, როცა კი რაიმე გვნებავს, ვავითარებთ სიმპათიას მონდომებულისადმი. მაგრამ ეს მთლიანად ინსტინქტურ ნებელობად დარჩებოდა, რომ არ შეგვძლებოდა ნებელობისეული სიმპათიისკენ წარგზავნილი ანტიპათიის საშუალებით როგორც პიროვნება გავმიჯნოდით მოქმედებას, იმას, რაც ვინებეთ. მონდომებულისადმი სიმპათია სჭარბობს და მისი გაწონასწორება ხდება იმით, რომ ჩვენ ანტიპათიაც შემოგვაქვს. მაგრამ ამით სიმპათია ცნობიერების ზღურბლს ქვევით რჩება და მხოლოდ ცოტაოდენი რამ თუ აღწევს მისგან იმაში, რაც ვინებეთ. მხოლოდ არც თუ ისე მრავალრიცხოვანი მოქმედებებისას, რომელთაც ვასრულებთ არა უბრალოდ გონებიდან გამომდინარე, არამედ ჭეშმარიტი შთაგონებით, თავგაღებით, სიყვარულით, მხოლოდ ამ დროს გადასწონის ნებელობაში სიმპათია იმდენად ძლიერად, რომ ჩვენი ცნობიერების ზღურბლს გადააბიჯებს და ჩვენი ნებელობა სიმპათიით გაჟღენთილად გვევლინება, მაშინ როცა სხვა შემთხვევაში იგი

როგორც ობიექტური რამ გვაკავშირებს გარემოსთან და ასეთად განგვიცხადებს თავს. ზუსტად ისევე, როგორც მხოლოდ გამონაკლისის სახით და არა ყოველთვის, შეუძლია გარე სამყაროსადმი ჩვენს ანტიპათიას შემეცნებისას შემოვიდეს ცნობიერებაში, ასევე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, შთაგონებისას, თავგაღებული სიყვარულისას, შეუძლია გარე სამყაროსადმი ჩვენში მუდმივად არსებულ სიმპათიას ცნობიერებაში შემოსვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერს ინსტინქტურად განვახორციელებდით. ჩვენ ვერასოდეს შევძლებდით ჩავრთულიყავით იმაში, რასაც სამყარო ჩვენგან ობიექტურად მოითხოვს, მაგ., სოციალური ცხოვრებისას. ჩვენ აზროვნებით უნდა შევაღწიოთ ნებელობაში, რათა ამ უკანასკნელმა ჩაგვრთოს მთლიან კაცობრიობაში და სამყაროს პროცესში, როგორც ასეთში.

ალბათ, შეძლებთ გაერკვიოთ იმაში, რაც აქ ხდება, თუკი დაფიქრდებით იმაზე, თუ რა გაპარტახებას ექნებოდა ადგილი ადამიანის სამშვინველში, ჩვეულებრივ ცხოვრებაში რომ ცნობიერდებოდეს ყოველივე ის, რაზეც ახლა ვისაუბრე. ჩვეულებრივი ცხოვრებისას ადამიანის სამშვინველში განუწყვეტლივ რომ ცნობიერდებოდეს ეს ვითარება, მაშინ ადამიანი გააცნობიერებდა იმ ანტიპათიას, რომელიც თან ახლავს ყველა მის ქმედებას. ეს საშინელება იქნებოდა! ადამიანი ივლიდა ამქვეყნად და გამუდმებით ანტიპათიის ატმოსფეროში იგრძნობდა თავს. სამყარო ბრძნულადაა მოწყობილი, რამდენადაც ანტიპათია, რომელიც როგორც ძალა აუცილებელია ჩვენი მოქმედებისთვის, ვერ ცნობიერდება ჩვენს მიერ და ცნობიერების ზღურბლს ქვევით რჩება.

ახლა ჩახედეთ ადამიანის ბუნების, ვიტყოდი, საოცარ მისტერიას, მისტერიას, რომელსაც, ფაქტობრივად, ყოველი რჩეული კაცი შეიგრძნობს, მაგრამ რომელიც ბოლომდე უნდა გააცნობიეროს აღმზრდელმა და მასწავლებელმა. ბავშვობისას ჩვენ მეტ-ნაკლებად მხოლოდ სიმპათიიდან ვმოქმედებთ. შეიძლება უცნაურად ეღერდეს, მაგრამ ყველაფერი, რასაც ბავშვი

აკეთებს – მაშინაც კი, როდესაც მრისხანებს –, სრულდება ამ კეთებისა და მრისხანებისადმი სიმპათიიდან გამომდინარე. როდესაც ამქვეყნად სიმპათია იბადება, იგი ძლიერ სიფარულს, ძლიერ ნებელობას წარმოადგენს. მაგრამ მას არ შეუძლია ასეთად დარჩენა, იგი უნდა განიმსჭვალოს წარმოდგენით, უნდა გარკვეულწილად განუწყვეტლივ გაცისკროვნებულ იქნეს წარმოდგენით. ეს ხდება ყოვლისმომცველი გზით, როცა კი ჩვენს ცარიელ ინსტინქტებში იდეალებს, მორალურ იდეალებს ვრთავთ. ახლა თქვენ უკეთ გაიგებთ, თუ რას ნიშნავს ანტიპათია ამ სფეროში. ინსტინქტური იმპულსები, რომელთაც პატარა ბავშვში ვამჩნევთ, მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე რომ მხოლოდ სიმპათიური დარჩენილიყო, როგორც ეს ბავშვშია, მაშინ ჩვენი ინსტინქტების ზეგავლენით ცხოველურ დონეზე განვვითარდებოდით. ეს ინსტინქტები ჩვენთვის ანტიპათიური უნდა გახდეს, ჩვენ მათში ანტიპათია უნდა ჩავღვაროთ. და როდესაც ანტიპათიას ვღვრით მათში, ამას ვაკეთებთ ჩვენი მორალური იდეალების დახმარებით, რომელთათვისაც ინსტინქტები ანტიპათიური არის და რომელთაც პირველ რიგში დაბადებიდან გარდაცვალებამდელ ცხოვრებაში ინსტინქტების ბავშვურ სიმპათიაში ანტიპათია შეაქვთ. ამიტომაცაა მორალური განვითარება მუდამ რამდენადმე ასკეტური. ოღონდ ეს ასკეტურობა სწორად უნდა იყოს გაგებული. იგი მუდამ ვარჯიში არის ცხოველურის დაძლევაში.

ფელაფერმა ამან უნდა გვასწავლოს, რომ ნებელობა არა მარტო ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიხატება, არამედ იგი მთლიანად არის განმსჭვალული წარმოდგენით, შემეცნებითი აქტივობით.

შემეცნებას, აზროვნებას და ნებელობას შორის კი იმყოფება ადამიანის გრძნობების აქტივობა. თუ წარმოიდგენთ იმას, რაც ახლა წარმოგიდგინეთ როგორც ნებელობა და აზროვნება, მაშინ შეგეძლებათ თქვათ: გარკვეული შუალედური საზღვრიდან ერთ მხარეს მიედინება ყოველივე ის, რაც სიმპათია არის: ნებელობა; მეორე მხარეს კი მიედინება ყოვე-

ლივე, რაც ანტიპათია არის: აზროვნება. მაგრამ ნებელობის სიმპათია უკუზემოქმედებს აზროვნებაზე, აზროვნების ანტიპათია კი ზემოქმედებს ნებელობაზე. ამგვარად იქცევა ადამიანი ერთ მთლიანობად იმით, რომ ის, რაც ძირითადად ერთ მხარეს ვითარდება, მეორე მხარეზეც ზემოქმედებს. მათ შორის, აზროვნებასა და ნებელობას შორის, კი იმყოფება გრძნობა, ისე რომ იგი, ერთი მხრივ, აზროვნების მონათესავეა, მეორე მხრივ, კი ნებელობისა. როგორც მთელ ადამიანურ სამშვინველში ვერ გამიჯნავთ მკვეთრად შემეცნებით ანუ აზროვნების აქტივობასა და ნების აქტივობას, ასევე უფრო ნაკლებად შეგიძლიათ გამიჯნოთ გრძნობაში აზროვნების ელემენტი ნების ელემენტისგან. გრძნობაში ერთმანეთს ძალზე მჭიდროდ ერწყმის ნებისა და აზროვნების ელემენტები.



აქაც ზედაპირული თვითდაკვირვებითაც კი შეგიძლიათ დარწმუნდეთ ზემოთქმულის მართებულობაში. უკვე აქამდე ნათქვამსაც მიყვეხართ ამ მართებულობის ხედვამდე, ვინაიდან მე ხომ გითხარით: ნებელობა, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ობიექტურად მიმდინარეობს, ძლიერდება ენთუზიაზმიდან, სიყვარულიდან გამომდინარე ქმედებამდე. ამ დროს საკუთარი ცხადად ხედავთ გრძნობით გამსჭვალულ ნებელობას, რომელიც სხვა შემთხვევაში გარეგანი ცხოვრების აუცილებლობით აღმოცენდება. როდესაც რაიმეს ენთუზიაზმით ანდა სიყვარულით აკეთებთ, მაშინ აკეთებთ ნებიდან მომდინარეს, რომელსაც

სუბიექტური გრძნობით განმსჭვალავთ. მაგრამ გარე გრძნობების აქტივობაშიც შეგიძლიათ დაინახოთ, თუ ზუსტად დააკვირდებით — კერძოდ, გოეთეს ფერთა მოძღვრების დახმარებით —, თუ როგორ შემოდის გრძნობა გარე გრძნობათა აქტივობაში. და როდესაც ეს უკანასკნელი ზიზღამდე ძლიერდება ანდა ყავილის სასიამოვნო სურნელების შესრუტვამდე, მაშინ გარე გრძნობების აქტივობაში გრძნობის აქტივობა გადმოედინება.

მაგრამ გრძნობის აქტივობა აზროვნების აქტივობაშიც ჩაედინება. ერთხელ ჰაიდელბერგში ადგილი ჰქონდა მეტად ღირსშესანიშნავ, გარეგნულად მაინც, ფილოსოფიურ ორთაბრძოლას — მსოფლმხედველობის ისტორიაში ხომ ბევრი ფილოსოფიური დავა არსებობს — ფსიქოლოგ *ფრანც ბრენტანოსა* და ლოგიკის სპეციალისტ *ზიგვარტს* შორის. ორივე ბატონი ერთმანეთს ედავებოდა იმაზე, თუ რას წარმოადგენს ადამიანის მსჯელობის აქტი. ზიგვარტი თვლიდა: როდესაც ადამიანი მსჯელობს, ვთქვათ, გააჩნია მსჯელობა: ადამიანი უნდა იყოს კეთილი, — მაშინ ასეთი მსჯელობისას მუდამ გრძნობაც მეტყველებს; გადაწყვეტილებას იღებს გრძნობა. ბრენტანოს კი მიაჩნდა: მსჯელობისა და გრძნობის აქტები, რომელნიც სამშვინველის მოძრაობებს წარმოადგენენ, იმდენად ურთიერთგანსხვავებული არის, რომ შეუძლებელი იქნებოდა მსჯელობის ფუნქციის, მსჯელობის აქტის წვდომა, თუ გვეგონებოდა, რომ აქ გრძნობა მოქმედებს. მისი აზრით, ამით მსჯელობაში სუბიექტური რამ შემოვიდოდა, მაშინ როცა ჩვენს მსჯელობას სურს, ობიექტური იყოს.

ამგვარი დავა მხოლოდ იმას უჩვენებს, რომ ვერც ფსიქოლოგები და ვერც ლოგიკის სპეციალისტები ვერ მივიდნენ იქამდე, სადაც ჯერ არს: სამშვინველის აქტივობათა ურთიერთშერწყმამდე. აბა, გაიაზრეთ, თუ რას უნდა დავაკვირდეთ აქ. ერთი მხრივ, გვაქვს მსჯელობის უნარი, რომელმაც, ბუნებრივია, გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს სრულიად ობიექტური რაღაცის შესახებ. ადამიანი რომ უნდა კეთილი იყოს, ეს არ უნდა იყოს დამოკიდებული ჩვენს სუბიექტურ

გრძნობაზე. ამგვარად, მსჯელობის შინაარსი ობიექტური უნდა იყოს. მაგრამ მსჯელობისას სხვა რამეც არის გასათვალისწინებელი. ობიექტურად სწორი მოვლენები თავიანთი სისწორის გამო ჯერ კიდევ არაა ცნობიერი ჩვენი სამშვინველისთვის. ჩვენ ისინი ჯერ ცნობიერნი უნდა გავხადოთ სამშვინველში. ხოლო გრძნობისმიერი აქტივობის თანამოქმედების გარეშე ჩვენთვის ვერც ერთი მსჯელობა ცნობიერი ვერ გახდება. ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ ბრენტანო და ზიგვარტი უნდა შეთანხმებულიყვნენ შემდეგზე: დიახ, მსჯელობის ობიექტური შინაარსი გრძნობისმიერი აქტივობის მიღმა იმყოფება; მაგრამ ადამიანის სუბიექტურ სამშვინველში მსჯელობის სისწორის შესახებ დარწმუნებულობა რომ აღმოცენდეს, ამისათვის გრძნობის აქტივობა უნდა განხორციელდეს.

აქედან ხედავთ, თუ რა ძნელია ზუსტ ცნებებამდე მისვლა უზუსტო ფილოსოფიური განაზრებებისას, როგორც მათ ამჟამად აწარმოებენ. ამგვარ ზუსტ ცნებებამდე ჩვენ უნდა ავმაღლდეთ, ხოლო დღესდღეობით ზუსტი ცნებების გამოსამუშავებლად არ არსებობს სხვა საშუალება გარდა სულისმეცნიერებისა. გარეგნულ მეცნიერებას მიაჩნია, რომ ფლობს ზუსტ ცნებებს და მეტად ქედმაღლურად დაჰყურებს იმას, რასაც ანთროპოსოფიული ორიენტაციის სულისმეცნიერება გვთავაზობს, ვინაიდან წარმოდგენაც არა აქვს, რომ ამ უკანასკნელის მიერ მოწოდებული ცნებები ბევრად უფრო ზუსტია სადღეისოდ მიღებულ ცნებებთან შედარებით, რადგანაც სინამდვილიდანაა გამოტანილი და არა ცარიელი სიტყვებით თამაშიდან.

თუ გრძნობისმიერ ელემენტს, ერთი მხრივ, შემეცნებითში, წარმოდგენითში გაჰყვებით, მეორე მხრივ, კი ნებელობისმიერში, მაშინ იტყვით: გრძნობა სამშვინველის შუალედური აქტივობის სახით იმყოფება შემეცნებასა და ნებელობას შორის და ორივე მიმართულებით განასხვავებს საკუთარ არსებას. – გრძნობა არც სრულად განხორციელებული შემეცნებაა და არც სრულიად განხორციელებული ნება; ის შეკავებული შე-

მეცნება და შეკავებული ნება არის. ამიტომაც არის გრძნობა სიმპათიისა და ანტიპათიისგან შედგენილი, რომელნიც, როგორც ნახეთ, იმალებიან როგორც შემეცნებაში, ისე ნებელობაში. ორივე, სიმპათიაც და ანტიპათიაც, არსებობს შემეცნებასა და ნებელობაში, როცა კი სხეულებრივად ურიერთქმედებს ნერვული და სისხლის აქტივობა, ოღონდ ისინი დაფარულნი არიან. გრძნობაში ისინი განცხადდებიან.

როგორ გამოიყურება გრძნობის სხეულებრივი განცხადებანი? ადამიანის სხეულში შეგიძლიათ ყველგან აღმოაჩინოთ, თუ როგორ ეხება გარკვეული სახით სისხლძარღვები ნერვებს. და ყველგან, სადაც კი სისხლძარღვები ნერვებს ეხება, აღმოცენდება საკუთრივ გრძნობა. ოღონდ, მაგ., გარე გრძნობებში როგორც ნერვი, ისე სისხლი იმდენად იხვეწება, რომ ჩვენ ველარ შევიგრძნობთ გრძნობას. მთელი ჩვენი მხედველობა და სმენა განმსჭვალულია ჩუმი გრძნობით, მაგრამ ჩვენ ვერ შევიგრძნობთ მას; ჩვენ მით უფრო ნაკლებად შევიგრძნობთ მას, რაც უფრო გამიჯნული, გამოცალკევებულია გრძნობის ორგანო დანარჩენი სხეულისაგან. მხედველობისას, თვალების აქტივობისას ჩვენ თითქმის სულ არ განვიცდით გრძნობისმიერ სიმპათია-ანტიპათიას, ვინაიდან ძვლების ღრმულებში ჩასმული თვალი თითქმის მთლიანადაა გამოცალკევებული დანარჩენი ორგანიზმისგან. ძალზე დახვეწილია ნერვები, რომელნიც თვალში ვრცელდებიან და ის სისხლძარღვებიც, რომლებიც თვალში განეფინებიან. გრძნობისმიერი შეგრძნება თვალში ძალზე ჩახშობილი არის. გრძნობისმიერი ნაკლებადაა ჩახშობილი სმენის გრძნობაში. სმენა მხედველობაზე ბევრად უფრო ორგანულადაა დაკავშირებული ორგანიზმის მთლიან მოქმედებასთან. იმის გამო, რომ ყურში მრავალი ორგანო არსებობს, რომელნიც სულ სხვაგვარადაა აგებული, ვიდრე თვალისა, ყური იმის სანდო ასახვას წარმოადგენს, რაც მთელ ორგანიზმში მიმდინარეობს. ამიტომაც ყურში მიმდინარე გრძნობად აქტივობას ძალზე ძლიერად ახლავს თან გრძნობების აქტივობა. იმასაც კი, ვინც კარგად იგებს მოსმენილს, უპირს გაარკვიოს, თუ

რა არის მოსმენილში, განსაკუთრებით კი მხატვრულში, მხოლოდ შემეცნება და რა – გრძნობისმიერი. ამას ეფუძნება ახალი დროის ერთი მეტად საინტერესო მოვლენა, რომელმაც უშუალოდ მხატვრულ შემოქმედებაშიც ითამაშა როლი.

თქვენ ყველა იცნობთ ბეკმესერის პერსონაჟს *რიჰარდ ვაგნერის* „მაისტერზინგერიდან". რა უნდა განესახიერებინა ბეკმესერს? მას უნდა განესახიერებინა მუსიკის აღმქმელი, რომელსაც სრულიად ავიწყდება, რომ სმენის აქტივობის შემეცნებისმიერში ადამიანის გრძნობისმიერი ელემენტიც მოქმედებს. ვაგნერი, რომელმაც საკუთარი გაგება ვალტერში წარმოადგინა, ასევე ცალმხრივად იყო განმსჭვალული იმ აზრით, რომ მუსიკალურში უმთავრესად გრძნობისმიერი უნდა ცოცხლობდეს. რაც არასწორი გაგებიდან გამომდინარე – ვგულისხმობ: ორივე არასწორი გაგებიდან – ერთმანეთს უპირისპირდება ვალტერსა და ბეკმესერში, საპირისპიროდ სწორი გაგებისა, რომლის თანახმად გრძნობისმიერი და შემეცნებისმიერი ურთიერთქმედებს მუსიკის მოსმენისას, ამან ისტორიულად შემდეგში იჩინა თავი: გახდა რა განთქმული, ვაგნერის ხელოვნებამ მოწინააღმდეგე პოვა ვენაში *ედუარდ ჰანსლიკის* სახით, რომელიც ყოველივე იმას, რაც ვაგნერის ხელოვნებაში გრძნობის სფეროში მოჩქეფს, არამუსიკალურად მიიჩნევდა. ალბათ, ცოტაა ხელოვნების სფეროში ფსიქოლოგიურად ისეთი საინტერესო ნაშრომი, როგორიცაა ედუარდ ჰანსლიკის „მუსიკალურად მშვენიერის შესახებ". აქ ძირითადად საუბარია იმაზე, რომ ჭეშმარიტი მუსიკოსი, ჭეშმარიტად მუსიკალური გრძნობის მქონე არ არის ის, ვისაც გრძნობისმიერიდან სურს შეიტანოს ყოველივე მუსიკაში, არამედ მხოლოდ იგია ნამდვილი მუსიკოსი, ვინც ტონთა ობიექტურ ურთიერთკავშირში ხედავს მუსიკალურის ნერვს – ყოველგვარი გრძნობისმიერისაგან დაცლილ არაბესკაში, სადაც ტონი ტონს უკავშირდება. გასაოცარი სისუფთავითაა ედუარდ ჰანსლიკის წიგნში „მუსიკალურად მშვენიერის შესახებ" ჩამოყალიბებული მოთხოვნა, რომ უმაღლესი მუსიკალურობა მხოლოდ ტონთა

აგებულებაში, ტონთა არაბესკაში უნდა მდგომარეობდეს და ყოველნაირადაა განქიქებული სწორედ ის, რაც ვაგნერიანობის ნერვს შეადგენს, ანუ მუსიკალურ ბგერათა შექმნა გრძნობის ელემენტიდან. ის, რომ შესაძლებელი იყო მუსიკალურ სფეროში წარმოშობილიყო ისეთი დავა, როგორსაც ადგილი ჰქონდა ჰანსლიკსა და ვაგნერს შორის, ასაბუთებს სწორედ იმას, რომ ახალ დროში ფსიქოლოგიურად სრულიად ბუნდოვანი იყო იდეები მშვინვიერი მოქმედებების შესახებ, თორემ ჰანსლიკისნაირი ცალმხრივი ტენდენცია საერთოდ ვერ აღმოცენდებოდა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ ცალმხრივობას და შემდეგ ჩავუღრმავდებით ჰანსლიკის ფილოსოფიურად ძლიერ მსჯელობებს, მაშინ ვიტყვით: ნაშრომი „მუსიკალურად მშვენიერის შესახებ" მეტად საგულისხმოა.

აქედან ხედავთ, რომ მთლიანი ადამიანიდან, რომელიც პირველ ყოვლისა ცხოვრობს როგორც გრძნობის არსება, ერთი გარე გრძნობისას მეტად, მეორისას კი ნაკლებად, პერიფერიაში შემეცნებისმიერი აღწევს.

პედაგოგიური გაგების გულისთვის ამან ყურადღება უნდა მიგაქცევინოთ იმაზე, რასაც დიდი ნგრევა მოაქვს თანამედროვე მეცნიერულ აზროვნებაში. აქ წინასწარ რომ არ გვესაუბრა და რომ არ ვსაუბრობდეთ იმაზე, რაც უნდა მიგიძღოდეთ რეფორმატორული მოღვაწეობისკენ, მაშინ მოგიწევდათ ამჟამად არსებული პედაგოგიკიდან, ფსიქოლოგიიდან, ლოგიკიდან და პედაგოგიური პრაქტიკიდან მიგეღოთ ის, რისი განხორციელებაც გსურთ თქვენი სასკოლო მოღვაწეობისას. თქვენ მოგიხდებოდათ სასკოლო საქმიანობაში შეგეტანათ ის, რაც მიღებულია გარეთ. მაგრამ ამ უკანასკნელს იმთავითვე გააჩნია დიდი ნაკლი უკვე ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით. ფსიქოლოგიაში პირველ რიგში ვხვდებით ე.წ. მოძღვრებას გარე გრძნობების შესახებ. გარე გრძნობების მოქმედების საფუძვლების კვლევისას საქმე აქვთ თვალის, ყურის, ცხვირის და ა.შ. გრძნობად აქტივობასთან. ყოველივე ამას თავს უყრიან „გარე გრძნობების აქტივობის" დიდ აბსტრაქციაში. ეს დიდი,

მნიშვნელოვანი შეცდომა არის. ვინაიდან მარტო დღევანდელი ფიზიოლოგებისა და ფსიქოლოგებისთვის ცნობილი გარე გრძნობებიც რომ აიღოთ და პირველ ჯერზე მხოლოდ სხეულებრივი რომ გაითვალისწინოთ, შეგეძლებათ დააკვირდეთ, რომ მხედველობის გრძნობა სულ სხვაა, ვიდრე სმენისა. თვალი და ყური ორი სრულიად განსხვავებული არსებაა. ანდა შეხების გრძნობის ორგანიზაცია, რომელიც ჯერ საერთოდ არაა გამოკვლეული, ისე დამაკმაყოფილებლად მაინც, როგორც თვალი და ყური! მაგრამ დავჯერდეთ თვალსა და ყურს. ისინი ორი სრულიად განსხვავებული აქტივობაა, ასე რომ მხედველობისა და სმენის გაერთიანება „გარე გრძნობათა ზოგად აქტივობაში" წყალ-წყალა თეორია არის. რომ სდომოდათ საქმეს სწორად შესდგომოდნენ, ჯერ კონკრეტულად თვალსაჩინო მონაცემებზე დაყრდნობით უნდა ესაუბრათ თვალის მოქმედებაზე, ყურის მოქმედებაზე, ენოსვის ორგანოს მოქმედებაზე და ა.შ. მაშინ იმხელა სხვაობას აღმოაჩენდნენ, რომ სულ დაეკარგებოდათ მადა, წამოეყენებინათ გარე გრძნობების ზოგადი ფიზიოლოგია, როგორიც დღევანდელ ფსიქოლოგებს გააჩნიათ.

ადამიანის სამშვინველის გაგებამდე მხოლოდ მაშინ მივდივართ, როცა ვჩერდებით იმ სფეროში, რომლის შემოსაზღვრაც ვცადე ჩემს მსჯელობებსა და ასევე ნაშრომებში „ჰეშმარიტება და მეცნიერება" და „თავისუფლების ფილოსოფია". მაშინ შეიძლება ერთიან სამშვინველზე საუბარი აბსტრაქციებში გადავარდნის გარეშე. ვინაიდან აქ ვდგავართ მყარ ნიადაგზე; აქ ამოვდივართ იქიდან, რომ ადამიანი თანდათან ერთვება სამყაროში და არ გააჩნია მთლიანი სინამდვილე. ეს შეგიძლიათ წაიკითხოთ „ჰეშმარიტება და მეცნიერებასა" და „თავისუფლების ფილოსოფიაში". თავდაპირველად ადამიანს არ გააჩნია მთლიანი სინამდვილე. იგი ვითარდება და მხოლოდ შემდგომი განვითარებისას იქცევა მისთვის ჰეშმარიტ სინამდვილედ — აზროვნებისა და ჭვრეტის შერწყმის წყალობით — ის, რაც აქამდე არ შეადგენდა სინამდვილეს. ადამიანი ჯერ მოიპოვებს სინამდვილეს. ამ მხრივ კანტიანობამ, რომელ-

მაც ყველგან დაიბუდა, საშინელი გაპარტახება გამოიწვია. ვინაიდან რას აკეთებს კანტიანობა? იგი თავიდანვე დოგმატურად აცხადებს: ჩვენ ვხედავთ ჩვენს გარემომცველ სამყაროს, მაგრამ ჩვენში ფაქტობრივად ამ სამყაროს მარტოოდენ ანარეკლი ცხოვრობს. ასე მიდის იგი თავის ყველა სხვა დედუქციამდე. კანტისთვის არაა ნათელი, თუ რა არსებობს ადამიანის მიერ აღქმულ გარემოში. რამეთუ სინამდვილე არ არის გარემოში, იგი არც მოვლენებშია, არამედ საქმე ისაა, რომ სინამდვილე თანდათან ამოტივტივდება ამ სინამდვილის ჩვენს მიერ მოპოვების შედეგად ისე, რომ უკანასკნელი, რაც გვიახლოვდება, სწორედ სინამდვილე არის. არსებითად რომ ვთქვათ, ნამდვილი რეალობა იქნებოდა ის, რომელსაც ადამიანი ხედავს იმ მომენტში, როდესაც მეტი ვეღარ გამოხატავს საკუთარ თავს, კერძოდ, იმ მომენტში, როცა სიკვდილის კარიბჭეს გაივლის.

ახალ სულიერ კულტურაში ძალზე ბევრი ყალბი ელემენტია შემოსული, რაც ყველაზე მძაფრად პედაგოგიკის სფეროზე მოქმედებს. ამიტომაც უნდა ვისწრაფოდეთ, ყალბი ცნებების ადგილას სწორი ცნებები დავამკვიდროთ. მაშინ შევძლებთ სწორი გზით განვახორციელოთ ის, რაც სწავლებისათვის გვაქვს გასაკეთებელი.

მეექვსე ლექცია

შტუტგარტი, 27 აგვისტო, 1919 წელი

აქამდე ვცდილობდით მშვინვიერი პოზიციიდან გაგვეგო ადამიანი, რამდენადაც ამგვარი გაგება ბავშვის აღზრდისათვის არის აუცილებელი. ჩვენ ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ სამგვარი თვალთახედვა — სულიერი, მშვინვიერი და ფიზიკური თვალთახედვა — და თითოეული მათგანიდან უნდა განვიხილოთ ადამიანი, რათა სრულყოფილი ანთროპოლოგია მივიღოთ. ყველაზე მახლობელია მშვინვიერი განხილვის განხორციელება, რადგანაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ადამიანისთვის სწორედ მშვინვიერია ყველაზე მახლობელი. თქვენ იგრძნობდით, რომ ჩვენ მშვინვიერს ვუმიზნებდით, როდესაც ადამიანის წვდომისთვის მთავარ ცნებებად სიმპათია და ანტიპათია გამოვიყენეთ. არ იქნება მართებული, თუკი მშვინვიერიდან პირდაპირ სხეულებრივზე გადავალთ, ვინაიდან ჩვენი სულისმეცნიერული განხილვებიდან ვიცით, რომ სხეულებრივის წვდომა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც მას სულიერისა და ასევე მშვინვიერის განცხადებად მოვიაზრებთ. ამიტომ მშვინვიერ განხილვას, რომელიც ზოგადად მოვხაზეთ, ახლა დავუმატებთ სულიერი თვალსაზრისიდან ადამიანის განხილვას და მხოლოდ ამის შემდეგ მივუახლოვდებით საკუთრივ ანთროპოლოგიას, როგორც მას ამჟამად ეძახიან, ანუ ადამიანის არსების განხილვას, როგორც ის გარე ფიზიკურ სამყაროში ამეღავნებს თავს.

თუ გსურთ რომელიმე თვალსაზრისით მიზანმიმართულად განიხილოთ ადამიანი, მაშინ კვლავ და კვლავ უნდა დაუბრუნდეთ ადამიანის მშვინვიერ აქტივობათა დანაწევრებას შემეცნებად, რომელიც აზროვნებისას მიმდინარეობს, გრძნობად და ნებელობად. აქამდე აზროვნება ანუ შემეცნება, გრძნობა და ნებელობა ანტიპათია-სიმპათიის ჭრილში განვიხილეთ. ახლა გვსურს სულიერი პოზიციიდან ვწვდეთ ნებელობას, გრძნობასა

და შემეცნებას.

თქვენ სულიერი თვალსაზრისითაც აღმოაჩენთ განსხვავებას ნებელობას, გრძნობასა და აზროვნებით შემეცნებას შორის. განიხილეთ თუნდაც შემდეგი: როცა აზროვნებით იმეცნებთ, უნდა შეიგრძნობდეთ — პირველად ნება მიბოძეთ ხატოვნად გამოვთქვა, მაგრამ ხატოვანი ცნებების მოპოვებაში დაგვეხმარება —, რომ გარკვეულწილად სინათლეში ცხოვრობთ. თქვენ მთლიანად ამ შემეცნებითი აქტივობის შიგნით იმეცნებთ და გრძნობთ საკუთარ მეს. ყოველი ნაწილი, ყოველი წევრი ამ ქმედებისა, რომელსაც შემეცნებას უწოდებთ, არის ყოველივე იმის შიგნით, რასაც თქვენი მე აკეთებს; და ასევე: რასაც თქვენი მე აკეთებს, შემეცნების აქტივობის შიგნით იმყოფება. თქვენ მთლიანად ნათელში ხართ, თქვენ მთლიანად ცნობიერ აქტივობაში ცხოვრობთ, ცნებით რომ გამოვხატო ეს. ცუდი იქნებოდა, შემეცნებისას მთლიანად ცნობიერად რომ არ აქტივობდეთ. აბა, წარმოიდგინეთ, რომ გქონოდათ გრძნობა: როდესაც მსჯელობთ, სადღაც ქვეცნობიერში თქვენს მეს რაღაც მოსდის და ამ პროცესის შედეგი არის მსჯელობა! ვთქვათ, ამბობთ: ეს კაცი კარგი კაცი არის — ანუ მსჯელობთ. თქვენ უნდა აცნობიერებდეთ, რომ ის, რაც თქვენ გჭირდებათ ამ მსჯელობის განსახორციელებლად — სუბიექტი „კაცი", პრედიკატი „კარგი არის", — ისეთი პროცესის წევრებია, რომელიც თქვენთვის მთლიანად აწმყოში მიმდინარეობს, მთლიანად განმსჭვალულია ცნობიერების ნათლით. თქვენ რომ იძულებულნი ყოფილიყავით დაგეშვათ, რომ რაიმე დემონი ანდა ბუნებრივი მექანიზმი მსჯელობისას აერთებს „კაცს" „კარგი არის"-თან, მაშინ სრული ცნობიერებით ვერ ჩაერთვებოდით აზროვნების ამ შემეცნებით აქტში და თქვენ თქვენი მსჯელობის რაღაც ნაწილით მუდამ არაცნობიერში იქნებოდით. აზროვნებით შემეცნებისას არსებითი ისაა, რომ ამ დროს თქვენ სრული ცნობიერებით იმყოფებით აქტივობის მთელ პროცესში.

ეს ასე არ არის ნებელობისას. თქვენ ძალზე კარგად

იცით, რომ როდესაც უმარტივეს ნებელობას, სიარულს, ავითარებთ, ნამდვილად სრული ცნობიერებით მხოლოდ სიარულის წარმოდგენაში ცხოვრობთ. თუ რა ხდება თქვენს კუნთებში, როდესაც ფეხებს ერთმანეთის მიყოლებით გადადგამთ, თუ რა ხდება თქვენი სხეულის მექანიზმსა და ორგანიზმში, ამის შესახებ თქვენ არაფერი იცით. აბა, წარმოიდგინეთ, რისი სწავლა მოგიხდებოდათ, იძულებულნი რომ ყოფილიყავით ცნობიერად შეგესრულებინათ ყოველივე ის, რაც სიარულის ნებელობისასაა აუცილებელი! თქვენ ზუსტად უნდა გცოდნოდათ, თუ რა აქტივობებია სიარულისას საჭირო — რომლებიც თქვენი ფეხებისა და სხვა ორგანოების კუნთებში საკვებ ნივთიერებებს მოიზიდავს. თქვენ არასოდეს გამოგითვლიათ, თუ რამდენს მოიხმართ იქიდან, რასაც საკვებიდან იღებთ. თქვენ კარგად იცით: ყოველივე ეს თქვენ სხეულებრიობაში ძლიერ, ძლიერ არაცნობიერად ხდება. ნებელობისას ჩვენს მოქმედებაში განუწყვეტლივ ერევა ღრმა არაცნობიერი. საქმე როდია ისე მარტივად, რომ ჩვენ ნებელობის არსს საკუთარ ორგანიზმზე დავკვირვებოდით. იმასაც, რასაც ვასრულებთ, როდესაც გარე სამყაროში გაგვაქვს ჩვენი ნებელობა, ჩვენ სრულიად ვერ მოვიცავთ ცნობიერების ნათლით.

ვთქვათ, გაქვთ ორი სვეტი. წარმოიდგინეთ, რომ მათზე ჰორიზონტალურად დებთ მესამეს. ახლა ზუსტად განასხვავეთ ის, რაც თქვენს მიერ გაკეთებულში ცხოვრობს როგორც მთლიანად ცნობიერი შემეცნებითი აქტივობა, იმისგან, რაც



თქვენს მთლიანად ცნობიერ აქტივობაში ცხოვრობს, როდესაც ახორციელებთ მსჯელობას: ადამიანი არის კეთილი – სადაც თქვენი შემეცნებით თქვენ მთლიანად შიგნით დგახართ. გთხოვთ, განასხვავოთ რაც აქ შემეცნებითი აქტივობის სახით ცხოვრობს იმისგან, რის შესახებაც არაფერი იცით, თუმცაღა მთელი თქვენი ნებით გააკეთეთ ეს: რატომ იჭერს ეს ორი სვეტი გარკვეული ძალით ამ მესამე, მათზე მდებარეს? ამისთვის ფიზიკას დღემდე მხოლოდ ჰიპოთეზები გააჩნია. და როდესაც სჯერათ, თითქოს იციან, თუ რატომ უჭირავს ორივე სვეტს მესამე, ეს მხოლოდ ფანტაზიაა. ყოველივე, რაც შეჭიდულობის, მიზიდულობის, განზიდვის ძალთა ცნებების სახით გაგვაჩნია, არსებითად მხოლოდ ჰიპოთეზებია გარეგნული ცოდნისათვის. მოქმედებისას ჩვენ ამ გარეგნულ ჰიპოთეზებს ვეყრდნობით; ჩვენ ვეყრდნობით იმას, რომ ეს ორი სვეტი, რომელმაც მესამე უნდა დაიჭიროს, არ ჩატყდება, თუ სათანადო სისქე ექნება. მაგრამ ჩვენ ვერ განვჭვრეტთ ამასთან დაკავშირებულ მთელ პროცესს ისევე, როგორც ვერ განვჭვრეტთ ჩვენი ფეხების მოძრაობას, როდესაც წინ მივიწევთ. აქაც ჩვენს ნებელობაში შემოდის ელემენტი, რომელიც ვერ აღწევს ჩვენს ცნობიერებამდე. ნებელობა უმეტესწილად არაცნობიერს შეიცავს.

გრძნობა კი ნებელობასა და აზროვნებით შემეცნებას შორის დგას. იგი ნაწილობრივ განმსჭვალულია ცნობიერებით, ნაწილობრივ კი არაცნობიერით. ამ გზით გრძნობა მონაწილეობს შემეცნებით აზროვნებაში, მეორე მხრივ, კი მგრძნობელ ნებელობაში. რასა აქვს აქ ადგილი სულიერი თვალთახედვის თანახმად?

ამაში გაერკვევით მხოლოდ მაშინ, თუ სულიერი პოზიციიდან შემდეგნაირად გაიაზრებთ ზემოთ დახასიათებულ ფაქტებს. ჩვეულებრივ ცხოვრებაში ჩვენ ვსაუბრობთ ღვიძილზე, ფიზიკური ცნობიერების მდგომარეობაზე. მაგრამ ფიზიკური ცნობიერების ეს მდგომარეობა მხოლოდ შემეცნებითი აზროვნების აქტივობისას გვაქვს. ამდენად, თუ გსურთ ზუსტად ისაუბროთ

იმაზე, თუ რამდენად ღვიძავს ადამიანს, უნდა თქვათ: ადამიანი ჭეშმარიტად ფხიზელია მხოლოდ იმდენად და იმდენ ხანს, რამდენადაც და რამდენსაც იგი აზროვნებით იმეცნებს რაიმეს.

რა ითქმის ახლა ნებელობაზე? თქვენ ყველა იცნობთ ძილის ცნობიერების მდგომარეობას — თუ გნებავთ, ცნობიერების დაკარგვის მდგომარეობას. როგორც იცით, ძილის დროს, დაძინებიდან გამოღვიძებამდე, რასაც განვიცდით, არ შემოდის ჩვენს ცნობიერებაში. მაგრამ ზუსტად ასევეა ყველაფერ იმასთან დაკავშირებით, რაც როგორც არაცნობიერი განმსჭვალავს ჩვენს ნებელობას. რამდენადაც ადამიანები ნებელობითი არსებები ვართ, ჩვენ გვძინავს მაშინაც კი, როდესაც გვლვიძავს. ჩვენ გამუდმებით დავატარებთ ჩვენში მძინარე, კერძოდ, ნებელობით ადამიანს, რომელსაც თანა სდევს მღვიძარე, მოაზროვნე შემმეცნებელი ადამიანი; რამდენადაც ჩვენ ნებელობითი არსებები ვართ, იმდენად ჩვენ გაღვიძებიდან დაძინებამდეც გვძინავს. ჩვენში მუდამ სძინავს რაღაცას, კერძოდ, ნებელობის შინაგან არსებას. მას ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ იმაზე მეტად, ვიდრე ძილის დროს ჩვენში მიმდინარე პროცესებს. ჩვენ ვერ შევიმეცნებთ ადამიანს სრულყოფილად, თუკი არ გვეცოდინება, რომ ძილი ღვიძილშიც შემოდის იმდენად, რამდენადაც ადამიანი ნებელობითი არსება არის.

გრძნობა შუაშია და ახლა შეგვიძლია ვიკითხოთ: როგორია ცნობიერება გრძნობისას? — ისიც ღვიძილსა და ძილს შუა იმყოფება. თქვენს სამშვინველში მცხოვრებ გრძნობებს ზუსტად ისევე იცნობთ, როგორც სიზმრებს, ოღონდ სიზმრებს იხსენებთ, გრძნობებს კი უშუალოდ განიცდით. მაგრამ შინაგანი მშვინვიერი განწყობილება და მდგომარეობა, თქვენი გრძნობის ცოდნისას რომ გაქვთ, ზუსტად იგივეა, რაც სიზმრების მიმართ გაგაჩნიათ. ღვიძილისას თქვენ არა მარტო მღვიძარე ადამიანი ხართ, როდესაც აზროვნებით იმეცნებთ და არა მარტო მძინარე, რამდენადაც გნებავთ, არამედ სიზმრისეულიცა ხართ, რამდენადაც გრძნობთ. ამგვარად, ღვიძილის განმავლობაში ჩვენ ცნობიერების სამი მდგომარეობა

გვაქვს: ღვიძილი, ნამდვილი გაგებით, აზროვნებით შემეცნებისას, სიზმარი გრძნობისას, ძილი ნებელობისას. ჩვეულებრივი უსიზმრო ძილი სულიერი თვალსაზრისით სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ადამიანი მთელი თავისი მშვინვიერი არსებით მიეცემა იმას, რასაც იგი თავისი ნებელობით დღის განმავლობაში ეძლევა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ნამდვილი ძილის დროს მთელი ჩვენი მშვინვიერი არსებით გვძინავს, ხოლო ღვიძილისას — მხოლოდ ნებელობით. სიზმრისას, როგორც მას ჩვეულებრივ ცხოვრებაში უწოდებენ, მთელი ჩვენი ადამიანობით ვეძლევით მშვინვიერ მდგომარეობას, რომელსაც სიზმარს ვეძახით, მაშინ როცა ღვიძილისას ამ სიზმრისეულ მშვინვიერ მდგომარეობას მიცემულნი ვართ მხოლოდ როგორც მგრძნობელი ადამიანები.

თუკი საქმეს ამ კუთხით შეხედავთ, პედაგოგიური დაკვირვებისას თქვენ აღარ გაგიკვირდებათ, რომ ბავშვები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ცნობიერების სიფხიზლისდა მიხედვით. ვინაიდან ნახავთ, რომ ბავშვები, ვისთანაც გრძნობის ცხოვრება სჭარბობს, სიზმრისეულნი არიან, ისე რომ ბავშვი, რომელშიც ბავშვობისას მთლიანი აზროვნება ჯერ არაა გამოღვიძებული, ადვილად მიეცემა სიზმრისეულ არსებას. ეს კი თქვენ გიბიძგებთ, ძლიერი გრძნობების საშუალებით იმოქმედოთ ამგვარ ბავშვზე. და შემდეგ შეგეძლებათ იმედი იქონიოთ, რომ ეს ძლიერი გრძნობები მასში ნათელ შემეცნებასაც გამოაღვიძებს, ვინაიდან სიცოცხლის რიტმის თანახმად ყოველ ძილს აქვს მიდრეკილება, რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოიღვიძოს. როდესაც ჩვენ მძლავრი გრძნობებით ვიმოქმედებთ ასეთ ბავშვზე, რომელიც სიზმრისეულად თბილადაა მოკალათებული გრძნობებში, მაშინ ბავშვში ჩანერგილი ეს ძლიერი გრძნობები რამოდენიმე ხნის შემდეგ თავისით გამოიღვიძებს როგორც აზრები.

ბავშვები, რომელნიც კიდევ უფრო კარგად არიან მოკალათებულები და გრძნობების ცხოვრებისადმი ჩლუნგნიც კი არიან, განგვიცხადებენ, რომ განსაკუთრებით ძლიერად არიან

მიდრეკილნი ნებისკენ. როგორც ხედავთ, თუ ამას გაიაზრებთ, მაშინ შეძლებთ შემეცნებით მიუდგეთ ბავშვის ცხოვრების გამოცანებს. შეიძლება სკოლაში გყავდეთ ბავშვი, რომელიც ნამდვილი სიჩლუნგით გამოირჩევა. თუ თქვენ მაშინვე დაასკვნით, რომ იგი გონებასუსტი, გონებაჩლუნგი ბავშვია, თუ მას ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის დახმარებით გამოიკვლევთ, ჩაუტარებთ მეხსიერების მშვენიერ ტესტებსა და ყოველივე იმას, რასაც ამჟამად ატარებენ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ ლაბორატორიებში და შემდეგ იტყვით: ჩლუნგი ბავშვი თავისი მონაცემების მიხედვით განეკუთვნება გონებასუსტთა სკოლას ანდა ამჟამად ძლიერ რომ უყვართ, ნაკლებუნარიანთა სკოლას, მაშინ ამგვარი მსჯელობით თქვენ ვერ მიუახლოვდებით ბავშვის არსებას. შესაძლოა ეს ბავშვი განსაკუთრებით ძლიერად იყოს მიდრეკილი ნებისკენ, შესაძლოა იგი იმ ბავშვთაგანი იყოს, რომელნიც მოგვიანებით ცხოვრებაში თავიანთი ქოლერიულობის წყალობით ენერგიულ მოქმედებაზე გადადიან. მაგრამ თავდაპირველად ნებას სძინავს. და თუკი აზროვნებით შემეცნება მხოლოდ მოგვიანებით იჩენს თავს ამგვარ ბავშვთან, მაშინ მას შესაფერისად უნდა მოვუპყროთ კიდეც, რათა მოგვიანებით ჰქონდეს უნარი, ქმედითად განახორციელოს რაიმე. თავდაპირველად იგი ნამდვილ გონებაჩლუნგსა ჰგავს, მაგრამ შესაძლოა სულაც არ იყოს ასეთი. ამ დროს ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ ამგვარ ბავშვთან ნება გამოვაღვიძოთ; ეს ნიშნავს, რომ ისე უნდა ვიმოქმედოთ ღვიძილისას მის ძილის მდგომარეობაზე, რომ თანდათან ბავშვმა შეძლოს — რამეთუ ყოველ ძილს აქვს ტენდენცია გამოღვიძებისაკენ — შემდგომ ასაკში გამოაღვიძოს თავისი ძილი ნების სახით, რომელიც, შესაძლოა მეტად მძლავრია, მაგრამ მხოლოდ ამჟამად სძინავს, ჩახშულია მძინარე არსების მიერ. ამგვარ ბავშვს ისე უნდა მოვექცეთ, რომ რაც შეიძლება ნაკლებად მივმართოთ მის შემეცნებისეულ შესაძლებლობებს, მის გაგების უნარს, არამედ ჩავუჭედოთ მას ნებაზე ნამდვილად მძლავრად მოქმედი საშუალებები, ვთქვათ, მეტყველებისას იმავდროულად დადიოდეს

კიდეც. გამოიყვანეთ ამგვარი ბავშვი (ასეთები ბევრნი ხომ არ გეყოლებათ) კლასში — სხვა ბავშვებისთვის ეს სახალისო იქნება, მისთვის კი მაფორმირებელი — და წინადადების წარმოთქმისას მოძრაობები მიადევნებინეთ სიტყვებს. მაშ: ადამიანი (ნაბიჯი) — არის (ნაბიჯი) — კეთილი (ნაბიჯი)! — ამ გზით თქვენ მთლიანი ადამიანის ნების ელემენტს დაუკავშირებთ შემეცნებისეულ ცარიელ ინტელექტუალურს და თანდათან მიაღწევთ იმას, რომ ამგვარ ბავშვში ნება აზრისთვის გამოიღვიძებს. მხოლოდ იმის წვდომას, რომ მღვიძარე ადამიანში საქმე გვაქვს ცნობიერების სხვადასხვა მდგომარეობებთან — ღვიძილთან, სიზმართან და ძილთან, მხოლოდ ამის წვდომას მივყავართ ქმნად ადამიანთან დაკავშირებით ჩვენი ამოცანების ნამდვილ შემეცნებამდე.

მაგრამ ახლა შეიძლება ერთი რამ ვიკითხოთ. ჩვენ შეგვიძლია დავსვათ კითხვა: რა დამოკიდებულებაშია ადამიანის ნამდვილი ცენტრი, მე, ამ სხვადასხვა მდგომარეობებთან? ამაში ყველაზე ადვილად გაერკვევით, თუ პირველ რიგში იგულისხმებთ შემდეგს, რაც უტყუარია: რასაც ჩვენ სამყაროს, კოსმოსს ვეძახით, არის ქმედებათა ჯამი. ჩვენთვის ეს ქმედებები ელემენტარული სიცოცხლის სხვადასხვა სფეროებში მეღავნდება. ჩვენ ვიცით, რომ ამ ელემენტარულ სიცოცხლეში განაგებენ ძალები. მაგ., ჩვენს ირგვლივ განაგებს სიცოცხლის ძალა. ხოლო ელემენტარულ ძალებსა და სიცოცხლის ძალას შორის ჩაქსოვილია ყოველივე, რასაც მაგ., სითბო და ცეცხლი იწვევს. აბა, დაფიქრდით, ჩვენ ისეთ გარემოში ვიმყოფებით, სადაც ძალზე ბევრი რამ ცეცხლით გამოიწვევა.

დედამიწის ზოგიერთ ადგილებში, მაგ., სამხრეთ იტალიაში, საკმარისია ცეცხლი წაუკიდოთ ქაღალდის ბურთულას და იმწამსვე დედამიწიდან მძლავრად დაიწყება ბოლვა. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ქაღალდის ბურთულისთვის ცეცხლის წაკიდებით და ამით გამოცემული სითბოთი თქვენ გააიშვიათეთ ჰაერი ამ ადგილას და ის ძალები, რომლებიც სხვა შემთხვევაში მიწის ზედაპირის ქვეშ მძლავრობენ, ზევით ამოიწე-

ვენ გარეთ მიმავალი ბოლის საშუალებით; და როგორც კი ქაღალდს ცეცხლს წაუკიდებთ და მიწაზე დააგდებთ, მაშინვე ბოლის ღრუბელში აღმოჩნდებით. ესაა ცდა, რომელიც ყველა მოგზაურს შეუძლია ჩაატაროს, თუ ნეაპოლის მხარეში მოხვდება. ეს იმიტომ მოგიყვანეთ მაგალითად, რომ თუკი სამყაროს ზედაპირულად არ განვიხილავთ, მაშინ გვმართებს ვთქვათ: ჩვენ ვცხოვრობთ გარემოში, რომელიც ყველგან ძალებით არის განმსჭვალული.

მაგრამ არსებობს სითბოზე უფრო მაღალი ძალები. ისინიც ჩვენს გარემოში იმყოფებიან. ჩვენ მუდამჟამ გავდივართ მათში, როცა კი როგორც ფიზიკური ადამიანები ამქვეყნად დავდივართ. დიახ, ჩვენი ფიზიკური სხეული ისეა მოწყობილი, ოღონდ ჩვენ არ ვიცით ეს ჩვეულებრივი შემეცნებისას, რომ ჩვენ ვიტანთ ამას. ჩვენ შეგვიძლია ამქვეყნად დავდიოდეთ ჩვენი ფიზიკური სხეულით.

ჩვენ ვერ შევძლებდით ამ მსოფლიო ძალებში სიარულს ჩვენი მეთი, რომელიც ჩვენი ევოლუციის ყველაზე ახალგაზრდა წარმონაქმნია, იგი იძულებული რომ ყოფილიყო, უშუალოდ მისცემოდა ამ ძალებს. ამ მეს არ ძალუძს მიეცეს ყველაფერს, რაც მის გარემოშია და რის შიგნითაც თავად იმყოფება. ეს მე ჯერ კიდევ დაცული უნდა იყოს იმისგან, რომ ჩაიღვაროს მსოფლიო ძალებში. ერთხელაც იგი განვითარდება იმდენად, რომ შეძლებს მსოფლიო ძალებში შესვლას. მაგრამ ჯერ მას ეს არ ძალუძს. ამიტომ აუცილებელია, რომ მთლიანად მღვიძარე მეთი არ გადავიდეთ ჭეშმარიტ სამყაროში, რომელიც ჩვენს გარემოშია, არამედ მხოლოდ სამყაროს სურათ-ხატში. ამიტომაც გაგვაჩნია ჩვენს მოაზროვნე შემეცნებაში მხოლოდ სამყაროს სურათ-ხატები, რასაც უკვე შევეხეთ მშვინვიერი თვალთახედვიდან გამომდინარე.

ახლა განვიხილოთ სულიერი პოზიციიდან გამომდინარე. აზროვნებით შემეცნებისას ჩვენ სურათ-ხატებში ვცხოვრობთ; განვითარების თანამედროვე საფეხურზე დაბადებიდან გარდაცვალებამდე მთლიანად მღვიძარე მეთი ჩვენ შეგვიძლია კოსმო-

სის მხოლოდ სურათ-ხატებში ვცხოვრობდეთ და არა ნამდვილ კოსმოსში. ამიტომაც ღვიძილისას ჩვენი სხეული პირველ რიგში კოსმოსის სურათ-ხატებს უნდა გვაწვდიდეს. ამ დროს ჩვენი მე ამ კოსმოსის სურათ-ხატებში ცხოვრობს.

ფსიქოლოგები საშინლად ბევრს წვალობენ, დაადგინონ მიმართებანი სხეულსა და სამშვინველს შორის. ისინი საუბრობენ სხეულისა და სამშვინველის ურთიერთქმედებაზე, ფსიქოფიზიკურ პარალელიზმზე და სხვა მრავალ რამეზე. ყოველივე ეს, არსებითად რომ ვთქვათ, ბავშვური ცნებებია. რამეთუ ჭეშმარიტი პროცესი ამ დროს შემდეგი არის: როდესაც მე დილით გადადის ღვიძილის მდგომარეობაში, მაშინ იგი შედის სხეულში, ოღონდ არა სხეულის ფიზიკურ პროცესებში, არამედ სურათ-ხატების სამყაროში, რომელსაც სხეული გარე პროცესებიდან წარმოქმნის. ამით ეძლევა მეს აზროვნებით შემეცნების საშუალება.

გრძნობისას საქმე სხვაგვარადაა. აქ მე უკვე ნამდვილ სხეულამდე აღწევს და არა მარტო ხატებამდე. მაგრამ ამ შეღწევისას მას სრული ცნობიერება რომ ჰქონოდა, მაშინ — იგულისხმეთ ეს ამჯერად მშვინვიერად — იგი პირდაპირი გაგებით მშვინვიერად დაიწვებოდა. თქვენ რომ იგივე მოგდიოდეთ გრძნობისას, რაც აზროვნებისას მოგდით, როდესაც თქვენი მეთი აღწევთ ხატებში, რომელთაც სხეული წარმოგიქმნით, მაშინ თქვენ მშვინვიერად დაიწვებოდით. თქვენ ვერ გაუძლებდით ამას. იმ შეღწევის განცდა, რასაც გრძნობა ნიშნავს, თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ სიზმარეულად, დაბინდული ცნობიერების მდგომარეობით. მხოლოდ სიზმარში უძლებთ თქვენ იმას, რაც გრძნობისას მიმდინარეობს თქვენს სხეულში.

ხოლო რასაც ნებელობისას აქვს ადგილი, ამის განცდა თქვენ მხოლოდ ძილის დროს ძალგიძთ. საშინელება იქნებოდა, ჩვეულებრივ ცხოვრებაში რომ გიხდებოდეთ ყოველივე იმის თანაგანცდა, რაც თქვენს ნებელობაში ხდება. მაგ., თქვენ საშინელ ტკივილს იგრძნობდით, რაც უკვე აღმინიშნავს, იძულებულნი რომ ყოფილიყავით ნამდვილად განგეცადათ, თუ როგორ მო-

იხმართ სიარულისას თქვენს ფეხებში ორგანიზმისთვის საკვებით მიწოდებულ ძალებს. თქვენდა ბედად თქვენ არ განიცდით ამას, ან უფრო სწორად, მხოლოდ ძილში განიცდით. რამეთუ ამის სიფხიზლეში განცდა იქნებოდა უდიდესი ტკივილი, რაც კი შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, საშინელი ტკივილი. ამდენად, შეიძლება ითქვას: ნებელობაში გამოღვიძება მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანისთვის, რამდენადაც იგი ნებელობითი არსებაა, ნებელობაში ძილის მდგომარეობის გზით ჩაიხშობა ტკივილი, რომელიც მხოლოდ ლატენტური რჩება.

ამდენად, თქვენთვის გასაგები იქნება, თუკი ახლა დაგიხასიათებთ მეს სიცოცხლეს ღვიძილის მდგომარეობაში, როგორც მას ჩვეულებრივ ცხოვრებაში ეძახიან — და რაც ამგვარად მოიცავს: სრულ ღვიძილს, სიზმარეულ ღვიძილს, მძინარე ღვიძილს -, თუკი დაგიხასიათებთ, თუ რას განიცდის სინამდვილეში მე, როცა კი ღვიძილის ჩვეულებრივი მდგომარეობისას სხეულში ცხოვრობს. ეს მე ცხოვრობს აზროვნებით შემეცნებაში, როდესაც იგი სხეულში იღვიძებს; ამ დროს ის მთლიანად ფხიზელია. მაგრამ აქ იგი მხოლოდ სურათ-ხატებში ცხოვრობს. ასე რომ, დაბადებიდან გარდაცვალებამდე ცხოვრებისას ადამიანი, თუკი იგი არ აკეთებს ისეთ სავარჯიშოებს, როგორიც მითითებულია ჩემს წიგნში „როგორ მივაღწიოთ უმაღლეს სამყაროთა შემეცნებას?", განუწყვეტლივ მხოლოდ სურათ-ხატებში ცხოვრობს თავისი აზროვნებითი შემეცნების მეოხებით.

შემდეგ გამოღვიძებისას მე იმ პროცესებშიც იძირება, რომელნიც გრძნობას განაპირობებენ. გრძნობით ცხოვრებისას ჩვენ არ ვართ მთლიანად ფხიზელნი, არამედ სიზმარეულად გეღვიძავს. მაშ, როგორ განვიცდით იმას, რასაც სიზმარეული ღვიძილის მდგომარეობაში ვგრძნობთ? ამას განვიცდით ფაქტობრივად იმით, რასაც მუდამ ინსპირაციას, ინსპირაციულ წარმოდგენას, არაცნობიერად ინსპირირებულ წარმოდგენებს უწოდებენ. ესაა ყოველივე იმის კერა, რაც ხელოვანთან გრძნობიდან ფხიზელ ცნობიერებაში ამოდის. აქ განიცდება ეს პირველ ყოვლისა. აქ განიცდება აგრეთვე ყოველივე ის, რაც

მღვიძარე ადამიანთან ხშირად იდეების სახით ამოდის ფხიზელ ცნობიერებაში და შემდეგ ხატებად გადაიქცევა.



რასაც ჩემს წიგნში „როგორ მივაღწიოთ უმაღლეს სამყაროთა შემეცნებას?" ინსპირაცია ეწოდება, არის მარტოოდენ სინათლემდე, სრულ ცნობიერებამდე ამაღლებული განცდა იმისა, რაც ყოველ ადამიანში ინსპირაციის სახით არაცნობიერად არსებობს გრძნობის ცხოვრებაში. და როცა განსაკუთრებული მიდრეკილების მქონე ადამიანები საუბრობენ თავიანთ ინსპირაციებზე, ისინი ფაქტობრივად საუბრობენ იმაზე, რაც სამყარომ ჩადო მათი გრძნობების ცხოვრებაში და ამ ადამიანების მიდრეკილების საშუალებით ამოიტანა მათ სრულიად ფხიზელ ცნობიერებაში. ეს ზუსტად ისევე არის სამყაროს შინაარსი, როგორც აზრთა შინაარსი წარმოადგენს სამყაროს შინაარსს. მაგრამ დაბადებიდან გარდაცვალებამდე სიცოცხლეში ეს არაცნობიერი ინსპირაციები სამყაროს ისეთ პროცესებს ასახავს, რომელთა განცდაც ჩვენ მხოლოდ სიზმრისეულად ძალგვიძს; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მე დაიწვებოდა ანდა დაიხუთებოდა, ნამდვილად დაიხუთებოდა ამ პროცესებში. ეს სულის შეხუთვა ადამიანებს ზოგჯერ ანომალიურ პირობებშიც ეწყებათ. აბა, წარმოიდგინეთ, რომ ხე-

დავთ კოშმარს. ამ დროს მიმართებას, რომელიც არსებობს თქვენსა და გარე ჰაერს შორის — თუკი ადამიანს ამ ურთიერთმიმართების მხრივ ყველაფერი არა აქვს წესრიგში — ნებავს ანომალური გზით სხვა რამეში გადასვლა; რამდენადაც მას თქვენს მეცნობიერებაში გადასვლა ნებავს, თქვენ მას გააცნობიერებთ არა როგორც ნორმალურ, არამედ როგორც მტანჯველ წარმოდგენას: კოშმარს. და როგორც კოშმარის დროსაა მტანჯველი ანომალიური სუნთქვა, ისევე მტანჯველი იქნებოდა მთელი სუნთქვა, ყოველი ჩასუნთქვა, ადამიანს სრული ცნობიერებით რომ განეცადა სუნთქვა. იგი გრძნობით განიცდიდა მას, მაგრამ ეს წამება იქნებოდა მისთვის. ამიტომ ეს ჩლუნგდება და არა როგორც ფიზიკური პროცესი, არამედ მხოლოდ სიზმრისეული გრძნობით განიცდება.

ხოლო რაც შეეხება ნებელობაში მიმდინარე პროცესებს, მე უკვე მიგითითეთ მათზე: საშინელი ტკივილი იქნებოდა ეს! აქედან ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ნებელობითი ქმედებისას მეს სძინავს. ამ დროს განიცდება ის, რასაც განვიცდით ძლიერ დაბინდული ცნობიერებით — ანუ მძინარე ცნობიერებით — არაცნობიერ ინტუიციებში. ადამიანს განუწყვეტლივ გააჩნია არაცნობიერი ინტუიციები, მაგრამ ისინი მის ნებელობაში ცხოვრობენ. მას სძინავს თავის ნებელობაში. ამიტომაც არ შეუძლია მას ჩვეულებრივ ცხოვრებაში მათი ზევით ამოტანა. ეს ხდება მხოლოდ სიცოცხლის ბედნიერ წუთებში; მაშინ განიცდის ბუნდოვნად ადამიანი სულიერ სამყაროს.

ადამიანის ჩვეულებრივი ცხოვრებისას ადგილი აქვს ერთ თავისებურებას. სრული ცნობიერება სრული სიფხიზლისას აზროვნებით შემეცნების დროს — ყველა ჩვენთაგანისთვისაა ცნობილი. ამ დროს ჩვენ, ასე ვთქვათ, ცნობიერების ნათელში ვართ, ეს ჩვენთვის უდავოა. შემდეგ კი ადამიანები ზოგჯერ ამბობენ, როდესაც ფიქრობენ სამყაროზე: ჩვენ ინტუიციები გვაქვს. ამ დროს ამ ინტუიციებიდან მათ გამოაქვთ ბუნდოვნად ნაგრძნობი. ის, რასაც ისინი ამბობენ, ზოგჯერ შეიძლება ძლიერ არეულ-დარეული იყოს, მაგრამ შესაძლებე-

ლია არაცნობიერად მოწესრიგებულიც იყოს. დაბოლოს, როცა პოეტი საუბრობს თავის ინტუიციებზე, სავსებით მართალია, რომ მან ისინი ამოიტანა არა უახლოესი კერიდან, გრძნობის ცხოვრების ინსპირაციული წარმოდგენებიდან, არამედ თავისი სრულიად არაცნობიერი ინტუიციები მას მძინარე ნებელობის რეგიონიდან ამოაქვს.

ვინც ჩაწვდება ყოველივე ამას, იგი ცხოვრების თვით მოჩვენებით შემთხვევითობებშიც კი ღრმა კანონზომიერებებს იხილავს. მაგ., ვკითხულობთ გოეთეს „ფაუსტის" მეორე ნაწილს და შეიძლება მოგვინდეს საფუძვლიანად შევისწავლოთ, თუ როგორ გახდა შესაძლებელი ამ ღირსშესანიშნავი ლექსის შექმნა. *გოეთე* უკვე ხანდაზმული იყო, როცა „ფაუსტის" მეორე ნაწილს წერდა, ყოველ შემთხვევაში, მის უდიდეს ნაწილს მაინც. იგი ისე წერდა, რომ ჯონი, მისი მდივანი, საწერ მაგიდას უჯდა და იწერდა იმას, რასაც გოეთე კარნახობდა. გოეთეს რომ თვითონ ეწერა, იგი, ალბათ, ვერ შექმნიდა ასე შესანიშნავად გრავირებულ ლექსებს „ფაუსტის" მეორე ნაწილისათვის. კარნახისას გოეთე განუწყვეტლივ წინ და უკან დადიოდა თავის პატარა ოთახში ვაიმარში. და ეს წინ და უკან სიარული მიეკუთვნება „ფაუსტის" მეორე ნაწილის დაბადებას. როდესაც გოეთე სიარულისას ახორციელებდა ამ არაცნობიერ ნებელობით ქმედებას, მისი ინტუიციებიდან რაღაც მიიწევდა ზემოთ და მაშინ მის გარეგნულ ქმედებაში ცხადდებოდა ის, რასაც იგი სხვა ადამიანს აწერინებდა ქაღალდზე.

თუ გენდომებათ სქემატურად გამოსახოთ სხეულში მეს ცხოვრება და ამას შემდეგნაირად გააკეთებთ:

I. ფიზიზლად — სურათ-ხატოვანი შემეცნება
II. სიზმრისეულად — ინსპირირებული გრძნობა
III. მძინარედ — ინტუიტური ან ინტუიციის მომტანი ნებელობა

მაშინ თქვენ სწორად ვერ გაიგებთ, თუ რატომ ამოდის ყოველდღიურობის ხატოვან შემეცნებაში ინტუიცია, რომელზეც ადამიანები ინსტინქტურად საუბრობენ, უფრო ადვილად, ვიდ-

რე უფრო ახლოს მდებარე ინსპირირებული გრძნობა. თუ ახლა სწორად დახაზავთ ამ სქემას — ვინაიდან ზემოთ ის არასწორადაა დახაზული —, თუ ისე გააკეთებთ მას, როგორც ნახაზზეა, მაშინ უფრო ადვილად გაიგებთ, თუ რაშია საქმე. რამეთუ მაშინ იტყვით: ისრის (1) მიმართულებით ხატოვანი შემეცნება ეშვება ინსპირაციებში, იგი კვლავ ამოდის ინტუიციებიდან (ისარი 2). მაგრამ ეს შემეცნება, რომელიც აღნიშნულია ისარი 1-ით, არის სხეულში ჩასვლა. ახლა დაუკვირდით თქვენს თავს; პირველად თქვენ სრულიად მშვიდად ხართ, ზიხართ ან დგახართ, ეძლევით მხოლოდ აზროვნებით შემეცნებას, გარე სამყაროს ჭვრეტას. ამ დროს თქვენ სურათ-ხატებში ცხოვრობთ. რასაც, ჩვეულებრივ, მე განიცდის პროცესებიდან, ჩადის სხეულში, ჯერ გრძნობაში,



შემდეგ ნებელობაში. რაც გრძნობაში არის, მას თქვენ ვერ ამჩნევთ, რაც ნებელობაშია, მასაც ვერ ამჩნევთ თავდაპირველად. მხოლოდ როდესაც იწყებთ სიარულს, იწყებთ მოქმედებას, მაშინ თქვენ პირველად არა გრძნობას, არამედ ნებელობას ჭვრეტთ გარედან. და აქ, სხეულში ჩასვლისას და იქიდან ხელახლა ამოსვლისას, რაც ისარი 2-ის მიმართუ-

ლებით ხდება, აქ ინტუიტური ნებელობა სიზმრისეულ ინსპირირებულ გრძნობაზე უფრო ახლოს არის, რათა ხატოვან ცნობიერებამდე მივიდეს. ამიტომაც ხდება, რომ ადამიანები ასე ხშირად ამბობენ: მე მაქვს ბუნდოვანი ინტუიცია. – ამ დროს ხდება ჩვეულებრივი ცნობიერების ზედაპირული ინტუიციის აღრევა იმასთან, რასაც ჩემს წიგნში „როგორ მივაღწიოთ უმაღლეს სამყაროთა შემეცნებას?" ინტუიცია ეწოდება.

ახლა თქვენ ადამიანის სხეულის ფორმის გაგებასაც შეძლებთ. წარმოიდგინეთ ერთი წამით თქვენი თავი, თითქოს დადიხართ, თან კი სამყაროს ჭვრეტთ. წარმოიდგინეთ: თქვენი ქვედატანი კი არ დადიოდეს ფეხებით, არამედ პირდაპირ თქვენს თავს ჰქონდეს გამობმული ფეხები და ასე დადიოდეს. მაშინ თქვენი ნებელობა და სამყაროს ჭვრეტა ერთმანეთში გადაწნული იქნებოდა. ამის შედეგი კი ის იქნებოდა, რომ თქვენ მხოლოდ მძინარენი შეძლებდით სიარულს. იმით, რომ თავი მხრებზე და დანარჩენ სხეულზეა მოთავსებული, იგი განისვენებს სხეულზე. იგი განისვენებს და თქვენ დაგაქვთ თქვენი თავი მაშინ, როდესაც მხოლოდ დანარჩენი სხეულით მოძრაობთ. თავს უნდა შეეძლოს განისვენოს სხეულზე, თორემ ვეღარ იქნება აზროვნებითი შემეცნების ორგანო. იგი უნდა მოსცილდეს მძინარე ნებელობას, ვინაიდან როგორც კი მას მოძრაობაში გადაიყვანთ, როგორც კი შედარებითი სიმშვიდიდან გადაიყვანთ თქვენს მიერვე გამოწვეულ მოძრაობაში, მას ძილი მოიცავს. საკუთრივ ნებელობას იგი ტანს ახორციელებინებს, იგი როგორც ეტლში, ისე ცხოვრობს ამ ტანში და ამ ეტლით ატარებინებს თავს. მხოლოდ იმის წყალობით მოქმედებს ადამიანი ფიზიზლად, რომ თავი გადაადგილდება ვითარცა სხეულის ეტლით და ამ გადაადგილებისას, ამ განსვენებისას მოქმედებს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ასე მოახდენთ ფაქტების ურთიერთშეჯერებას, თქვენ მიაღწევთ ადამიანის სხეულის ფორმის ჭეშმარიტ წვდომას.

მეშვიდე ლექცია

შტუტგარტი, 28 აგვისტო, 1919 წელი

თქვენთვის მთავარია გაიგოთ, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში ადამიანის არსება. აქამდე, მივჯებოდით რა ზოგად პედაგოგიკას, ვცდილობდით ჩავწვდომოდით ადამიანის ამ არსებას ჯერ მშვინვიერი, შემდეგ კი სულიერი პოზიციიდან. დღეს გვინდა განვაგრძოთ ამ უკანასკნელიდან განხილვა. ცხადია, ჩვენ მოგვიხდება განუწყვეტლივ მივმართოთ ცნებებს, რომელნიც პედაგოგიურთან, მშვინვიერთან, ფსიქოლოგიურთან დაკავშირებით მსოფლიოში მიღებულნი არიან; რამეთუ დროთა განმავლობაში თქვენ ხომ მოგიხდებათ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაზე მუშაობა, რამდენადაც მოიცლით ამისთვის.

ადამიანის მშვინვიერი თვალსაზრისით განხილვისას ძირითადი აქცენტი კეთდება მსოფლიო კანონზომიერების შიგნით ანტიპათიისა და სიმპათიის აღმოჩენაზე; ადამიანის სულიერი თვალსაზრისით განხილვისას კი აქცენტი კეთდება ცნობიერების მდგომარეობის აღმოჩენაზე. გუშინ ჩვენ დაკავებულნი ვიყავით ცნობიერების სამი მდგომარეობით, რომელიც ადამიანში განაგებს: სრული სიფხიზლით, სიზმრით და ძილით. ჩვენ ვაჩვენეთ, თუ როგორა აქვს ადგილი სრულ სიფხიზლეს მხოლოდ აზროვნებით შემეცნებაში, როგორ განაგებს სიზმარი გრძნობაში, ძილი კი ნებელობაში.

ყოველგვარი წვდომა არის დაკავშირება ერთი მოვლენისა მეორესთან. ჩვენ ვერ შევძლებთ გაგებას, თუ ურთიერთმიმართებებს არ დავამყარებთ. ეს მეთოდური შენიშვნა მინდოდა წინასწარ მეთქვა. როდესაც შემეცნებით ვუკავშირდებით სამყაროს, მაშინ ჩვენ ჯერ დაკვირვებას ვახდენთ. ჩვენ ან ჩვენი გარე გრძნობებით ვაკვირდებით, როგორც ჩვეულებრივი ცხოვრებისას ვაკეთებთ ამას, ანდა რამდენადმე წინ მივდივართ განვითარებაში და ვაკვირდებით სამშვინველითა და სულით,

როგორც ეს იმაგინაციისას, ინსპირაციისას და ინტუიციისას ძალგვიძს. მაგრამ სულიერი დაკვირვებაც დაკვირვებაა, ხოლო ყველა დაკვირვების განსავრცობად აუცილებელია გაგება, წვდომა. წვდომას კი მხოლოდ მაშინ შეეძლებთ, თუ სამყაროში, ჩვენს გარემოში ერთ რამეს მეორეს დავუკავშირებთ. სხეულის, სამშვინველისა და სულის შესახებ სწორი ცნებების შექმნას მაშინ შეძლებთ, თუ ადამიანის ცხოვრების მთელ გზას გაითვალისწინებთ. ოღონდ მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ იმ მიმართებების სახით, რაზეც ახლა მიგითითებთ, თქვენ მარტოოდენ პირველი საფუძვლები გაქვთ წვდომისათვის. ამგვარად მიღებული ცნებების ჩამოყალიბება შემდგომში კვლავაც უნდა განაგრძოთ.

კერძოდ, განიხილეთ ამქვეყნად ახლადმოსული ბავშვი, განიხილეთ მისი ფორმა, მოძრაობები, სასიცოცხლო გამოვლინებები, ტირილი, ღუღღუღი და ა.შ. და მაშინ უფრო ადამიანის სხეულის სურათ-ხატს მიიღებთ. მაგრამ ეს სურათი ადამიანის სხეულისა მხოლოდ მაშინ იქნება სრულყოფილი, როდესაც მას ადამიანის შუა და მხცოვან ასაკს დაუკავშირებთ. შუა ასაკში ადამიანი უფრო მშვინვიერია, ხანდაზმულობისას კი — ყველაზე მეტად სულიერი. უკანასკნელ მოსაზრებაზე ადვილია შემოდავება. ცხადია, ზოგიერთნი იტყვიან: ბევრი მოხუცი ხომ სრულიად სკლეროტული ხდება! — ასაკში შესვლისას ადამიანს რომ სკლეროზი ემართება, ესაა მატერიალიზმის განსაკუთრებული არგუმენტი მშვინვიერ-სულიერის წინააღმდეგ; მატერიალიზმი ნამდვილი სიჯიუტით გაიძახის, რომ ისეთ დიდ პიროვნებასაც კი, როგორიცაა კანტი, მოხუცებულობისას სკლეროზი ჰქონდა. მატერიალისტების ეს არგუმენტი და ეს ფაქტი სწორია. მაგრამ ისინი ვერ ამტკიცებენ იმას, რისი დამტკიცებაც სურთ. ვინაიდან სიკვდილის კარიბჭესთან დგომისას კანტი მაინც უფრო ბრძენი იყო, ვიდრე ბავშვობისას; ოღონდ ბავშვობისას მის სხეულს ჰქონდა უნარი, მიეღო ყველაფერი, რაც კი მისი სიბრძნიდან მოდიოდა; და ამის შედეგად ეს შეიძლებოდა ცნობიერი

გამხდარიყო ფიზიკური ცხოვრებისას. ხანდაზმულობისას კი სხეულმა დაკარგა უნარი, მიეღო ის, რასაც სული აწვდიდა მას. სხეული უკვე აღარ წარმოადგენდა სულისათვის მართებულ იარაღს. ამიტომაც კანტი ფიზიკურ პლანზე ვეღარ აცნობიერებდა იმას, რაც მის სულში ცხოვრობდა. მიუხედავად აღნიშნული არგუმენტის ძალისა, ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ხანდაზმულობისას ადამიანი ბრძენი, სულით აღსავსე ხდება, უახლოვდება სულიერ არსებებს. ამიტომაც ისეთ მოხუცებთან, რომელნიც ხნიერ ასაკშიც ინარჩუნებენ ელასტიურობასა და სასიცოცხლო ძალას სულისათვის, უნდა შევიცნოთ სულიერის საწყისი თვისებები. ასეთი შესაძლებლობაც არსებობს.

ბერლინში ორი პროფესორი ცხოვრობდა. ერთ-ერთი მათგანი, *მიშელეტი*, ჰეგელიანელი, უკვე 90 წელს გადაცილებული იყო. იგი საპატიო პროფესორი იყო, ერთობ გასულგმულებული და მიუხედავად ასაკისა, ჯერაც კითხულობდა ლექციებს. მეორე მათგანი, *ცელერი*, ბერძნული ფილოსოფიის ისტორიოგრაფი იყო. მიშელეტთან შედარებით იგი ახალგაზრდა, მხოლოდ 70 წლისა, იყო. მის შესახებ გაისმოდა, რომ იგი ასაკის სიმძიმეს გრძნობდა, ვეღარ კითხულობდა ლექციებს და სურდა მათი შეკვეცა. ამაზე მიშელეტი სულ ამბობდა: მე არ მესმის ცელერისა; მე შემიძლია მთელი დღე ვიკითხო ლექციები. ჩემზე ახალგაზრდა ცელერი კი სულ იმას ამბობს, რომ ეს მეტისმეტად დამძაბველია მისთვის!

ამდენად, თქვენ ხედავთ, რომ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში დასტურდება გარე ფიზიკურად ის, რაც აქ ვთქვით სიბერის სულის შესახებ. მაგრამ ეს ასეა.

ხოლო თუ შუა ასაკის ადამიანის სასიცოცხლო გამოვლინებებს განვიხილავთ, მაშინ ჩვენ ხელთ გვექნება საფუძვლები მშვინვიერის დასაკვირვებლად. შუა ასაკშიც შესაძლებელია ადამიანმა უარყოს მშვინვიერი. იგი შეიძლება მშვინვიერისგან დაცლილი ანდა ძლიერ მშვინვიერი ჩანდეს. ვინაიდან მშვინვიერი დაკავშირებულია ადამიანის თავისუფლებას-

თან და აგრეთვე აღზრდასთან. ის, რომ ზოგიერთი ადამიანი ძლიერ არამშვინვიერია შუახნის ასაკში, არაფერს ამტკიცებს იმის საპირისპიროდ, რომ შუა ასაკი საკუთრივ მშვინვიერი ასაკია. თუ შევადარებთ ბავშვის სხეულის მოძრავ, არაცნობიერად აქტიურ ბუნებას ხანდაზმულის სხეულის ჰვრეტით, მშვიდ ბუნებას, მაშინ ერთ მხარეს გვექნება სხეული, რომელიც საკუთარ თავს განსაკუთრებით წამოსწევს წინ ბავშვთან, ხოლო მეორე მხარეს გვექნება სხეული, რომელიც ხანდაზმულობისას უკან სწევს, გარკვეულწილად უარყოფს საკუთარ თავს, როგორც სხეულს.

თუ ამ განხილვას მშვინვიერს მივუსადაგებთ, მაშინ ვიტყვით: ადამიანს გააჩნია აზროვნებითი შემეცნება, გრძნობა და ნებელობა. თუ შევხედავთ ბავშვს, მაშინ იმ სურათში, რომელსაც ბავშვი წარმოგვიდგენს მშვინვიერად, დავინახავთ მჭიდრო კავშირს გრძნობასა და ნებელობას შორის. შეიძლება ითქვას, რომ ბავშვთან ნებელობა და გრძნობა ერთმანეთთანაა შეზრდილი. როცა ბავშვი ხელ-ფეხს აფართხალებს, იგი ზუსტად იმ მოძრაობებს ასრულებს, რომლებიც მოცემულ მომენტში მის გრძნობებს შეესაბამებიან; მას არა აქვს უნარი, გამიჯნოს მოძრაობები გრძნობისაგან.

საქმე სხვაგვარადაა ხანდაზმულთან. მასთან საპირისპიროს ვხედავთ: აზროვნებითი შემეცნება და გრძნობა არის ურთიერთშეზრდილი, ხოლო ნებელობა გარკვეულწილად დამოუკიდებლად გვევლინება. ამდენად, ადამიანის ცხოვრება ისე მიმდინარეობს, რომ გრძნობა, რომელიც თავდაპირველად ნებელობასთანაა დაკავშირებული, სიცოცხლის განმავლობაში თანდათან გამონთავისუფლდება ნებელობისგან. სწორედ ამასთან გვაქვს საქმე აღზრდისას: ნებელობისაგან გრძნობის გამონთავისუფლებასთან. შემდეგში ნებელობისაგან გამონთავისუფლებული გრძნობა აზროვნებით შემეცნებას უკავშირდება. ამასთანა გვაქვს საქმე შემდგომი ცხოვრებისას. ჩვენ მხოლოდ მაშინ შევამზადებთ შემდგომი ცხოვრებისათვის ბავშვს სწორად, როცა ხელს შევუწყობთ, რომ გრძნობა კარგად გამონთა-

ვისუფლდეს ნებელობისგან; მაშინ ცხოვრების შემდგომ პერიოდში იგი შეძლებს დაუკავშიროს გამონთავისუფლებული გრძნობა აზროვნებით შემეცნებას და ასე ჩაერთოს ცხოვრებაში. რატომ ვუგდებთ ყურს მოხუცს მაშინაც, როცა იგი თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე გვიყვება? იმიტომ რომ მან საკუთარი სიცოცხლის განმავლობაში თავისი პირადი შეგრძნება დაუკავშირა ცნებებსა და იდეებს. იგი თეორიებს კი არ გვიყვება, არამედ იმას, რაც როგორც გრძნობა პირადად დაუკავშირა იდეებსა და ცნებებს. ხანდაზმულთან, რომელმაც ნამდვილად დაუკავშირა თავისი გრძნობა აზროვნებით შემეცნებას, ცნებები და იდეები თბილად ეღერს, სინამდვილით აღსავსედ, კონკრეტულად, პიროვნულად ეღერს; მაშინ როცა მამაკაცის ან ქალის ასაკში დარჩენილ ადამიანთან ცნებები და იდეები თეორიულად, აბსტრაქტულად, მეცნიერულად ეღერს. ადამიანის ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ მისი მშვინვიერი უნარები გარკვეულ გზას გადის, რომლის დროსაც ბავშვის მგრძნობი ნებელობა ხანდაზმულის მგრძნობ აზროვნებად ვითარდება. ამ ორს შორის გადაჭიმულია ადამიანის ცხოვრება და ჩვენ მხოლოდ მაშინ აღვზრდით ჯეროვნად ამ ცხოვრებისათვის კაცს, როდესაც ყოველივე ამის ფსიქოლოგიურად განჭვრეტას შეეძლებთ.

ახლა ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სამყაროს ყოველგვარი დაკვირვებისას პირველ რიგში წარმოჩნდება ერთი რამ, რასაც ფსიქოლოგებიც აღწერენ როგორც პირველს, რაც ამ დროს თავს იჩენს: ესაა შეგრძნება. როცა ჩვენი რომელიმე გარე გრძნობა გარემოსთან მოდის კავშირში, მაშინ იგი შეიგრძნობს. ჩვენ შევიგრძნობთ ფერებს, ბგერებს, სითბოსა და სიცივეს. ასე ჩნდება შეგრძნება გარემოსთან ჩვენი ურთიერთობის დროს.

იქიდან, როგორც საყოველთაოდ გავრცელებული ფსიქოლოგია ჩვეულებრივ აღწერს შეგრძნებას, თქვენ ვერ მიიღებთ სწორ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა არის სინამდვილეში იგი. როცა ფსიქოლოგები შეგრძნებაზე საუბრობენ,

ისინი ამბობენ: გარეთ ადგილი აქვს გარკვეულ ფიზიკურ პროცესს, ვიბრაციებს სინათლის ეთერში, ანდა ჰაერის რხევებს, ეს მიედინება ჩვენი გრძნობის ორგანოსაკენ და აღაგზნებს მას. — შემდეგ საუბრობენ აგზნებაზე და შემოაქვთ გამოთქმა, რომელსაც ადგენენ, მაგრამ არ სურთ მისი გააზრება. ვინაიდან აგზნება გრძნობის ორგანოს საშუალებით ჩვენს სამშვინველში იწვევს შეგრძნებას, სავსებით თვისებრივ შეგრძნებას, რომელიც ფიზიკური პროცესიდან, მაგ., სმენისას ჰაერის ტალღების რხევებიდან, წარმოიქმნება. თუ როგორ ხორციელდება ეს, ამაზე ფსიქოლოგია, თანამედროვე მეცნიერება ჯერ ვერაფერს გვამცნობს. ასეთი ვითარებაა, ჩვეულებრივ, ფსიქოლოგიაში.

თქვენ უფრო მიუახლოვდებით ამ საკითხების გაგებას, ვიდრე ეს ამგვარი ფსიქოლოგიური განხილვების გზითაა შესაძლებელი, თუკი თავად შეგრძნების ბუნების წვდომის შედეგად შეძლებთ უპასუხოთ კითხვას: რომელ მშვინვიერ ძალას ენათესავება შეგრძნება ყველაზე მეტად? — ფსიქოლოგები იოლად წყვეტენ საკითხს; ისინი პირდაპირ შემეცნებას მიათვლიან შეგრძნებას და ამბობენ: ჩვენ ჯერ შევიგრძნობთ, შემდეგ აღვიქვამთ, შემდეგ ვქმნით წარმოდგენებს, ვაყალიბებთ ცნებებს და ა.შ. — ეს პროცესი, მართლაც, ასეთად გვეჩვენება თავდაპირველად. მაგრამ ამ დროს ყურადღებას არ აქცევენ იმას, თუ რა არის სინამდვილეში შეგრძნების არსი.

როცა შეგრძნებას ნამდვილად განვჭვრეტთ ჯეროვანი თვითდაკვირვებისას, მაშინ ვიმეცნებთ: შეგრძნება ნებელობითი ბუნების მქონეა და გრძნობისმიერი ბუნების ელფერი დაჰკრავს. თავდაპირველად იგი არაა მიაზროვნე შემეცნების მონათესავე, არამედ მგრძნობი ნებელობისა ანდა მნებავი გრძნობისა. მე არ ვიცი, რამდენმა ფსიქოლოგმა — ბუნებრივია, შეუძლებელია იცნობდე ყველა იმ უამრავ ფსიქოლოგს, დღესდღეობით რომ არსებობს — შეამჩნია შეგრძნების მონათესაობა მნებავ გრძნობასთან ანდა მგრძნობ ნებელობასთან. როცა ამბობენ, რომ შეგრძნება ნებელობის მონათესავე არის, ეს ზუსტი გამოთქმა

არ არის, ვინაიდან შეგრძნება მნებავი გრძნობისა და მგრძნობი ნებელობის მონათესავე არის. მაგრამ იგი რომ გრძნობას ენათესავება, ამას სულ მცირე ერთი ფსიქოლოგი მაინც მიხვდა თავის ფსიქოლოგიაში — *მორიც ბენედიქტი* ვენიდან, რომელიც განსაკუთრებით კარგი დაკვირვებით გამოირჩევა.

თუმცაღა მის ფსიქოლოგიას ფსიქოლოგები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. იგი ერთობ თავისებური რამაა. ჯერ ერთი, მორიც ბენედიქტი პროფესიით კრიმინალური ანთროპოლოგი არის; ამჟამად იგი ფსიქოლოგიას მისდევს. მეორეც, იგი ბუნების მკვლევარია და წერს აღზრდისათვის პოეზიის მნიშვნელოვნების შესახებ, აანალიზებს პოეტურ ქმნილებებს, რათა ცხადყოს, თუ როგორ შეიძლება მათი გამოყენება აღზრდისას. საშინელებაა: კაცს სურს მეცნიერი იყოს და ცდილობს, რომ ფსიქოლოგებმა რაიმე ისწავლონ პოეტების შესახებ! მესამეც, ეს კაცი არის ებრაელი ბუნებისმკვლევარი, წერს ფსიქოლოგიას და უძღვნის მას მღვდელს, ვენის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის კათოლიკე ფილოსოფოსს — *ლაურენც მიულნერს.* სამი საშინელი რამ, რომელიც შეუძლებელს ხდის პროფესიონალი ფსიქოლოგებისათვის, სერიოზულად შეხედონ ამ კაცს. მაგრამ თუ წაიკითხავთ მის ფსიქოლოგიას, შიგადაშიგ იმდენ ჭეშმარიტად ზუსტ` მოსაზრებებს აღმოაჩენთ, რომ ბევრ რამეს შეიძენთ მათგან, თუმცა მოგიხდებათ უკუაგდოთ ამ ფსიქოლოგიის მთელი სტრუქტურა, მორიც ბენედიქტის აზროვნების მატერიალისტური სტილი, რაშიც იგი ჩაჭედილი არის. მთლიანი წიგნიდან თქვენ არაფერი გრჩებათ, ცალკეული დაკვირვებებიდან კი ძალზე ბევრს იძენთ. ასე უნდა ვეძებოთ საუკეთესო ამქვეყნად იქ, სადაც იგი არსებობს. როდესაც ვინმე კარგი დამკვირვებელია ცალკეული მოვლენებისა, მაგრამ მისი ზოგადი ტენდენცია მიუღებელია, როგორც მორიც ბენედიქტის შემთხვევაში, მაშინ ამ მიზეზით არ უნდა უკუვაგდოთ ცალკეული მოვლენების ეს კარგი დაკვირვებები.

ამგვარად, შეგრძნება, როგორც ის გვეელინება ადამიანში,

არის მნებავი გრძნობა ანდა მგრძნობი ნებელობა. ამიტომ უნდა ვთქვათ: იქ, სადაც გარეგნულად განფენილია ადამიანის გარე გრძნობათა სფერო – გარე გრძნობები, უხეშად რომ ვთქვათ, ხომ ჩვენი სხეულის გარეთა მხარეზე გაგვაჩნია –, ადამიანში გარკვეული სახით ადგილი აქვს მგრძნობ ნებელობას, მნებავ გრძნობას. თუ სქემატურად გამოვსახავთ ადამიანს, შეგვიძლია ვთქვათ: ადამიანის გარე ზედაპირზე – გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ყველაფერი სქემატურადაა ნაგულისხმევი – გვაქვს გარე გრძნობების სფერო, მნებავი გრძნობა, მგრძნობი ნებელობა (იხ. ნახაზი, გვ. 130). რას ვაკეთებთ ამ ზედაპირზე, როცა ადგილი აქვს მგრძნობ ნებელობას, მნებავ გრძნობას, რამდენადაც სხეულის ეს ზედაპირი გარე გრძნობათა სფეროა? ჩვენ ვახორციელებთ მოქმედებას, რომელიც ნახევრად ძილია, ნახევრად კი სიზმარი; მას შეგვიძლია აგრეთვე ვუწოდოთ სიზმრისეული ძილი, ძილში სიზმარი. ვინაიდან ჩვენ არა მარტო ღამით გვძინავს, არამედ განუწყვეტლივ გვძინავს ჩვენი სხეულის პერიფერიაზე, გარე ზედაპირზე და ამიტომ, როგორც ადამიანები, მთლიანად ვერ განვეჭვრეტთ შეგრძნებებს, ვინაიდან იმ ადგილას, სადაც არსებობენ შეგრძნებები, ჩვენ ძილში გვესიზმრება და სიზმრებში გვძინავს.

ფსიქოლოგებს წარმოდგენაც არა აქვთ, რომ ჩვენ ერთი და იგივე რამ გვიშლის ხელს შეგრძნებების წვდომაში და გაღვიძებისას სიზმრების ნათლად გაცნობიერებაში. როგორც ხედავთ, ძილისა და სიზმრის ცნებებს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ ცხოვრებაში. ჩვეულებრივ ცხოვრებაში ძილს მხოლოდ იმდენად ვიცნობთ, რამდენადაც ვიცით: ღამით, როცა საწოლში ვწევართ, ჩვენ გვძინავს. ჩვენ სულაც არ ვიცით, რომ ძილი ისეთი რამაა, რასაც ბევრად უფრო დიდი გავრცელება აქვს, რასაც ჩვენ განუწყვეტლივ ვახორციელებთ ჩვენი სხეულის ზედაპირზე; ოღონდ ჩვენი სხეულის ზედაპირზე ძილს გამუდმებით სიზმრები შეერევა. ეს „სიზმრები" გარე გრძნობები არის, სანამ მათ განსჯა და მოაზროვნე

შემეცნება სწვდება.

ბავშვთანაც თქვენ მის გარე გრძნობებში უნდა მოძებნოთ ნებისა და გრძნობის სფერო. ამიტომაც ვუსვამთ ასე ძლიერად ხაზს იმას, რომ ბავშვის ინტელექტუალური აღზრდისას ჩვენ განუწყვეტლივ ნებაზეც უნდა ვიმოქმედოთ; ვინაიდან ყველაფერში, რასაც ბავშვმა უნდა უყუროს, რაც უნდა აღიქვას, უნდა ნებასა და გრძნობაზეც ვიზრუნოთ, თორემ ჩვენ ბავშვის შეგრძნებას დავუპირისპირდებით. მხოლოდ ხანდაზმულობისას, ადამიანის სიცოცხლის დაისის დროს შეგვიძლია ისე ვესაუბროთ მას, რომ შეგრძნებებსაც უკვე მეტამორფოზირებულს ვწვდეთ. მოხუცთან შეგრძნება მგრძნობი ნებელობიდან მგრძნობ აზროვნებაში ანდა მოაზროვნე გრძნობაში არის გადასული. მასთან შეგრძნება სახეშეცვლილია. აქ შეგრძნებებს უფრო აზრისმიერი ხასიათი აქვს, დაკარგული აქვს მოუსვენარი ნებელობითი ხასიათი და უფრო დიდ სიმშვიდეს ატარებს. პირველად ხანდაზმულთან შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეგრძნებები მიუახლოვდნენ ცნებებს, იდეების ბუნებას.

ამ ფაქიზ განსხვავებას შეგრძნებებს შორის ფსიქოლოგები, ჩვეულებრივ, არ ახდენენ. მათთვის ხანდაზმულის შეგრძნება იგივეა, რაც ბავშვისა, ვინაიდან მათთვის შეგრძნება არის შეგრძნება. ეს დაახლოებით ისეთივე ლოგიკაა, როგორც სამართებელი რომ გეჭიროთ ხელში და ამბობდეთ: სამართებელი არის დანა, ასე რომ, მოდით, სამართებლით გავჭრათ ხორცი, ვინაიდან დანა არის დანა. — აქ ცნებას ვიღებთ სიტყვების განმარტებიდან. მაგრამ ასე კი არ უნდა ვიქცეოდეთ, არამედ ცნებას ფაქტებიდან უნდა ვიღებდეთ. შეგრძნების შემთხვევაში ჩვენ დავინახავდით, რომ ისიც ცოცხალია, ისიც განიცდის ქმნადობას სიცოცხლისას, რომ ბავშვთან მას უფრო ნებელობითი ხასიათი გააჩნია, მოხუცთან კი უფრო განსჯითი, ინტელექტუალური. ბუნებრივია, ადამიანებს ეიოლებათ სიტყვებიდან გამოიყვანონ ყველაფერი; ამიტომაც გვაქვს სიტყვების ამდენი განმარტებები, რამაც მეტად უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს ცალკეულ ადამიანზე.

ერთხელ საშუალება მომეცა მომესმინა თანასკოლელისთვის, რომელიც კარგა ხანია, აღარ მენახა. ჩვენ ერთსა და იმავე სახალხო სკოლაში ვსწავლობდით: მე – რეალურ სასწავლებელში, ის კი პედაგოგიურ სემინარში, თანაც უნგრულში, 70-იან წლებში კი ეს რაღაცას ნიშნავდა. რამოდენიმე წლის შემდეგ ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და ვისაუბრეთ სინათლეზე. მე უკვე ნასწავლი მქონდა ის, რაც ფიზიკაში შეიძლება ისწავლოს კაცმა, ე.ი. რომ სინათლეს რაღაც საერთო აქვს ეთერის რხევებთან და ა.შ. ეს შეიძლებოდა ჩათვლილიყო სინათლის მიზეზად. ჩემმა ყოფილმა თანასკოლელმა თქვა: ჩვენც ვისწავლეთ, თუ რა არის სინათლე: სინათლე არის მხედველობის მიზეზი! – ესაა სიტყვებით თამაში! ასე იქცევიან ცნებები ცარიელ სიტყვიერ განმარტებებად. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რას შეიძენენ მოწაფეები, როდესაც ხსენებული ბატონი შემდგომში თავად ჩაუტარებს გაკვეთილებს უამრავ მათგანს, სანამ პენსიაზე გავიდოდეს. – ჩვენ უნდა თავი დავაღწიოთ სიტყვებს და მივწვდეთ საგნების სულს. როცა რაიმეს გაგება გვსურს, მუდამ სიტყვაზე კი არ უნდა ვფიქრობდეთ, არამედ ფაქტობრივ მიმართებებს უნდა ვეძიებდეთ. თუ სიტყვა „სულის" წარმომავლობას მოვიძიებთ *ფრიც მაუთნერის* ენის ისტორიაში და ვიკითხავთ: როგორ ჩნდება პირველად სიტყვა „სული"? – მაშინ აღმოვაჩენთ სიტყვა „სულის" ნათესაობას „ქაფთან", „გაზთან". ეს ნათესაობა არსებობს, მაგრამ აქედან დიდს ვერაფერს მივიღებთ, თუ მხოლოდ ამას დავეყრდნობით. საუბედუროდ, ზოგჯერ სწორედ ამ მეთოდს იყენებენ ბიბლიის კვლევისას. ამიტომაცაა ბიბლია ის წიგნი, რომელიც ყველაზე ცუდადაა გაგებული ადამიანთა უმრავლესობის, განსაკუთრებით კი თანამედროვე თეოლოგების მიერ.

საჭიროა ყველგან რეალობის შესატყვისად ვმოქმედებდეთ, ანუ ვცდილობდეთ სულის ცნება მივიღოთ არა სიტყვის ისტორიიდან, არამედ იმით, რომ ბავშვის სხეულის გამოვლინებებს შევადარებთ ხანდაზმულისას. რეალურ ცნებას ფაქტე-

ბის ამ ურთიერთდაკავშირების გზით მივიღებთ.

შეგრძნების ნამდვილ ცნებასაც მხოლოდ მაშინ მივიღებთ, როდესაც გვეცოდინება: ბავშვთან შეგრძნება აღმოცენდება სხეულის პერიფერიაზე, როგორც მნებავი გრძნობა ანდა მგრძნობი ნებელობა, იმის წყალობით, რომ ბავშვთან სხეულის ამ პერიფერიას ადამიანის შინაგანთან მიმართებით სძინავს და ამასთან სიზმრებს ხედავს. თქვენ მთლიანად ფხიზელნი ხართ არა მარტო მოაზროვნე შემეცნებაში, არამედ საერთოდ მხოლოდ თქვენი სხეულის შინაგანში ხართ ფხიზელნი. სხეულის პერიფერიაზე, სხეულის ზედაპირზე თქვენ გამუდმებით გძინავთ. უფრო მეტიც: რასაც ადგილი აქვს სხეულის შემოგარენში, უკეთ რომ ვთქვათ, სხეულის ზედაპირზე, ამას მსგავსი სახით ადგილი აქვს თავშიც; და მით უფრო აქვს ადგილი, რაც უფრო ღრმად შევდივართ ადამიანის შინაგანში, კუნთისმიერში, სისხლისმიერში. აქ შიგნით ადამიანს სულ სძინავს და ამასთან სიზმრებშია. ზედაპირზე მას სძინავს და სიზმრებს ხედავს, შინაგანშიც მას სძინავს და სიზმრებს ხედავს.



ამდენად, ჩვენს შინაგანში მუდმივად სიზმრისეულ ძილში რჩება ის, რაც უფრო მშვინვიერ-მნებავ გრძნობას, მგრძნობ ნებელობას წარმოადგენს – ჩვენი სურვილების ცხოვრება და ა.შ. მაშ სადღა ვართ მთლიანად ფხიზელნი? შუალედურ ზონაში, როდესაც მთლიანად გვღვიძავს.

როგორც ხედავთ, ახლა სულიერი თვალსაზრისიდან ამოვდიოვართ, როდესაც ძილისა და ღვიძილის ფაქტებს სივრცობრივადაც მივუსადაგებთ ადამიანს და ვუკავშირებთ მის აგებულებას ისე, რომ შეგვიძლია ვთქვათ: თუ სულიერი თვალსაზრისით განვიხილავთ, ადამიანს სძინავს ზედაპირსა და შინაგან ორგანოებში და მხოლოდ შუალედურ ზონაში შეუძლია ნამდვილად მთლიანად ფხიზელი იყოს დაბადებიდან გარდაცვალებამდე სიცოცხლისას. რა ორგანოებია უმთავრესად ჩამოყალიბებული ამ შუალედურ ზონაში? ის ორგანოები, განსაკუთრებით თავში, რომელთაც ნერვებს ვუწოდებთ, ნერვული აპარატი. ეს ნერვული აპარატი თავის გამონაზარდებს აგზავნის გარე ზედაპირის ზონაში და ასევე შინაგანში; აქ გადის ნერვები და აქ იმყოფება ის შუალედური ზონა, როგორიცაა ტვინი, კერძოდ, ზურგის ტვინი და აგრეთვე მზის წნული. აქ გვეძლევა ჩვენ შესაძლებლობა, ნამდვილად ფხიზელნი ვიყოთ. იქ, სადაც ყველაზე მეტადაა განვითარებული ნერვები, ჩვენ ყველაზე მეტად ფხიზელნი ვართ. მაგრამ ნერვულ სისტემას თავისებური მიმართება აქვს სულთან. იგი წარმოადგენს ორგანოთა სისტემას, რომელსაც სხეულის ფუნქციების წყალობით გამუდმებით აქვს ტენდენცია, გაიხრწნას, მინერალური გახდეს. რომ შეგძლებოდათ ცოცხალ ადამიანში გამოგეცალკევებინათ ნერვული სისტემა დანარჩენი ჯირკვლოვან-კუნთურ-სისხლისა და ძვლოვანი არსებისაგან – ძვლოვანი სისტემა შეიძლება ნერვულთან ერთად დაგეტოვებინათ კიდეც –, იგი ცოცხალ ადამიანშიც კი უკვე გვამი იქნებოდა, მუდმივად გვამი იქნებოდა. ნერვულ სისტემაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს ადამიანის კვდომა. ნერვული სისტემა ერთადერთი სისტემაა, რომელსაც არანაირი პირდაპირი

მიმართება არ გააჩნია სულიერ-მშვინვიერთან. სისხლს, კუნთებსა და ა.შ. გააჩნიათ პირდაპირი მიმართება სულიერ-მშვინვიერთან, ნერვულ სისტემას კი მასთან არავითარი უშუალო კავშირი არა აქვს; მას მხოლოდ იმის შედეგად გააჩნია მიმართება სულიერ-მშვინვიერთან, რომ გამუდმებით ეთიშება ადამიანის ორგანიზმს და არ იმყოფება მასში, ვინაიდან გამუდმებით იხრწნება. სხვა ნაწილები კი ცოცხლობენ; ამიტომაც ისინი პირდაპირ კავშირს ამყარებენ სულიერ-მშვინვიერთან. ნერვული სისტემა გამუდმებით კვდება; იგი განუწყვეტლივ ეუბნება ადამიანს: შენ შეგიძლია განვითარდე, რამეთუ მე არ წარმოვადგენ შენთვის დაბრკოლებას, რამეთუ მე ისე ვაკეთებ, რომ სულ არა ვარ აქ ჩემი სიცოცხლითურთ! — ესაა თავისებურება. ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია აცხადებს: შეგრძნების, აზროვნების, სულიერ-მშვინვიერის გამაშუალებელი ორგანო არის ნერვული სისტემა. მაგრამ რის შედეგადაა იგი გამაშუალებელი ორგანო? მხოლოდ იმის შედეგად, რომ განუწყვეტლივ გამოეყოფა სიცოცხლეს; რომ იგი აზროვნებისა და შეგრძნებისათვის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს; რომ არავითარ მიმართებას არ ამყარებს აზროვნებასა და შეგრძნებასთან; რომ იგი ადამიანს საშუალებას აძლევს ცარიელი იყოს სულიერ მშვინვიერთან მიმართებით იქ, სადაც ის არსებობს. სულიერ-მშვინვიერისთვის იქ, სადაც ნერვებია, სიცარიელე არის. ამიტომაც შეუძლია სულიერ-მშინვიერს შევიდეს იქ, სადაც სიცარიელეა. ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ნერვულ სისტემას, რომ იგი არ ზრუნავს სულიერ-მშვინვიერზე, რომ იგი არ აკეთებს ყოველივე იმას, რასაც ფიზიოლოგები და ფსიქოლოგები მიაწერენ. მას რომ გაეკეთებინა ეს, ხუთი წუთიც კი რომ ჰქონოდა ადგილი იმას, რაც ფიზიოლოგებისა და ფსიქოლოგების აღწერის მიხედვით უნდა გააკეთოს ნერვებმა, მაშინ ამ ხუთი წუთის განმავლობაში ჩვენ არაფერი გვეცოდინებოდა სამყაროსა და საკუთარ თავზე: ჩვენ ძილში ვიქნებოდით. ვინაიდან ამ შემთხვევაში ნერვები ისევე იმოქმედებს, როგორც ორგანოები, რომელნიც ძილს

განაშუალებენ, მგრძნობელობას, მნებავ გრძნობას განაშუალებენ.

დიახ, როცა საქმე ეხება იმას, რაც ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიისთვის ჭეშმარიტებას წარმოადგენს, მაშინ დღეს-დღეობით სიძნელეებს ვაწყდებით. ვინაიდან მუდამჟამ ამბობენ: შენ თავდაყირა აყენებ სამყაროს. მაგრამ ჭეშმარიტება ისაა, რომ იგი მართლაც თავდაყირა დგას და სულისმეცნიერების მეოხებით ფეხზე უნდა დადგეს. ფიზიოლოგები ამბობენ: აზროვნების ორგანოებია ნერვები, განსაკუთრებით კი ტვინი. — სინამდვილეში კი ტვინსა და ნერვულ სისტემას მხოლოდ იმიტომ აქვს რაიმე საერთო მოაზროვნე შემეცნებასთან, რომ ისინი განუწყვეტლივ გამოიდევნებიან ადამიანის ორგანიზმიდან და რომ ამის წყალობით შეუძლია მოაზროვნე შემეცნებას გადაიშალოს.

ახლა ძალზე ზუსტად განვიხილოთ ერთი რამ და გთხოვთ, მოიკრიბოთ თქვენი განსჯის ძალები. ადამიანის გარემოში, სადაც გარე გრძნობების სფეროა, ადგილი აქვს რეალურ პროცესებს, რომელნიც განუწყვეტლივ ერთვიან მსოფლიო მოვლენებს. ვთქვათ, სინათლე მოქმედებს ადამიანზე თვალის საშუალებით. თვალში ანუ გარე გრძნობების სფეროში ადგილი აქვს რეალურ პროცესს, ფიზიკურ-ქიმიურ პროცესს. იგი გრძელდება ადამიანის სხეულის შინაგანში და აღწევს იმ შინაგანსაც (დაშტრიხული ნაწილი ნახაზში), სადაც კვლავ ფიზიკურ-ქიმიური პროცესები მიმდინარეობს. ახლა წარმოიდგინეთ, რომ დგახართ განათებული სიბრტყის წინ და ამ განათებული სიბრტყიდან სინათლის სხივები თქვენს თვალებს ეცემა. აქ კვლავ ფიზიკურ-ქიმიური პროცესები აღმოცენდება, რომელნიც გრძელდებიან ადამიანის შინაგანში — კუნთურ-სისხლისმიერ ბუნებაში. მათ შორის კი რჩება ცარიელი ზონა. ამ ცარიელ ზონაში, რომელიც ნერვული ორგანოს წყალობითაა ცარიელი, არ ვითარდება ისეთი პროცესები, როგორც თვალში ანდა ადამიანის შინაგანში, რომელნიც დამოუკიდებელი პროცესები არიან; არამედ მასში გრძელდება ის, რაც გარეთაა: თავად

სინათლის, ფერების ბუნება და ა.შ. ამგვარად, ჩვენი სხეულის ზედაპირზე, სადაც გარე გრძნობებია, ჩვენ გვაქვს რეალური პროცესები, რომელნიც დამოკიდებულნი არიან თვალზე, ყურზე, სითბოს აღქმის ორგანოზე და ა.შ. მსგავსი პროცესები არსებობს ადამიანის შინაგან'შიც. მაგრამ არა შუაში, სადაც ნერვები ვრცელდება; ისინი ათავისუფლებენ სივრცეს, აქ შეგვიძლია ჩვენ ვიცხოვროთ იმასთან ერთად, რაც გარეთაა. თვალი სახეს უცვლის სინათლესა და ფერს. მაგრამ იქ, სადაც ნერვებია, სადაც ცარიელნი ხართ სიცოცხლესთან მიმართებით, იქ სინათლე და ფერი არ იცვლის სახეს, იქ თქვენ სინათლესა და ფერთან ერთად ცხოვრობთ. თქვენ მხოლოდ გარე გრძნობათა სფეროსთან მიმართებით ხართ გამოცალკევებული გარე სამყაროსაგან, შიგნით კი ცხოვრობთ ვით ნაჭუჭში გარე პროცესებთან ერთად. აქ თქვენ თავად იქცევით სინათლედ, იქცევით ბგერად, აქ ვრცელდება პროცესები, ვინაიდან ამისთვის ნერვები არ წარმოადგენს დაბრკოლებას, როგორც სისხლი და კუნთები.

ახლა ვიძენთ ჩვენ გრძნობას იმისათვის, რაც მნიშვნელოვანია: ჩვენ გვღვიძავს სიცოცხლესთან მიმართებით ჩვენში არსებულ სიცარიელეში მაშინ, როცა გარე ზედაპირსა და შინაგანში ძილში გვესიზმრება და სიზმრებში გვძინავს. ჩვენ მთლიანად ვფხიზლდებით მხოლოდ იმ ზონაში, რომელიც გარეგანსა და შინაგანს შორის მდებარეობს. ეს რაც შეეხება სივრცეს.

მაგრამ ადამიანის სულიერი თვალსაზრისით განხილვისას ჩვენ მისი დროითი მხარეც უნდა დავუკავშიროთ ღვიძილს, ძილსა და სიზმარს.

თქვენ სწავლობთ რაღაცას; თქვენ ისე აღიქვამთ მას, რომ იგი თქვენს სრულ სიფხიზლეში შემოდის. როდესაც თქვენ ამით ხართ დაკავებულნი და ფიქრობთ მასზე, ეს თქვენი სრული სიფხიზლისას ხდება. შემდეგ სხვა რამეზე გადადიხართ. სხვა რაღაც იპყრობს თქვენს ინტერესს, თქვენს ყურადღებას. რას აკეთებს ახლა ის, რაც ამასწინ ისწავლეთ და რითაც

იყავით დაკავებულნი? იგი დაძინებას იწყებს, ხოლო როცა შემდეგში თქვენ იხსენებთ მას, იგი კვლავ იღვიძებს. თქვენ მხოლოდ მაშინ გაერკვევით ამაში, როცა სიტყვებით ყველგვარ თამაშს, რასაც ფსიქოლოგიაში გახსენებისა და დავიწყების სახით ხვდებით, ნამდვილი ცნებებით შეცვლით. რა არის გახსენება? ესაა წარმოდგენათა კომპლექსის გამოღვიძება. რა არის დავიწყება? წარმოდგენათა კომპლექსის დაძინება. ამ დროს შეგიძლიათ შეუდაროთ რეალობა ნამდვილად განცდილს, ამ დროს აღარა გაქვთ ცარიელი სიტყვიერი განმარტებები. როდესაც ფიქრობთ ღვიძილსა და ძილზე, როდესაც განიცდით თქვენსავე დაძინებას ანდა სხვის დაძინებას ხედავთ, მაშინ თქვენს წინაშე რეალური პროცესი არის. დავიწყებას, ამ შინაგან მშვინვიერ აქტივობას, თქვენ უკავშირებთ ამ რეალურ პროცესს — და არა რაიმე სიტყვას —, ერთმანეთს უდარებთ ორივეს და ამბობთ: დავიწყება არის სხვა სფეროში მიმდინარე დაძინება, გახსენება კი სხვა სფეროში მიმდინარე გაღვიძება.

თქვენ მხოლოდ იმით აღწევთ სამყაროს სულიერ წვდომას, რომ რეალურს რეალურს უდარებთ. როგორც ბავშვობის ასაკი უნდა შეუდაროთ ხანდაზმულობის ასაკს, რათა ჭეშმარიტად შეძლოთ სხეულისა და სულის ურთიერთდაკავშირება, ასევე უნდა შეუდაროთ ერთმანეთს გახსენება და დავიწყება იმით, რომ ისინი რეალურს, დაძინებასა და გამოღვიძებას, დაუკავშიროთ.

ესაა ის, რაც უაღრესად აუცილებელი გახდება კაცობრიობის მომავლისთვის: რომ ადამიანებმა კეთილი ინებონ და ფეხი შედგან სინამდვილეში, რეალობაში. დღესდღეობით ისინი თითქმის მარტოოდენ სიტყვებით აზროვნებენ, ისინი არ აზროვნებენ სინამდვილეში. როგორ მოაფიქრდებოდა დღევანდელ ადამიანს რეალობა, გამოღვიძება, გახსენების შესახებ საუბრისას? მას შეუძლია ყური დაუგდოს ჯელანაირ სიტყვებს, რათა განსაზღვროს გახსენება, მაგრამ აზრადაც არ მოუვა, სინამდვილიდან, საქმიდან გამომდინარე სწვდეს ყოველივე ამას.

აქედან თქვენთვის გასაგები იქნება ის, რომ როცა გვსურს ადამიანებს მივაწოდოთ ისეთი რამ, როგორიცაა სამწეცროვნება, რომელიც მთლიანად სინამდვილიდანაა გამოტანილი და არა აბსტრაქტული ცნებებიდან, ეს ადამიანები თავდაპირველად ვერ იგებენ ამას, ვინაიდან არ არიან მიჩვეულნი, სინამდვილიდან მიიღონ ფაქტები. ისინი არც ერთ ცნებას არ უკავშირებენ სინამდვილიდან მიღებულ ფაქტებს. ყველაზე ნაკლებად, მაგ., სოციალისტი ბელადები უკავშირებენ ცნებებს სინამდვილიდან გამოტანილ ფაქტებს თავიანთ თეორიებში; ესენი წარმოადგენენ სიტყვიერი განმარტებების დასასრულს, საბოლოო დეკადენტურ გამოვლინებას. ხალხს ძირითადად ჰგონია, რომ რაღაც გაეგება სინამდვილისა; მაგრამ როდესაც ლაპარაკს იწყებენ, ცარიელ სიტყვებს ისვრიან.

ეს მხოლოდ შენიშვნა იყო, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი თანამედროვე ეპოქის არსთან. მაგრამ პედაგოგი იმ დროსაც უნდა უგებდეს, რომელშიც ცხოვრობს, ვინაიდან მან უნდა გაუგოს იმ ბავშვებს, რომელნიც ამ დროს ეკუთვნიან და რომელნიც მან უნდა აღზარდოს.

მერვე ლექცია

შტუტგარტი, 29 აგვისტო, 1919 წელი

გუშინ ვნახეთ, რომ ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ მეხსიერების, მოგონების ძალის წვდომას, როდესაც მას დავუკავშირებთ, ვიტყოდი, გარე დაკვირვებისთვის ცხად პროცესებს: ძილსა და ღვიძილს. აქედან ხედავთ, რომ პედაგოგიურ მისწრაფებას უნდა შეადგენდეს, სულიერი იდეების ჩამოსაყალიბებლადაც სულ უფრო და უფრო დავუკავშიროთ უცნობი მოვლენა ნაცნობს.

თქვენ შეიძლება თქვათ: ძილი და ღვიძილი სინამდვილეში ხომ კიდევ უფრო მეტადაა წყდიადით მოცული, ვიდრე გახსენება და დავიწყება, ამიტომ ისინი ბევრს ვერაფერს შეგვმატებენ გახსენებისა და დავიწყების ახსნაში. — მაგრამ: ვინც ყურადღებით აკვირდება, თუ რას კარგავს ადამიანი ძილის დარღვევის შედეგად, იგი აქედან იმასაც შეიმეცნებს, რაც დარღვევის სახით აღმოცენდება ადამიანის მთელ მშვინვიერ ცხოვრებაში მაშინ, როდესაც დავიწყება სწორ მიმართებაში ვერ მოდის გახსენებასთან. გარეგნული ცხოვრებიდან ვიცით, რომ საკმარისად ხანგრძლივი ძილი აუცილებელია, რათა მეს ცნობიერება სულ უფრო და უფრო არ შესუსტდეს და არ მიიღოს ისეთი ხასიათი, როცა ძილის მდგომარეობის დარღვევის გამო იგი ზედმეტად ძლიერად მიეცემა გარე სამყაროს შთაბეჭდილებებს, ყოველივე იმას, რაც გარე სამყაროდან უახლოვდება მეს. ეს შეგიძლიათ შეამჩნიოთ ძილის უკვე შედარებით უმნიშვნელო დარღვევისას, უკეთ რომ ვთქვათ, უძილობისას. ვთქვათ, ერთ ღამეს კარგად არ გეძინათ. წინდაწინ ვიტყვი, რომ კარგად იმიტომ კი არ გეძინათ, რომ განსაკუთრებით ბეჯითი იყავით და ღამე მუშაობისთვის გამოიყენეთ; საქმე სხვა რაღაცაშია. ვთქვათ, ძილი დაგირღვიათ რაიმე სხეულებრივმა მდგომარეობამ ანდა კოღოებმა, მოკლედ, მშვინვიერისათვის უფრო გარეგანმა მიზეზმა. ამ დროს ნახავთ,

რომ, ალბათ, მეორე დღესვე მოვლენები, რომლებიც თქვენზე შთაბეჭდილებას ახდენს, უფრო მეტად უსიამოვნო ზემოქმედებას მოახდენს, ვიდრე ჩვეულებრივ. თქვენი მე გარკვეულწილად მგრძნობიარე გახდა.

ასევე ხდება, როდესაც ადამიანის მშვინვიერ ცხოვრებაში არასწორად მოქმედებს დავიწყება და გახსენება. როდის აქვს ამას ადგილი? მაშინ, როცა ნებსით ვერ ვარეგულირებთ დავიწყებასა და გახსენებას. ძალზე ბევრია ისეთი ადამიანი – ეს მიდრეკილება უკვე ადრეული ბავშვობისას იჩენს თავს –, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში თვლემს. გარეგანი ახდენს მათზე შთაბეჭდილებას, ისინი ეძლევიან შთაბეჭდილებებს, მაგრამ ჯეროვნად არ მიადევნებენ მათ თვალყურს, არამედ უშვებენ, რომ გვერდით ჩაურბინონ, ისინი თავიანთი მეთი სათანადოდ არ უკავშირდებიან შთაბეჭდილებებს. მაგრამ ისინი თავისუფლად აღმოცენებად წარმოდგენებშიც თვლემენ, როდესაც სწორად არ ეძლევიან გარეგან ცხოვრებას. ისინი კი არ ცდილობენ, რაიმე მიზეზისას ნებსით ზეამოიტანონ თავიანთი წარმოდგენების სიმდიდრე, ვინაიდან სჭირდებათ კარგად გაიგონ ესა თუ ის რამ, არამედ უშვებენ წარმოდგენებს, რომელთაც ნებავთ შინაგანიდან ზეამოსვლა, რომ თავისით ამოტივტივდნენ. ამ დროს ხან ერთი წარმოდგენა ამოდის, ხან მეორე; საკუთარი ნება კი არ ახდენს ამაზე რაიმე განსაკუთრებულ ზეგავლენას, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ მშვინვიერ მდგომარეობაშია მრავალი ადამიანი და ეს განსაკუთრებით ბავშვობისას იჩენს თავს ამ სახით.

გახსენებისა და დავიწყების საკუთარი ნებისთვის დაქვემდებარებაში დახმარებას გაგვიწევს ცოდნა იმისა, რომ მღვიძარე ცხოვრების დროსაც ადგილი აქვს ძილსა და სიფხიზლეს სწორედ გახსენებისა და დავიწყებისას. მაშინ ვიტყვით: როგორ ხდება გახსენება? – იმის შედეგად, რომ ნება, სადაც ჩვენ გვძინავს, არაცნობიერში სწვდება წარმოდგენას და ცნობიერებაში ამოაქვს ის. ზუსტად ისევე, როგორც ადამიანის მე და ასტრალური სხეული დაძინებიდან გაღვიძებამდე ფიზიკური

სხეულისა და ეთერული სხეულის გარეთ ყოფნისას სულიერ სამყაროში იკრებენ ძალებს, რათა განაახლონ ფიზიკური და ეთერული სხეული, ასევე მომდინარეობს მძინარე ნების ძალიდან ის, რაც მოგონების პროცესით გამოიწვევა. ოღონდ ნება მძინარეა და ამიტომ ბავშვთან უშუალოდ ვერ განაპირობებთ, რომ მან ისწავლოს საკუთარი ნების გამოყენება. ვინაიდან რომ მოგენდომებინათ, ბავშვს გამოეყენებინა თავისი ნება, ეს ზუსტად იგივე იქნებოდა, ადამიანისთვის რომ მოგეწოდებინათ, ძილში მეტად გულადი ყოფილიყო, რათა დილით გამოღვიძებისას ცხოვრებაში თან გაჰყოლოდა ეს გულადობა. ამდენად, ვერც იმას მოვინდომებთ, რომ ამ მძინარე ნაწილმა, ნებაში რომ სძინავს, ცალკეული აქტით მოიკრიბოს ძალები, რათა არეგულიროს გახსენება. მაშ, რა უნდა ვაკეთოთ? მართალია, ჩვენ ვერ მოვინდომებთ, ადამიანს ერთეული აქტით მოვაკრებინოთ ძალები გახსენების მოსაწესრიგებლად, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ისე აღვზარდოთ მთლიანი ადამიანი, რომ მან განავითაროს მშვინვიერი, სხეულებრივი და სულიერი სასიცოცხლო ჩვევები, რომელთაც ცალკეული შემთხვევისას ნების ძალების ასეთ მოკრებამდე მივყავართ. მოდით, უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს.

ვთქვათ, განსაკუთრებული მიდგომით ბავშვს ვუღვიძებთ ცოცხალ ინტერესს, მაგ., ცხოველთა სამყაროსადმი. ბუნებრივია, ამ ინტერესის განვითარებას ვერ მოვახერხებთ ერთ დღეში. ჩვენ ისე უნდა დავგეგმოთ მთელი სწავლება, რომ ცხოველთა სამყაროსადმი ინტერესი თანდათან სულ უფრო ინერგებოდეს და იღვიძებდეს. როდესაც ბავშვი ამგვარ სწავლებას გაივლის, მაშინ ეს სწავლება მით უფრო გადავა ნებაში, რაც უფრო ცოცხალ ინტერესს გამოაღვიძებს; ეს ნება კი შემდგომში ზოგადად შეიძენს თვისებას, რომ როდესაც ცხოვრებაში საჭირო გახდება ცხოველის წარმოდგენის გახსენება, იგი ქვეცნობიერიდან, დავიწყებიდან ამოიტანოს. მხოლოდ იმით, რომ ზემოქმედებთ ადამიანის ჩვეულებაზე, ჩვევაზე, აწესრიგებთ თქვენ მის ნებელობას და ამით მოგონების ძალასაც. სხვა

სიტყვებით ეს ნიშნავს: თქვენ უნდა განჭვრიტოთ, რატომაა რომ ყველაფერი, რაც ბავშვში ინტენსიურ ინტერესს აღვიძებს, ასევე ხელს უწყობს მისი მეხსიერების გაძლიერებას. ვინაიდან მეხსიერების ძალა გრძნობიდან და ნებიდან უნდა მივიღოთ და არა მეხსიერების ცარიელი ინტელექტუალური სავარჯიშოებიდან.

ჩემი ახსნა-განმარტებებიდან თქვენ ხედავთ, რომ სამყაროში, განსაკუთრებით კი ადამიანურ სამყაროში, გარკვეული გაგებით, ყველაფერი ურთიერთგამიჯნულია, მაგრამ განცალკევებულები მაინც ურთიერთზემოქმედებენ. ჩვენ ვერ ჩავწვდებით ადამიანის მშვინვიერს, თუ არ დავყოფთ, დავანაწევრებთ მშვინვიერს აზროვნებად ანუ მოაზროვნე შემეცნებად, გრძნობად და ნებელობად. მაგრამ მოაზროვნე შემეცნება, გრძნობა და ნებელობა არ არსებობს სუფთა სახით, სამივე მუდამ ერთი მთლიანობის სახით ურთიერთქმედებს და ერთმანეთშია გადაწნული. ასეა ადამიანის მთელ არსებაში, სხეულებრივის ჩათვლით.

როგორც აღვნიშნე, ადამიანი უპირატესად თავია თავის ნაწილში, მაგრამ არსებითად რომ ვთქვათ, იგი მთლიანად თავი არის. იგი უპირატესად გულმკერდია, როგორც გულმკერდის ადამიანი, მაგრამ სინამდვილეში მთლიანად გულმკერდის ადამიანი არის. ვინაიდან თავიც მონაწილეობს გულმკერდის ბუნებაში და კიდურების ადამიანიც. აგრეთვე კიდურების ადამიანიც უპირატესად კიდურების ადამიანია, მაგრამ არსებითად რომ ვთქვათ, მთელი ადამიანი არის კიდურების ადამიანი, მაგრამ კიდურებიც მონაწილეობენ თავის ბუნებასა და მკერდის ბუნებაში; ისინი მონაწილეობენ, მაგ., კანის სუნთქვაში და ა.შ.

შეიძლება ვთქვათ: თუ გვსურს მივუახლოვდეთ სინამდვილეს, განსაკუთრებით კი ადამიანის ბუნების სინამდვილეს, ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ყოველგვარი დანაწევრება ერთი მთლიანის დანაწევრება არის; თუ ჩვენთვის მთლიანობა აბსტრაქტული იქნება, მაშინ საერთოდ ვერაფერს გავიგებთ. თუ არასოდეს მოვახდენთ დანაწევრებას, მაშინ სამყარო მუდამ

ბუნდოვანი დარჩება, როგორც ღამითაა ყველა კატა ნაცრისფერი. ადამიანები, ვისაც სურთ ყველაფრის აბსტრაქტულ ერთიანობებში წვდომა, რუხ ფერებში აღიქვამენ სამყაროს. მაგრამ მხოლოდ რომ დაგვენაწევრებინა, გაგვეყო, ყველაფერი გაგვემიჯნა, მაშინაც ვერ მივიდოდით ნამდვილ შემეცნებამდე, ვინაიდან მხოლოდ განსხვავებულებს ვწვდებოდით, შემეცნება კი გვერდზე დაგვრჩებოდა.

ასეა ყველაფერი, რაც ადამიანშია, ნაწილობრივ შემეცნებითი, ნაწილობრივ გრძნობითი, ნაწილობრივ კი ნებელობითი ბუნებისა. და რაც შემეცნებითია, უპირატესადაა ასეთი, მაგრამ იმავდროულად გრძნობისმიერიცაა და ნებელობისმიერიც; რაც გრძნობითია, უპირატესადაა გრძნობითი, მაგრამ იმავდროულად შემეცნებითიცაა და ნებელობისმიერიც, იგივე ითქმის ნებელობაზეც. ეს შეგვიძლია გამოვიყენოთ იმისთვის, რაც გუშინ დავახასიათეთ როგორც გარე გრძნობების სფერო. თუ გსურთ გაიგოთ ისეთი საკითხი, როგორსაც ახლა გაწვდით, უნდა ნამდვილად გვერდზე გადადოთ, ვიტყოდი, ყველა სახის პედანტობა, თორემ, ალბათ, აღმოაჩენთ აშკარა წინააღმდეგობას იმასთან, რაც გუშინდელ ლექციაში ვთქვი. მაგრამ სინამდვილე წინააღმდეგობებისგან შედგება. ჩვენ ვერ გავიგებთ სინამდვილეს, თუ არ გავუსწორებთ თვალს წინააღმდეგობებს სამყაროში.

ადამიანს სულ თორმეტი გარე გრძნობა აქვს. ჩვეულებრივ მეცნიერებაში რომ მხოლოდ ხუთ, ექვს ან შვიდ გარე გრძნობას განასხვავებენ, მხოლოდ იმის გამო ხდება, რომ ეს ხუთი, ექვსი თუ შვიდი გრძნობა განსაკუთრებით თვალში საცემია, დანარჩენები კი ნაკლებად. მე ხშირად მიხსენებია ადამიანის ეს თორმეტი გრძნობა, დღესაც კიდევ ერთხელ განვიხილოთ ისინი. ჩვეულებრივ, საუბრობენ სმენის, სითბოს, მხედველობის, გემოს, ყნოსვის, შეხების გრძნობებზე, ამასთან, სითბოსა და შეხების გრძნობას აერთიანებენ, რაც დაახლოებით იგივეა, რაც გარეგანი დაკვირვებისას „ბოლი" და „მტვერი" რომ გაგვეერთიანებინა, რადგანაც ისინი გარეგნუ-

ლად ერთნაირად გამოიყურებიან. აღარ უნდა გვჭირდებოდეს იმის შეხსენება, რომ სითბოსა და შეხების გრძნობა ორი სრულიად სხვადასხვა საშუალებაა, რომლითაც ადამიანი უკავშირდება სამყაროს. თანამედროვე ფსიქოლოგები განასხვავებენ ამ გრძნობებს, ზოგიერთი მათგანი კი წონასწორობის გრძნობასაც. ზოგი კიდევ ერთ გრძნობას უმატებს, მაგრამ გრძნობათა სრულყოფილ ფიზიოლოგიამდე და ფსიქოლოგიამდე მაინც ვერ მიდიან, რადგანაც უბრალოდ ვერ ამჩნევენ, რომ ადამიანს მსგავსი მიმართება გააჩნია გარემოსადმი, როდესაც აღიქვამს მეორე ადამიანის მეს, როგორც მაშინ, როცა მხედველობის გრძნობით აღიქვამს ფერს.

დღესდღეობით ადამიანები მიდრეკილნი არიან, ყველაფერი ერთმანეთში აურიონ. როდესაც ფიქრობენ მეს წარმოდგენაზე, მაშინ პირველ რიგში საკუთარ მშვინვიერ არსებაზე ფიქრობენ და ამით, ჩვეულებრივ, კმაყოფილდებიან. ფსიქოლოგებიც თითქმის ასევე იქცევიან. ისინი ვერაფრით ხვდებიან, რომ ორი სრულიად განსხვავებული რამაა: ვაერთიანებ იმას, რასაც საკუთარ თავზე განვიცდი და ამ განცდების ჯამს აღვნიშნავ როგორც „მე"-ს, თუ მეორე ადამიანის პირისპირ ვდგავარ და მასთან დამყარებული მიმართების შედეგად ამ ადამიანსაც როგორც „მე"-ს ისე აღვნიშნავ. ეს ორი სრულიად განსხვავებული სულიერ-მშვინვიერი მოქმედებაა. პირველად, როცა ჩემს სასიცოცხლო აქტივობებს მოვიცავ „მე"-ს ყოვლისმომცველ სინთეზში, ჩემს ხელთაა წმინდა შინაგანი რამ; მეორედ, როცა მეორე ადამიანს ვხვდები და მასთან ჩემი დამოკიდებულების შედეგად ვამბობ, რომ ისიც ისეთივეა, როგორც ჩემი მე, ჩემს წინაშეა აქტივობა, რომელიც ჩემსა და მეორე ადამიანს შორის მიმდინარეობს. ამიტომ მე უნდა ვთქვა: ჩემი საკუთარი მეს აღქმა ჩემს შინაგანში სხვა არის, ვიდრე ჩემს მიერ მეორე ადამიანის, როგორც მეს შემეცნება. მეორის მეს აღქმა ეფუძნება მეს გრძნობას, როგორც ფერის აღქმა მხედველობის, ბგერისა კი სმენის გრძნობას. ბუნება ადამიანს ისე არ უმარტივებს საქმეს, რომ მეს აღქმის ორგანოც

ისევე თვალსაჩინო იყოს, როგორც მხედველობისა. მაგრამ სხვისი მეს აღქმისთვის ისევე შეგვიძლია გამოვიყენოთ სიტყვა „მეს გრძნობა", როგორც ფერის აღქმისთვის სიტყვა „მხედველობა". ფერის აღქმის ორგანო ადამიანს გარეთა აქვს; მეს აღქმის ორგანო კი განფენილია მთელ ადამიანში, მეტად ფაქიზი სუბსტანციის მქონეა და ამიტომაც არ საუბრობენ მეს აღქმის ორგანოზე. მეს აღქმის ორგანო სხვა რამაა, ვიდრე ის, რომელიც იწვევს ჩემს მიერ ჩემივე საკუთარი მეს განცდას. არსებობს უზარმაზარი განსხვავება საკუთარი მეს განცდასა და სხვისი მეს აღქმას შორის. რამეთუ სხვისი მეს აღქმა არსებითად შემეცნებითი პროცესია, ან ყოველ შემთხვევაში, შემეცნების მსგავსი პროცესი; ხოლო საკუთარი მეს განცდა ნების პროცესია.

ახლა მივადექით იმას, სადაც ჰედანტს შეუძლია გაიხაროს. მან შეიძლება თქვას: ბოლო ლექციაში შენ ხომ თქვი, გარე გრძნობების აქტივობა უპირატესად ნებელობითი აქტივობაო; ახლა შენ აგებ მეს გრძნობას და ამბობ, რომ ის უმთავრესად შემეცნებითი გარე გრძნობა არის. — მაგრამ თუ მეს გრძნობას დააახასიათებთ ისე, როგორც მე ვცადე ეს ჩემი „თავისუფლების ფილოსოფიის" ახალ გამოცემაში, მაშინ თქვენ ნახავთ, რომ ეს მეს გრძნობა სინამდვილეში მეტად რთულად მოქმედებს. საკუთრივ რას ეყრდნობა მეორე ადამიანის მეს აღქმა? ამაზე დღევანდელი „აბსტრაქციონისტები" უცნაურ რამეს ამბობენ. ისინი ამბობენ: ჩვენ გარედან ვხედავთ ადამიანის ფორმას, გვესმის მისი ხმა და ამის შემდეგ ვგებულობთ, რომ ჩვენ თვითონვე ისევე ადამიანურად გამოვიყურებით, როგორც მეორე ადამიანი, რომ ჩვენს შიგნითაც არის არსება, რომელიც აზროვნებს, გრძნობს და რომელსაც ნებავს, ანუ სულიერ-მშვინვიერადაც ადამიანია. — და ანალოგიის გზით ასკვნიან: როგორც ჩემშია მოაზროვნე, მგრძნობი, ნებელობითი არსება, ასევეა სხვებშიც. — ახდენენ ანალოგიით დასკვნას სხვების შესახებ გამომდინარე საკუთარი თავიდან. ამგვარი ანალოგიით დასკვნა სხვა არაფერია, თუ არა უგუ-

ნურება. ორ ადამიანს შორის ურთიერთობა სულ სხვა რა-მეში მდგომარეობს: როდესაც მეორე ადამიანის პირისპირ დგახართ, მაშინ ადგილი აქვს შემდეგს: თქვენ ცოტა ხანს აღიქვამთ მეორე ადამიანს; იგი თქვენზე ახდენს შთაბეჭდილებას. ეს შთაბეჭდილება თქვენ შინაგანად გაწუხებთ: თქვენ გრძნობთ, რომ ადამიანმა, რომელიც ისეთივე არსებაა, როგორც თქვენ, იერიშივით მოახდინა თქვენზე შთაბეჭდილება. შედეგი ისაა, რომ თქვენ შინაგანად თავს იცავთ, იგერიებთ ამ იერიშს, შინაგანად აგრესიულნი ხდებით მისდამი. შემდეგ თქვენი აგრესიულობა სუსტდება და წყდება; ამიტომ მას კვლავ შეუძლია შთაბეჭდილების მოხდენა. ამით თქვენ გეძლევათ დრო, კვლავ გაზარდოთ თქვენი აგრესიის ძალა და ახლა კიდევ განახორციელებთ აგრესიას. თქვენში იგი კვლავ სუსტდება, მეორე ადამიანი კიდევ ახდენს თქვენზე შთაბეჭდილებას და ა.შ. ესაა ურთიერთობა, რომელიც ხდება, როცა ერთი ადამიანი მეორის პირისპირ დგას და მის მეს აღიქვამს: ადამიანისთვის თავის გაღება — შინაგანი თავდაცვა; სხვისთვის თავის გაღება — შინაგანი თავდაცვა; სიმპათია-ანტიპათია; სიმპათია-ანტიპათია. ამჯერად მე საუბარი მაქვს არა გრძნობისმიერ ცხოვრებაზე, არამედ მხოლოდ აღქმისას პირისპირ დგომაზე. ამ დროს სამშვინველი ვიბრირებს; ვიბრირებს: სიმპათია-ანტიპათია, სიმპათია-ანტიპათია, სიმპათია-ანტიპათია. ეს შეგიძლიათ „თავისუფლების ფილოსოფიის" ახალ გამოცემაში წაიკითხოთ.

მაგრამ კიდევ სხვა რამეც ხდება. სიმპათიის განვითარებისას თქვენ იძინებთ მეორე ადამიანში; ანტიპათიის განვითარებისას იღვიძებთ და ა.შ. ესაა მეტად ხანმოკლე ვიბრაციული მიმოქცევა ძილ-ღვიძილს შორის, როცა ჩვენ მეორე ადამიანის პირისპირ ვდგავართ. მისი განხორციელების შესაძლებლობას მეს გრძნობის ორგანოს ვუმადლით. მეს გრძნობის ეს ორგანო ისეა ორგანიზებული, რომ იგი სხვის მეს არა ფხიზელი, არამედ მძინარე ნებით ამოიცნობს და შემდეგ ეს ძილში განხორციელებული ამოცნობა სწრაფად ამოაქვს შემეც-

ნებაში ანუ ნერვულ სისტემაში. ასე რომ, სწორი განხილ-ვისას ვხედავთ, რომ სხვისი აღქმისას მთავარია ნება, ოღონდ ნება, რომელიც არა ფიზიზლად, არამედ მძინარედ იჩენს თავს; რამეთუ ჩვენ გამუდმებით შეგვაქვს ძილის მომენტი სხვისი მეს აღქმის აქტში. და რაც შუაში იმყოფება, უკვე შემეცნება არის; იგი სწრაფად გადაიტანება იმ ადგილას, სადაც ნერ-ვული სისტემა მკვიდრობს, ამდენად, მე შემიძლია სხვის აღქმას მართლაც ვუწოდო შემეცნების პროცესი, მაგრამ უნდა ვიცოდე, რომ ეს უკანასკნელი მარტოოდენ მეტამორფოზაა მძინარე ნებელობითი პროცესისა. ასე რომ, გარე გრძნობების ეს პროცესიც ნებელობითი პროცესია, ოღონდ ჩვენ მას ვერ შევიცნობთ როგორც ასეთს. ჩვენ ცნობიერად არ განვიცდით მთელ შემეცნებას, რომელსაც ძილში ვახორციელებთ.

მომდევნო გრძნობა, რომელსაც უნდა ყურადღება მივაქ-ციოთ და რომელიც გამოცალკევებულია მეს გრძნობისა და ყველა დანარჩენი გრძნობისგან, არის ის, რომელსაც აღვნიშნავ როგორც აზრის გრძნობას. აზრის გრძნობა აღიქვამს არა საკუთარ აზრებს, არამედ სხვა ადამიანის აზრებს. ამის თა-ობაზეც ფსიქოლოგები სრულიად გროტესკულ წარმოდგენებს ავითარებენ. პირველ ყოვლისა, ადამიანებზე ისე ზემოქმედებს მეტყველებისა და აზროვნების ურთიერთკავშირი, რომ მათ სჯერათ, თითქოს მეტყველებასთან ერთად მუდამ აზროვნებაც აღიქმებოდეს. ეს არაა ასე. ვინაიდან თქვენი აზრის გრძნო-ბით ისევე შეგიძლიათ აღიქვათ აზრები გარეგნულ ენესტებში, როგორც ვერბალურ მეტყველებაში. ვერბალური მეტყველება მხოლოდ აშუალებს აზრებს. თქვენ აზრებს თავისთავად უნდა აღიქვამდეთ დამოუკიდებელი გრძნობით. როცა ყველა ბგერი-სათვის შეიქმნება ევრითმიული ნიშნები, მაშინ საკმარისი იქნე-ბა მათი ევრითმიულად ჩვენება და თქვენ ზუსტად ისევე ამოიკითხავთ აზრებს ევრითმიული მოძრაობებიდან, როგორც ვერბალური მეტყველებისას იგებთ მათ. მოკლედ, აზრის გრძნობა სხვა რამაა, ვიდრე ის, რაც ბგერის გრძნობაში, ბგერით მეტყველებაში მოქმედებს. ამ დროს გვაქვს ჩვენ საქმე

საკუთრივ ენის გრძნობასთან.

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს სმენის, სითბოს, მხედველობის, გემოს, ყნოსვის გრძნობები. შემდეგ წონასწორობის გრძნობა. ჩვენ გაგვაჩნია გრძნობადი სახის ცნობიერება იმისა, რომ წონასწორობაში ვართ. ასეთი ცნობიერება გვაქვს ჩვენ. გარკვეული შინაგანი გრძნობადი აღქმის საშუალებით ჩვენ ვიცით, თუ როგორ ვიხრებით მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან, როგორ ვინარჩუნებთ წონასწორობას, რათა არ დავეცეთ. ხოლო როცა წონასწორობის ორგანო დაზიანებულია, ჩვენ ვეცემით; მაშინ ჩვენ ვერ ვიცავთ წონასწორობას, როგორც თვალის დაზიანებისას ვერ ვამყარებთ კავშირს ფერებთან და ისევე, როგორც წონასწორობის აღქმისთვის გაგვაჩნია გრძნობა, ასევე გვაქვს საკუთარი მოძრაობის გრძნობა, რომლის დახმარებითაც ვარჩევთ, უძრავადა ვართ თუ ვმოძრაობთ, დაჭიმულია ჩვენი კუნთები თუ არა. ამგვარად, გარდა წონასწორობის გრძნობისა გაგვაჩნია მოძრაობის გრძნობა. ამას გარდა, ჩვენი სხეულის მდგომარეობის აღსაქმელად გვაქვს უზოგადესი გაგებით სიცოცხლის გრძნობა. სიცოცხლის ამ გრძნობაზე ძლიერ დამოკიდებულია მრავალი ადამიანი. ისინი აღიქვამენ, ზედმეტი ჭამეს თუ ცოტა და ამის შედეგად თავს კარგად ან ცუდად გრძნობენ, ანდა ისინი აღიქვამენ, დაღლილნი არიან თუ არა და ამის შედეგად გრძნობენ თავს კარგად ან ცუდად. მოკლედ რომ ვთქვათ, სიცოცხლის გრძნობაში აირეკლება საკუთარი სხეულის მდგომარეობის აღქმა.

ასე იღებთ თქვენ თორმეტ გრძნობას. ადამიანს ნამდვილად თორმეტი ამგვარი გრძნობა გააჩნია.

მას შემდეგ, რაც თავიდან მოვიშორეთ შესაძლებლობა, პედანტურად გავილაშქროთ ზოგიერთი გრძნობის შემეცნებისმიერი ბუნების წინააღმდეგ, ვინაიდან როგორც ვნახეთ, ეს შემეცნებისმიერი იდუმალად მაინც ნებას ემყარება, შეგვიძლია განვაგრძოთ გარე გრძნობების დაჯგუფება. პირველ რიგში გვაქვს ოთხი გრძნობა: შეხების, სიცოცხლის, მოძრაობის, წო-

ნასწორობის გრძნობები. ისინი უმთავრესად ნებელობითი აქტი-ვობით არიან გამსჭვალულნი. ამ გრძნობების საშუალებით მოქმედებს ნება აღქმისას. იგრძენით, თუ როგორ მოქმედებს ნება მოძრაობების აღქმისას მაშინაც კი, როცა ამ მოძრაობებს დამდგარნი ასრულებთ! თქვენი წონასწორობის აღქმისას ასევე მოქმედებს მშვიდი ნება. იგი ძალზე ძლიერად მოქმედებს სიცოცხლის გრძნობისას, ასევე მოქმედებს იგი შეხების გრძნობისას: ვინაიდან როცა რაიმეს ეხებით, ადგ-ილი აქვს სჯა-ბაასს თქვენს ნებასა და გარემოს შორის. მოკ-ლედ, შეგიძლიათ თქვათ: წონასწორობის გრძნობა, მოძრაობის გრძნობა, სიცოცხლის გრძნობა და შეხების გრძნობა არის ნებელობითი გრძნობები ვიწრო გაგებით. შეხების გრძნობისას ადამიანი გარეგნულად ხედავს, რომ მაგ., ხელს ამოძრავებს, როცა კი რაიმეს ეხება: ამიტომაცაა მისთვის ცხადი, რომ მას გააჩნია ეს გრძნობა. სიცოცხლის, მოძრაობისა და წონას-წორობის გრძნობათა შემთხვევაში კი მათი არსებობა არ არის ამდენად ცხადი. ვინაიდან ისინი განსაკუთრებული გაგებით ნებელობით გრძნობებს წარმოადგენენ, ადამიანს ძილში ეპარება ისინი, რამეთუ მას ხომ სძინავს ნებაში. ამ გრძნობების შესახებ ფსიქოლოგია არაფერს ამბობს, ვინაიდან მეცნიერებას ბევრ საკითხთან დაკავშირებით მშვიდად სძინავს გარეგნულ ადამიანთან ერთად.

მომდევნო გრძნობები: ყნოსვის გრძნობა, გემოს გრძნობა, მხედველობის გრძნობა, სითბოს გრძნობა უმთავრესად გრძნო-ბისმიერი გარე გრძნობებია. ყნოსვისა და გემოს შემთხვევაში გულუბრყვილო ცნობიერება სრულიად განსაკუთრებულად გა-ნიცდის გრძნობასთან მათ ნათესაობას. იმას, რომ მხედველო-ბისა და სითბოს შემთხვევაში ამას არ შევიგრძნობთ ასე, თავისი განსაკუთრებული საფუძველი აქვს. სითბოს გრძნობისას ვერ ამჩნევენ, რომ იგი ძლიერაა გრძნობის მონათესავე, არა-მედ ურევენ მას შეხების გრძნობაში. მათ არასწორად ურე-ვენ ერთმანეთში და ამავე დროს არასწორად განასხვავებენ ერთმანეთისგან. სინამდვილეში შეხების გრძნობა ბევრად უფრო

ნებელობისმიერია, სითბოს გრძნობა კი მხოლოდ გრძნობის-მიერია. მხედველობაც რომ გრძნობისმიერი გარე გრძნობაა, ადამიანები იმიტომ ვერ ხვდებიან, რომ არ ახორციელებენ ისეთ დაკვირვებებს, როგორსაც გოეთეს ფერთა თეორიაში ვპოულობთ. აქ გარკვევითაა გადმოცემული ფერების მთელი მონათესაობა გრძნობასთან, რასაც საბოლოოდ ნების იმპულსე-ბამდეც კი მივყავართ. მაგრამ რატომ ამჩნევს ადამიანი ასე ნაკლებად, რომ მხედველობაში უმთავრესად გრძნობა არის სახეზე?

ჩვენ საგნებს თითქმის ყოველთვის ისე ვხედავთ, რომ ფე-რების განლაგებასთან ერთად ისინი ფერთა საზღვრებსაც გვი-ჩვენებენ: ხაზებს, ფორმებს. მაგრამ, ჩვეულებრივ, ჩვენ არ ვა-ქცევთ ყურადღებას იმას, თუ როგორ აღვიქვამთ სინამდ-ვილეში, როდესაც ერთდროულად აღვიქვამთ ფერადოვანსა და ფორმებს. როდესაც ადამიანი ფერად წრეს აღიქვამს, იგი უხეშად ამბობს: მე ვხედავ ფერს, ასევე ვხედავ წრის სიმ-რგვალეს, წრის ფორმას. მაგრამ ამ დროს ერთმანეთში აღ-რეული არის ორი სრულიად განსხვავებული რამ. საკუთრივ თვალის აქტივობით, თვალის გამოცალკევებული აქტივობის სა-შუალებით თქვენ პირველ რიგში მხოლოდ ფერებს ხედავთ. წრის ფორმას თქვენ იმიტომ ხედავთ, რომ თქვენს ქვეცნო-ბიერში იყენებთ მოძრაობის გრძნობას და ეთერულ სხეულში, ასტრალურ სხეულში არაცნობიერად მოხაზავთ წრეს და შემ-ღეგ ამოგაქვთ ეს შემეცნებაში. და როცა თქვენი მოძრაობის გრძნობით აღქმული წრე შემეცნებაში ამოდის, მხოლოდ მა-შინ უკავშირდება შემეცნებული წრე აღქმულ ფერს. ამგვა-რად, თქვენ მთელი სხეულიდან გამოგაქვთ ფორმა, როცა კი მოუხმობთ მთელ სხეულზე განვრცობილ მოძრაობის გრძნობას. მას თქვენ მოსავთ იმით, რაც უკვე განვიხილე, როდესაც ვთქვი: ადამიანი გეომეტრიის ფორმებს ასრულებს კოსმოსში და შემდეგ ამოაქვს ისინი შემეცნებაში.

ასეთ ფაქიზ დაკვირვებას, რომელიც ხედავს განსხვავებას ფერების ხედვასა და მოძრაობის გრძნობის მეოხებით ფორმე-

ბის აღქმას შორის, დღესდღეობით საერთოდ ვერ ბედავს ოფიციალური მეცნიერება, არამედ იგი ყველაფერს ერთმანეთში ურევს. მაგრამ ამგვარი ურთიერთაღრევის გზით აღზრდა შეუძლებელი იქნება მომავალში. ვინაიდან როგორ უნდა აღვზარდოთ მხედველობა, როცა არ ვიცით, რომ მხედველობის აქტში მთლიანი ადამიანი მონაწილეობს საკუთარი არსებით ისე, რომ ამ დროს მოძრაობის გრძნობაც არის ჩართული? მაგრამ ახლა სხვა რამეც მეღავნდება. თქვენ ხელთა გაქვთ მხედველობის აქტი, როდესაც აღიქვამთ ფერად ფორმებს. მხედველობის ეს აქტი, ფერადი ფორმების აღქმა რთული აქტია. მაგრამ რადგანაც თქვენ მთლიანი ადამიანი ხართ, თქვენ შეგიძლიათ კვლავ შეაერთოთ ის, რასაც აღიქვამთ ორი შემოვლითი გზით, თვალის საშუალებით და მოძრაობის გრძნობის საშუალებით. თქვენ მოჩლუნგებულად სპვრეტდით წითელ წრეს, რომ არ აღიქვამდეთ წითელს ერთი გზით და წრის ფორმას სრულიად სხვა გზით. მაგრამ თქვენი ჰვრეტა ჩლუნგი არ არის, რადგანაც ორი მხრიდან აღიქვამთ – ფერებს თვალით, ფორმას კი მოძრაობის გრძნობის დახმარებით და ცხოვრებაში იძულებულნი ხართ, შეაერთოთ ეს ორივე. ამ დროს თქვენ მსჯელობთ და თქვენს მსჯელობას ახლა სწვდებით, როგორც თქვენს საკუთარ სხეულში მიმდინარე ცოცხალ პროცესს, რომელიც იმის შედეგად ხორციელდება, რომ თქვენი გარე გრძნობები სამყაროს ანალიტიკურად, დანაწევრებულად გაწვდიან. თორმეტი სხვადასხვა ნაწევრის სახით გიპირისპირებთ სამყარო იმას, რასაც განიცდით და მსჯელობის გზით თქვენ აკავშირებთ მოვლენებს, ვინაიდან ცალკეულს არ სურს მუდამ როგორც ცალკეულმა იარსებოს. წრის ფორმა არ სჯერდება მხოლოდ წრის ფორმად ყოფნას, როგორც ის მოძრაობის გრძნობამ წარმოქმნა; ფერიც არ სჯერდება მხოლოდ ფერად ყოფნას, როგორც იგი თვალით აღიქმება. საგნები შინაგანად გაიძულებენ, დააკავშიროთ ისინი და თქვენ შინაგანად მზად ხართ, გააერთიანოთ ისინი. ამ დროს მსჯელობის ფუნქცია მთელი თქვენი ადამიანობის გამო-

ხატულებად იქცევა.

ახლა თქვენ განვრეტთ სამყაროსადმი ჩვენი დამოკიდებულების ღრმა აზრს. ჩვენ რომ არ გვქონოდა თორმეტი გრძნობა, გარემოს როგორც ჩლუნგები ისე შევხედავდით და არ შეგვეძლებოდა შინაგანად განგვეცადა მსჯელობა. მაგრამ გაგვაჩნია რა თორმეტი გრძნობა, ამით საკმაოდ ბევრი შესაძლებლობაც გვეძლევა, რათა დავაკავშიროთ განცალკევებულნი. მეს გრძნობის მიერ განცდილი ჩვენ შეგვიძლია დავუკავშიროთ დანარჩენ თერთმეტ გრძნობას და ეს თითოეულ მათგანს ეხება. ამით ჩვენ ვიძენთ კომბინაციების დიდ რიცხვს გარე გრძნობათა ურთიერთკავშირისათვის. მაგრამ ამას გარდა, კიდევ მრავალ შესაძლებლობას ვიძენთ ამ მხრივ, როდესაც, მაგ., მეს გრძნობას ვუკავშირებთ აზრის გრძნობასა და ენის გრძნობას და ა.შ. ამ დროს ვხედავთ, თუ როგორ იდუმალდაა დაკავშირებული ადამიანი სამყაროსთან. თორმეტი გრძნობის საშუალებით საგნები იყოფა შემადგენელ ნაწილებად და ადამიანმა უნდა შეძლოს, ამ ნაწილებიდან კვლავ ააგოს საგნები. ამით იგი საგნის შინაგან ცხოვრებაში მონაწილეობს. აქედან თქვენ მიხვდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის იმგვარად აღზრდა, რომ ყველა გრძნობაზე თანაბრად ვზრუნავდეთ და რომ ერთ გრძნობაში ისევე ბევრი რამ განვითარდეს, როგორც მეორეში, რათა შემდეგ სრულიად ცნობიერად სისტემატურად ვეძიოთ კავშირები გრძნობებს, აღქმებს შორის.

აქ უნდა დავუმატო, რომ მეს გრძნობა, აზრის გრძნობა, სმენის გრძნობა და ენის გრძნობა უფრო შემეცნება არის, ვინაიდან მათში ნება მძინარე ნებას წარმოადგენს, ჭეშმარიტად მძინარე ნებას, რომელიც თავის გარე გამოვლინებებში შემეცნების აქტივობასთან ერთად ვიბრირებს. ასე ცხოვრობს ადამიანის მეს ზონაში ნება, გრძნობა და შემეცნება; და ისინი ძილისა და ღვიძილის დახმარებით ცხოვრობენ.

ამგვარად, თქვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ადამიანის შემეცნება მხოლოდ იმის შედეგად შეგიძლიათ, რომ მას

მუდამჟამ სამი კუთხით განიხილავთ – როცა კი მის სულს განიხილავთ. არ კმარა, ყოველთვის მარტოოდენ გავიძახოდეთ: სული! სული! სული! ადამიანთა უმრავლესობა სულ სულზე საუბრობს, მაგრამ არ იცის მასთან მიდგომა. მას სწორად მხოლოდ მაშინ უდგებიან, როცა ცნობიერების მდგომარეობებით ოპერირებენ. სულს უნდა ვწვდეთ ცნობიერების მდგომარეობების საშუალებით, როგორიცაა ღვიძილი, ძილი და სიზმარი. მშვინვიერს ვწვდებით სიმპათია-ანტიპათიის საშუალებით, ანუ სიცოცხლის მდგომარეობების საშუალებით; ამას სამშვინველი განუწყვეტლივ აკეთებს ქვეცნობიერში. სამშვინველი ჩვენ გაგვაჩნია ასტრალურ სხეულში, სიცოცხლე – ეთერულ სხეულში; მათ შორის კი უწყვეტი კავშირია შინაგანში ისე, რომ ეთერული სხეულის სიცოცხლის მდგომაროებებში თავად მშვინვიერი მეღავნდება. ხოლო სხეული ფორმის მდგომარეობების საშუალებით აღიქმება. გუშინ მე გამოვიყენე სფეროს ფორმა თავისათვის, მთვარის ფორმა მკერდისათვის, წრფის ფორმა კი კიდურებისთვის. ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ ადამიანის სხეულის ჭეშმარიტ მორფოლოგიაზე. მაგრამ ჩვენ სწორად არ ვლაპარაკობთ სულზე, როდესაც არ აღვწერთ, თუ როგორ მეღავნდება იგი ცნობიერების მდგომარეობებში; ჩვენ სწორად არ ვსაუბრობთ სამშვინველზე, როდესაც არ ვაჩვენებთ, თუ როგორ ცხოვრობს ის სიმპათია-ანტიპათიას შორის; და ჩვენ სწორად არ ვლაპარაკობთ სხეულზე, როდესაც არ ვიაზრებთ მას ჭეშმარიტ ფორმებში. ამაზე საუბარს ხვალ განვაგრძობთ.

მეცხრე ლექცია

შტუტგარტი, 30 აგვისტო, 1919 წელი

როდესაც ქმნადი ადამიანის არსების შესახებ გექნებათ კარგად ჩამოყალიბებული, თქვენი ნებით, სულითა და გულით განმსჭვალული ცოდნა, მაშინ შეძლებთ თქვენ კარგად სწავლებასა და აღზრდას. თქვენში გამოღვიძებული პედაგოგიური ინსტინქტის მეოხებით ცალკეულ სფეროში გამოიყენებთ იმას, რაც თქვენთვის მოზარდი ბავშვის შესახებ ამ ნებელობითი ცოდნიდან გამომდინარეობს. მაგრამ ეს ცოდნა აგრეთვე სრულიად რეალური უნდა იყოს, ანუ სამყაროს ნამდვილ შემეცნებას უნდა ემყარებოდეს.

ჩვენ შევეცადეთ, ადამიანის შესახებ ნამდვილი ცოდნის შესაძენად განგვეხილა იგი ჯერ მშვინვიერი, შემდეგ კი სულიერი თვალსაზრისით. ჩვენ გვსურს ნათელვყოთ, რომ ადამიანის სულიერი წვდომა აუცილებელს ხდის, დავფიქრდეთ ცნობიერების სხვადასხვა მდგომარეობებზე, ვიცოდეთ, რომ ჩვენი სიცოცხლე სულიერად მიმდინარეობს ღვიძილში, სიზმარსა და ძილში და რომ სიცოცხლის ცალკეული გამოვლინებანი ისე უნდა დავახასიათოთ, რომ მხედველობაში ვიქონიოთ ისინი როგორც სიცოცხლის მთლიანად ფხიზელი, სიზმრისეული ან მძინარე მდგომარეობანი. ახლა შევეცდებით სულიდან სამშვინველის გავლით თანდათან სხეულში ჩავიდეთ, რათა მთლიანი ადამიანი წარდგეს ჩვენს წინ, დაბოლოს, ეს განხილვები ქმნადი ბავშვის ერთგვარ ჰიგიენაში გადაიზარდოს.

როგორც ვიცით, ასაკი, რომელთანაც საქმე გვაქვს აღზრდა-განათლებისას, სიცოცხლის პირველ ორ ათწლეულს მოიცავს. ვიცით ისიც, რომ ბავშვის ცხოვრება, რომელიც ამ ორი ათწლეულისაგან შედგება, სამად იყოფა. კბილების მოცვლამდე ბავშვი სრულიად განსაზღვრული ხასიათის მქონეა, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ბავშვს სურს მიმბაძველი არსება იყოს; მას სურს მიბაძოს ყველაფერს, რასაც გარე-

მოში ხედავს. კბილების მოცვლიდან სქესობრივ მომწიფებამდე ჩვენ საქმე გვაქვს ბავშვთან, რომელსაც ნებავს ავტორიტეტის გზით მიიღოს ის, რაც უნდა იცოდეს, გრძნობდეს და ნებავდეს; და მხოლოდ სქესობრივ მომწიფებასთან ერთად იწყება ადამიანის სწრაფვა, საკუთარი მსჯელობიდან გამომდინარე დაამყაროს გარე სამყაროსთან კავშირი. ამიტომაც განუწყვეტლივ უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ როდესაც საქმე გვაქვს დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვთან, ჩვენ ვავითარებთ იმ ადამიანს, რომელიც თავისი ბუნების უშინაგანესი არსებიდან ავტორიტეტისკენ ისწრაფვის. ჩვენ ცუდად აღვზრდით, თუ ვერ მოვახერხებთ ავტორიტეტის სწორედ ამ ასაკში შენარჩუნებას.

მთავარია შეგვეძლოს სულიერად დავახასიათოთ ადამიანის ზოგადსასიცოცხლო აქტივობა. როგორც ეს სხვადასხვა თვალთახედვიდან აღვწერეთ, ადამიანის ეს ზოგადსასიცოცხლო აქტივობა მოიცავს, ერთი მხრივ, შემეცნებით აზროვნებას, მეორე მხრივ, ნებელობას, მათ შორის კი გრძნობა არის. როგორც მიწიერ არსებას, ადამიანს უხდება, ის, რაც შემეცნებითი აზროვნების სახით ვლინდება, დაბადებიდან სიკვდილამდე თანდათან განმსჭვალოს ლოგიკით, ყოველივე იმით, რაც მას ლოგიკური აზროვნების უნარს აძლევს. ოღონდ თქვენ უკან უნდა დახიოთ ის, რაც როგორც აღმზრდელებსა და მასწავლებლებს გიწესთ იცოდეთ ლოგიკის შესახებ. ვინაიდან ლოგიკა უთუოდ მკვეთრად მეცნიერული რამაა; თავდაპირველად ბავშვს იგი მხოლოდ ჩვენი მთლიანი ქცევის საშუალებით უნდა მივაწოდოთ. მაგრამ როგორც მასწავლებლებმა, ჩვენში მაინც უნდა ვატაროთ ლოგიკის უმნიშვნელოვანესი ასპექტები.

ვმოღვაწეობთ რა ლოგიკურად, ანუ აზროვნებით-შემეცნებითად, ეს მოღვაწეობა მუდამ სამ ნაწევრად იყოფა. ჯერ ერთი, ჩვენს მოაზროვნე შემეცნებაში სახეზეა ის, რასაც დასკვნას ვუწოდებთ. ჩვეულებრივი ცხოვრებისთვის აზროვნება მეტყველებაში ვლინდება. თუ გადახედავთ ენის სტრუქტურას,

ნახავთ, რომ მეტყველებისას განუწყვეტლივ გამოგაქვთ დასკვნები. დასკვნის გამოტანის ეს აქტივობა ყველაზე ცნობიერია ადამიანში. ადამიანი ვერ გამოხატავდა თავს მეტყველებით, მუდმივად დასკვნები რომ არ გამოეთქვა; იგი ვერ გაიგებდა იმას, რასაც სხვა ეუბნება, განუწყვეტლივ რომ არ შეძლებოდა დასკვნების აღქმა. სასკოლო ლოგიკა, ჩვეულებრივ, ანაწევრებს დასკვნებს და ამით აყალბებს მათ. სასკოლო ლოგიკა ვერ ხვდება, რომ ჩვენ დასკვნა უკვე მაშინ გამოგვაქვს, როდესაც ერთ რაიმე საგანს ვხედავთ. ვთქვათ, შეხვედით სამხეცეში და დაინახეთ ლომი. რას აკეთებთ თქვენ პირველ რიგში ლომის აღქმისას? პირველ რიგში თქვენ ცნობიერებაში ამოგაქვთ ის, რაც ლომს დაუნახეთ. და მხოლოდ ამ გაცნობიერებით ართმევთ თავს ლომის აღქმას. სამხეცეში შესვლამდე თქვენ ნასწავლი გქონდათ, რომ არსებები, რომელნიც ისე გამოიყურებიან, როგორც ლომი, ახლა რომ ხედავთ, არიან „ცხოველები". რაც ცხოვრებაში გისწავლიათ, ის თქვენ თან მიგაქვთ სამხეცეში. შემდეგ თქვენ ჰკრეტთ ლომს და აღმოაჩენთ: ლომიც ზუსტად ისევე იქცევა, როგორც ცხოველების შესახებ შეგიტყვიათ. ამას თქვენ უკავშირებთ იმას, რაც ცხოვრებისეული შემეცნებიდან მოგყვებათ და შემდეგ აგებთ მსჯელობას: ლომი არის ცხოველი. — მხოლოდ ამ მსჯელობის აგების შემდეგ იგებთ თქვენ კონკრეტულ ცნება „ლომს". პირველი, რასაც ახორციელებთ, არის დასკვნა; მეორე, რასაც ასრულებთ, არის მსჯელობა; ბოლო კი, რასთანაც ცხოვრებაში მიდიხართ, არის ცნება. ბუნებრივია, თქვენ არ იცით, რომ ამ მოღვაწეობას განუწყვეტლივ ეწევით; მაგრამ რომ არ შეგესრულებინათ ის, მაშინ ვერ განვლიდით ცნობიერ სიცოცხლეს, რომელიც შეგაძლებინებთ, ენის საშუალებით გაესაუბროთ სხვა ადამიანს. ჩვეულებრივ, ჰგონიათ, თითქოს ადამიანი პირველად ცნებამდე მიდის. ეს არაა სწორი. ცხოვრებაში პირველი არის დასკვნა. და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: თუ სამხეცეში შესვლისას ლომის აღქმას არ ამოვგლეჯთ საერთო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, არამედ საკუთარ

ადგილს მივუჩენთ მასში, მაშინ პირველი, რასაც სამხეცეში ვასრულებთ, იქნება დასკვნის გამოტანა. — ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს: სამხეცეში შესვლა და ლომის დანახვა მხოლოდ ერთი კონკრეტული მოქმედებაა და მთელ ცხოვრებას განეკუთვნება. ჩვენი სიცოცხლე არ დაწყებულა სამხეცეში შესვლითა და ლომისთვის თვალის შეელებით. ეს წარსულ ცხოვრებას ებმის, წარსული ცხოვრება მოქმედებს მასზე, ხოლო რაც სამხეცედან გამოგვყვება, ისიც დანარჩენ ცხოვრებაში გადიატანება. — მაგრამ თუ ახლა მთელ პროცესს განვიხილავთ, მაშინ რა არის თავდაპირველად ლომი? თავდაპირველად იგი არის დასკვნა. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: ლომი არის დასკვნა. ოდნავ მოგვიანებით: ლომი არის მსჯელობა. და კიდევ მოგვიანებით: ლომი არის ცნება.

თუ ლოგიკის სახელმძღვანელოს გადაშლით, კერძოდ, ძველ გამოცემას, იქ ნახავთ საყოველთაოდ ცნობილ დასკვნას: ყველა ადამიანი მოკვდავია; კაიუსი ადამიანია; ე.ი. კაიუსი მოკვდავია. — კაიუსი ხომ ლოგიკის ყველაზე ცნობილი პერსონაჟია. ამ სამი მსჯელობის: „ყველა ადამიანი მოკვდავია", „კაიუსი ადამიანია", „ე.ი. კაიუსი მოკვდავია", ერთმანეთისაგან გამოცალკევება სინამდვილეში მხოლოდ ლოგიკაში ხდება. ცხოვრებაში ისინი ერთმანეთზე არიან გადაწნულნი, ერთიანნი არიან, ვინაიდან ცხოვრება მუდამ აზროვნებით-შემეცნებითად მიმდინარეობს. თქვენ სამივე მსჯელობას ერთდროულად ასრულებთ, როცა კი ადამიან „კაიუსს" ხვდებით. იმაში, რასაც მასზე ფიქრობთ, უკვე სამივე მსჯელობა არსებობს. ეს ნიშნავს, რომ დასკვნა თავიდანვეა სახეზე; მხოლოდ შემდეგ აგებთ თქვენ მსჯელობას, რომელიც აქ დასკვნას წარმოადგენს: „ე.ი. კაიუსი მოკვდავია". საბოლოო კი, რასაც ღებულობთ, არის ინდივიდუალიზებული ცნება: „მოკვდავი კაიუსი".

ამ სამს — დასკვნას, მსჯელობას, ცნებას — თავისი ყოფიერება შემეცნებაში გააჩნია, ანუ ადამიანის ცოცხალ სულში. როგორ მოქმედებენ ისინი ადამიანის ცოცხალ სულში?

დასკვნას მხოლოდ ადამიანის ცოცხალ სულში შეუძლია

სიცოცხლე, მხოლოდ იქ ეწევა იგი ჯანსაღ სიცოცხლეს: ეს ნიშნავს, რომ დასკვნა მხოლოდ მაშინაა სრულიად ჯანსაღი, როცა მთლიანად ფიზიზელი ცხოვრებისას მიმდინარეობს. ეს მეტად მნიშვნელოვანია, როგორც ამას კიდევ ვნახავთ.

ამიტომაც თქვენ ანგრევთ ბავშვის სამშვინველს, როდესაც ცდილობთ, მზა დასკვნები დაახსომებინოთ მას. რასაც ახლა სწავლების შესახებ ვამბობ, ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონეა. ვალდორფის სკოლაში თქვენ ყველა ასაკის ბავშვები გეყოლებათ, მათ მიერ მიღებული განათლების შედეგებითურთ. ამ ბავშვებთან უკვე იქნება ნამუშევარი და ამის შედეგებს თქვენ აღმოაჩენთ დასკვნაში, მსჯელობაში, ცნებაში. თქვენ მოგიწევთ დაეყრდნოთ ბავშვში არსებულ ცოდნას, ვინაიდან თითოეულ ბავშვთან ახლიდან ვერ დაიწყებთ. ჩვენი თავისებურება ხომ ისაა, რომ არ შეგვიძლია პირველი კლასიდან ჩამოვაყალიბოთ სკოლა, არამედ ერთბაშად რვავე კლასით უნდა დავიწყოთ. ამდენად თქვენ ხელთ გექნებათ ბავშვების პრეპარირებული სამშვინველები და პირველ ყოვლისა, იმას უნდა მიაქციოთ ყურადღება, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დატანჯოთ ბავშვები მზა დასკვნების გახსენებით. თუ ეს მზა დასკვნები მეტისმეტად მყარად იქნება ბავშვის სამშვინველში დამკვიდრებული, მაშინ ჯობს დაანებოთ მათ თავი და ეცადოთ, რომ ბავშვის ამჟამინდელი ცხოვრება დასკვნის გამოტანაში მდგომარეობდეს.

ცხადია, თავდაპირველად მსჯელობაც სრულიად ფიზიზელი ცხოვრებისას ვითარდება. მაგრამ მსჯელობას შეუძლია ჩავიდეს ადამიანის სამშვინველის ქვედა ფენებში, სადაც სამშვინველი სიზმრებშია. დასკვნა ერთხელაც არ უნდა ჩაიძიროს სიზმრისეულ სამშვინველში, მხოლოდ მსჯელობას შეუძლია გააკეთოს ეს. ამგვარად, ყველაფერი, რასაც სამყაროზე მსჯელობის სახით ვაგებთ, სიზმრისეულ სამშვინველში იძირება.

მაშ, რა არის სინამდვილეში ეს სიზმრისეული სამშვინველი? როგორც შევიტყვეთ, იგი უფრო გრძნობისმიერია. როდესაც ვახდენთ მსჯელობას, შემდეგ კი თავს ვანებებთ მას

და ვაგრძელებთ ცხოვრებას, ჩვენ თან დაგვაქვს ჩვენი მსჯელობები; მაგრამ ისინი გრძნობაში დაგვაქვს თან. ეს კი ნიშნავს: მსჯელობა ჩვენში ერთგვარ ჩვევად გადაიქცევა. ბავშვის მშვინვიერ ჩვევებს თქვენ აყალიბებთ იმ სახით, როგორითაც მას მსჯელობას ასწავლით. ამას ბოლომდე უნდა აცნობიერებდეთ. რამეთუ მსჯელობის გამოხატულება ცხოვრებაში არის წინადადება და ყოველ წინადადებასთან ერთად, რომელსაც ბავშვს ეუბნებით, უმატებთ ერთ ატომს ბავშვის მშვინვიერ ჩვევებს. ამიტომაც ავტორიტეტის მქონე მასწავლებელი გამუდმებით უნდა აცნობიერებდეს, რომ რასაც იგი ამბობს, მჟიდროდ უკავშირდება ბავშვის მშვინვიერ ჩვევებს.

ხოლო როცა მსჯელობიდან ცნებაზე გადავდივართ, უნდა ვაღიაროთ: რასაც ცნების სახით ვაყალიბებთ, ადამიანის არსების უღრმეს ფენებამდე ჩადის, სულიერად რომ განვიხილოთ, მძინარე სამშვინველში ეშვება. ცნება მძინარე სამშვინველამდე ეშვება, ეს კი ის სამშვინველია, რომელიც მუდამჟამ სხეულზე მუშაობს. ფხიზელი სამშვინველი არ მუშაობს სხეულზე. სიზმრისეული სამშვინველი ცოტათი მუშაობს სხეულზე; იგი წარმოშობს იმას, რაც სხეულის ჩვეულ ქესტებში მკვიდრობს. მძინარე სამშვინველი კი სხეულის ფორმებში მოქმედებს. როდესაც აგებთ ცნებას, ანუ მსჯელობის შედეგს ადგენთ, მაშინ თქვენ მძინარე სამშვინველზე, სხვა სიტყვებით, ადამიანის სხეულზე მოქმედებთ. დაბადებისას ადამიანი სხეულის მხრივ მეტწილად დასრულებულია, სამშვინველს კი შესაძლებლობა აქვს, მარტოოდენ დახვეწოს ის, რაც მემკვიდრეობითობის ნაკადით გადაეცა. და იგი ხვეწს კიდეც მას. ჩვენ დავდივართ ამქვეყნად და ვხედავთ ადამიანებს. ამ ადამიანებს სრულიად განსაზღვრული ფიზიონომია აქვთ. რას შეიცავს ეს ფიზიონომია? ყველაფერთან ერთად იგი შეიცავს ყველა იმ ცნების შედეგს, რომელიც მასწავლებელმა და აღმზრდელმა მიაწოდა ადამიანს ბავშვობისას. მოწიფული ადამიანის პირისახე გამოასხივებს იმას, რაც ცნებების სახით ჩაღვრილ იქნა ბავშვის სამშვინველში, ვინაიდან მძინარე სამშვინველი ადამიანის ფიზი-

ონომიას მყარი ცნებების მიხედვითაც აგებს. აქ ჩვენ ვხედავთ იმ ძალას, რომელიც ადამიანზე აღზრდა-განათლებას გააჩნია. ცნებების ჩამოყალიბების გზით ადამიანი სხეულის ჩათვლით იძენს მის ანაბეჭდს.

სადღეისოდ ამქვეყნად ყველაზე მეტად თვალშისაცემი მოვლენა ისაა, რომ ადამიანებს ასე ნაკლებად გამოკვეთილი ფიზიონომია გააჩნიათ. სავსებით ჰეშმარიტი რამ მოყვა ერთხელ თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან ჰერმან ბარმა ბერლინში წაკითხულ ერთ ლექციაში. მისი აზრით, თუ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩავიდოდით რაინის ან ესენის მხარეებში და გავივლიდით ქუჩებში, შევხვდებოდით ფაბრიკიდან მომავალ ადამიანებს და დაგვეუფლებოდა გრძნობა: ისინი არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ფაქტობრივად, აქ ერთადერთ ადამიანს ვხვდებით, თითქოს გასამრავლებელი აპარატით გამრავლებულს; ნამდვილად შეუძლებელია ადამიანების ერთმანეთისგან გარჩევა. — მეტად მნიშვნელოვანი დაკვირვება! კიდევ ერთი დაკვირვება მოიყვანა *ჰერმან ბარმა*, ასევე მეტად მნიშვნელოვანი. მისი აზრით: როცა 90-იან წლებში ბერლინში დაგპატიჟებდნენ ვახშამზე, სუფრაზე ხელმარცხნივ და მარჯვნივ გესხდნენ ქალბატონები, რომელთაც ვერ გაარჩევდით ერთმანეთისგან. მაგრამ ერთადერთი განსხვავება ის მაინც იყო, რომ ერთი ხელმარცხნივ იჯდა, მეორე კი ხელმარჯვნივ. და თუ შემდეგ კიდევ სხვაგან დაგპატიჟებდნენ, შეიძლება მომხდარიყო, რომ ვეღარ გაგერჩიათ: ეს ის ქალბატონია, გუშინ რომ შევხვდი, თუ ის, გუშინწინ რომ ვნახე?

მოკლედ, კაცობრიობაში გარკვეულმა ერთფეროვნებამ შემოაღწია. მაგრამ ეს იმის საბუთია, რომ წინარე პერიოდში ადამიანში არაფერი აღზრდილა. ასეთ მაგალითებზე უნდა ვისწავლოთ, თუ რა არის აუცილებელი აღზრდის არსის შესაცვლელად, ვინაიდან აღზრდა ღრმად ზემოქმედებს მთელ კულტურულ ცხოვრებაზე. ამდენად, შეიძლება ვთქვათ: როდესაც ადამიანი გადის ცხოვრებას და ერთ რაიმე კონკრეტულ ფაქტსაც კი არ უპირისპირდება, მაშინ მისი ცნებები

არაცნობიერში ცოცხლობენ.

მაშასადამე, ცნებებს არაცნობიერში შეუძლია იცხოვროს. მსჯელობებს მხოლოდ ნახევრადცნობიერად, სიზმრისეულად სიცოცხლე შეუძლია მსჯელობის ჩვევების სახით; დასკვნები კი მხოლოდ სრულიად ცნობიერ, ფხიზელ სიცოცხლეში უნდა განაგებდეს. ეს ნიშნავს, რომ ნამდვილად დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ყველაფერი, რაც დასკვნას უკავშირდება, განვიხილოთ ბავშვთან ერთად და მზა დასკვნები კი არ დავახსომებინოთ მას, არამედ მხოლოდ ის, რაც ცნებად მომწიფდება. მაგრამ რა არის ამისთვის აუცილებელი?

ვთქვათ, აგებთ ცნებებს და ეს ცნებები მკვდარია. მაშინ თქვენ ცნებათა გვამებს უნერგავთ ადამიანს. თქვენ ადამიანის სხეულში ნერგავთ ცნებების გვამებს, როცა მკვდარ ცნებებს აწვდით მას. როგორი უნდა იყოს ცნება, რომელსაც ადამიანს ვაწვდით? იგი ცოცხალი უნდა იყოს, რათა ადამიანმა შეძლოს მასთან ერთად ცხოვრება. ადამიანმა უნდა იცხოვროს, ასე რომ ცნებასაც უნდა შეეძლოს მასთან ერთად სიცოცხლე. თუ ცხრა, ათი წლის ბავშვს აწვდით ცნებებს, რომელნიც იმ სახისანი არიან, რომ ოცდაათი, ორმოცი წლის ასაკში სულაც არ იცვლიან ფორმას, მაშინ თქვენ ცნებების გვამებს უნერგავთ ბავშვს, ვინაიდან ამ დროს ცნება არ ცოცხლობს ადამიანთან ერთად, როდესაც იგი ვითარდება. ბავშვს ისეთი ცნებები უნდა მიაწოდოთ, რომელთაც შეუძლიათ გარდაიქმნან ბავშვის შემდგომი სიცოცხლის განმავლობაში. აღმზრდელი უნდა ზრუნავდეს, ისეთი ცნებები მიაწოდოს ბავშვს, რომელნიც ადამიანს შემდგომი ცხოვრებისას აღარ ექნება იმ სახით, რა სახითაც ერთხელ შეიძინა, არამედ თავად გარდაიქმნებიან შემდგომი ცხოვრებისას. როცა ამას აკეთებთ, მაშინ ბავშვს ცოცხალ ცნებებს უნერგავთ. ხოლო როდისღა უნერგავთ მას მკვდარ ცნებებს? როდესაც ბავშვს განუწყვეტლივ განსაზღვრებებს აწვდით, როცა ეუბნებით: ლომი არის... — და ა.შ. და აზეპირებინებთ ამას, აი, ამ დროს უნერგავთ მას მკვდარ ცნებებს; მაშინ თქვენ გათვ-

ლილი გაქვთ ის, რომ როდესაც ბავშვს ოცდაათი წელი შეუსრულდება, მას ზუსტად იმ სახით გააჩნდეს ეს ცნებები, როგორითაც ერთხელ მიაწოდეთ. ეს ნიშნავს: ბევრი დეფინიცია არის ცოცხალი სწავლების სიკვდილი. მაშ რა უნდა გავაკეთოთ? სწავლებისას ჩვენ არ უნდა მივმართოთ დეფინიციებს, არამედ უნდა შევეცადოთ, დავახასიათოთ. ჩვენ ვახასიათებთ, როდესაც რაც შეიძლება მრავალი კუთხით განვიხილავთ საგნებს. თუ ბუნების ისტორიაში ბავშვს უბრალოდ მივაწვდით იმას, რაც, მაგ., დღევანდელ ბუნების ისტორიაში წერია ცხოველებზე, მაშინ ჩვენ მხოლოდ განვუსაზღვრავთ მას ცხოველს. ჩვენ უნდა შევეცადოთ, სწავლების ყველა სფეროში სხვადასხვა მხრიდან დავახასიათოთ ცხოველი, მაგ., იმ მხრიდან, თუ როგორ შეძლეს თანდათან ადამიანებმა გაეცნოთ ეს ცხოველი, გამოეყენებინათ მისი შრომა და ა.შ. თვით რაციონალურად აგებული სწავლებაც კი დახასიათებებით მოქმედებს, თუკი თქვენ — როდესაც სწავლების ხსენებული ეტაპის ჯერი მოდის — უბრალოდ ბუნების ისტორიას რომ სჩვევია, ისე კი არ აღწერთ მელანთევზას, შემდეგ, როცა დრო მოუწევს, თაგვს, შემდეგ ადამიანს, არამედ როცა ერთმანეთის გვერდით აყენებთ მელანთევზას, თაგვსა და ადამიანს და აკავშირებთ მათ ერთმანეთთან. ამ დროს ეს კავშირები იმდენად მრავალგვაროვანია, რომ აქედან დეფინიცია კი არ გამოდის, არამედ დახასიათება. ამდენად, სწორი სწავლება თავიდანვე მუშაობს არა დეფინიციაზე, არამედ დახასიათებაზე.

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, გამუდმებით ვაცნობიერებდეთ: არაფერი ჩავკლათ ქმნად ადამიანში, არამედ ისე აღვზარდოთ და ვასწავლოთ, რომ ცოცხალი დარჩეს, არ გამოშრეს, არ გაქვავდეს. ამიტომ თქვენ კარგად უნდა გაარჩიოთ ერთმანეთისგან მოძრავი ცნებები, რომელთაც აწვდით ბავშვს და ისეთები — ამგვარნიც არსებობენ — რომელთაც არ სჭირდებათ განიცადონ სახეცვლილება. ამ ცნებებს შეუძლია ბავშვის სამშვინველის ერთგვარი ჩონჩხი გახდეს.

ამიტომ იმაზეც უნდა იზრუნოთ, რომ ბავშვს მიაწოდოთ ის, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში დარჩება. – თქვენ არ უნდა მიაწოდოთ მას მკვდარი ცნებები ცხოვრებისეულ დეტალებზე, რომელნიც არ დარჩებიან; თქვენ ცოცხალი ცნებები უნდა მიაწოდოთ მას ცხოვრებისა და სამყაროს დეტალების შესახებ, რომელნიც ბავშვთან ერთად ორგანულად განვითარდებიან. მაგრამ თქვენ ყველაფერი ადამიანს უნდა დაუკავშიროთ. საბოლოოდ ბავშვის აღქმაში ყველაფერი ადამიანის იდეად უნდა გაერთიანდეს. ადამიანის ეს იდეა შეიძლება დარჩეს. ყველაფერი, რასაც ბავშვს აწვდით, როდესაც იგავარაკს უყვებით და მას ადამიანს უკავშირებთ, როდესაც ბუნების ისტორიაში მელანთეზასა და თაგვს უკავშირებთ ადამიანს, როდესაც მორზეს ტელეგრაფთან მიმართებით აღუძრავთ სასწაულის გრძნობას, რომელიც სადენის გავლით ხდება – ყველაფერი ეს სწორედ ისაა, რაც სამყაროსა და მის დეტალებს ადამიანთან აკავშირებს. ეს ისაა, რაც შეიძლება დარჩეს. მაგრამ ადამიანის ცნების აგება თანდათან ხდება, დაუშვებელია ბავშვს მივაწოდოთ ადამიანის მზამზარეული ცნება. მაგრამ როცა კი აიგება, მას შეუძლია დარჩეს. ესაა ის უმშვენიერესი რამ, რაც შეგვიძლია თან გავატანოთ ბავშვს სკოლიდან შემდგომ ცხოვრებაში – იდეა, ადამიანის რაც შეიძლება მრავალმხრივი, რაც შეიძლება ბევრის მომცველი იდეა.

იმას, რაც ადამიანში ცოცხალია, აქვს ტენდენცია ცხოვრების მანძილზე ნამდვილად ცოცხლად გარდაიქმნას. თუ ისე გავაკეთებთ, რომ ბავშვს ჰქონდეს პატივისცემის, თაყვანისცემის ცნებები, ყოველივე იმის ცნებები, რასაც ფართო გაგებით ლოცვის განწყობილება შეიძლება ვუწოდოთ, მაშინ ამგვარი წარმოდგენა ბავშვში, რომელიც განმსჭვალულია ლოცვის განწყობილებით, ცოცხალი იქნება, გვიან ასაკამდე გაჰყვება მას და ხანში შესვლისას გარდაისახება დალოცვის უნარად, სხვებისთვის ლოცვის განწყობილების შედეგების გაზიარების უნარად. ერთხელ მე ეს შემდეგნაირად გამოვხატე: ვერც ერთი

მხცოვანი კაცი თუ ქალი ვერ შეძლებს ხანდაზმულობისას ჭეშმარიტად დალოცოს სხვა, თუ მას ბავშვობისას ნამდვილად არ ულოცია. ვინც ბავშვობისას ნამდვილად ლოცულობდა, იგი ხანდაზმულობისას შეძლებს ნამდვილად ანუ უდიდესი ძალით დალოცოს სხვა.

ამგვარად, ადამიანისთვის მის უშინაგანესთან დაკავშირებული ცნებების მიწოდება ნიშნავს მის აღჭურვას ცოცხალი ცნებებით; ხოლო ცოცხალი განიცდის მეტამორფოზას, გარდაიქმნება; ადამიანის სიცოცხლესთან ერთად იგი თავად გარდაიქმნება.

კიდევ ერთხელ განვიხილოთ სიყრმის ასაკის ეს სამწეროვნება, ოღონდ ოდნავ განსხვავებული კუთხით. კბილების მოცვლამდე ადამიანს სურს მიბაძოს, სქესობრივ მომწიფებამდე – ავტორიტეტს დაექვემდებაროს; შემდეგ კი სურს საკუთარი მსჯელობა მიუჯნოს სამყაროს.

ეს შეიძლება სხვაგვარადაც გამოვხატოთ: როდესაც ადამიანი სულიერ-შვინვიერი სამყაროდან გამოდის და იმოსება სხეულით, რა სურს მაშინ მას სინამდვილეში? მას სურს ფიზიკურ სამყაროში განახორციელოს წარსული, რომელიც სულიერში განვლო. კბილების მოცვლამდე ადამიანი გარკვეულწილად მთლიანად წარსულზეა ორიენტირებული. ადამიანი ჯერაც აღვსილია იმ თავგაღებით, რომელსაც სულიერ სამყაროში ავითარებდა. ამიტომაც ეძლევა იგი გარემოს, როცა კი ბაძავს ადამიანებს. რა არის კბილების მოცვლამდე ბავშვის ძირეული იმპულსი, ჯერ კიდევ სრულიად არაცნობიერი ძირეული განწყობილება? ეს ძირეული განწყობილება ნამდვილად უმშვენიერესი რამაა, რომელზეც ასევე გვმართებს ზრუნვა. იგი გამომდინარეობს დაშვებიდან, არაცნობიერი დაშვებიდან: მთელი სამყარო მორალურია. ეს არაა პირწმინდად ასე თანამედროვე სამშვინველებში; მაგრამ როდესაც ფიზიკური არსება ხდება და შემოაბიჯებს ამ ქვეყანაზე, ადამიანი მიდრეკილია ამოვიდეს არაცნობიერი დაშვებიდან: სამყარო მორალურია. ამიტომაცაა კარგი აღზრდისათვის კბილების მოცვლამდე და მერეც, რომ

ანგარიში გაეწიოს ამ არაცნობიერ დაშვებას: სამყარო მორალურია. ამას მე შევეხე, როდესაც ორი ლიტერატურული ნაწყვეტი მოგიყვანეთ, რომელთაც ჯერ შესავალი გავუკეთე და ეს შესავალი მთლიანად განმსჭვალული იყო დაშვებით, რომ ადგილი აქვს მორალურ დახასიათებას. მე შევეცადე ერთი ნაწყვეტის მაგალითზე, სადაც საქმე ეხებოდა მეცხვარის, ყასბისა და სათამაშო ძაღლებს, დამეხასიათებინა, თუ როგორ შეიძლება აირეკლებოდეს ადამიანური მორალი ცხოველთა საუფლოში. ასევე შევეცადე *ჰოფმან ფონ ფალერსლებენის* ია-ზე ლექსის მაგალითზე პედანტობის გარეშე მომეწოდებინა შვიდი წლის ასაკის შესაფერისი მორალი, რათა გამტკიცდეს ეს დაშვება, რომ სამყარო მორალურია. ამაღლებული და დიადია ბავშვებში ის, რომ ისინი ადამიანთა იმ მოდგმას წარმოადგენენ, რომელსაც სწამს მორალის და ამიტომ სჯერა, რომ შეუძლია მიბაძოს სამყაროს. – ამგვარად, ბავშვი ცხოვრობს წარსულში და დაბადებამდელი წარსულის მრავალმხრივ განმცხადებელია, არა ფიზიკურის, არამედ სულიერ-მშვინვიერი წარსულისა.

როდესაც ბავშვი გაივლის კბილების მოცვლის პერიოდს, სქესობრივ მომწიფებამდე იგი განუწყვეტლივ აწმყოში ცხოვრობს და აწმყოთი ინტერესდება. ამიტომაც აღზრდა-განათლებისას მუდამჟამ უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ დაწყებითი სკოლის მოწაფეს სულ აწმყოთი ნებავს ცხოვრება. როგორ ვცხოვრობთ ჩვენ აწმყოში? აწმყოში ვცხოვრობთ, როდესაც არა ცხოველურად, არამედ ადამიანურად ვტკბებით ჩვენი გარემომცველი სამყაროთი. ფაქტობრივად, დაწყებითი სკოლის მოწაფეს სურს სწავლებისას დატკბეს სამყაროთი. ამიტომ არ უნდა დავზარდეთ და ისე უნდა ვასწავლოთ, რომ ბავშვისთვის გაკვეთილი ნამდვილად ერთგვარი სიამოვნება იყოს არა ცხოველური, არამედ უმაღლესი ადამიანური გაგებით და არა ის, რაც მასში ანტიპათიასა და ზიზღს აღძრავს. ამ სფეროში პედაგოგიკამ კარგი გაქანება პოვა. მაგრამ აქ ერთი საფრთხე არის. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ეს პრინციპი,

ვაქციოთ გაკვეთილი სიხარულისა და სიამოვნების წყაროდ, მეტად ადვილად შეიძლება დავამახინჯოთ პროზაულობით. ეს კი არ უნდა მოხდეს. აქ მხოლოდ ის დაგვეხმარება, თუ მასწავლებელი თავად ინებებს გამუდმებით ამაღლდეს პროზაულობაზე, პედანტიზმზე, ფილისტერობაზე. ამას კი მხოლოდ იმით შეძლებს, თუ არასოდეს დაიზარებს და ნამდვილად ცოცხალს გახდის საკუთარ მიმართებას ხელოვნებასთან. ვინაიდან როდესაც გვსურს ადამიანურად — და არა ცხოველურად — დავტკბეთ სამყაროთი, მაშინ ამოვდივართ ერთი გარკვეული წანამძღვრიდან, წანამძღვრიდან, რომ სამყარო მშვენიერია. აი, ამ არაცნობიერი წანამძღვრიდან ამოდის ბავშვი კბილების მოცვლიდან სქესობრივ მომწიფებამდე — რომ მას შეუძლია სამყარო მშვენივრად მიიჩნიოს. ბავშვის ეს არაცნობიერი დაშვება, რომ სამყარო მშვენიერია, რომ მაშასადამე სწავლებაც მშვენიერი უნდა იყოს, არაფრით განმტკიცდება, როდესაც ვაკვირდებით თვალსაჩინო სწავლების ხშირად ასე ბანალურ, მხოლოდ სარგებლიანობის პოზიციიდან დადგენილ წესებს; არამედ მას მაშინ განვამტკიცებთ, როდესაც თავად ვცდილობთ ჩავიძიროთ მხატვრულ განცდაში, რათა სწორედ მოცემულ მომენტში განიმსჭვალოს სწავლება ხელოვნებით. ზოგჯერ საშინლად გულსატკენია, როცა ვკითხულობთ თანამედროვე დიდაქტიკოსებს და ვხედავთ, თუ როგორ ვერ განხორციელებულა კარგი პრინციპი — ვაქციოთ სწავლება სიხარულის წყაროდ — იმის გამო, რომ რასაც მასწავლებელი თავის მოსწავლეებთან ერთად განიხილავს, არაესთეტიკურ, პროზაულ შთაბეჭდილებას ტოვებს. დღესდღეობით ძლიერ უჭირთ თვალსაჩინო სწავლების გამოყენება ბავშვებთან, ასე ვთქვათ, სოკრატესეული მეთოდით. მაგრამ საკითხები, რომელთაც ბავშვების წინაშე აყენებენ, ატარებენ გარეგნული სარგებლიანობის და არა მშვენიერების ხასიათს. ამ დროს სანიმუშო მაგალითების მოყვანაც ვერაფერს შველის. საქმე ის კი არაა, მასწავლებელს დავავალოთ: შენ უნდა დაიცვა ესა თუ ის წესი თვალსაჩინო სწავლებისათვის სანიმუშო მაგა-

ლითების შერჩევისას, არამედ ის, რომ ხელოვნებაში ცხოვრებით მასწავლებელმა თავად იზრუნოს იმაზე, რომ რასაც ბავშვებთან ერთად განიხილავს, გემოვნებით აღსავსე იყოს.

ბავშვის ცხოვრების პირველი პერიოდი კბილების მოცვლამდე მიმდინარეობს არაცნობიერი დაშვებით: სამყარო მორალურია. მეორე ასაკობრივი პერიოდის, კბილების მოცვლიდან სქესობრივ მომწიფებამდე, არაცნობიერი წანამძღვარია: სამყარო მშვენიერია. და მხოლოდ სქესობრივ მომწიფებასთან ერთად ჩნდება მიდრეკილება იმისკენ, რომ აღმოაჩინო: სამყარო ჭეშმარიტია. მხოლოდ ამ დროს შეიძლება დაიწყოს სწავლებამ „მეცნიერული" ხასიათის მიღება. სქესობრივ მომწიფებამდე არ ვარგა, მივცეთ სწავლებას სისტემატიკური ან მეცნიერული ხასიათი; ვინაიდან ჭეშმარიტების ნამდვილად შინაგან ცნებას ადამიანი მხოლოდ მაშინ იძენს, როდესაც იგი სქესობრივად მომწიფდება.

ამ გზით თქვენ ხვდებით, რომ ფიზიკურ სამყაროში უმაღლესი სამყაროებიდან ქმნად ბავშვთან ერთად ჩამოდის წარსული, რომ მას შემდეგ, რაც ბავშვმა კბილები მოიცვალა, მოსწავლეში მზეურდება აწმყო და რომ შემდეგ ადამიანი შედის იმ ასაკში, როდესაც მის სამშვინველში ფეხს იკიდებს მომავლის იმპულსები. წარსული, აწმყო, მომავალი და მათში ცხოვრება: ამასაც აქვს ადგილი ქმნად ადამიანში.

ამჯერად აქ შევჩერდეთ, რათა ზეგ გავაგრძელოთ ეს განხილვა, რომელიც შემდეგში სულ უფრო პრაქტიკულ სწავლებაში გადავა.

მეათე ლექცია

შტუტგარტი, 1 სექტემბერი, 1919 წელი

ჩვენ განვიხილეთ ადამიანის არსება მშვინვიერი და სულიერი თვალთახედვით. ჩვენ რამდენადმე მაინც გავაშუქეთ ის, თუ როგორ უნდა იქნეს განხილული ადამიანი სულიერი და მშვინვიერი თვალსაზრისით. რაც ამ ორი თვალთახედვით განვიხილეთ, უნდა განვავრცოთ იმით, რომ ჯერ ერთმანეთს დავუკავშიროთ სულიერი, მშვინვიერი და სხეულებრივი თვალსაზრისები, რათა ადამიანის სრული სურათი მივიღოთ, შემდეგ კი შეგვეძლება გადავიდეთ გარე სხეულებრივობის წვდომაზე, გაგებაზე.

პირველ რიგში გვინდა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის, რაც მრავალმხრივაა თვალში საცემი: რომ ადამიანის არსების სამ წევრს სხვადასხვა ფორმა აქვს. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ, თუ როგორაა თავის ფორმა არსებითად სფეროსებრი და როგორაა მოთავსებული თავის ამ სფეროსებრ ფორმაში ადამიანის თავის საკუთრივ სხეულებრივი არსება. შემდეგ ყურადღება მივაპყარით იმას, რომ ადამიანის გულმკერდის ნაწილი სფეროს ფრაგმენტს წარმოადგენს ისე, რომ თუ სქემატურად გამოვსახავთ, თავს სფეროს-ფორმას მივცემთ, გულმკერდის ნაწილს კი მთვარისებრს და ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ეს მთვარისებრი ფორმა სფეროს ფრაგმენტს, ნაწილს წარმოადგენს. ამდენად, უნდა ვთქვათ: ჩვენ შეგვიძლია განვავრცოთ ადამიანის მკერდის წევრის მთვარისებრი ფორმა. და თქვენ მხოლოდ მაშინ შეძლებთ სწორად გაითვალისწინოთ ადამიანის არსების ეს შუა წევრი, ადამიანის გულმკერდის ფორმა, თუ მასაც როგორც სფეროს ისე განიხილავთ, ოღონდ ისეთ სფეროს, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილი, მთვარეა, ხილული, მეორე კი უხილავია. აქედან, ალბათ, ხედავთ, რომ იმ ძველ ხანებში, როდესაც ადამიანს მეტი უნარი ჰქონდა დაენახა ფორმები, არ ცდებოდნენ, როცა

მზეზე თავთან მიმართებით საუბრობდნენ, მთვარეზე კი მკერ-
დის ფორმასთან მიმართებით. და როგორც მაშინ, როცა
მთვარე არაა ავსებული, მისგან მხოლოდ სფეროს ფრაგმენტს
ეხედავთ, ასევე გულმკერდის ფორმაში ადამიანის შუა წევრის
მხოლოდ ფრაგმენტს ეჭვრეტთ. აქედან შეგიძლიათ მიხვდეთ,
რომ ადამიანის თავის ფორმა ფიზიკურ სამყაროში შედარებით
დასრულებულია. თავის ფორმა ფიზიკურად გვევლინება რო-
გორც დასრულებული რამ. იგი გარკვეულწილად მთლიანად
ისეთია, როგორც თავს ავლენს. ის ყელაზე ნაკლებად მალავს
რაიმეს.

ადამიანის გულმკერდის ნაწილი კი ძალზე ბევრს მალავს;
იგი თავისი არსების ნაწილს უხილავს სტოვებს. ადამიანის
არსების შესამეცნებლად მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვა-
ლისწინება, რომ, მკერდის წილის კარგა დიდი ნაწილი უხი-
ლავი არის. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ: ერთ მხარეს, ზურ-
გისკენ, გულმკერდის წილი თავის სხეულებრივობას გვიჩვენებს;
წინა მხარეს კი მშვინვიერში გადადის. თავი მთლიანად სხეუ-
ლია; ხოლო ადამიანის მკერდის წილი სხეული უკანა მხარეს
არის, წინ კი სამშვინველია. ამგვარად, ჭეშმარიტ სხეულს
ჩვენ მხოლოდ იმდენად დავატარებთ, რამდენადაც ჩვენს მხრე-
ბზე ჩვენივე თავი განისვენებს. ჩვენ გაგვაჩნია სხეული და
სამშვინველი, რამდენადაც გამოვყოფთ ჩვენს გულმკერდს
დანარჩენი მკერდის წილისგან და გადავამუშავებთ, გავეღენთთ
მას მშვინვიერით.

ადამიანის ამ ორივე წევრში, პირველ რიგში გარეგნული
დაკვირვებისთვის მკერდის წილში, ჩასმულია კიდურები. მესამე
არის კიდურების ადამიანი. როგორ შეგვიძლია გავიგოთ
კიდურების ადამიანი? კიდურების ადამიანის გაგება შეგვიძლია
მხოლოდ მაშინ, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ სფეროს
ფორმიდან დარჩენილია სხვა ნაწილი, ვიდრე მკერდის წილში.
მკერდის წილში დარჩენილია პერიფერიის ნაწილი. კიდურე-
ბის შემთხვევაში კი უფრო მეტი დარჩენილია სფეროს
შინაგანიდან, რადიუსიდან, ისე რომ კიდურების სახით სფე-

როს შიდა ნაწილებია ჩასმული.

როგორც არაერთხელ მითქვამს, ჩვენ ვერაფერს გავხდებით, თუ მხოლოდ სქემატურ დანაწევრებას მოვახდენთ. ჩვენ მუდამ ერთი რამ მეორესთან უნდა გადავწნათ, რამეთუ ამაში მდგომარეობს ცოცხალი. ჩვენ ვამბობთ: არსებობს კიდურების ადამიანი, რომელიც კიდურებისგან შედგება. მაგრამ თავსაც აქვს თავისი კიდურები. თუ ჯეროვნად დააკვირდებით თავის ქალას, ნახავთ, რომ თავის ქალაში ჩასმულია, მაგ., ქვედა და ზედა ყბის ძვლები. ისინი მართლაც რომ კიდურებივით არიან ჩასმულნი. თავის ქალასაც გააჩნია თავისი კიდურები, ქვედა და ზედა ყბა თავის ქალაზე კიდურებივითაა მიერთებული. ოღონდ ისინი დაჩიავდნენ თავის ქალაზე. დანარჩენ ადამიანთან ისინი კარგად განვითარდნენ, თავის ქალაზე კი დაჩიავდნენ და მხოლოდ ძვლოვანი წარმონაქმნები არიან. არსებობს კიდევ ერთი განსხვავება: თუ განიხილავთ თავის ქალის კიდურებს ანუ ზედა და ქვეყა ყბას, ნახავთ, რომ აქ მთავარი ისაა, რომ ძვალი ახორციელებს საკუთარ აქტივობას. ხოლო როცა ჩვენს მთლიან სხეულზე მოთავსებულ კიდურებს ანუ კიდურების ადამიანის ნამდვილ არსებას განიხილავთ, მაშინ არსებითი კუნთებისა და სისხლძარღვების სამოსში უნდა ეძებოთ. ძვლები გარკვეულწილად მხოლოდ ჩასმულია ჩვენს კუნთებსა და სისხლის სისტემაში მკლავებისა და ფეხების, ხელებისა და ტერფების შემთხვევაში. ზედა და ქვედა ყბაზე, როგორც თავის კიდურებში, კუნთები და სისხლძარღვები სულ დაჩიავებულია. რას ნიშნავს ეს? როგორც უკვე გავიგეთ, სისხლი და კუნთები ნებელობის ორგანიკას წარმოადგენს. ამიტომაც ნებისათვის უმთავრესად მკლავები და ფეხები, ხელები და ტერფები ჩამოყალიბდა. რაც უპირატესად ნებას ემსახურება — სისხლი და კუნთები —, გარკვეული ხარისხით აკლია თავის კიდურებს, რადგანაც მათში უნდა ჩამოყალიბდეს ის, რაც ინტელექტისკენ, მოაზროვნე შემეცნებისკენ არის მიდრეკილი. ამიტომ თუ გსურთ შეისწავლოთ, თუ როგორ ცხადდება მსოფლიო ნება გარე სხეულებრივ ფორმებში, შეისწა-

ვლეთ მკლავები და ფეხები, ხელები და ტერფები. თუ გსურთ შეისწავლოთ, როგორ ცხადდება მსოფლიო ინტელიგენცია, მაშინ შეისწავლეთ თავი, როგორც თავის ქალა, ძვლოვანი ჩონჩხი და თუ როგორ უერთდება თავს ზედა ყბა, ქვედა ყბა და სხვა, რაც კიდურების მსგავსად გამოიყურება თავზე. თქვენ შეგიძლიათ ყველგან გარეგნულ ფორმებს შეხედოთ როგორც შინაგანის განცხადებას. და თქვენ მაშინ გაიგებთ გარეგან ფორმებს, როცა შინაგანის განცხადებად მიიღებთ მათ.

მე მუდამ აღმომიჩენია, რომ ადამიანთა უმრავლესობისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს იმის გაგება, თუ რა კავშირი არსებობს მკლავების და ფეხების მილაკოვან ძვლებსა და თავის ქალის ბრტყელ ძვლებს შორის. არადა სწორედ მასწავლებლისთვისაა კარგი გაითავისოს ცნება, რომელიც უცხოა ჩვეულებრივი ცხოვრებისათვის. აქ ჩვენ მივადექით ძალზე, ძალზე რთულ თემას, ალბათ, ურთულესს წარმოდგენისათვის, რომელსაც თავი უნდა გავართვათ ამ პედაგოგიურ ლექციებში.

როგორც იცით, პირველად *გოეთემ* მიაქცია ყურადღება თავის ქალის ე.წ. ხერხემლის თეორიას. რა იგულისხმება ამით? იგულისხმება მეტამორფოზის იდეის გამოყენება ადამიანსა და მის ფორმასთან დაკავშირებით. როცა ვიხილავთ ადამიანის ხერხემალს, ვხედავთ, რომ მალები ერთმანეთზეა მოთავსებული. ჩვენ შეგვიძლია გამოვიღოთ ერთ-ერთი მალა თავისი წანაზარდებიანად, სადაც ზურგის ტვინი გადის. ვენეციაში გოეთე ცხვრის თავის ქალაზე დააკვირდა, რომ თავის ქალის ყველა ძვალი ხერხემლის სახეცვლილი მალა არის. ეს ნიშნავს, რომ თუ ზოგიერთ ორგანოს გაბერილს წარმოვიდგენთ, სხვებს კი დაკნინებულს, მაშინ ხერხემლის ამ ფორმიდან თასისებურად ფორმირებულ თავის ქალის ძვლებს მივიღებთ. გოეთეზე ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვინაიდან აქედან მას უნდა დაესკვნა — რაც მისთვის უმნიშვნელოვანესი იყო —, რომ თავის ქალა სახეცვლილი,

განვითარებული ხერხემალი არის.

ახლა შეგვიძლია შედარებით ადვილად მივხვდეთ, რომ თავის ქალის ძვლები სახეცვლილების, მეტამორფოზის გზით ხერხემლის მალებისგან წარმოდგება. მაგრამ მეტად ძნელია კიდურების ძვლების, მათ შორის თავის კიდურების ძვლების, ზედა და ქვედა ყბების, გაგება — გოეთემ სცადა ეს, მაგრამ მხოლოდ გარეგნული გზით — როგორც ხერხემლის ძვლების ანდა თავის ქალის ძვლების გარდაქმნისა, მეტამორფოზისა. რატომაა ასე? ამის საფუძველი ისაა, რომ მილაკოვანი ძვლებიც თავის ქალის ძვლების მეტამორფოზა, სახეცვლილებაა, ოღონდ სრულიად განსაკუთრებული სახის. თქვენ შეგიძლიათ შედარებით ადვილად წარმოიდგინოთ ხერხემლის გარდაქმნა თავის ქალის ძვლებად, თუ ერთ ნაწილს წარმოსახვაში გაადიდებთ, მეორეს კი შეამცირებთ. მაგრამ ხელ-ფეხის მილაკოვანი ძვლებიდან ასე იოლად ვერ მიიღებთ თავის ქალის ძვლებს, თავის ქალის თასისებრ ძვლებს. ამისათვის ჯერ გარკვეული პროცედურა უნდა შეასრულოთ. ხელ-ფეხის მილაკოვან ძვლებთან დაკავშირებით თქვენ იგივე პროცედურა უნდა ჩაატაროთ, როგორსაც შეასრულებდით წინდის ან ხელთათმანის ჩაცმისას ისინი ჯერ შიგნიდან გარეთ რომ გადმოგეტრიალებინათ ანუ გადმოგებრუნებინათ. შედარებით ადვილია წარმოდგენა იმისა, თუ როგორ გამოიყურება ხელთათმანი ან წინდა, თუ შიდა მხარე გარეთაა გადმობრუნებული. მაგრამ მილაკოვანი ძვალი არაა თანაბარზომიერი. იგი არაა ისე თხელი, რომ თანაბარზომიერად იყოს აგებული შიგნიდან და გარედან. იგი განსხვავებულადაა აგებული შიგნიდან და გარედან. თქვენ წინდა ისე რომ გაგეკეთებინათ და შემდეგ ელასტიური გაგეხადათ, რომ გარედან მხატვრული ფორმა მიგეცათ ყველანაირი ჩაზნექილ-ამოზნექილობებით, შემდეგ კი გადმოგებრუნებინათ, მაშინ გარედან ვეღარ მიიღებდით იმავე ფორმას, რაც ახლა გადმობრუნებისას შიგნით მოექცა. ასეა მილაკოვანი ძვლების დროსაც. შიგნითა გარეთ უნდა ამოვატრიალოთ, გარეთა კი შიგნით და მივიღებთ თავის ქალის

ძვლების ფორმას. ასე რომ, ადამიანის კიდურები არა მარტო სახეცვლილი, არამედ გადმობრუნებული ძვლებია თავის ქალ-ისა. საიდან მომდინარეობს ეს? იქიდან, რომ თავს ცენტრი შიგნით აქვს, კონცენტრულად. მკერდის ცენტრი კი არაა სფეროს შუაგულში; მკერდს თავისი ცენტრი ძალზე შორს აქვს. ეს ფრაგმენტულად არის გამოსახული ნახაზში, ვინაიდან მთლიანად რომ დაგვეხაზა, ძალიან დიდი იქნებოდა. ამგვარად, მკერდის ცენტრი ძალზე შორს არის.



ხოლო კიდურების სისტემის ცენტრი სადღაა? აქ მეორე სირთულეს ვაწყდებით. კიდურების სისტემას ცენტრი მთელ შემოგარენში აქვს. კიდურების სისტემის ცენტრი მთელი სფეროა, ანუ წერტილის საპირისპირო რამ. ცენტრი ფაქ-ტობრივად ყველგანაა; ამიტომ თქვენ ყოველ მხარეს შეგიძლიათ მიაბრუნოთ და ყველა ადგილიდან განასხვოთ რადიუსები. ისინი ერთიანდებიან თქვენთან.

რაც თავში არსებობს, ის თავიდან გამოდის; რაც კიდურე-ბის გავლით მოდის, ერთიანდება თქვენში. ამიტომ სხვა ლექციებშიც უნდა მეთქვა: თქვენ უნდა წარმოიდგინოთ, რომ კიდურები ჩადგმული არის. ჩვენ ნამდვილად მთელი სამყარო ვართ, ოღონდაც ის, რაც გარედან მოისწრაფვის ჩვენსკენ, ბოლო ეტაპზე მკვრივდება და ხილული ხდება. ჩვენს კიდურებში ხილული ხდება მხოლოდ ერთი ბეწო ნაწილი იმისა, რანიცა ვართ, ისე რომ კიდურები სხეულებრივნი არიან,

მაგრამ ეს მხოლოდ პაწაწინა ატომია იმისა, რაც სინამდვილეში არსებობს ადამიანის კიდურების სისტემაში: სულისა. სხეული, სამშვინველი და სული არსებობს ადამიანის კიდურების სისტემაში. სხეული კიდურებში მხოლოდ მონიშნულია; მაგრამ კიდურებში არსებობს მშვინვიერიც (იხ. ნახაზი გვ. 176) და სულიერიც, რომელიც არსებითად მთელ სამყაროს მოიცავს.

ახლა შეიძლება ადამიანის სხვა სქემაც გაკეთდეს. შეგვიძლია ვთქვათ: თავდაპირველად ადამიანი ვეება სფეროა, რომელიც მთელ სამყაროს მოიცავს, შემდეგ უფრო პატარა სფერო, შემდეგ კი სულ პატარა. მხოლოდ ყველაზე პატარა სფეროა მთლიანად ხილული; შედარებით დიდი სფერო მხოლოდ ნაწილობრივ არის ხილული; ყველაზე დიდი სფერო კი მხოლოდ ბოლო ეტაპზე საკუთარ გამოსხივებებშია ხილული, დანარჩენი უხილავი რჩება. ასეა ადამიანის ფორმა სამყაროდან აგებული.

შუა სისტემაში, გულმკერდის სისტემაში, სახეზეა თავისა და კიდურების სისტემების შერწყმა. თუ განიხილავთ ხერხემალს ნეკნებიანად, ნახავთ, რომ ეს არის წინა მხარეს ჩაკეტვის მცდელობა. ზურგისკენ მთლიანობა ჩაკეტილია, წინ კი მხოლოდ ნაცადია ჩაკეტვა; იგი არაა მთლიანად მიღწეული. რაც უფრო უახლოვდება ნეკნები თავს, მით უფრო ახერხებს ჩაკეტვას, ხოლო რაც უფრო ქვევით მდებარეობს, მით უფრო ვერ აღწევს ამას. ბოლო ნეკნები ვეღარ ერთდებიან, ვინაიდან აქ მათ უპირისპირდება ის ძალა, რომელიც კიდურებში გარედან შემოდის.

ბერძნებს ჯერ კიდევ გააჩნდათ მეტად მძლავრი ცნობიერება ადამიანის ამ კავშირისა მთელ მაკროკოსმოსთან. ეგვიპტელებმაც ძალიან კარგად იცოდნენ ეს, ოღონდ ოდნავ აბსტრაქტულად. ამიტომაც ხედავთ, თუ ეგვიპტურ ან საერთოდ ძველი დროის პლასტიკას დაათვალიერებთ, რომ კოსმოსის ეს იდეა გარე გამოხატულებას პოვებს. თქვენ ვერ გაიგებთ, თუ რა შექმნეს ადამიანებმა ძველ დროში, თუ არ გეცოდინებათ, რომ მათ მიერ შექმნილი შეესაბამება მათ რწმენას: თავი

არის პატარა სფერო, შემცირებული მსოფლიო სხეული; კიდურები არის დიდი მსოფლიო სხეულის ნაწილი, სადაც ეს სხეული თავისი სხივებით ყველგან შემოდის ადამიანის ფორმაში. ბერძნებს ამის თაობაზე მშვენიერი, ჰარმონიულად ჩამოყალიბებული წარმოდგენა ჰქონდათ, ამიტომაც იყენენ ისინი კარგი მოქანდაკეები. დღესდღეობით კი ველარავინ ჩაწვდება ჭეშმარიტად ადამიანის პლასტიკურ ხელოვნებას, თუკი არ გაიცნობიერებს ადამიანის კავშირს სამყაროსთან. ამის გარეშე გამუდმებით მხოლოდ გარეგნულად გაიმეორებენ ბუნებრივ ფორმებს.

ჩემს მიერ ნათქვამიდან ახლა მიხვდებით, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, რომ კიდურები უფრო სამყაროსაკენ იხრება, თავი კი ცალკეული ადამიანისაკენ. მაშ, საით იხრება კიდურები განსაკუთრებულად? ისინი იხრებიან სამყაროსაკენ, რომელშიც ადამიანი მოძრაობს და გამუდმებით იცვლის მდებარეობას. მათ სამყაროს მოძრაობასთან აქვთ მიმართება. კარგად გაიაზრეთ ეს: კიდურებს გააჩნიათ მიმართება სამყაროს მოძრაობასთან.

რამდენადაც ამქვეყნად დავდივართ, ვმოქმედებთ, იმდენად ვართ ჩვენ კიდურების ადამიანები. რა ამოცანა აქვს ჩვენს თავს სამყაროს მოძრაობასთან დაკავშირებით? იგი განისვენებს მხრებზე, როგორც უკვე გითხარით სხვა კონტექსტში. მისი ამოცანაა, განუწყვეტლივ სიმშვიდეში მოიყვანოს სამყაროს მოძრაობა. თუ თქვენი სულით გადაინაცვლებთ თავში, მაშინ ამ გადანაცვლების ნამდვილ სურათ-ხატს შეიქმნით, თუკი წარმოიდგენთ, თითქოს მატარებელში ზიხართ; იგი წინ მიდის, თქვენ კი მშვიდად ზიხართ შიგნით. ასე მშვიდად ზის თქვენი სამშვინველი თავში, რომელსაც კიდურები გადაადგილებს და შინაგანად სიმშვიდეში მოჰყავს მოძრაობა. მატარებელში შეგიძლიათ გაიჯიმოთ, თუ ადგილია და მოისვენოთ, თუმცა ეს მოსვენება სინამდვილეში სიცრუეა, რადგანაც თქვენ ხომ მიქრიხართ მატარებლით, შესაძლოა, საძილე ვაგონით; და მაინც, თქვენ გაქვთ სიმშვიდის გრძნობა – ასე ამშვიდებს თავი

თქვენში იმას, რაც თქვენს კიდურებს შეუძლია სამყაროში შეასრულოს როგორც მოძრაობა. გულმკერდის წილი კი შუაში იმყოფება. იგი აშუალებს გარესამყაროს მოძრაობასა და იმას, რაც თავს სიმშვიდეში მოჰყავს.

ახლა ნახეთ: ჩვენი, როგორც ადამიანების, განზრახვაა ჩვენი კიდურების საშუალებით მივბაძოთ სამყაროს მოძრაობას, აღვიქვათ იგი. რას ვაკეთებთ ამ დროს? ჩვენ ვცეკვავთ. ჩვენ ვცეკვავთ სინამდვილეში, სხვაგვარი ცეკვა მხოლოდ ფრაგმენტული ცეკვაა. ყოველგვარი ცეკვა წარმოიშვა, რათა ადამიანების, მათი კიდურების მოძრაობებში იმ მოძრაობათა მიბაძვა მომხდარიყო, რომელთაც პლანეტები, სხვა კოსმიური სხეულები და თავად დედამიწა ასრულებს.

მაგრამ როგორაა თავისა და გულმკერდის საქმე, როდესაც ჩვენ ცეკვით ჩვენს მოძრაობებში კოსმიურ მოძრაობებს ავსახავთ? თავსა და მკერდში საქმე ისეა, თითქოს ჩვენს მიერ სამყაროში შესრულებული მოძრაობები გუბდებოდეს. თქვენ ვერ პოვებთ გაგრძელებას მკერდის გავლით თავში, ვინაიდან იგი განისვენებს მხრებზე და არ უშვებს მოძრაობებს გაგრძელდეს სამშვინველში. სამშვინველმა მშვიდად უნდა მიიღოს მონაწილეობა მოძრაობებში, რადგანაც თავი განისვენებს მხრებზე. რას აკეთებს იგი ამის შედეგად? იგი იწყებს საკუთარი თავიდან იმის არეკვლას, რასაც კიდურები ცეკვით ასრულებს. იგი იწყებს ბუზღუნს, როდესაც კიდურები არასწორ მოძრაობებს ასრულებს; იწყებს ჩურჩულს, როცა კიდურები სწორ მოძრაობებს ასრულებს და სიმღერასაც კი იწყებს, როდესაც კიდურები ჰარმონიულ კოსმიურ მოძრაობებს ასრულებს. ასე გარდაიქმნება გარე ცეკვითი მოძრაობები შიგნით სიმღერად, მუსიკალურად.

შეგრძნებების ფიზიოლოგია ვერასოდეს მოახერხებს შეგრძნებების გაგებას, თუ ადამიანს კოსმიურ არსებად არ ცნობს; იგი მუდამ იტყვის: გარეთ არსებობს ჰაერის მოძრაობები, შიგნით კი ადამიანი ბგერებს აღიქვამს. ხოლო თუ როგორ უკავშირდება მოძრაობები ბგერას, ამის ცოდნა ჩვენ არ ძალ-

გვიძს. — ასე წერია ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში, ზოგან თავში, ზოგან კი ბოლოში; განსხვავება სულ ეს არის.

რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ მათ, ვინც ფსიქოლოგიასა და ფიზიოლოგიას მისდევს, არ იციან, რომ რაც ადამიანს გარეგნულად მოძრაობებში გააჩნია, სამშვინველის შინაგანში სიმშვიდეში მოდის და ამის წყალობით იწყებს ბგერად გარდაქმნას. ასევეა ყველა სხვა შეგრძნებისას. იმის გამო, რომ თავის ორგანოები არ მონაწილეობს გარე მოძრაობებში, ისინი გულმკერდში არეკლავენ ამ მოძრაობებს და ბგერად და სხვა შეგრძნებებად გარდაქმნიან მათ. ასე წარმოიშვება შეგრძნებები და ამასვე უკავშირდება ხელოვნება. მუსიკა, მუსიკალური ხელოვნება პლასტიკური და არქიტექტონიკული ხელოვნებიდან წარმოდგება, რამდენადაც ის, რაც გარეთ პლასტიკურსა და არქიტექტონიკულ ხელოვნებებს წარმოადგენს, მუსიკალური ხელოვნება არის შიგნით. სამყაროს რეფლექსია შიგნიდან გარეთ — აი ესაა მუსიკალური ხელოვნება. — ასე დგას ადამიანი სამყაროში. შეიგრძენით ფერი როგორც სიმშვიდეში მოსული მოძრაობა. გარეგნულად თქვენ ვერ აღიქვამთ მოძრაობას ისევე, როგორც მატარებელში წოლისას შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ არ მოძრაობთ. თქვენ მოძრაობას მატარებელს მიანდობთ. ასევე მიანდობთ თქვენ თქვენს სხეულს მონაწილეობა მიიღოს გარე სამყაროში კიდურების უჩინარი მოძრაობებით, რომელთაც ვერ აღიქვამთ, თავად თქვენ კი ფერებსა და ბგერებს აღიქვამთ შიგნით. ეს ხდება იმ გარემოების წყალობით, რომ თქვენ უშვებთ კიდურების ორგანიზმს უმოძრაოდ ატაროს თქვენი თავი როგორც ფორმა.

როგორც გითხარით, რაც ახლა გადმოგეცით, რთული საკითხია. ეს განსაკუთრებით რთულია იმიტომ, რომ ამ საკითხების გასაგებად ჩვენს დროში საერთოდ არაფერი გაკეთებულა. ყოველივე ის, რასაც სადღეისოდ ჩვენი დროის განათლების სახით ვიღებთ, უზრუნველყოფს იმას, რომ ადამიანები გაუთვითცნობიერებელნი დარჩნენ იმ საკითხებში, რაზეც დღეს გესაუბრებოდით. რა ხდება ფაქტობრივად ჩვენი

დღევანდელი განათლების მეოხებით? ადამიანი ნამდვილად სრულად ვერ შეიცნობს წინდასა თუ ხელთათმანს, თუ ერთხელ მაინც არ გადმოაბრუნებს მათ, ვინაიდან არასოდეს ეცოდინება, თუ რა ეხება მის კანს, მას მხოლოდ ის ეცოდინება, რასაც გარეთა აქვს პირი. ასევე ჩვენი დღევანდელი განათლების მეოხებით ადამიანმა მხოლოდ ის იცის, რაც გარეთაა მიქცეული. იგი მხოლოდ ნახევარი ადამიანის შესატყვის ცნებებს იძენს. ვინაიდან ოდნავადაც ვერ იგებს კიდურებს. რამეთუ ისინი უკვე სულმა გადმოაბრუნა.



რაც დღეს გადმოგეცით, შეგვიძლია შემდეგნაირადაც გამოვსახოთ: როდესაც განვიხილავთ მთლიან, სრულ ადამიანს, როგორც იგი წარმოგვიდგება სამყაროში, პირველ რიგში კიდურების ადამიანის სახით, მაშინ ის თავს იჩენს როგორც სული, სამშვინველი და სხეული. როცა მას განვიხილავთ როგორც მკერდის ადამიანს, იგი თავს იჩენს როგორც სამშვინველი და სხეული. დიდი სფერო (იხ. ნახაზი): სული, სხეული, სამშვინველი; უფრო პატარა სფერო: სხეული, სამშვინველი; ყველაზე პატარა სფერო: მხოლოდ სხეული. 869

წლის კრებაზე კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსებმა კაცობრიობას აუკრძალეს ჰქონოდა დიდი სფეროს შესახებ რაიმე ცოდნა. მათ განაცხადეს, რომ კათოლიკური ეკლესიის დოგმა ამიერიდან იქნებოდა ის, რომ არსებობს საშუალო და უმცირესი სფერო, რომ ადამიანი შედგება მხოლოდ სხეულისა და სამშვინველისგან, რომ სამშვინველი სულიერს მხოლოდ თვისების სახით შეიცავს; სამშვინველი, ერთი მხრივ, სულის მაგვარიც არისო. 869 წლის შემდეგ კათოლიციზმიდან აღმოცენებული დასავლური კულტურისათვის სული აღარ არსებობს. — მაგრამ სულთან კავშირის გაწყვეტასთან ერთად გაწყდა ადამიანის სამყაროსთან კავშირიც. ადამიანი სულ უფრო და უფრო მოიცვა ეგოიზმმა. ამიტომაც თვით რელიგიაც სულ უფრო და უფრო ეგოისტური ხდებოდა და დღესდღეობით ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როდესაც სულიერი დაკვირვების გზით გვმართებს შევიცნოთ ადამიანის მიმართება სულთან და ამდენად სამყაროსთანაც.

ვისი ბრალია საბუნებისმეტყველო მატერიალიზმის არსებობა? საბუნებისმეტყველო მატერიალიზმის არსებობაში უმთავრესად ბრალი მიუძღვის კათოლიკურ ეკლესიას, ვინაიდან მან გააუქმა სული 869 წელს კონსტანტინეპოლის კრებაზე. რა მოხდა სინამდვილეში მაშინ? განიხილეთ ადამიანის თავი. მსოფლიო მოვლენების ფაქტების სამყაროს შიგნით იგი ისე განვითარდა, რომ ადამიანის ყველაზე ხნიერი წევრია. თავი წარმოიშვა ჯერ უმაღლესი, შემდეგ კი, თუ კიდევ უკან წავალთ, უმდაბლესი ცხოველებიდან. თავთან მიმართებით ჩვენ ცხოველთა სამყაროდან წარმოვდგებით. სწორედაც რომ თავი მარტოოდენ განვითარებული ცხოველი არის. ჩვენ უმდაბლეს ცხოველებამდე მივდივართ, როდესაც გვსურს მოვძებნოთ თავის წინაპარი. ჩვენი მკერდი მოგვიანებით მიუერთდა თავს; იგი აღარაა თავივით ცხოველური. მკერდი ჩვენ უფრო გვიანდელ ხანაში შევიძინეთ. კიდურები კი ადამიანებმა ყველაზე გვიან მივიღეთ; ისინი ყველაზე ადამიანური ორგანოებია. ისინი არ განვითარებულან ცხოველური ორგანოებიდან, არამედ შემდ-

გომში იქნენ მიერთებულნი. ცხოველური ორგანოები დამოუკიდებლად იქნა აგებული ცხოველებში კოსმოსიდან, ადამიანური ორგანოები კი მოგვიანებით დამოუკიდებლად მიუერთდა მკერდს. მაგრამ ვინაიდან კათოლიკურმა ეკლესიამ დაუშვა, რომ ადამიანის ცნობიერებისთვის დაფარულიყო სამყაროსთან მისი მიმართება ანუ კიდურების ნამდვილი ბუნება, მან მხოლოდ ცოტაოდენი რამ გადასცა შემდგომ ეპოქებს მკერდისა და ძირითადად თავის, თავის ქალის შესახებ. აი, ამიტომ დაასკვნა მატერიალიზმმა, რომ თავის ქალა ცხოველისგან წარმოდგება. ახლა კი იგი გაიძახის, რომ მთელი ადამიანი წარმოდგება ცხოველისაგან მაშინ, როცა მკერდისა და კიდურების ორგანოები მხოლოდ შემდგომში იქნა მიერთებული. სწორედ იმით, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ დაუმალა ადამიანს მისი კიდურების ბუნება, მისი კავშირი სამყაროსთან, მან გამოიწვია ის, რომ შემდგომი მატერიალისტური პერიოდი მოიცვა იდეამ, რომელსაც აზრი აქვს მხოლოდ თავთან მიმართებით, ის კი მთელ ადამიანს უსადაგებს ამ იდეას. კათოლიკური ეკლესია ჭეშმარიტად მატერიალიზმის შემოქმედია ევოლუციის მოძღვრების ამ სფეროში. ყოველივე ამის ცოდნა განსაკუთრებით უწესს ახალგაზრდობის დღევანდელს მასწავლებელს. ვინაიდან მან საკუთარი ინტერესი უნდა დაუკავშიროს იმას, რაც მსოფლიოში მოხდა. და მან ფუნდამენტურად უნდა იცოდეს ის, რასაც ამქვეყნად აქვს ადგილი.

დღეს ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, თუ როგორ მოხდა, რომ ჩვენი ეპოქა მატერიალისტური გახდა, ამასთან, ჩვენ სულ სხვა საკითხით დავიწყეთ: სფეროსებრი ფორმით, მთვარისებრი ფორმით და კიდურების სხივისებრი ფორმით. ანუ დავიწყეთ ერთი შეხედვით სრულიად საპირისპიროთი, რათა გაგვერკვია კულტურის ისტორიის ერთი დიადი, მძლავრი ფაქტი. აუცილებელია, განსაკუთრებით მასწავლებელს შეეძლოს კულტურული მოვლენების ფუნდამენტური წვდომა, თორემ ის ვერას გახდება მოზარდ ადამიანთან. ამ დროს შეიძენს იგი

იმას, რაც აუცილებელია, თუკი ენდომება სწორად აღზარ-
დოს ბავშვი მასთან არაცნობიერი და ქვეცნობიერი კავშირის
გზით, საკუთარ შინაგანზე დაყრდნობით. ვინაიდან ამ დროს
სცემს იგი სათანადო პატივს ადამიანის აგებულებას. ადამი-
ანის აგებულებაში იგი ჯელგან დიად სამყაროსთან კავშირს
დაინახავს. იგი სხვაგვარად მიუდგება ადამიანის ამ აგებულე-
ბას, ვიდრე მაშინ, როდესაც ადამიანში მხოლოდ უკეთ
განვითარებულ ცხოველს, ცხოველის უკეთ განვითარებულ სხე-
ულს ხედავს. ეძლევა რა თავის ილუზიებს ამის თაობაზე,
მასწავლებელი ადამიანს უდგება მკაფიო ცნობიერებით, თით-
ქოს მოზარდი ადამიანი პატარა ნადირი, პატარა ცხოველი
არის და რომ მან ეს პატარა ცხოველი უნდა განავითაროს
— ოდნავ უფრო მეტად, ვიდრე ბუნებას აქამდე განუ-
ვითარებია. სხვაგვარად გრძნობს იგი, როდესაც ამბობს: ესაა
ადამიანი, რომელიც დაკავშირებულია მთელ სამყაროსთან და
როცა მე რაიმეზე ვმუშაობ, რაიმეს ვაკეთებ ბავშვთან, მაშინ
ყველ ცალკეულ მოზარდ ბავშვში ჩემს წინაა ის, რასაც
მთელი სამყაროსთვის გააჩნია მნიშვნელობა. ჩვენ საკლასო
ოთახში ვართ: თითოეულ ბავშვში იმყოფება სამყაროს, მაკ-
როკოსმოსის ცენტრი. ეს საკლასო ოთახი მაკროკოსმოსისათვის
არის ცენტრი, დიახ, მრავალი ცენტრი. — დაფიქრდით და
ცოცხლად იგრძენით, რას ნიშნავს ეს! თუ როგორ გადადის
სამყაროსა და ადამიანთან მისი ურთიერთკავშირის იდეა
გრძნობაში, რომელიც განწმენდს სწავლების ყველ ცალკეულ
ღონისძიებას. ადამიანისა და სამყაროს შესახებ ამგვარი
გრძნობის გარეშე ჩვენ ვერ მოვახერხებთ სერიოზულად და
სწორად სწავლებას. იმ მომენტში, როცა ამგვარი გრძნობები
გვიჩნდება, ისინი მიწისქვეშა კავშირებით გადაეცემიან ბავშვს.
სხვა დროს გითხარით, თუ რა გასაოცარ ზემოქმედებას
ახდენს, როცა ვხედავთ, თუ როგორ ჩადის მავთულები მი-
წაში სპილენძის ფირფიტებამდე, მიწა კი მავთულების გარეშე
გადასცემს ელექტრობას. როდესაც მხოლოდ ეგოისტური ადა-
მიანური გრძნობებით შედიხართ სკოლაში, მაშინ გჭირდებათ

ჯელანაირი მავთულები — სიტყვები, რათა ბავშვებთან კავშირი დაამყაროთ. ხოლო თუ გაგაჩნიათ დიადი კოსმიური გრძნობა, როცა კი ამგვარ იდეებს ავითარებთ, როგორც ჩვენ მოვახდინეთ ეს, მაშინ ბავშვისკენ მიწისქვეშა გაფანილობა მიდის. მაშინ ერთიანდებით ბავშვთან. ესაა თქვენი იდუმალებით აღსავსე დამოკიდებულება სკოლის ბავშვებთან. ამგვარი გრძნობებიდან უნდა აიგოს აგრეთვე ის, რასაც პედაგოგიკას ვეძახით. პედაგოგიკა მეცნიერება კი არა, ხელოვნება უნდა იყოს. და სად გაგონილა ხელოვნება, რომლის სწავლასაც განუწყვეტლივ გრძნობებში ცხოვრების გარეშე შეეძლებთ? მაგრამ გრძნობები, რომლებშიც უნდა ვიცხოვროთ, რათა განვახორციელოთ ის დიდი ცხოვრებისეული ხელოვნება, რომელსაც პედაგოგიკა წარმოადგენს, ეს გრძნობები, რომელნიც უნდა გაგვაჩნდეს პედაგოგიკისათვის, აღინთებიან მხოლოდ დიადი სამყაროსა და ადამიანთან მისი კავშირის ჭვრეტისას.

მეთერთმეტე ლექცია

შტუტგარტი, 2 სექტემბერი, 1919 წელი

თუ წინა ლექციაში განვითარებული თვალსაზრისით როგორც სულიდან, ისე სამშვინველიდან გამომდინარე განიხილავთ ადამიანის სხეულის არსებას, მაშინ შეძლებთ ადამიანის სხეულის ამ არსების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ჩართოთ ყოველივე ის, რაც გჭირდებათ. ამიტომ სანამ დარჩენილ ლექციებში გადავიდოდეთ ადამიანის სხეულებრივ აღწერაზე, სულიერ-მშვინვიერი კუთხით გაშუქებას განვაგრძობთ.

გუშინ საშუალება გქონდათ გაგეგოთ, თუ როგორაა ადამიანი სამად დანაწევრებული: თავის ადამიანად, ტორსის ადამიანად, კიდურების ადამიანად. თქვენ ნახეთ, რომ ამ წევრთაგან თითოეულის მიმართება მშვინვიერი და სულიერი სამყაროებისადმი ურთიერთგანსხვავებულია.

ჯერ განვიხილოთ ადამიანის თავის აგებულება. როგორც გუშინ ვთქვით: თავი უპირატესად სხეულს წარმოადგენს. მკერდის ადამიანი განვიხილეთ როგორც სხეულებრივი და მშვინვიერი. ხოლო კიდურების ადამიანი – როგორც სხეულებრივი, მშვინვიერი და სულიერი. მაგრამ, ბუნებრივია, თავის არსებას ვერ ამოვწურავთ, როდესაც ვამბობთ: თავი უპირატესად სხეული არის. სინამდვილეში ხომ ისეა, რომ არაფერია ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული, ამიტომაც უნდა ვთქვათ: თავი მხოლოდ სხვაგვარად არის მშვინვიერი და სულიერი, ვიდრე მკერდი და კიდურები. როცა ადამიანი იბადება, თავი უკვე უპირატესად სხეულს წარმოადგენს, რაც ნიშნავს, რომ სხეულებრივი თავის ფორმაში გარკვეულწილად აღიბეჭდა ის, რაც თავდაპირველად თავს შეადგენდა. ამიტომაც გამოიყურება თავი ასე – იგი ხომ პირველია, რაც წარმოიქმნება ადამიანის ემბრიონული განვითარებისას –, რომ ზოგადადამიანური სულიერ-მშვინვიერი პირველ რიგში თავში ვლინდება. რა დამოკიდებულება აქვს სხეულ-თავს მშვინვიერსა

და სულიერთან? თავი რაც შეიძლება სრულყოფილად ჩამოყალიბებული სხეულია, რადგანაც მან ცხოველურის გავლით ადამიანისაკენ განვითარების ადრეულ სტადიებზე უკვე გაიარა ყოველივე ის, რაც განვითარებისთვისაა საჭირო; ამიტომაც მას შეუძლია სხეულებრიობის მხრივ ჯელაზე სრულყოფილად ჩამოყალიბებული იყოს. მშვინვიერი ისეა დაკავშირებული თავთან, რომ ბავშვს, როდესაც იგი იბადება და აგრეთვე ვითარდება სიცოცხლის პირველი წლების განმავლობაში, თავში ესიზმრება ყოველივე მშვინვიერი. სულს კი სძინავს თავში.

ადამიანის თავში სახეზეა სხეულის, სამშვინველისა და სულის განსაცვიფრებელი ურთიერთგამიჯვნა. თავი წარმოადგენს ძლიერ, ძლიერ განვითარებულ სხეულს. მასში გვაქვს სიზმრისეული სამშვინველი, აშკარად სიზმრებში მყოფი სამშვინველი და ჯერაც მძინარე სული. ახლა მთავარია ჩვენს მიერ დახასიათებული ეს ფაქტი შესაბამისობაში მოვიყვანოთ ადამიანის მთელ განვითარებასთან. ეს განვითარება კბილების მოცვლამდე ხომ ისე მიმდინარეობს, რომ ადამიანი უპირატესად მიმბაძველ არსებას წარმოადგენს. ადამიანი აკეთებს ჯელაფერ იმას, რასაც გარემოში ხედავს. მას რომ ამის გაკეთება ძალუძს, სწორედ იმ გარემოებას უმადლის, რომ მისი თავის სულს სძინავს. ამის გამო მას შეუძლია თავის ამ` სულით თავის სხეულის გარეთ იმყოფებოდეს. მას შეუძლია გაჩერდეს გარემოში. ვინაიდან როდესაც გვძინავს, მაშინ სულიერ-მშვინვიერით სხეულის გარეთ ვიმყოფებით. ბავშვი თავისი სულიერ-მშვინვიერით, თავისი მძინარე სულითა და სიზმრებში მყოფი სამშვინველით თავის გარეთ იმყოფება. იგი მათთან ერთადაა, ვინც მის გარემოშია, მათთან ერთად ცხოვრობს, ვინც მის გარემოში არის. ამიტომაცაა ბავშვი მიმბაძველი არსება. ამიტომაც ვითარდება სიზმრისეული სამშვინველიდან გარემოსადმი სიყვარული, პირველ ყოვლისა. მშობლებისადმი სიყვარული, ხოლო როდესაც ადამიანი იძენს მუდმივ კბილებს, როდესაც მოიცვლის კბილებს, ეს თავის განვითარების ბოლო სტადიაზე მიუთითებს. თუმცაღა თავი მთლიანად უკვე

როგორც სხეული იბადება, ადამიანის სიცოცხლის პირველი შვიდწლეულისას იგი მაინც გადის საბოლოო განვითარებას. რასაც იგი ამ დროს გადის, კბილების მოცვლასთან ერთად პოვებს დასასრულს.

რა მთავრდება ამ დროს? ამ დროს მთავრდება ფორმის წარმოქმნა. ამ დროს ადამიანი ჩაღვრის საკუთარ სხეულში იმას, რაც ამყარებს, ფორმას აძლევს მას. როცა ვხედავთ, რომ ადამიანს მუდმივი კბილები ამოსდის, შეგვიძლია ვთქვათ: პირველი საუბარი სამყაროსთან დამთავრებულია. — ადამიანმა გააკეთა ის, რაც მის ფორმირებას, ჩამოყალიბებას განეკუთვნება. როდესაც ამ პერიოდში ადამიანი თავიდან გამომდინარე საკუთარ ფორმას, სახეს იღებს, მას, როგორც მკერდის ადამიანს, სხვა რამ მოსდის.

მკერდში ვითარება არსებითად სხვაგვარია, ვიდრე თავში. მკერდი ის ორგანიზმია, რომელიც ადამიანის დაბადებიდანვე სხეულებრივ-მშვინვიერი არის. მკერდი არაა თავიეთ მხოლოდ სხეულებრივი; მკერდი სხეულებრივ-მშვინვიერია, მას საკუთარი თავის გარეთ მხოლოდ სული აქვს, რომელიც სიზმრისეულია. ამდენად, როდესაც ვაკვირდებით ბავშვს სიცოცხლის პირველ წლებში, უნდა მკაფიოდ გავითვალისწინოთ მკერდის წევრის უფრო დიდი სიფხიზლე, უფრო დიდი სიცხოველე თავის წევრთან შედარებით. სრულებით არასწორი იქნებოდა ჩაგვეთვალა ადამიანი ქაოტურ არსებად, რომელშიც ყველაფერი ერთმანეთშია არეული.

კიდურებში საქმე კვლავ სხვაგვარადაა. აქ სიცოცხლის პირველივე წუთებიდან სული, სამშვინველი და სხეული შინაგანად ურთიერთდაკავშირებული არის; ისინი განმსჭვალავენ ერთმანეთს. აქ ბავშვი ყველაზე უფრო ადრეა მთლიანად ფხიზელი. ამას ამჩნევენ ისინი, ვისაც უხდება ამ არსების, რომელიც ხელ-ფეხს არ აჩერებს, გაზრდა სიცოცხლის პირველ წლებში. აქ ყველაფერი ფხიზელია, ოღონდ არაა ჩამოყალიბებული. ესაა ადამიანის საიდუმლო: მისი თავის სული დაბადებისას უკვე ძლიერ, ძლიერ ჩამოყალიბებულია, მაგრამ მას სძინავს. მისი

თავის სამშვინველი დაბადებისას ძლიერ ჩამოყალიბებულია, მაგრამ მხოლოდ სიზმრებშია. ისინი თანდათან უნდა გამოფხიზლდნენ. ხოლო როგორც კიდურების კაცი, დაბადებისას ადამიანი სრულიად ფხიზელი, მაგრამ ჯერაც ჩამოუყალიბებელი, განუვითარებელი არის.

სინამდვილეში ჩვენ გვჭირდება მხოლოდ კიდურების ადამიანისა და მკერდის ადამიანის ნაწილის სრულყოფა. რამეთუ კიდურებისა და მკერდის ადამიანის ამოცანაა თავის ადამიანის გამოღვიძება. ასე რომ, პირველად აქ იღებთ თქვენ აღზრდა-განათლების ნამდვილ დახასიათებას. თქვენ ავითარებთ კიდურების ადამიანსა და მკერდის ადამიანის ნაწილს და კიდურების ადამიანსა და მკერდის ადამიანის ნაწილს გამოაღვიძებინებთ მკერდის ადამიანის მეორე ნაწილსა და თავის ადამიანს. აქედან ხედავთ, რომ ბავშვი უკვე მნიშვნელოვან რამეს გახვედრებთ. იგი გახვედრებთ იმას, რაც დაბადებისას თან მოაქვს საკუთარ სრულყოფილ სულსა და შედარებით სრულყოფილ სამშვინველში. თქვენ კი მხოლოდ უნდა სრულყოთ ის, რასაც იგი გახვედრებთ არასრულყოფილი სულისა და ჯერაც არასრულყოფილი სამშვინველის სახით.

სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ აღზრდა, ნამდვილი აღზრდა-განათლება საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა. ვინაიდან, აბა, წარმოიდგინეთ, რომ გვინდოდეს მთლიანი სულის აღზრდა-განათლება, რომელიც ადამიანს უნარის სახით თან მოაქვს ამქვეყნად, მაშინ როგორც აღმზრდელები სრულიად უნდა ვუტოლდებოდეთ იმას, რაც ადამიანისგან შეიძლება იქმნას. მაშინ თქვენ შეიძლება აღზრდისთვის თავი დაგენებებინათ, ვინაიდან შეგეძლებოდათ მხოლოდ ისეთივე ჭკვიანი და გენიალური ადამიანების აღზრდა, როგორიც თავადა ხართ. მაგრამ ცხადია, თქვენ გიხდებათ თქვენზე ბევრად უფრო ჭკვიანი და გენიალური ადამიანების აღზრდა რაიმე სფეროში. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ აღზრდისას საქმე გვაქვს ადამიანის მხოლოდ ერთ ნაწილთან; ადამიანის იმ ნაწილთან, რომლის აღზრდა მაშინაც კი შეგვიძლია, როდესაც არა ვართ

ისე ჭკვიანები, ისე გენიალურნი და შესაძლოა კარგნიც, როგორც თავად ეს ადამიანია მიდრეკილი გენიალურობისკენ, საზრიანობისკენ, სიკეთისკენ. ყველაზე კარგი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია აღზრდისას, სწორედ ნების აღზრდა და ზნე-ხასიათის ნაწილის აღზრდა არის. ვინაიდან ის, რასაც ჩვენ აღვზრდით ნების ანუ კიდურების საშუალებით, რასაც აღვზრდით ზნე-ხასიათის ანუ მკერდის ადამიანის ნაწილის საშუალებით, შეგვიძლია მივიყვანოთ სრულყოფილების იმ დონემდე, რაც თავად გაგვაჩნია. და როგორც არა მარტო მსახურს, არამედ მაღვიძარასაც შეუძლია ბევრად უფრო ჭკვიანი ადამიანის გაღვიძება, ასევე შეუძლია ნაკლებად გენიალურ და კარგ კაცს აღზარდოს ადამიანი, რომელიც მასზე უკეთესისკენაა მიდრეკილი. დიახ, ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ყოველივე ინტელექტუალურთან დაკავშირებით სულაც არაა საჭირო ვუსწორდებოდეთ განვითარებად ადამიანს; მაგრამ როდესაც საქმე ეხება ნების განვითარებას – როგორც ამ თვალსაზრისითაც ვხედავთ –, მაშინ გვმართებს ვესწრაფოდეთ ყოველივე იმას, რისკენაც კი ძალგვიძს სწრაფვა. აღსაზრდელი შეიძლება ჩვენზე უკეთესი გახდეს, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა ეს მოხდეს, თუკი ჩვენს აღზრდას არ დაემატება სამყაროსა და სხვა ადამიანების მიერ განხორციელებული აღზრდა.

ამ ლექციებში აღვნიშნე, რომ ენაში გარკვეული გენია ცხოვრობს. როგორც ვთქვი, ენის გენია გენიალურია; იგი ჩვენზე უფრო გონიერია. ჩვენ შეგვიძლია ბევრი ვისწავლოთ იქიდან, თუ როგორაა აგებული ენა, როგორ შეიცავს ენა საკუთარ სულს.

მაგრამ ენის გარდა გენია სხვაგანაცაა ჩვენს გარემოში. დავფიქრდეთ იმაზე, რაც ახლახან ავითვისეთ: რომ ადამიანი თავთან მიმართებით ამქვეყნად მძინარე სულით, სიზმრისეული სამშვინველით მოდის; ამიტომ საჭიროა ადრიდანვე, დაბადებიდანვე ადამიანი ნების საშუალებით აღვზარდოთ, ვინაიდან რომ არ შეგვძლებოდა მასზე ნების საშუალებით ზემოქმედება, მაშინ საერთოდ ვერ მივწვდებოდით მისი თავის მძინარე

სულს. მაგრამ ჩვენ დიდ სიცარიელეს წარმოვქმნიდით ადამიანის განვითარებაში, რაიმენაირად რომ ვერ მივწვდომოდით მისი თავის სულს. ადამიანი დაიბადებოდა, მისი თავის სული კი მძინარე იქნებოდა. ბავშვს, რომელიც ფეხებს აფართხალებს, ვერ ვავარჯიშებთ და ვერც ევრითმიას გავაკეთებინებთ. ეს არ გამოვა. ვერც მუსიკალურ განათლებას მივცემთ, სანამ იგი ფეხებს აფართხალებს და რაღაცას ღუღუნებს. ჯერ არც ხელოვნება გამოგვადგება. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვპოულობთ ცხადად გამოკვეთილ ხიდს ბავშვის ნებასა და მძინარე სულს შორის. მოგვიანებით, როდესაც რაიმენაირად მივუდგებით ბავშვის ნებას, შეგვიძლია მძინარე სულზე მოქმედება, როცა კი პირველი სიტყვები შეგვიძლია ვუთხრათ მას, ვინაიდან ამ დროს უკვე ვწვდებით ნებას. ამ დროს ის, რასაც ჩვენ პირველი სიტყვებით გამოვათავისუფლებთ მეტყველების ორგანოებიდან, ნებელობითი აქტივობის სახით გრძელდება თავის მძინარე სულში და იწყებს მის გამოღვიძებას. მაგრამ საწყის ხანებში ჯერაც არა გვაქვს ხელთ სათანადო ხიდი. კიდურებიდან, სადაც ნებას და სულს ღვიძავთ, არ მიდის ნაკადი თავის მძინარე სულისკენ. აქ სხვა შუამავალია საჭირო. ადამიანის სიცოცხლის პირველ ხანებში როგორც აღმზრდელები ჩვენ ბევრს ვერას ვაწყობთ.

აქ წარმოჩნდება ის, რაც აგრეთვე გენიაა, რაც აგრეთვე სულია ჩვენს გარეთ. ენა შეიცავს თავის გენიას, მაგრამ ბავშვის განვითარების საწყის ხანებში ჩვენ ჯერ ვერ მოვახდენთ ენის სულზე აპელირებას. მაგრამ ბუნებას თავად გააჩნია საკუთარი გენია, საკუთარი სული. მას რომ არ ჰქონოდა იგი, ადამიანები დავიღუპებოდით იმ სიცარიელის გამო, რომელიც აღზრდის მხრივ იქმნება ჩვენს განვითარებაში ბავშვობის პირველ ხანებში. ამ დროს ბუნების გენია ქმნის რაღაცას, რასაც შეუძლია ამ ხიდის აგება. კიდურების განვითარებიდან, კიდურების ადამიანიდან იგი აღმოაცენებს სუბსტანციას, რომელიც ამ კიდურების ადამიანიდან რაღაცას შეიცავს იმის გამო, რომ განვითარებისას დაკავშირებულია ამ

უკანასკნელთან – ესაა რძე. რძე ხომ ქალში ზედა კიდურებთან, მკლავებთან კავშირში წარმოიქმნება. რძის წარმომქმნელი ორგანოები თითქოსდა ისაა, რაც კიდურებიდან გრძელდება შიგნით. ცხოველთა და ადამიანთა საუფლოში რძე ერთადერთი სუბსტანციაა, რომელსაც შინაგანი ნათესაობა გააჩნია კიდურების არსებასთან, რომელიც გარკვეულწილად კიდურების არსებიდან იშვება და ამდენად ჯერაც შეიცავს კიდურების არსების ძალას. და როდესაც ბავშვს ვაძლევთ რძეს, ეს უკანასკნელი როგორც ერთადერთი სუბსტანცია გამომაფხიზლებლად მოქმედებს მძინარე სულზე. ესაა, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, სული, რომელიც ჯოველ მატერიაშია, რომელიც მჟღავნდება იქ, სადაც უნდა გამომჟღავნდეს. რძე შეიცავს საკუთარ სულს და ამ სულის ამოცანაა, გამოაღვიძოს ბავშვის მძინარე სული. ეს ცარიელი ხატი როდი არის, არამედ ღრმა საფუძვლის მქონე საბუნებისმეტყველო ფაქტია, რომ ბუნებაში მკვიდრი გენია, რომელიც ბუნების იდუმალებით აღსავსე წიაღიდან აღმოაცენებს რძის სუბსტანციას, ბავშვში მძინარე ადამიანური სულის გამომაფხიზლებელი არის. ჩვენ უნდა განვეკრიტოთ სამყაროს ჯოფიერების ამგვარი ღრმად იდუმალი ურთიერთკავშირები. მხოლოდ მაშინ ვწვდებით, თუ რა გასაოცარ კანონზომიერებებს შეიცავს ეს სამყარო. მაშინ ვხვდებით ნელ-ნელა, რომ საშინლად უმეცარნი ვართ, როდესაც ვაგებთ თეორიებს მატერიალური სუბსტანციის შესახებ, რომელთა მიხედვით ეს მატერიალური სუბსტანცია მხოლოდ განურჩეველი განფენილობაა, რომელიც ატომებად და მოლეკულებად იშლება. არა, მატერია არ არის ასეთი. მატერია ისეთი რამაა, რომ მის ისეთ ნაწილს, როგორიცაა რძე, წარმოქმნისას გააჩნია უშინაგანესი მოთხოვნილება, გამოაღვიძოს ადამიანის მძინარე სული. როგორც ადამიანებთან და ცხოველებთან შეგვიძლია ვისაუბროთ მოთხოვნილებაზე ანუ ძალაზე, რომელიც ნებას უდევს საფუძვლად, ასევე შეგვიძლია მატერიასთან მიმართებით ზოგადად „მოთხოვნილებაზე" ვისაუბროთ. და ჩვენ მხოლოდ მაშინ

ვეკერეტთ ბოლომდე რძეს, როდესაც ვამბობთ: წარმოქმნისას რძე მიილტვის იყოს ადამიანის ბავშვური სულის გამომღვიძებელი. ასე ცოცხლდება ყოველივე, რაც ჩვენს გარემოშია, როდესაც სწორად ვეკერეტთ მას. ასე ჩვენ არასოდეს ვწყვეტთ კავშირს ადამიანსა და იმას შორის, რაც გარეთაა სამყაროში.

აქედან ვხედავთ, რომ ადამიანის განვითარების პირველ ხანაზე თავად ბუნების გენია ზრუნავს. ხოლო როდესაც ბავშვს ვავითარებთ და აღვზრდით, ჩვენ გარკვეული სახით ვართმევთ ბუნების გენიას მის სამუშაოს, როდესაც ვიწყებთ ნების საშუალებით ბავშვზე ზემოქმედებას ენისა და ჩვენი ქმედების გამოყენებით, რასაც ბავშვი ბაძავს. ჩვენ ვაგრძელებთ იმ მოღვაწეობას, რომელსაც ასრულებდა ბუნების გენია, როდესაც ბავშვს რძით ასაზრდოებდა, ადამიანი კი მხოლოდ საშუალება იყო ამ გამოკვების განსახორციელებლად. მაგრამ ამით იმასაც ხედავთ, რომ ბუნება ბუნებრივად აღზრდის. ვინაიდან მის მიერ რძით გამოკვება აღზრდის პირველი საშუალებაა. ბუნება ბუნებრივად აღზრდის. როდესაც ენისა და საკუთარი ქმედების დახმარებით ბავშვზე აღმზრდელობითად ვმოქმედებთ, ჩვენ ვიწყებთ მშვინვიერ აღზრდას. ამიტომაა ასე მნიშვნელოვანი, რომ აღზრდა-განათლებისას ვაცნობიერებდეთ: როგორც აღმზრდელები და მასწავლებლები საკუთრივ თავთან მიმართებით ბევრს ვერას მოვიმოქმედებთ. მას უკვე მოაქვს ამქვეყნად დაბადების გზით ის, რაც უნდა გახდეს თავად. ჩვენ შეგვიძლია გამოვაღვიძოთ ის, რაც მასშია, მაგრამ სრულებით არ ძალგვიძს შევიტანოთ ეს მასში.

აქ, ბუნებრივია, წარმოიშვება აუცილებლობა, გავიაზროთ ის, რომ დაბადებისას ფიზიკურ, მიწიერ ყოფიერებაში მხოლოდ სრულიად გარკვეული რამ შეიძლება შემოტანილ იქნეს. სულიერი სამყარო არაა დაკავებული იმით, რაც მხოლოდ გარეგნული კონვენციის გზით წარმოიშვა კულტურული განვითარების მანძილზე. ეს ნიშნავს, რომ ბავშვს, ცხადია, არ მოაქვს თან წერა-კითხვის ჩვენი კონვენციური საშუალებები, როგორც სხვა დროს გითხარით უკვე. სულები არ წერენ

და არც კითხულობენ. ისინი არ კითხულობენ წიგნებს და არც კალმით წერენ. ეს მხოლოდ სპირიტისტების გამონაგონია, თითქოს სულები ადამიანურ ენას მართავდნენ და წერდნენ კიდეც. რასაც ენა და დამწერლობა შეიცავს, კულტურული კონვენცია არის. ეს აქ მიწაზე მკვიდრობს. და თუ ამ კულტურულ კონვენციას, ამ წერა-კითხვას ბავშვს ვასწავლით არა უბრალოდ თავის საშუალებით, არამე წერა-კითხვას ვასწავლით მკერდისა და კიდურების საშუალებითაც, მხოლოდ ამ დროს ეუკეთებთ მას სიკეთეს.

ცხადია, როცა ბავშვი შვიდი წლის ხდება და სკოლაში მიდის — ჩვენ ხომ იგი მუდმივად აკვანში არ გვწვინა, იგი ხომ აკეთებდა რაღაცას, უფროსების მიბაძვით წინ მიიწევდა, ცდილობდა, რომ თავის სული გამოღვიძებულიყო გარკვეული მხრით —, მაშინ შეგვიძლია გამოვიყენოთ ის, რაც მან თავად გამოაღვიძა თავის სულში, იმისათვის, რომ კონვენციური სახით ვასწავლოთ წერა-კითხვა; მაგრამ ამ დროს ჩვენი ზემოქმედებით ვიწყებთ თავის სულისთვის ზიანის მიყენებას. ამიტომაც გითხარით: კარგი სწავლებისას წერა-კითხვა არ შეიძლება სხვაგვარად ვასწავლოთ, თუ არა ხელოვნებიდან გამომდინარე. — ამას წინ უნდა უსწრებდეს ხატვისა და ფერწერის პირველი ელემენტები, მუსიკალურის პირველი ელემენტები. ვინაიდან ესენი მოქმედებენ კიდურებისა და მკერდის ადამიანზე და მხოლოდ არაპირდაპირ — თავის ადამიანზე. მაგრამ ისინი გამოაღვიძებენ იმას, რაც თავის ადამიანში მკვიდრობს. ისინი ისე ცუდად არ ეპყრობიან თავის ადამიანს, როგორც ჩვენ, როდესაც ბავშვს ინტელექტუალურად ვასწავლით კონვენციური სახის წერა-კითხვას. თუ ბავშვს ჯერ დავახატვინებთ, შემდეგ კი მის მიერ დახატულიდან განვავითარებთ ასოების ფორმებს, მაშინ მას კიდურების ადამიანის საშუალებით აღვზრდით თავის ადამიანად. ვთქვათ, ბავშვს ვაჩვენებთ „ფ“-ს. თუ მან უნდა შეხედოს „ფ“-ს და გადაიწეროს, ჩვენ ამ შეხედვისას ჯერ ინტელექტზე ვმოქმედებთ, შემდეგ კი ინტელექტი წვრთნის ნებას. ეს უკუღმართი გზაა.

მართებული გზა არის, რაც შეიძლება მეტად გამოვაღვიძოთ ინტელექტი ნების დახმარებით. ამას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ ინტელექტუალური განათლებიდან მხატვრულზე გადავალთ. სწავლების ამ პირველივე წლებში ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ ბავშვს მხატვრული ხერხით ვასწავლოთ წერა-კითხვა.

თქვენ უნდა დაუფიქრდეთ იმას, რომ როდესაც ბავშვს აღზრდით და ასწავლით, მას სხვა რაღაცაც აქვს გასაკეთებელი ვიდრე ის, რასაც თქვენ უკეთებთ. ბავშვმა უნდა გააკეთოს ის, რაც გარკვეულწილად მხოლოდ არაპირდაპირ გეხებათ თქვენ. ბავშვი უნდა გაიზარდოს. იგი უნდა იზრდებოდეს და თქვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ როდესაც მას ასწავლით და აღზრდით, ბავშვი სწორად უნდა იზრდებოდეს. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს: თქვენი აღზრდა-განათლებით თქვენ ხელი არ უნდა შეუშალოთ ზრდას. თქვენ ხელის შემშლელად არ უნდა ჩაერიოთ ზრდაში. თქვენ ისე უნდა აღზარდოთ და ასწავლოთ, რომ ამ აღზრდა-განათლებით ზრდის მოთხოვნილების გვერდიგვერდ იაროთ. რასაც ახლა ვამბობ, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა სკოლის ასაკისათვის. ვინაიდან თუ თავდაპირველად კბილების მოცვლამდე მიმდინარეობს ფორმის წარმოქმნა, რომელიც ადამიანის თავიდან მომდინარეობს, სკოლის ასაკში ადგილი აქვს სიცოცხლის განვითარებას ანუ ზრდას და ყველივე მასთან დაკავშირებულს სქესობრივ მომწიფებამდე, ე.ი. სწორედ სასკოლო პერიოდში. სქესობრივი მომწიფება ასრულებს სიცოცხლის განვითარებას, რომელიც მკერდის ადამიანიდან მომდინარეობს. ამდენად, სასკოლო განვითარების განმავლობაში უპირატესად მკერდის ადამიანთან გვაქვს საქმე. თქვენ ვერაფერს გახდებით, თუკი არ გეცოდინებათ: როდესაც ბავშვს ასწავლით და აღზრდით, იგი მკერდის ორგანიზმის მეოხებით იზრდება და ვითარდება. თქვენ გარკვეულწილად ბუნების მეგობარი უნდა გახდეთ, ვინაიდან ბუნება ბავშვს ავითარებს მკერდის ორგანიზმის — სუნთქვის, კვების, მოძრაობის და ა.შ. — საშუალებით. და თქვენ ბუნებრივი განვითარების

კარგი მეგობარი უნდა გახდეთ. მაგრამ თუკი ბუნების ამ განვითარებისა არა გაგეგებათ, როგორღა გახდებით მისი კარგი მეგობარი? როცა, მაგ., სულაც არ იცით, თუ როგორ ანელებთ ან აჩქარებთ მშვინვიერად ზრდას აღზრდა-განათლებისას, მაშინ როგორ მოახერხებთ კარგ აღზრდა-განათლებას? გარკვეული ზომით მშვინვიერად თქვენს ხელთაა, ხელი შეუშალოთ ზრდის ძალებს მოზარდ ბავშვში ისე, რომ მათ სიმაღლეში ზედმეტად გაზარდონ და გაახდუნონ იგი, რაც გარკვეულ პირობებში შეიძლება საზიანო იყოს. გარკვეული ზომით თქვენს ხელთაა, არაჯანსაღად შეაფერხოთ ბავშვის ზრდა ისე, რომ იგი პატარა და ტანმორჩილი დარჩეს; თუმცა გარკვეული ხარისხით, მაგრამ ეს თქვენს ხელთაა. ამდენად თქვენ უნდა შეგეძლოთ ადამიანის ზრდის პირობების წვდომა. თქვენ უნდა გაგაჩნდეთ მათი გაგება როგორც მშვინვიერიდან, ისე სხეულებრივიდან გამომდინარე.

როგორ შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა ზრდის პირობებზე მშვინვიერიდან გამომდინარე? აქ ჩვენ უკეთეს ფსიქოლოგიას უნდა მივმართოთ, ვიდრე ჩვეულებრივი ფსიქოლოგიაა. უკეთესი ფსიქოლოგია გვეუბნება, რომ ყოველივე იმასთან, რაც ადამიანის ზრდის ძალებს აჩქარებს, რაც ისე აყალიბებს ადამიანის ზრდის ძალებს, რომ იგი სწრაფად იზრდება და ხდება, დაკავშირებულია ის, რაც გარკვეული გაგებით მეხსიერების ჩამოყალიბებას წარმოადგენს. კერძოდ, თუ ზედმეტად ვტვირთავთ მეხსიერებას, მაშინ ადამიანს გარკვეულ ფარგლებში მაღალ და გამხდარ, აწოწილ არსებად ვაქცევთ. ხოლო თუ ზედმეტად ვტვირთავთ ფანტაზიას, მაშინ ვაჩერებთ ადამიანის ზრდას. მეხსიერება და ფანტაზია იდუმალ კავშირში იმყოფება სიცოცხლის მბად ძალებთან. და ჩვენ უნდა გავიწაფოთ თვალი იმისთვის, რომ ყურადღება მივაქციოთ ამ ურთიერთკავშირებს.

მაგ., მასწავლებელს უნდა შეეძლოს, შემდეგი რამ გააკეთოს: მან უნდა ერთგვარი შემაჯამებელი მზერა მოავლოს თავის მოწაფეებს სასწავლო წლის დასაწყისში, განსაკუთრებით

სიცოცხლის იმ ფაზების დასაწყისში, რომელნიც მიგითითეთ და რომელნიც ცხრა და თორმეტი წლის ასაკს უკავშირდებიან. ამ დროს მან თვალი უნდა გადაავლოს მათ სხეულებრივ განვითარებას და შეამჩნიოს, თუ როგორ გამოიყურებიან მისი ბავშვები. შემდეგ სასწავლო წლის ბოლოს ან რაიმე სხვა პერიოდში მან კვლავ უნდა გადაავლოს მათ თვალი და ნახოს, თუ რა ცვლილებებს ჰქონდა ადგილი. ამ ორი მიმოხილვის შედეგი ის უნდა იყოს, რომ მას ეცოდინება: ერთი ბავშვი ამ პერიოდში არ გაიზარდა იმდენად კარგად, როგორც უნდა გაზრდილიყო; მეორე ცოტათი ზედმეტად გამაღლდა. შემდეგ მან უნდა დასვას კითხვა: როგორ დავამყარო მომდევნო სასწავლო წლისას ან პერიოდისას წონასწორობა ფანტაზიასა და მეხსიერებას შორის, რათა ანომალიის საპირისპიროდ ვიმოქმედო?

როგორც ხედავთ, ამიტომაცაა აგრეთვე მნიშვნელოვანი, რომ ყველა სასწავლო წლის განმავლობაში ერთი და იგივე მოსწავლეები ჰყავდეს მასწავლებელს და ამიტომაცაა ასე უგუნური, ყოველ წელიწადს მოსწავლეები ახალ მასწავლებელს ჩააბარონ. საჭიროა კი პირიქით. მასწავლებელი თანდათან ეცნობა თავის მოწაფეებს სასწავლო წლისა და განვითარების ფაზების (მეშვიდე, მეცხრე, მეთორმეტე წელი) დასაწყისში. იგი ეცნობა იმ მოსწავლეებს, რომელნიც აშკარად ფანტაზიის ტიპს მიეკუთვნებიან, რომელნიც ყველაფერს გარდასახავენ. იგი ეცნობა იმ მოწაფეებსაც, რომელნიც გამოკვეთილად მეხსიერების ტიპს მიეკუთვნებიან, რომელნიც ყველაფერს კარგად იხსომებენ. ამასაც უნდა გაეცნოს მასწავლებელი. იგი ეცნობა ამას იმ ორი მიმოხილვის საშუალებით, რაზეც გესაუბრეთ. მაგრამ ეს გაცნობა მან ისე უნდა განახორციელოს, რომ არა მარტო გარესხეულებრივი ზრდის, არამედ თავად ფანტაზიისა და მეხსიერების საშუალებით გაიგოს, ემუქრება ბავშვს ზედმეტად სწრაფად გამაღლება — ეს მოხდება, როცა მას მეტისმეტად კარგი მეხსიერება აქვს —, თუ ტანმორჩილობა, როდესაც ზედმეტი ფანტაზია აქვს. ჩვენ არა მარტო ყველანაირი გა-

მოთქმებითა და ფრაზებით უნდა ვაღიაროთ სხეულისა და სამშვინველის ურთიერთკავშირი, არამედ ქმნად ადამიანში სხეულის, სამშვინველისა და სულის ურთიერთქმედების დაკვირვებაც უნდა ხელგვეწიფებოდეს. ფანტაზიით სავსე ბავშვები სხვაგვარად იზრდებიან, ვიდრე მეხსიერებით დაჯილდოებულნი.

დღესდღეობით ფსიქოლოგებისთვის ყველაფერი მზამზარეულია; მზამზარეულად არსებობს მეხსიერება, რომელიც შემდეგ აღიწერება ფსიქოლოგიაში; არსებობს ფანტაზია, რომელიც შემდეგ აღიწერება; მაშინ, როცა ნამდვილ სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია. ხოლო ამ ურთიერთკავშირებს ვეცნობით მხოლოდ მაშინ, როცა ოდნავ მაინც ვცვლით ამ ურთიერთკავშირების ჩვენს მიერ წვდომის უნარს. ეს ნიშნავს, როცა წვდომის ამ უნარს ისე კი არ ვიყენებთ, რომ ყველაფრის ზუსტად დეფინირება გვსურს, არამედ მოძრავს ვხდით მას ისე, რომ რაც შეუცნია, შეუძლია შეცვალოს, შინაგანად, გააზრებულად შეცვალოს.

როგორც ხედავთ, სულიერ-მშვინვიერს სხეულებრივ-ხორციელში მივყავართ. და იმ ზომითაც კი მივყავართ, რომ შეგვიძლია ვთქვათ: სხეულის ზემოქმედების, რძის საშუალებით ბუნების გენია ბავშვს ყველაზე ადრეულ პერიოდში აღზრდის. კბილების მოცვლის შემდეგ ჩვენ ასევე აღვზრდით ბავშვს, როდესაც სკოლაში ხელოვნებას ვაზიარებთ. ხოლო სასკოლო პერიოდის ბოლოს მოახლოებასთან ერთად ეს გარკვეული სახით კვლავ იცვლება. ამ დროს შემდგომი პერიოდიდან სულ უფრო და უფრო შემოდის დამოუკიდებელი მსჯელობის ძალა, პიროვნების გრძნობა, დამოუკიდებელი ნება. ამას ვუწევთ ჩვენ ანგარიშს, როდესაც სასწავლო გეგმას ისე ვადგენთ, რომ ნამდვილად ვიყენებთ იმას, რამაც უნდა შემოდგას ფეხი.

მეთოთხმეტე ლექცია

შტუტგარტი, 3 სექტემბერი, 1919 წელი

როდესაც განვიხილავთ ადამიანის სხეულს, საჭიროა დავუკავშიროთ იგი ჩვენს ფიზიკურ-გრძნობად გარე სამყაროს, ვინაიდან მასთან სხეული განუწყვეტელ ურთიერთკავშირში იმყოფება, რითაც ინარჩუნებს თავს. თუ თვალს ვკიდებთ ჩვენს ფიზიკურ-გრძნობად გარე სამყაროს, მაშინ ამ ფიზიკურ-გრძნობად სამყაროში აღვიქვამთ მინერალურ არსებებს, მცენარეულ არსებებს, ცხოველურ არსებებს. ჩვენი ფიზიკური სხეული მინერალურია, მცენარეულისა და ცხოველურის მონათესავე არის. მაგრამ ეს განსაკუთრებული სახის ნათესაობა ზედაპირული განხილვით არ ცხადდება, არამედ აუცილებელია, უფრო ღრმად ჩავწვდეთ ბუნების საუფლოთა არსს, თუკი გვსურს გავეცნოთ ადამიანის ურთიერთკავშირს მის ფიზიკურ-გრძნობად გარემოსთან.

რამდენადაც ადამიანი ფიზიკურ-სხეულებრივია, მასში, პირველ ყოვლისა, აღვიქვამთ მყარ ძვლოვან ჩონჩხს, კუნთებს. შემდეგ, თუ უფრო ღრმად შევალთ მასში, აღვიქვამთ სისხლის მიმოქცევას იმ ორგანოებთან ერთად, რომელნიც სისხლის ცირკულაციას მიეკუთვნებიან. ჩვენ აღვიქვამთ სუნთქვას. აღვიქვამთ კვების პროცესებს. აღვიქვამთ, თუ როგორ წარმოიქმნებიან ორგანოები სხვადასხვა ძარღვებიდან, როგორც მათ ბუნებისმეტყველებაში ეძახიან. ჩვენ აღვიქვამთ თავის ტვინსა და ნერვებს, გრძნობის ორგანოებს და ჩვენს წინ დგება ამოცანა, ადამიანის ეს სხვადასხვა ორგანოები და პროცესები, რომელთაც ისინი განაშუალებენ, დავუკავშიროთ გარე სამყაროს, რომელშიც ადამიანი იმყოფება.

დავიწყოთ იქიდან, რაც თავდაპირველად ყველაზე სრულყოფილად გვევლინება ადამიანში — თუ სინამდვილეში როგორაა აქ საქმე, ჩვენ ეს ხომ უკვე ვნახეთ —, დავიწყოთ თავის ტვინისა და ნერვული სისტემიდან, რომელიც გრძნობის

ორგანოებად ნაწევრდება. აქ ჩვენს წინაა ადამიანის ის ორგანიზაცია, რომელმაც ყველაზე ხანგრძლივი განვითარება გაიარა და წინ გაუსწრო იმ ფორმას, რომელიც ცხოველთა სამყარომ განავითარა. საკუთრივ თავის სისტემასთან დაკავშირებით ადამიანმა გარკვეულწილად წინ გაუსწრო ცხოველთა სამყაროს, მან წინ გაუსწრო ცხოველურ სისტემას და ნამდვილად ადამიანურ სისტემად იქცა, რაც ყველაზე მკაფიოდ თავის აგებულებაში მეღავნდება.

გუშინ ჩვენ ვისაუბრეთ, თუ რამდენად მონაწილეობს ჩვენი თავის წარმონაქმნი ადამიანის ინდივიდუალურ განვითარებაში, თუ რამდენად მიმდინარეობს ადამიანის სხეულის ფორმირება, ჩამოყალიბება იმ ძალებიდან, რომელნიც თავში მკვიდრობენ. როგორც ვნახეთ, ადამიანის თავის ქმედებას ერთგვარი წერტილი ესმება კბილების მოცვლასთან ერთად, შვიდი წლისათვის. ჩვენთვის ცხადი უნდა გახდეს, თუ რა ხდება სინამდვილეში, როდესაც ადამიანის თავი ურთიერთქმედებს მკერდისა და კიდურების ორგანოებთან. ჩვენ უნდა ვუპასუხოთ კითხვას: რას აკეთებს სინამდვილეში თავი, როდესაც საკუთარ სამუშაოს ასრულებს მკერდ-ტორსის სისტემასთან და კიდურების სისტემასთან კავშირში? იგი განუწყვეტლივ ქმნის ფორმას, აყალიბებს. ჩვენი სიცოცხლე ფაქტობრივად იმაში მდგომარეობს, რომ პირველი შვიდი წლის განმავლობაში ადგილი აქვს ფორმის — ფიზიკური ფორმის ჩათვლით — წარმოქმნის ძლიერ პროცესს, ხოლო შემდგომში თავი ეხმარება, ფორმას ინარჩუნებს, ამშვინვიერებს ფორმას, განასულიერებს მას.

თავი დაკავშირებულია ადამიანის ფორმის წარმოქმნასთან. მაგრამ ქმნის კი თავი ჩვენს ნამდვილად ადამიანურ ფორმას? იგი არ აკეთებს ამას. თქვენ უნდა შეეგუოთ იმ აზრს, რომ თავს გამუდმებით იდუმალად ნებავს თქვენგან სხვა რამ შექმნას, ვიდრე სინამდვილეში ხართ. არსებობს მომენტი, როდესაც თავს სურს ისე ჩამოგაყალიბოთ, რომ თქვენ მგელივით გამოიყურებოდეთ. არის მომენტი, როცა თავს სურს ისე ჩამოგაყალიბოთ, რომ კრავივით გამოიყურებოდეთ, შემდეგ ჭია-

საკით გამოიყურებოდეთ; მას სურს, ჭიად, ურჩხულად გაქ-ციოთ. ყველა იმ იერსახეს, რომელიც თქვენს თავს მომზადე-ბული აქვს თქვენთვის, თქვენ გარე ბუნებაში ცხოველთა სხვა-დასხვა ფორმებში პოულობთ. თუ დააკვირდებით ცხოველთა საუფლოს, მაშინ იტყვით: ეს თავად მე ვარ, ოღონდ ჩემი ტორსისა და კიდურების სისტემები საშუალებას მაძლევს, მუ-დმივად, როცა კი ჩემი თავიდან აღმოცენდება, მაგ., მგლის ფორმა, ეს უკანასკნელი ადამიანის ფორმად გარდავქმნა. თქვენ განუწყვეტლივ ძლევთ თქვენში ანიმალურს. თქვენ ისე ეუფ-ლებით მას, რომ არ უშვებთ, სრულიად შეიძინოს ყოფი-ერება, არამედ ახდენთ მის მეტამორფოზირებას, გარდასახვას. ამგვარად, საკუთარი თავის სისტემის საშუალებით ადამიანი დაკავშირებულია ცხოველურ სამყაროსთან, მაგრამ ისე, რომ თავის სხეულებრივ შემოქმედებაში იგი გამუდმებით გადის ამ ცხოველური სამყაროდან. მაშ, რა რჩება თქვენში? აბა, შეხედეთ ადამიანს. წარმოიდგინეთ ადამიანი. თქვენ შეგიძლიათ საინტერესო განხილვა ჩაატაროთ და თქვათ: აი ადამიანი. ზევით მას აქვს თავი. იქ სინამდვილეში მოძრაობს მგელი, მაგრამ ის არ იქცევა მგლად; მას აქარწყლებს ტორსი და კიდურები. იქ სინამდვილეში მოძრაობს კრავი; მას აქარ-წყლებს ტორსი და კიდურები.

ადამიანში განუწყვეტლივ ზეგრძნობადად მოძრაობს და ქარწყლდება ცხოველური ფორმები. რა იქნებოდა, რომ არსე-ბულიყო ისეთი ზეგრძნობადი ფოტოგრაფია, რომელიც ამ პროცესს გადაიღებდა, ანუ მთელ ამ პროცესს ფოტოფირ-ფიტებზე ანდა სულ ცვალებად ფოტოფირფიტებზე დაიტან-და? რას დავინახავდით მაშინ ფოტოფირფიტაზე? დავინახავდით ადამიანის აზრებს. სწორედ ადამიანის ეს აზრებია ზეგრძ-ნობადი კორელატი იმისა, რაც გრძნობადად არ მეღავნდება. ცხოველურის ეს განუწყვეტელი მეტამორფოზა, ადამიანის თა-ვიდან ქვევითკენ მომდინარე, გრძნობადად არ მეღავნდება, მა-გრამ ზეგრძნობადად იგი აზრის პროცესის სახით მოქმედებს ადამიანში. როგორც ზეგრძნობადი რეალური პროცესი იგი

უცილობლად არსებობს. თქვენი თავი არა მარტო თქვენს მხრებზე მოკალათებული ზარმაცუნაა, არამედ ისაა, ვინც სიამოვნებით დაგტოვებდათ ცხოველურში. იგი თქვენ მთელი ცხოველთა საუფლოს ფორმებს გაწვდით, მას სურს, განუწყვეტლივ ცხოველთა საუფლოები წარმოიშვებოდეს. მაგრამ ტორსისა და კიდურების საშუალებით თქვენ არ უშვებთ მას, რომ თქვენი სიცოცხლის განმავლობაში თქვენით ცხოველთა მთელი საუფლო აღმოცენდეს, არამედ გარდაქმნით ცხოველთა ამ საუფლოს თქვენს აზრებად. ამგვარ მიმართებაში ვიმყოფებით ცხოველთა საუფლოსთან. ჩვენ ზეგრძნობადად აღმოვაცენებთ ჩვენში ცხოველთა ამ საუფლოს, შემდეგ კი გრძნობად სინამდვილემდე არ მიგვიყვარს იგი, არამედ ზეგრძნობადში ვაკავებთ მას. ტორსი და კიდურები თავიანთ სფეროში არ უშვებს ამ აღმოცენებად ცხოველებს. თუ თავი ზედმეტადაა მიდრეკილი, წარმოქმნას რაიმე ამ ცხოველურიდან, მაშინ დანარჩენი ორგანიზმი ეწინააღმდეგება ამის მიღებას და მის აღმოსაფხვრელად თავმა უნდა მიმართოს შაკიკს ან მსგავს რამეს, რაც თავში მიმდინარეობს.

ტორსის სისტემაც დაკავშირებულია გარემოსთან. მაგრამ გარემოში იგი დაკავშირებულია არა ცხოველთა სისტემასთან, არამედ მთელ მცენარეულ სამყაროსთან. არსებობს იდუმალი კავშირი ადამიანის ტორსის, მკერდის სისტემასა და მცენარეულ სამყაროს შორის. ტორსის სისტემაში, მკერდის სისტემაში, ტორს-მკერდის სისტემაში უმთავრესად ადგილი აქვს სისხლის მიმოქცევას, სუნთქვას, კვებას. ყველა ეს პროცესი ურთიერთკავშირში იმყოფება იმასთან, რაც გარეთ ფიზიკურ-გრძნობად ბუნებაში, მცენარეთა სამყაროში მიმდინარეობს, ოღონდაც მეტად თავისებურ კავშირში.

ავიღოთ ჯერ სუნთქვა. რას აკეთებს ადამიანი სუნთქვისას? როგორც იცით, იგი ჩაისუნთქავს ჟანგბადს და თავისი სასიცოცხლო პროცესის საშუალებით ნახშირორჟანგად გარდაქმნის ჟანგბადს, უკავშირებს რა მას ნახშირბადს. ნახშირბადი გარდაქმნილი საკვები ნივთიერებების საშუალებით არსებობს ორ-

განიზმში. ეს ნახშირბადი იღებს ჟანგბადს. ჟანგბადის ნახშირ-ბადთან შეერთების შედეგად წარმოიქმნება ნახშირორჟანგი. ვთქვათ, ადამიანს ჰქონოდა შანსი, რომ როდესაც ნახ-შირორჟანგია მასში, გარეთ კი არ გაეძევებინა იგი, არამედ შიგნით დაეტოვებინა. და თან შეძლებოდა კვლავ გამო-ეთავისუფლებინა ნახშირბადი ჟანგბადისაგან — რა მოხდებო-და მაშინ? მაშინ, როდესაც თავისი სასიცოცხლო პროცესის საშუალებით ადამიანი ჩაისუნთქავს ჟანგბადს, უერთებს მას ნახშირბადს, წარმოქმნის ნახშირორჟანგს და ამ დროს რომ შეეძლოს შინაგანად კვლავ მოაცილოს, გააძევოს ჟანგბადი, ნახშირბადი კი გადაამუშაოს — რა აღმოცენდება მაშინ ადამიანში? მცენარეთა სამყარო. ადამიანში უეცრად მთელი ვეგეტაცია ამოიზრდებოდა. თქვენ შეძლებდით ზრდას. ვინაიდან, აბა, დააკვირდით მცენარეს, რას აკეთებს იგი? იგი ადა-მიანივით რეგულარულად არ ჩაისუნთქავს ჟანგბადს, არამედ ნახშირორჟანგის ასიმილაციას ახდენს. დღისით მცენარე შთან-თქავს ნახშირორჟანგს, ჟანგბადს კი გასცემს. და ვაგლახ, მას რომ არ გაეკეთებინა ეს; მაშინ არც ჩვენ და არც ცხო-ველებს არ გვექნებოდა ჟანგბადი. მაგრამ ნახშირბადს მცენარე იკავებს. მისგან იგი ქმნის სახამებელს, შაქარს და ყოველივე იმას, რაც მასშია; მისგან აგებს იგი მთელ თავის ორგა-ნიზმს. მცენარეთა სამყარო სწორედ იმის წყალობით აღმო-ცენდება, რომ იგი საკუთარ თავს ნახშირბადიდან აგებს, რომელსაც მცენარე ასიმილაციის საშუალებით გამოყოფს ნახ-შირორჟანგისგან. შეხედეთ მცენარეთა სამყაროს, იგი მეტამორ-ფოზირებული ნახშირბადი არის, რომელიც გამოცალკევებულია ასიმილაციის პროცესიდან, რომელიც ადამიანის სუნთქვის პროცესს შეესაბამება. მცენარე სუნთქავს, მაგრამ ეს სხვა რამ არის, ვიდრე ადამიანთან. მხოლოდ გარეგნული განხილ-ვა ამბობს, რომ მცენარეც სუნთქავს. მართალია, იგი სუნ-თქავს ცოტას, კერძოდ, ღამით, მაგრამ ეს ზუსტად იგივე იქნებოდა, რომ გვეთქვა: აი, სამართებელი, მე მინდა ხორცი დავჭრა ამით. — მცენარეში სუნთქვის პროცესი სხვაგვარია,

ვიდრე ადამიანსა და ცხოველთან ისევე, როგორც სამართე-ბელი განსხვავდება დანისაგან. ადამიანის სუნთქვის პროცესს მცენარეში შებრუნებული პროცესი, ასიმილაციის პროცესი, შეესაბამება.

აქედან მიხვდებით: თქვენ რომ აგრძელებდეთ თქვენში იმ პროცესს, რომლის შედეგადაც ნახშირორჟანგი წარმოიშვა, ანუ ჟანგბადი რომ კვლავ გაიცემოდეს, ნახშირორჟანგი კი ნახშირბადად გარდაიქმნებოდეს, როგორც ამას ბუნება აკეთებს გარეთ — ამისთვის თქვენც გექნებოდათ ნივთიერებები თქვენ-ში — , მაშინ მთელი ვეგეტაციის აღმოცენებას შეძლებდით თქვენში. თქვენ შეძლებდით გამოგეწვიათ ის, რომ უეცრად მცენარეთა სამყაროსავით გაიფურჩქნებოდით. თქვენ გაქრე-ბოდით და მცენარეთა მთელი სამყარო გაჩნდებოდა. ადამიანში არსებობს ეს უნარი, განუწყვეტლივ წარმოქმნას მცენარეთა სამყარო; ოღონდ მას არ მიჰყავს საქმე აქამდე. მისი ტორ-სის სისტემას ძლიერი მიდრეკილება აქვს, გამუდმებით წარ-მოქმნას მცენარეთა სამყარო. თავი და კიდურები კი არ უშვებენ; ისინი ეწინააღმდეგებიან ამას. და ადამიანი განდე-ვნის ნახშირორჟანგს და საშუალებას არ აძლევს მცენარეთა საუფლოს, აღმოცენდეს მასში. იგი მცენარეთა საუფლოს ანებებს, გარეთ აღმოცენდეს ნახშირორჟანგისგან.

მკერდ-ტორსის სისტემისა და გრძნობად-ფიზიკური გარე-მოს გასაოცარ ურთიერთკავშირს შეადგენს ის, რომ გარეთ არსებობს ვეგეტაციური საუფლო, ხოლო ადამიანი გამუდმებით იძულებულია, რათა მცენარე არ გახდეს, საშუალება არ მისცეს ვეგეტაციის პროცესს, აღმოცენდეს მასში, არამედ წარმოშობისთანავე გარეთ გააძევოს იგი. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ: მკერდ-ტორსის სისტემის მხრივ ადამიანს უნარი აქვს, მცენარეულის საპირისპირო საუფლო შექმნას. თუ მცენარეთა საუფლოს წარმოიდგენთ როგორც პოზიტივს, მაშინ ადამიანი მცენარეთა საუფლოს ნეგატივს წარმოქმნის. გარკვეულწილად იგი გადმობრუნებულ მცენარეთა საუფლოს წარმოშობს.

და რა ხდება, როდესაც მცენარეთა საუფლო იწყებს

ცუდად მოქცევას, თავსა და კიდურებს კი ძალა არა აქვს, ჩანასახშივე მოსპოს მისი აღმოცენება, გააძევოს იგი? მაშინ ადამიანი ავად ხდება! მკერდ-ტორსის სისტემიდან მომდინარე შინაგანი დაავადებები მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანს ძალა არ ჰყოფნის, მაშინვე ხელი შეუშალოს მასში აღმოცენებად მცენარეულობას. როგორც კი ჩვენში ოდნავადაც კი აღმოცენდება ის, რაც მცენარეთა საუფლოსკენ იხრება, ჩვენ კი არ შეგვიძლია მაშინვე ვიზრუნოთ იმაზე, რომ რასაც მცენარეთა საუფლოს სახით ნებავს ჩვენში აღმოცენება, განვიდეს და გარეთ აღმართოს საკუთარი საუფლო, იმავე წამს ჩვენ ავად ვხდებით. ასე რომ, დაავადების პროცესის არსი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ადამიანში მცენარეები იწყებს ზრდას. რასაკვირველია, თქვენ არ გადაიქცევით მცენარედ, ვინაიდან ბოლოს და ბოლოს შროშანისათვის ადამიანის შინაგანი ვერაფერი სასიამოვნო გარემოა. მაგრამ სხვა სისტემათა სისუსტის შედეგად შეიძლება წარმოიქმნას მცენარეთა საუფლოს აღმოცენების ტენდენცია და მაშინ ადამიანი დაავადდება. ამდენად, თუ მზერას მივაპყრობთ ჩვენი ადამიანური გარემოს მთელ მცენარეულ სამყაროს, მაშინ უნდა ვთქვათ: გარკვეული გაგებით მცენარეულ გარე სამყაროში ყველა ჩვენი სნეულების სურათ-ხატია მოცემული. ადამიანისა და ბუნების სამყაროს ურთიერთკავშირის გასაოცარი საიდუმლოა ის, რომ ადამიანმა მცენარეებში უნდა დაინახოს არა მარტო სქესობრივ მომწიფებამდე თავისი განვითარების სურათ-ხატები, როგორც ეს სხვა დროს ვნახეთ, არამედ მან გარეთ, მცენარეებში — კერძოდ, რამდენადაც მათ ნაყოფად ქცევის უნარი აქვთ — უნდა დაინახოს თავისი დაავადების პროცესების სურათ-ხატები. შესაძლოა, ამის მოსმენა არ იყოს სასურველი ადამიანისთვის, ვინაიდან მას, ცხადია, ესთეტიკურად უყვარს მცენარეთა სამყარო. და მართალიცაა ამაში, თუკი მცენარეთა სამყარო ადამიანის გარეთ შლის თავის არსებას. მაგრამ როგორც კი მცენარეთა სამყარო ადამიანის შიგნით მოისურვებს საკუთარი არსების გადაშლას, როგორც კი მოინ-

დომებს ვეგეტაცია დაიწყოს ადამიანში, მაშინ ის, რაც გარეთ ფერმშვენიერ მცენარეთა სამყაროში მოქმედებს, ადამიანში დაავადების გამომწვევი ხდება. მედიცინა მაშინ გახდება მეცნიერება, როდესაც ყოველ ცალკეულ დაავადებას შესაბამისობაში მოიყვანს მცენარეთა სამყაროს რომელიმე ფორმასთან. საქმე ისაა, რომ ნახშირორჟანგის ამოსუნთქვისას ადამიანი თავისი საკუთარი ყოფიერების გულისთვის განუწყვეტლივ ამოისუნთქავს მცენარეთა მთელ სამყაროს, რომელსაც მასში აღმოცენება ნებავს. ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ როდესაც მცენარე მისთვის ჩვეული მცენარეული ყოფიდან გასვლასა და შხამების წარმოქმნას იწყებს, ეს შხამებიც ადამიანის ჯანმრთელობისა და დაავადების პროცესებთან არის დაკავშირებული. მაგრამ ეს კვების ნორმალურ პროცესთანაცაა კავშირში.

დიახ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, კვება, რომელიც, სათავეში მაინც, მკერდ-ტორსის სისტემაში ხორციელდება ისევე, როგორც სუნთქვის პროცესი, ზუსტად იმგვარად უნდა განიხილოთ, როგორც სუნთქვა. კვების დროსაც ადამიანი გარემოდან იღებს ნივთიერებებს, მაგრამ არ ტოვებს მათ ისეთებად, როგორნიც ისინი არიან; იგი გარდაქმნის მათ. იგი სწორედ შესუნთქული ჟანგბადის დახმარებით გარდაქმნის მათ. ნივთიერებები, რომელთაც ადამიანი კვებისას იღებს, ჟანგბადს უერთდება მას შემდეგ, რაც ადამიანმა გარდაქმნა ისინი. ეს წვის პროცესს ჰგავს, თითქოს ადამიანი თავის შინაგანში გამუდმებით იწვოდეს. ამას ბუნებისმეტყველებაც ამბობს, რომ ადამიანში წვის პროცესს აქვს ადგილი. მაგრამ ეს არაა სწორი. პროცესი, რომელიც ადამიანში მიმდინარეობს, არ არის ნამდვილი წვის პროცესი, არამედ ესაა წვის პროცესი — მიაქციეთ ყურადღება —, რომელსაც დასაწყისი და ბოლო აკლია. ეს მხოლოდ შუა საფეხურია წვის პროცესისა, მას აკლია დასაწყისი და ბოლო. ადამიანის სხეულში არ უნდა ჰქონდეს ადგილი წვის პროცესის დასაწყისსა და ბოლოს, არამედ მხოლოდ მის შუა ნაწილს. ადამიანისთვის დამანგრეველია, როდესაც მის ორგანიზმში წვის პროცესის

საწყისი სტადიები მიმდინარეობს, როგორც ეს ნაყოფის მომწიფებისას ხდება; მაგ., როცა ადამიანი სრულიად მკვახე ხილს შეექცევა. ამ საწყისი პროცესის, რომელიც წვის მსგავსია, გადატანა ადამიანს არ ძალუძს. იგი არ არსებობს მასში, იგი ავად ხდის მას. და თუ მას ბევრი მკვახე ხილის ჭამა შეუძლია, როგორც, მაგ., გამძლე გლეხებს, მაშინ მას დიდზე დიდი ნათესაობა უნდა გააჩნდეს გარემომცველ ბუნებასთან, რათა შეძლოს მკვახე ვაშლებისა და მსხლების ისევე მონელება, როგორც მზისაგან უკვე დამწიფებული ხილისა. ამგვარად, მას მხოლოდ შუა პროცესის შესრულება ძალუძს. კვების პროცესისას ადამიანს შეუძლია წვის ყველა პროცესიდან მხოლოდ შუას შესრულება. თუ პროცესი ბოლომდე სრულდება, იგი იქამდე მიდის, როგორც, მაგ., მწიფე ხილში, რომელიც ლპება; ესეც აღარ უნდა განახორციელოს ადამიანმა. ამგვარად, მან ბოლოც არ უნდა შეასრულოს; აქამდე მან უნდა გამოყოს საკვები ნივთიერებები. ადამიანი ნამდვილად არ ახორციელებს ბუნებრივ პროცესებს ისე, როგორც ისინი გარემოში სრულდებიან, არამედ მხოლოდ შუა ნაწილს ახორციელებს; დასაწყისისა და ბოლოს შესრულება მას არ ძალუძს.

ახლა კი უაღრესად აღსანიშნავ რამეს მივადექით. განიხილეთ სუნთქვა. იგი საპირისპიროა ყოველივე იმისა, რაც გარეთ მცენარეთა სამყაროში მიმდინარეობს. იგი გარკვეულწილად მცენარეთა ანტისაუფლოა. ადამიანის სუნთქვა მცენარეთა ანტისაუფლოა; იგი შინაგანად უკავშირდება კვების პროცესს, რომელიც გარეთა პროცესის შუა ნაწილია. ჩვენს სხეულებრივ მკერდ-ტორსის სისტემაში ორი რამ ცხოვრობს: ეს ანტიმცენარეული პროცესი, რომელიც სუნთქვის საშუალებით ხორციელდება, მუდამ დანარჩენი გარე ბუნებრივი პროცესის შუა ნაწილთან ერთად მოქმედებს. ისინი ურთიერთქმედებენ. აქ ერთმანეთს უკავშირდება სამშვინველი და სხეული. აქაა იდუმალი ურთიერთკავშირი სამშვინველსა და სხეულს შორის. როდესაც ის, რაც სუნთქვის პროცესის საშუა-

ლებით ხორციელდება, უკავშირდება დანარჩენ ბუნებრივ პროცესს, რომლის მხოლოდ შუა ნაწილიც სრულდება, მაშინ მშვინვიერი, რომელიც ანტიმცენარეული პროცესია, გაადამიანურებულ სხეულებრივს უკავშირდება, რომელიც ყოველთვის ბუნებრივი პროცესის შუა ნაწილი არის. მეცნიერება ბევრს იფიქრებს, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს სხეულსა და სამშვინველს შორის, თუკი მას მშვინვიერად ქცეულ სუნთქვასა და ბუნებრივი პროცესის შუა ნაწილის სხეულებრივად ქცეულ ყოფიერებას შორის იდუმალ კავშირში არ მოძებნის. ეს ბუნებრივი პროცესები არ აღმოცენდება ადამიანში და არც მთავრდება მასში. იგი ნებას რთავს მათ, რომ გარეთ აღმოცენდნენ; მათი დასრულება კი მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც ადამიანი გამოყოფს მათ. ადამიანი სხეულებრივად უკავშირდება ბუნებრივი პროცესის მხოლოდ შუა ნაწილს და იგი სუნთქვის პროცესში განამშვინვიერებს ამ ბუნებრივ პროცესს.

აქ წარმოიშვება პროცესთა ის ფაქიზი ქსოვილი, რომელიც განსაკუთრებით უნდა შეისწავლოს მომავლის მედიცინამ, მომავლის ჰიგიენამ. მომავლის ჰიგიენამ უნდა დასვას კითხვა: როგორ ურთიერთქმედებს გარეთ სამყაროში სხვადასხვა სითბური გრადაციები? როგორ მოქმედებს სითბო უფრო ცივი ადგილიდან თბილისკენ და პირუკუ გადანაცვლებისას? და როგორ მოქმედებს ადამიანის ორგანიზმში ის, რაც გარეთ სითბური პროცესის სახით ქმედებს, როდესაც ეს ორგანიზმი ჩართულია ამ სითბურ პროცესში? – გარე ვეგეტაციურ პროცესში ადამიანი პოულობს ჰაერისა და წყლის ურთიერთქმედებას. მან უნდა შეისწავლოს, თუ როგორ მოქმედებს ეს ადამიანზე, როდესაც ადამიანი მასშია ჩართული და ა.შ.

ამგვარ ფაქტებთან მიმართებით დღევანდელი მედიცინა საწყის სტადიაზე, ჯერაც მხოლოდ სათავეში იმყოფება. მაგ., დღევანდელი მედიცინისთვის დიდად ღირებული ისაა, რომ როდესაც სახეზეა დაავადების რაიმე ფორმა, სნეულების გამომწვევს ბაცილების ანდა ბაქტერიების ფორმით პოულობს.

და იგი კმაყოფილდება, თუკი ახერხებს ამას. მაგრამ ბევრად უფრო საჭიროა შემეცნება იმისა, თუ როგორ ხდება, რომ ადამიანს შეუძლია თავისი ცხოვრების ერთ მომენტში ოდნავ განავითაროს ვეგეტაციური პროცესი ისე, რომ ბაცილები აქ სასიამოვნო ადგილსამყოფელს პოულობდნენ. მთავარი ისაა, რომ ჩვენ ისე შევინარჩუნოთ ჩვენი სხეულებრივი კონსტიტუცია, რომ იგი აღარ წარმოადგენდეს მთელი ვეგეტაციური ამონაზარდებისთვის სასიამოვნო ადგილსამყოფელს, თუ ამას გავაკეთებთ, მაშინ ეს ძალაუფლებანი ველარ გამოიწვევენ ჩვენში დიდ განადგურებებს.

გვრჩება კიდევ ერთი საკითხი: რა მიმართებაშია ძვლოვანი ჩონჩხი და კუნთები ზოგადადამიანურ სასიცოცხლო პროცესთან, როდესაც სხეულებრივად განვიხილავთ ადამიანს გარე სამყაროსთან კავშირის მხრივ?

აქ ჩვენ მივადექით იმას, რასაც თქვენ უცილობლად უნდა სწვდეთ, თუკი ადამიანის გაგება გსურთ, მაგრამ რასაც თანამედროვე მეცნიერება თითქმის საერთოდ ვერ ამჩნევს. მოდით, მიაქციეთ ყურადღება, რა ხდება, როდესაც ხელს ხრით. ამ დროს თქვენ სრულიად მექანიკურ პროცესს იწვევთ კუნთების შეკუმშვის გზით, რაც ხელს ხრის. ახლა წარმოიდგინეთ, ეს რომ იმის შედეგად მომხდარიყო, თქვენ რომ თავიდან ამგვარი მდგომარეობა გქონოდათ (იხ. პირველი ნახაზი).



ახლა წამოგეცვათ ზონარი (C) და მოგეჭიმათ იგი; მაშინ ეს ღერძი ასეთ მოძრაობას შესრულებდა (იხ. მეორე ნახ-აზი). ეს მთლიანად მექანიკური მოძრაობაა. ამგვარ მექანიკურ მოძრაობებს თქვენ მაშინაც ასრულებთ, როდესაც მუხლს ხრით და როდესაც დადიხართ. რამეთუ სიარულისას თქვენი სხეულის მთელი მექანიზმი განუწყვეტლივ მოძრაობაში მოდის და განუწყვეტლივ მოქმედებს ძალები. უმთავრესად ეს ბერ-კეტის ძალებია, მაგრამ სწორედაც რომ ძალები მოქმედებს. ახლა წარმოიდგინეთ, რაიმე ეშმაკური ფოტოგრაფიული პრო-ცესით რომ მოგეხერხებინათ, ადამიანი სიარულისას თავად კი არ აღბეჭდილიყო ფოტოზე, არამედ მომხდარიყო ყველა მის მიერ გამოყენებული ძალის ფოტოგრაფირება. ანუ ძალების, რომელთაც იგი იყენებს, რათა ასწიოს ფეხი, კვლავ დადგას იგი, დადგას მეორე ფეხი. ამგვარად, თავად ადამიანი კი არ აღბეჭდილიყო ფოტოზე, არამედ მხოლოდ ძალები. გამქღავნე-ბისას ნახავდით, რომ პირველ რიგში ჩრდილების ფოტოგრა-ფირებას ექნებოდა ადგილი, სიარულისას კი ჩრდილების მთე-ლი ჯაჭვისას. თქვენ დიდად ცდებით, თუ გგონიათ, რომ თქვენი მეთი კუნთებსა და ხორცში ცხოვრობთ. თქვენი მე-თი თქვენ სიფხიზლის დროსაც კი კუნთებსა და ხორცში კი არ ცხოვრობთ, არამედ უმთავრესად ამ ჩრდილებში, რო-მელთაც ფოტოს უღებთ, იმ ძალებში, რომელთა საშუალე-ბითაც თქვენი სხეული მოძრაობებს ასრულებს. რა უცნაუ-რადაც უნდა ეღერდეს: დაჯდომისას სკამის საზურგეს ებჯინებით ზურგით; თქვენი მეთი ცხოვრობთ იმ ძალაში, რომელიც ამ მიბჯენისას ვითარდება. ხოლო დგომისას იმ ძალაში ცხოვრობთ, რომლითაც თქვენი ტერფები აწვება მიწას. თქვენ განუწყვეტლივ ძალებში ცხოვრობთ. სრულებითაც არაა სწორი, თითქოს ჩვენი მეთი ჩვენს ხილულ სხეულში ვცხოვრობდეთ. ჩვენი მეთი ჩვენ ძალებში ვცხოვრობთ. ჩვენს ხილულ სხეულს მხოლოდ თან დავატარებთ; მას ჩვენ მხოლოდ თან დავათრევთ ჩვენი ფიზიკური მიწიერი სი-ცოცხლის განმავლობაში. ღვიძილის მდგომარეობაშიც კი ჩვენ

მხოლოდ და მხოლოდ ძალთა სხეულში ვცხოვრობთ. რას აკეთებს სინამდვილეში ძალთა ეს სხეული? იგი გამუდმებით განსაკუთრებულ ამოცანას ისახავს.

კვებისას თქვენ ყველანაირ მინერალურ ნივთიერებებს იღებთ. გინდაც წვნიან კერძში არ ჩაყაროთ ბევრი მარილი — მარილი ხომ ისედაც არის საკვებში —, თქვენ მაინც იღებთ მინერალურ ნივთიერებებს. თქვენ გაქვთ მოთხოვნილება, მიიღოთ მინერალური ნივთიერებები. რას უკეთებთ შემდეგ ამ მინერალურ ნივთიერებებს? თქვენი თავის სისტემა ბევრს ვერაფერს მოუხერხებს ამ მინერალურ ნივთიერებებს. ვერც თქვენი ტორს-მკერდის სისტემა. აი თქვენი კიდურების სისტემა კი ხელს უშლის, რომ ამ მინერალურმა ნივთიერებებმა საკუთარი კრისტალური ფორმა მიიღოს თქვენში. თქვენ რომ არ გაგვითარებინათ თქვენი კიდურების სისტემის ძალები, მაშინ მარილის ჭამისას მარილის კუბად იქცეოდით. თქვენს კიდურების სისტემას, თქვენს ძვლოვან ჩონჩხსა და კუნთურ სისტემას მუდმივი ტენდენცია აქვს, იმოქმედოს დედამიწისმიერი მინერალთა წარმოქმნის წინააღმდეგ, ანუ განაზავოს მინერალები. ძალები, რომელნიც ადამიანში მინერალებს განაზავებენ, კიდურების სისტემიდან მოდის.

როდესაც დაავადების პროცესი სცილდება მხოლოდ ვეგეტაციურის ფარგლებს, ანუ როდესაც სხეულს აქვს ტენდენცია, არა მარტო მცენარეულს მისცეს საშუალება აღმოცენდეს მასში, არამედ კრისტალიზაციის მინერალურ პროცესსაც, მაშინ სახეზეა სნეულების ძლიერ დამანგრეველი ფორმა, მაგ., შაქრის დიაბეტი. ამ დროს ადამიანის სხეულს არა აქვს უნარი, თავისი კიდურების ძალით, რომელსაც იგი სამყაროდან იღებს, ნამდვილად განაზავოს მინერალი, რომელსაც იგი განუწყვეტლივ უნდა განაზავებდეს. და როდესაც დღესდღეობით ადამიანები ვერ უმკლავდებიან დაავადების სწორედ იმ ფორმებს, რომელნიც ადამიანის სხეულში მიმდინარე ავადმყოფური მინერალიზაციისაგან წარმოდგებიან, ეს ხშირად იქიდან მომდინარეობს, რომ ჩვენ საკმარისად არ

ძალგვიძს გამოვიყენოთ დაავადების ამ ფორმის საწინააღმდეგო საშუალებანი, რომელნიც გრძნობის ორგანოთა ანდა თავის ტვინის, ნერვებისა და მსგავსის ურთიერთკავშირიდან უნდა აგველო. ჩვენ რაიმენაირი ფორმით უნდა გამოგვეჯენებინა ის მოჩვენებითი ნივთიერებები – გარკვეული მიზეზით მე მათ მოჩვენებით ნივთიერებებს ვეძახი –, რომელნიც არსებობენ გრძნობის ორგანოებში, არსებობენ თავის ტვინსა და ნერვებში, ეს ხრწნადი მატერია, რათა გავმკლავებოდით ისეთ დაავადებებს, როგორიცაა ნიკრისის ქარი, შაქრის დიაბეტი და მსგავსი. ამ სფეროში კაცობრიობისათვის განმკურნებელს მხოლოდ მაშინ მივაგნებთ, როდესაც ადამიანის ბუნებასთან კავშირი მთლიანად დანახული იქნება იმ პოზიციიდან, რომელიც დღეს წარმოგიდგინეთ.

ჩვენ ვერავითარი სხვა გზით ვერ გავიგებთ ადამიანის სხეულს, თუკი პირველ რიგში არ შევიცნობთ მის პროცესებს და არ გვეცოდინება, რომ ადამიანმა საკუთარ თავში უნდა განაზავოს მინერალი, უნდა გადმოაბრუნოს მცენარეთა საუფლო, უნდა საკუთარი თავიდან გაიყვანოს ანუ განასულიეროს ცხოველთა საუფლო. და ყოველივე იმას, რაც მასწავლებელმა უნდა იცოდეს სხეულის განვითარების შესახებ, საფუძვლად უდევს ისეთი ანთროპოლოგიური, ანთროპოსოფიული განხილვა, როგორიც აქ წარმოგიდგინეთ. ხოლო რაც აქედან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს პედაგოგიკაში, ამაზე ხვალ ვისაუბროთ.

მეცამეტე ლექცია

შტუტგარტი, 4 სექტემბერი, 1919 წელი

ჩვენ მაშინ შევძლებთ ვწვდეთ ადამიანის მიმართებას გარე სამყაროსთან და შევიტყოთ, თუ როგორ უნდა მოვეპყროთ ბავშვს გარე სამყაროსთან ურთიერთობასთან დაკავშირებით, როდესაც საფუძვლად ისეთ გაგებას ავიღებთ, როგორიც ამ ლექციებში მოვიპოვეთ. მთავარია მხოლოდ ამ ცოდნის ცხოვრებაში სათანადოდ გამოყენება. აბა, დაფიქრდით, რომ ადამიანის გარე სამყაროსადმი ორგვარ მიმართებას ჩვენ სწორედ იმის წყალობით უნდა ვწვდეთ, რომ შეგვეძლოს საუბარი კიდურების ადამიანისა და თავის ადამიანის ერთმანეთის სრულიად საპირისპირო აგებულებაზე.



ჩვენ უნდა დავეუფლოთ რთულ წარმოდგენას, რომ კიდურების ადამიანის ფორმებს მხოლოდ მაშინ ვწვდებით, როდესაც წარმოვიდგენთ, რომ თავის ფორმები ხელთათმანივით ანდა წინდასავითაა გადმობრუნებული. ის, რაც ამით თავს იჩენს, დიდი მნიშვნელობის მქონეა ადამიანის მთელი ცხოვ-

რებისათვის. თუ ამას სქემატურად გამოვსახავთ, შეგვეძლება ვთქვათ: თავის ფორმა ისეა აგებული, რომ გარკვეულწილად შიგნიდან გარეთაა გაწეული, გაბერილია შიგნიდან გარეთ. ხოლო თუ ადამიანის კიდურებზე დავფიქრდებით, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ისინი გარედან შიგნით არიან შეწეულნი თქვენი შუბლიდან გადმობრუნების შედეგად — ეს ძალზე ბევრს ნიშნავს ადამიანის სიცოცხლისთვის. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი შინაგანი ადამიანობა მიისწრაფვის შიგნიდან თქვენი შუბლისკენ. დაათვალიერეთ თქვენი ხელ-ფეხის გულები; მათზე განუწყვეტლივ ხორციელდება იმ სახის დაწოლა, რომელიც მსგავსია თქვენს შუბლზე შიგნიდან განხორციელებულისა, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით. როდესაც ხელის გულებს გარე სამყაროს უშვერთ, როდესაც მიწაზე დგამთ ფეხის გულებს, მაშინ მათი საშუალებით გარედან მოედინება იგივე რამ, რაც შიგნიდან მიედინება შუბლისკენ. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია. ეს იმიტომაა ასე მნიშვნელოვანი, რომ ამით ჩვენ ვხედავთ, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში სულიერ-მშვინვიერი ადამიანში. როგორც ხედავთ, ეს სულიერ-მშვინვიერი არის ნაკადი. იგი ადამიანში ნაკადის სახით გადის.

რა მიმართებაშია ადამიანი ამ სულიერ-მშვინვიერთან? წარმოიდგინეთ, წყლის ჭავლი მიედინებოდეს, კავდებოდეს კაშხლით, გუბდებოდეს და უკუიქცეოდეს. ასე მოჩქეფს ადამიანში სულიერ-მშვინვიერი. ადამიანი სულიერ-მშვინვიერისათვის დამგუბებელი აპარატია. მას სურს დაუბრკოლებლად გაედინებოდეს ადამიანში, მაგრამ ეს უკანასკნელი აკავებს და ანელებს მას. იგი საკუთარ თავში აგუბებს მას. ეს ზემოქმედება, რომელსაც ნაკადი ვუწოდე, ერთობ გასაოცარი რამაა. ადამიანში გამდინარე სულიერ-მშვინვიერის ეს ზემოქმედება მე აღვნიშნე როგორც ნაკადი, მაგრამ რას წარმოადგენს იგი გარე სხეულებრივთან მიმართებით? იგი ადამიანის განუწყვეტელი შეწოვა არის.

ადამიანი გარე სამყაროს პირისპირ დგას. სულიერ-მშვინვიერი ესწრაფვის, გამუდმებით შეიწოვოს იგი. ამიტომაც

ვიფცქვნებით, ვიქერცლებით ჩვენ გამუდმებით. და როდესაც სული საკმარისად ძლიერი არაა, ჩვენ უნდა მოვიპრათ ისეთი ნაწილები, როგორიცაა მაგ., ფრჩხილები, რადგანაც გარედან მოსულ სულს მათი შეწოვა და განადგურება ნებავს. იგი ყველაფერს ანადგურებს, სხეული კი აჩერებს ამ განადგურებას. ადამიანში უნდა დამყარდეს წონასწორობა დამანგრეველ სულიერ-მშვინვიერსა და სხეულის განუწყვეტელ აღმშენებლობას შორის. ამ ნაკადში ჩასმული არის მკერდ-მუცლის სისტემა. მკერდ-მუცლის სისტემა კი ისაა, რაც წინ აღუდგება შემოჭრილი სულიერ-მშვინვიერის მიერ გამოწვეულ ნგრევას და საკუთარი თავიდან მატერიალურით მსჭვალავს ადამიანს. აქედან ხედავთ, რომ ადამიანის კიდურები, რომელნიც აღიმართებიან მკერდ-მუცლის სისტემაზე, ნამდვილად ყველაზე სულიერი არის, ვინაიდან კიდურებში ყველაზე ნაკლებად მიმდინარეობს მატერიის წარმოქმნის პროცესი. მხოლოდ ის, რაც მკერდ-მუცლის სისტემიდან იგზავნება კიდურების ნივთიერებათა ცვლის პროცესებში, აკეთებს იმას, რომ ჩვენი კიდურები მატერიალური არის. ჩვენი კიდურები უაღრესად სულიერი არის და სწორედ ისინი ფიტავენ ჩვენს სხეულს, როდესაც მოძრაობენ. სხეული კი მოწოდებულია განავითაროს ის, რისკენაც ადამიანი დაბადებიდანვეა ნამდვილად მიდრეკილი. თუ კიდურები ძალზე ცოტას მოძრაობს, ანდა სათანადოდ არ მოძრაობს, მაშინ ისინი საკმარისად არ ცვეთენ სხეულს. მკერდ-მუცლის სისტემა მაშინ ბედნიერ — თავისთვის ბედნიერ — მდგომარეობაშია, ვინაიდან კიდურები ძალზე ცოტას ჩამოაფხეკს მას. იმას, რასაც ამ გზით ინარჩუნებს, იგი იყენებს ადამიანში ჭარბი ნივთიერების წარმოსაქმნელად. შემდეგ ეს ჭარბი ნივთიერება განმსჭვალავს იმას, რაც დაბადებიდანვეა ჩადებული ადამიანში, რაც მას ფაქტობრივად სხეულებრივის გარდა უნდა გააჩნდეს, ვინაიდან იგი სულიერ-მშვინვიერი არსების სახით იბადება. იგი მსჭვალავს იმას, რაც ადამიანს უნდა ჰქონდეს, იმით, რაც მას არ უნდა ჰქონდეს, რაც მას მატერიალურად გააჩნია მხოლოდ როგორც

მიწიერ არსებას და რაც არაა სულიერ-მშვინვიერისკენ მიდრეკილი ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით; იგი სულ უფრო და უფრო ცხიმით მსჭვალავს მას. და თუ ეს ცხიმი ანომალიურად გროვდება ადამიანში, მაშინ სულიერ-მშვინვიერს, რომელიც შეწოვის პროცესის, გამომფიტავი პროცესის სახით შემოდის, მეტისმეტი წინააღმდეგობა ხვდება და მას უძნელდება თავის სისტემისაკენ სვლა. ამიტომაცაა არასწორი, როდესაც ბავშვებს უშვებენ მეტისმეტი ცხიმის წარმომქმნელი საკვების მიღებას. ამით მათი თავი სულიერ-მშვინვიერს წყდება. რამეთუ ცხიმი სულიერ-მშვინვიერის გზაზე თავსდება და თავი ცარიელდება. საჭიროა განვავითაროთ გუმანი, რათა ისე ვიმოქმედოთ ბავშვის მთლიან სოციალურ მდგომარეობასთან ერთად, რომ იგი ზედმეტად არ გასუქდეს. გვიან ასაკში გასუქება სხვა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ არაანომალიური აგებულების ანუ განსაკუთრებით სუსტი აგებულების ბავშვებს, რომელნიც სისუსტის გამო ადვილად სუქდებიან, ე.ი. ნორმალური აგებულების ბავშვებს სათანადო კვების გზით მუდმივად უნდა ვეხმარებოდეთ, რათა ზედმეტად არ გასუქდნენ.

მაგრამ ყოველივე ამის მიმართ ვერ გვექნება სათანადო პასუხისმგებლობა, თუკი არ გვეცოდინება მისი უდიდესი მნიშვნელობა; თუკი არ გვეცოდინება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვს ვუშვებთ ზედმეტი ცხიმი დააგროვოს, ჩვენ იმ მსოფლიო პროცესს ვარღვევთ, რომელსაც გარკვეული რამ აქვს ჩაფიქრებული ადამიანთან დაკავშირებით, რასაც იმით ამჟღავნებს, რომ თავის სულიერ-მშვინვიერს უშვებს, გაედინებოდეს ადამიანში. ჩვენ ნამდვილად ვარღვევთ მსოფლიო პროცესს, როდესაც ზედმეტად ვასუქებთ ბავშვს.

ადამიანის თავში უაღრესად გასაოცარი რამ ხდება, როდესაც ადამიანში სულიერ-მშვინვიერი გუბდება: იგი უკუიქცევა, როგორც წყალი, რომელიც კაშხალს აწყდება. ეს ნიშნავს, რომ თავის ტვინის შინაგანშიც უკუიქცევა ის მატერია, რომელიც თან მოაქვს სულიერ-მშვინვიერს, როგორც მისისიპის

ქვიშა, ასე რომ, სადაც სულიერ-მშვინვიერი გუბდება, იქ თავის ტვინში შეტრიალებული ნაკადები არსებობს. ხოლო ნივთიერის უკუგდებისას ტვინში განუწყვეტლივ ინგრევა მატერია. და როცა კი ჯერაც სიცოცხლით განმსჭვალული მატერია იშლება, ანუ ისე უკუიგდება, როგორც გაჩვენეთ, მაშინ წარმოიშვება ნერვი. ნერვი მუდამ მაშინ წარმოიქმნება, როდესაც სულის მიერ სიცოცხლეში წამოღებული მატერია იშლება და კვდება ცოცხალ ორგანიზმში. ამიტომაცაა ნერვი ცოცხალ ორგანიზმში მომკვდარი მატერია. ამგვარად, სიცოცხლე მიმართულებას იცვლის, გუბდება საკუთარ თავში, მატერია იფშვნება, ინგრევა. ასე აღმოცენდება ადამიანში არხები, რომელნიც ჯელგან მიემართებიან და ამოვსებულნი არიან მკვდარი მატერიით — ნერვები; აქ შეუძლია შემდეგ სულიერ-მშვინვიერს ამოხეთქოს ადამიანში. ნერვების გასწვრივ ადამიანში მოჩქეფს სულიერ-მშვინვიერი, ვინაიდან სულიერ-მშვინვიერს სჭირდება ხრწნადი მატერია; იგი შესაძლებლობას აძლევს მატერიას დაიშალოს ადამიანის ზედაპირზე, აქერცვლამდე მიჰყავს ის. ეს სულიერ-მშვინვიერი მხოლოდ მაშინ ავსებს ადამიანს, როდესაც მატერია კვდება მასში. მატერიალურად მკვდარი ნერვების გასწვრივ შინაგანში მოძრაობს ადამიანის სულიერ-მშვინვიერი.

ამ გზით ჩვენ ვგებულობთ, თუ როგორ მუშაობს სულიერ-მშვინვიერი ადამიანში. ვხედავთ, რომ იგი გარედან შემოდის და შემწოვ, გამომფიტავ მოქმედებას ავითარებს. ვხედავთ, თუ როგორ შემოდის იგი; ვხედავთ, თუ როგორ გუბდება, დუღს, როგორ კლავს მატერიას. ვხედავთ, თუ როგორ იშლება ნერვებში მატერია, ამის წყალობით კი სულიერ-მშვინვიერს ახლა შეუძლია შიგნიდან კანისკენაც გააღწიოს, იმზადებს რა გზებს, რითიც გასვლას შეძლებს. ვინაიდან იმაში, რაც ორგანულად ცოცხლობს, სულიერ-მშვინვიერი ვერ გადის.

მაშ, როგორ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ორგანული, ცოცხალი? თქვენ შეგიძლიათ ცოცხალი წარმოიდგინოთ როგორც

ისეთი რამეც, რაც შთანთქავს სულიერ-მშვინვიერს, არ ატარებს მას. მკვდარი, მატერიალური, მინერალური კი შეგიძლიათ წარმოიდგინოთ როგორც ისეთი რამ, რაც ატარებს სულიერ-მშვინვიერს, ამდენად, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ სხეულებრივ-ცოცხალის ერთგვარი განსაზღვრება და ძვლოვან-ნერვულის, ასევე ზოგადად მინერალურ-მატერიალურის განსაზღვრება: ორგანულ-ცოცხალი სულის გაუმტარი არის; ფიზიკურ-მკვდარი სულის გამტარი არის. — „სისხლი სრულიად განსაკუთრებული წვენია", ვინაიდან იგი სულის მიმართ ისეთივე დამოკიდებულებაშია, როგორც გაუმჭვირვალე მატერია სინათლის მიმართ; იგი არ ატარებს სულს, იგი საკუთარ თავში აკავებს მას. ნერვის სუბსტანციაც სრულიად განსაკუთრებული ნივთიერებაა. იგი ისეთია, როგორც გამჭვირვალე მინა სინათლის მიმართ. როგორც გამჭვირვალე მინა ატარებს სინათლეს, ასევე ატარებს სულს მატერიალური, ფიზიკური მატერია, აგრეთვე ნერვების მატერია.

აქ თქვენს წინაა განსხვავება ადამიანის ორ შემადგენელ ნაწილს შორის: ერთია ის, რაც მინერალია მასში, რაც სულის გამტარია, მეორე კი ის, რაც უფრო ცხოველური, ორგანულ-ცოცხალია მასში, რაც სულს აკავებს მასში, რაც უბიძგებს სულს, წარმოშვას ფორმები, რომელნიც ორგანიზმს აყალიბებენ.

აქედან მრავალი რამ გამომდინარეობს ადამიანის გაგებისათვის. როდესაც ადამიანი, ვთქვათ, ფიზიკურად მუშაობს, იგი ამოძრავებს საკუთარ კიდურებს, რაც ნიშნავს, რომ მთლიანად სულში დაცურავს. ეს არაა სული, რომელიც უკვე დაგუბდა მასში; ესაა სული, რომელიც გარეთაა. როცა შეშას აპობთ, დადიხართ, როდესაც თქვენს კიდურებს ამოძრავებთ, როდესაც შრომისთვის ამოძრავებთ თქვენს კიდურებს, იქნება ეს სასარგებლო თუ უსარგებლო შრომა, მაშინ თქვენ განუწყვეტლივ სულში ჭყუმპალაობთ, განუწყვეტლივ სულთან გაქვთ საქმე. ეს მეტად მნიშვნელოვანია. ამას გარდა, მნიშვნელოვანია, დასვათ კითხვა: როდესაც სულიერად ვშრომობთ,

როდესაც ვაზროვნებთ ან ვკითხულობთ და ა.შ., მაშინ რა ხდება? — ამ დროს ჩვენ საქმე გვაქვს სულიერ-მშვინვიერთან, რომელიც ჩვენს შიგნითაა. ამ დროს ჩვენ არ ვჭუუმპალაობთ ჩვენი კიდურებით სულში, აქ სულიერ-მშვინვიერი მუშაობს ჩვენში და გამუდმებით მოიმსახურებს ჩვენს სხეულებრივს, ანუ იგი მთლიანად გამოხატავს თავს სხეულებრივ პროცესში. აქ შეგუბების საშუალებით მატერია განუწყვეტლივ უკუიგდება საკუთარ თავში. სულიერი მუშაობისას ჩვენი სხეული ასრულებს ჭარბ აქტივობას; ფიზიკური შრომისას კი პირიქით, ჩვენი სული ასრულებს ჭარბ აქტივობას. ჩვენ არ ძალგვიძს სულიერ-მშვინვიერად შრომა იმის გარეშე, რომ გამუდმებით თან სხეულითაც ვმუშაობდეთ შინაგანად. ფიზიკური შრომისას ჩვენი სულიერ-მშვინვიერი მონაწილეობს შინაგანში, ეთქვათ, როდესაც აზრებით სიარულს მიმართულებას ვაძლევთ, აზრების დახმარებით მაორიენტირებლად ვმოქმედებთ; ოღონდ სულიერ-მშვინვიერი გარედან მონაწილეობს. ჩვენ გამუდმებით ვერთვებით მსოფლიო სულში. ჩვენ განუწყვეტლივ ვუკავშირდებით მსოფლიო სულს, როდესაც ფიზიკურად ვშრომობთ. ფიზიკური შრომა სულიერია, სულიერი შრომა კი სხეულებრივია, ადამიანზე და ადამიანში. ეს პარადოქსი უნდა გავითავისოთ და შევიგნოთ, რომ ფიზიკური შრომა სულიერია, სულიერი შრომა კი სხეულებრივია ადამიანში და ადამიანზე. ფიზიკური მუშაობისას სული გარს შემოგვევლება. სულიერი მუშაობისას კი ჩვენში მატერია არის ქმედითი, აქტიური.

ყოველივე ეს უნდა ვიცოდეთ, თუ გვსურს გავიაზროთ შრომა — სულიერი თუ ფიზიკური —, დასვენება და დაღლა. ჩვენ ვერ გავიაზრებთ შრომას, დასვენებასა და დაღლას, თუ ნამდვილად არ ჩავწვდებით იმას, რაც აქ განვიხილეთ. რამეთუ, აბა, ერთხელაც წარმოიდგინეთ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, რომ ადამიანი ძალზე ბევრს მუშაობს თავისი კიდურებით, ძალზე ბევრს მუშაობს ფიზიკურად, რა იქნება ამისი შედეგი? ეს მას დიდად ანათესავებს სულთან. ფიზი-

კური შრომისას მას განუწყვეტლივ გარს შემოევლება სული. ამის შედეგი ისაა, რომ სული მეტისმეტად ბატონდება ადამიანზე, რომელიც გარედან მოდის მასთან. ჩვენ ზედმეტად სულიერს ვხდით საკუთარ თავს, როდესაც მეტის მეტს ვშრომობთ ფიზიკურად. ჩვენ გარედან ვხდით ჩვენს თავს ზედმეტად სულიერს. ამის შედეგია: ჩვენ ძალიან დიდხანს უნდა მივეცეთ სულს, ანუ ძალიან დიდხანს უნდა გვეძინოს. თუ ძალიან ბევრს ვმუშაობთ ფიზიკურად, მაშინ ძალიან დიდხანს უნდა გვეძინოს. ძალზე ხანგრძლივი ძილი კი კვლავ მეტად ძლიერ სხეულებრივ აქტივობას მოითხოვს, რომელიც მკერდ-შუცლის და არა თავის სისტემიდან მომდინარეობს. იგი ძალზე ძლიერად აღძრავს სიცოცხლეს, ჩვენ ცხელება გვიპყრობს, ძალიან ვცხელდებით. სისხლი მეტისმეტად მძლავრობს ჩვენში, იგი ვერ გადამუშავდება სხეულში აქტივობისას, როდესაც ჩვენ ზედმეტი გვძინავს. ამიტომაც გვინდება ბევრი ძილი გადაჭარბებული ფიზიკური შრომის შედეგად.

მაგრამ ზარმაცებს ხომ უფართ ძილი და ასე ბევრიც სძინავთ; ეს რატომღა ხდება? იმიტომ, რომ ადამიანი სინამდვილეში ვერაფრით ანებებს თავს მუშაობას. მას სულ არ შეუძლია თავი დაანებოს სამუშაოს. ზარმაცს იმიტომ კი არ სძინავს, რომ ძალიან ცოტას შრომობს, ვინაიდან ზარმაცმაც ხომ მთელი დღე უნდა ამოძრაოს ფეხები და რაიმენაირად ხელებიც იქნიოს. ზარმაციც აკეთებს რაღაცას; გარედან თუ შევხედავთ, იგი სულაც არ აკეთებს ბეჯითზე ნაკლებს, მაგრამ უაზროდ აკეთებს. ბეჯითი გარე სამყაროსკენაა მიქცეული; იგი თავის მოქმედებებს აზრს უკავშირებს. ესაა განსხვავება. უაზრო აქტივობა, როგორც ამას ზარმაცი აკეთებს, არის ის, რასაც აზრიან მოღვაწეობაზე მეტად მივყავართ ძილისკენ. ვინაიდან აზრიანი მოღვაწეობა საშუალებას გვაძლევს არა მარტო სულში ვიჭყუმპალაოთ, არამედ როდესაც ჩვენი სამუშაოს გამო აზრიანად ვმოძრაობთ, ნელ-ნელა სულსაც ჩამოვიზიდავთ. როცა ჩვენ ხელს ვშლით, რათა აზრიანად ვიმუშაოთ, მაშინ სულს ვუკავშირდებით და მას

აღარ სჭირდება ძალზე ბევრი არაცნობიერად იმუშაოს ძილში, ვინაიდან ჩვენ ცნობიერად ვმუშაობთ მასთან ერთად. ამგვარად, მთავარი ის კი არაა, ადამიანი მოქმედებდეს, ვინაიდან ამას ზარმაციც აკეთებს, არამედ საქმე ისაა, თუ რამდენად აზრიანად მოქმედებს კაცი. აზრიანად აქტიური — ამ სიტყვებმა უნდა განგვმსჭვალოს, როდესაც ჩვენ ბავშვის ალმზრდელები ვხდებით. როდის აქტიურობს კაცი უაზროდ? იგი უაზროდ აქტიურობს მაშინ, როდესაც მხოლოდ ისე მოქმედებს, როგორც მისი სხეული მოითხოვს. აზრიანად აქტიურობს მაშინ, როდესაც ისე მოქმედებს, როგორც მისი გარემო და არა უბრალოდ მისი საკუთარი სხეული მოითხოვს. ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება ბავშვთან. ჩვენ შეგვიძლია, ერთი მხრივ, სულ უფრო მხოლოდ სხეულებრივის მიმართულებით წავიყვანოთ ბავშვის გარე სხეულებრივი აქტივობა, ფიზიოლოგიური ტანვარჯიშისკენ, რომლის დროსაც ჩვენ უბრალოდ ვეკითხებით სხეულს: რომელი მოძრაობები უნდა შევასრულოთ? — და ჩვენ შეგვიძლია ბავშვის გარეგანი მოძრაობები წარვმართოთ გააზრებული მოძრაობებისკენ, აზრით განმსჭვალული მოძრაობებისკენ ისე, რომ ბავშვმა თავისი მოძრაობებით კი არ იჭყუმპალაოს სულში, არამედ სულის მიმართულებებს მოსდიოს. მაშინ სხეულებრივ მოძრაობებს ჩვენ ევრითმიისაკენ ვავითარებთ. რაც უფრო მეტად ვავარჯიშებთ ბავშვს მხოლოდ სხეულებრივად, მით უფრო მივდრეკთ მას გადაჭარბებული ძილისგუდობისკენ, სიმსუქნისკენ ზედმეტი ტენდენციის განვითარებისკენ. რაც უფრო შევუნაცვლებთ სხეულებრივისკენ ამ გადახრას — რაც, ბუნებრივია, არ უნდა უგულებელვყოთ მთლიანად, ვინაიდან ადამიანმა რიტმში უნდა იცხოვროს —, რაც უფრო შევუნაცვლებთ სხეულისაკენ ამ გადახრას მოძრაობების აზრით ავსებას, როგორც ევრითმიაშია, სადაც ყოველი მოძრაობა ბგერას გამოხატავს, სადაც თითოეულ მოძრაობას გააჩნია აზრი: რაც უფრო შევუნაცვლებთ ერთმანეთს ტანვარჯიშსა და ევრითმიას, მით უფრო მოვიყვანთ ურთიერთშესატყვისობაში ძილისა და

ღვიძილის მოთხოვნილებას; მით უფრო ნორმალურად შევინარჩუნებთ ბავშვის სიცოცხლესაც ნების მხრიდან, გარეთა მხრიდან. ის, რომ ტანვარჯიშიც თანდათან დავცალეთ აზრისგან და ისეთ აქტივობად ვაქციეთ, რომელიც მხოლოდ სხეულს მიჰყვება, მატერიალისტური ეპოქის თანმხლები მოვლენა იყო. იგი რომ სპორტამდე გვინდა ავამაღლოთ, სადაც არა მარტო აზრს, მნიშვნელობას მოკლებული მოძრაობები, მხოლოდ სხეულიდან აღებული მოძრაობები სრულდება, არამედ ტანვარჯიშის არსის საპირისპირო მომენტიც იდება მასში — ეს შეესაბამება მისწრაფებას, ჩამოვაქვეითოთ ადამიანი არა მარტო მატერიალისტურად მოაზროვნე, არამედ პირუტყვისებრ შემგრძნებ ადამიანად. გადაჭარბებული სპორტული აქტივობა პრაქტიკული დარვინიზმია. თეორიული დარვინიზმი ნიშნავს ამტკიცო, რომ ადამიანი ცხოველისაგან წარმოდგება. პრაქტიკული დარვინიზმი არის სპორტი და ნიშნავს, განავითარო ეთიკა, რათა ადამიანი კვლავ უკან წაიყვანო ცხოველისაკენ.

ყოველივე ეს დღესდღეობით ასე რადიკალურად უნდა ითქვას, ვინაიდან დღევანდელ აღმზრდელს უნდა ესმოდეს ეს, რამეთუ იგი არა მარტო მისთვის მინდობილი ბავშვების აღმზრდელი უნდა იყოს, არამედ სოციალურადაც უნდა იმოქმედოს, მთელ კაცობრიობაზე უნდა იმოქმედოს, რათა სულ უფრო და უფრო არ ჩნდებოდეს ის, რაც კაცობრიობას თანდათან ნამდვილად ცხოველისაკენ წაიყვანს. ეს არაა ყალბი ასკეტიზმი, არამედ ის, რაც ჭეშმარიტი გაგების ობიექტურობიდანაა გამოტანილი და რაც ისევე ჭეშმარიტია, როგორც სხვა რომელიმე საბუნებისმეტყველო შემეცნება.

რა შეიძლება ითქვას სულიერი შრომის შესახებ? სულიერ შრომას, ე.ი. აზროვნებას, კითხვას და ა.შ., განუწყვეტლივ თან სდევს სხეულებრივი აქტივობა, ორგანული მატერიის გამუდმებული შინაგანი დაშლა, ორგანული მატერიის კვდომა. ამიტომ როდესაც ძალზე ბევრს ვმოღვაწეობთ სულიერმშვინვიერად, ჩვენში არსებობს ხრწნადი ორგანული მატერია.

როდესაც მთელ დღეს მხოლოდ სამეცნიერო მოღვაწეობას ვუთმობთ, საღამოს ჩვენში ზედმეტი დაშლილი მატერია, დაშლილი ორგანული მატერია არსებობს. იგი მოქმედებს ჩვენში. იგი გვირღვევს ჩვენ მშვიდ ძილს. გადაჭარბებული სულიერ-მშვინვიერი მუშაობა ისევე გვირღვევს ძილს, როგორც გადაჭარბებული ფიზიკური შრომა გვანდომებს ძილს. (მაგრამ როდესაც სულიერ-მშვინვიერად ძლიერ ვიძაბებით, როდესაც რთულ რამეს ვკითხულობთ ისე, რომ კითხვისას კიდეც უნდა ვიაზროვნოთ — რაც დღევანდელ ადამიანებს არ უყვართ —, მაშასადამე როდესაც ძალიან ბევრს ვკითხულობთ ისე, რომ თან ვაზროვნებთ, ჩვენ გვეძინება ამ დროს.) ანდა როდესაც სახალხო ორატორის ან სხვათა წყალწყალა ლაქლაქს კი არ ვუსმენთ, რომელნიც მხოლოდ იმას ამბობენ, რაც ისედაც ვიცით, არამედ როდესაც იმ ადამიანებს ვუსმენთ, რომელთა სიტყვებსაც აზროვნებით უნდა მივყვეთ, რამეთუ ისინი იმას ამბობენ, რაც ჯერ არ ვიცით, მაშინ ვიღლებით და გვეძინება. ცნობილი მოვლენაა, რომ როდესაც ადამიანები მიდიან ლექციაზე, კონცერტზე იმიტომ, რომ „ასეა მიღებული" და არ არიან მიჩვეულნი, ჭეშმარიტად გაიაზრონ და შეიგრძნონ ის, რასაც სთავაზობენ, მათ პირველივე სიტყვასა თუ ბგერაზე ჩამოეძინებათ ხოლმე. ხშირად ისინი მთელი ლექციისა თუ კონცერტის განმავლობაში ყვინთავენ, რომელსაც მოვალეობის ანდა სოციალური მდგომარეობის გამო ესწრებიან.

აქაც ორი რამაა სახეზე. ისევე როგორც არსებობს განსხვავება აზრიან გარეგნულ ქმედებასა და უაზრო გარეგნულ საქმიანობას შორის, ასევე არსებობს განსხვავება აზროვნებისა და ჭვრეტის მექანიკურად მიმდინარე შინაგან აქტივობასა და აზროვნებისა და ჭვრეტის ისეთ შინაგან აქტივობას შორის, რომელსაც განუწყვეტლივ გრძნობები სდევს თან. (თუ ჩვენს სულიერ-მშვინვიერ მუშაობას ისე წარვმართავთ, რომ გამუდმებით ინტერესს ვუკავშირებთ მას, მაშინ ინტერესი, ყურადღება აცოცხლებს ჩვენი მკერდის მოქმედებას და არ უშ-

ვებს ნერვებს გადაჭარბებულ კვდომას. რაც უფრო მეტად ზედაპირულად კითხულობთ, რაც უფრო ნაკლებად ცდილობთ, ღრმა ინტერესით აღიქვათ წაკითხული, მით უფრო უწყობთ ხელს თქვენი შინაგანი მატერიის კვდომას. რაც უფრო მეტად მიადევნებთ ყველაფერს ინტერესს, სითბოს, მით უფრო ხელს უწყობთ სისხლის მოქმედებას, მატერიის ცოცხლად შენარჩუნებას, ასევე მით უფრო აფერხებთ იმას, რომ სულიერმა მოღვაწეობამ ძილი დაგირღვიოთ. როდესაც გამოცდისათვის ვიზუთხავთ, ბევრ რამეს აღვიქვამთ ინტერესის გარეშე. ვინაიდან მხოლოდ ინტერესის მიხედვით რომ გვესწავლა, მაშინ ჩავიჭრებოდით — დღევანდელ პირობებში მაინც. ამის შედეგია ის, რომ გამოცდისათვის ზუთხვა არღვევს ძილს, ჩვენს ნორმალურ ადამიანურ ყოფაში უწესრიგობა შემოაქვს. ამას განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება ბავშვებთან. ამიტომ ბავშვებთან საუკეთესო იქნება და ეს ყველაზე მეტად შეესაბამება აღზრდის იდეალს, თუკი საერთოდ თავს დავანებებთ ყველაფრის ერთბაშად სწავლას, რაც მუდამ გამოცდის წინ ხდება ხოლმე, ანუ საერთოდ თავს დავანებებთ გამოცდებს; თუკი სასწავლო წლის ბოლო ზუსტად ისეთივე მიმდინარეობისა იქნება, როგორც დასაწყისი. თუკი ჩვენ, როგორც მასწავლებლები, ჩვენს თავზე ავიღებთ მოვალეობას, ვთქვათ: რატომ უნდა გამოცადო ბავშვი? მე ხომ მუდამ თვალწინ მყავდა იგი და ძალზე კარგად ვიცი, რა იცის მან და რა არა. — ბუნებრივია, დღევანდელ პირობებში ეს შეიძლება მხოლოდ იდეალი იყოს, საერთოდ რომ გთხოვთ, თქვენი მეამბოხე ბუნება მეტისმეტად მძლავრად არ მიაქციოთ გარეთ. პირველ რიგში ნემსებივით მიმართეთ შიგნით ის, რაც გაგაჩნიათ ჩვენი დღევანდელი კულტურის საწინააღმდეგოდ, რათა ნელ-ნელა იმუშაოთ იმაზე, რომ ადამიანებმა სხვაგვარად აზროვნება ისწავლონ — რამეთუ ამ სფეროზე ჩვენ მხოლოდ ნელა შეგვიძლია ზემოქმედება —, შემდეგ კი გარე სოციალური პირობებიც სხვა ფორმით იჩენს თავს, ვიდრე დღესდღეობითაა.

მაგრამ ყველაფერი ურთიერთკავშირში უნდა მოვიაზროთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ევრითმია, აზრით განმსჭვალული გარეგანი აქტივობა, ფიზიკური შრომის განსულიერება, არაბანალური გზით გაკვეთილის საინტერესოდ ქცევა, ინტელექტუალური შრომის გაცოცხლება არის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — გაცოცხლება, სისხლით გაჟღენთა არის.

(გარეთ მიმართული შრომა უნდა განვასულიეროთ; შიგნით მიმართული შრომა, ინტელექტუალური შრომა კი უნდა სისხლით გავჟღინთოთ! იფიქრეთ ამ ორ წინადადებაზე და ნახავთ, რომ პირველს მნიშვნელოვანი აღმზრდელობითი და აგრეთვე მნიშვნელოვანი სოციალური ასპექტი გააჩნია; მეორეს კი მნიშვნელოვანი აღმზრდელობითი და ასევე მნიშვნელოვანი ჰიგიენური ასპექტი აქვს.)

მეთოთხმეტე ლექცია

შტუტგარტი, 5 სექტემბერი, 1919 წელი

როდესაც ადამიანს ისე განვიხილავთ, როგორც აქამდე ვაკეთებდით ნამდვილი პედაგოგიური ხელოვნების განსავითარებლად, მაშინ მისი გარესხეულებრივი სამწევროვნებაც გვეცემა თვალში. ყოველივე იმას, რაც დაკავშირებულია ადამიანის თავის წარმოქმნასთან, ფორმირებასთან, ჩვენ მკაფიოდ ვანსხვავებთ იმისგან, რაც დაკავშირებულია მკერდის წარმოქმნასთან, ტორსის წარმოქმნასთან და ასევე იმისგან, რაც კიდურების წარმოქმნასთანაა დაკავშირებული. ამასთან, საჭიროა წარმოვიდგინოთ, რომ კიდურების ფორმირება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ჩვეულებრივ გვგონია ეს, ვინაიდან ის, რაც კიდურებშია ჩადებული და როგორც ვნახეთ, გარედან შიგნითაა ფორმირებული, ადამიანის შინაგანში გრძელდება; და ამდენად, ადამიანში ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ის, რაც შიგნიდან გარეთაა აგებული და ის, რაც გარკვეულწილად გარედან შიგნითაა მის სხეულში ჩასმული.

თუ გავითვალისწინებთ ადამიანის სხეულის ამ სამწევროვნებას, მაშინ ჩვენთვის განსაკუთრებით ცხადი გახდება, რომ ადამიანის თავი უკვე მთლიან ადამიანს წარმოადგენს, ცხოველთა საუფლოდან ამოზიდულ მთელ ადამიანს.

ადამიანის თავი შეიცავს საკუთრივ თავს. განირჩევა ტორსიც: ყოველივე ის, რაც ცხვირს განეკუთვნება. და იგი ასევე შეიცავს კიდურების ნაწილს, რომელიც სხეულის ღრუში გრძელდება: ესაა ყოველივე ის, რასაც პირი მოიცავს. ასე რომ, ადამიანის თავზე შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორაა აქ სხეულებრივად მოცემული მთლიანი ადამიანი. ოღონდ თავის მკერდი განუვითარებელია. იგი ისეა დაჩიავებული, რომ გარკვეულწილად ყველაფერი, რაც ცხვირს განეკუთვნება, მხოლოდ ბუნდოვნად შეგვამეცნებინებს იმას, თუ როგორაა იგი დაკავშირებული ფილტვისმიერთან. მაგრამ ის, რაც ცხვირს

განეკუთვნება, ფილტვისმიერთან არის დაკავშირებული. ადამიანის ცხვირი გარკვეულწილად მეტამორფოზირებული ფილტვითაა. იგი ისე გარდაქმნის სუნთქვის პროცესს, რომ უფრო ფიზიკურისკენ ავითარებს მას. შეცდომაა, ფილტვი განიხილოთ როგორც ცხვირზე უფრო ნაკლებად სულიერი. ფილტვი უფრო დახვეწილადაა აგებული. იგი უფრო მეტადაა განმსჭვალული სულიერით ან მშვინვიერით მაინც, ვიდრე ცხვირი, რომელიც, თუკი ნამდვილად სწორად ჩავწვდებით ვითარებას, ურცხვადაა წამოშვერილი ადამიანის სახეზე. მაშინ, როცა ფილტვი ბევრად უფრო უმანკოდ ფარავს თავის ყოფიერებას, თუმცაღა ცხვირზე უფრო მშვინვიერია.

ყოველივე იმის, რაც ნივთიერებათა ცვლას, მონელებასა და კვებას მიეკუთვნება და კიდურების ძალებიდან გრძელდება ადამიანში, მონათესავეა ის, რაც ადამიანის პირს განეკუთვნება, რომელიც ასევე ვერ უარყოფს საკუთარ მონათესავეობას კვებასა და ყოველივე იმასთან, რაც ადამიანის კიდურებს მიეკუთვნება. ასეა ადამიანის თავი მთლიანი ადამიანი, რომელშიც ოღონდაც არათავისმიერი დაჩიავებულია. მკერდი და ქვედატანი არსებობს თავზე, მაგრამ აქ ისინი განუვითარებელნი არიან.

თუ ამის საპირისპიროდ შევხედავთ კიდურების ადამიანს, ფელაფერში, რასაც იგი გარეგნულად წარმოგვიდგენს, თავისი გარეგნული ფორმის ჩამოყალიბების მიხედვით იგი არსებითად ადამიანის ორივე ყბის, ზედა და ქვედა ყბის, სახეცვლილებაა. რასაც თქვენი პირი ზევით და ქვევით შეიცავს, არის ის — ოღონდ განუვითარებელი — რასაც თქვენი ფეხები და ტერფები, თქვენი მკლავები და ხელის მტევნები წარმოადგენს. ოღონდ ყოველივე ეს სწორად განთავსებული უნდა გაიაზროთ. ახლა შეგიძლიათ თქვათ: თუკი წარმოვიდგენ, რომ ჩემი მკლავები და ხელის მტევნები ზედა ყბა არის, ფეხები და ტერფები კი — ქვედა ყბა, მაშინ უნდა დავსვა კითხვა: მაშ საითკენ მიემართება ის, რაც საკუთარ თავს ყბებში გამოხატავს? სად კბენს იგი? სადაა პირი? — და

თქვენ უნდა უპასუხოთ: იქ, სადაც მხარი ჩასმულია სხეულში და იქ, სადაც ბარძაყია ჩასმული სხეულში. ასე რომ, თუ წარმოიდგენთ, რომ ეს არის ადამიანის ტანი (იხატება), მაშინ უნდა წარმოიდგინოთ, რომ სადღაც გარეთ საკუთრივ თავი არის; იგი ზედა მხარეს ხსნის პირს და ქვედა მხარესაც ხსნის პირს, ამდენად, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ გასაოცარი ტენდენცია ამ უხილავი თავისა, რომელიც თავის ჯბებს თქვენი მკერდისა და მუცლისკენ აღებს.

რას აკეთებს ეს უხილავი თავი? იგი განუწყვეტლივ გჭამთ თქვენ, ხახას გიღებთ თქვენ. და აქ, გარეგან ფორმაში თქვენ ფაქტობრივის საოცარი სურათი გაქვთ. თუკი ადამიანის



ნამდვილი თავი სხეულებრივ-მატერიალური თავია, თავი, რომელიც კიდურებს ეკუთვნის, სულიერი თავი არის. მაგრამ იგი ცოტათი მატერიალური ხდება, რათა გამუდმებით შეეძლოს ადამიანის ამოჭმა. სიკვდილისას კი, როცა ადამიანი კვდება, იგი მთლიანად ამოჭამს მას. ნამდვილად საოცარი პროცესია, ჩვენი კიდურები რომ ისეა აგებული, რომ განუწყვეტლივ გვჭამენ. ჩვენ ჩვენი ორგანიზმიანად განუწყვეტლივ ვვარდებით ჩვენი სულიერების დაღებულ ხახაში. სულიერი ჩვენგან გამუდმებით მოითხოვს ჩვენს მსხვერპლად შეწირვას. და ჩვენი სხეულის აგებულებაშიც გამოხატულია ეს მსხვერპლშეწირვა. ჩვენ ვერ გავიგებთ ადამიანის ფორმას, თუკი არ აღმოვაჩენთ, რომ სულისათვის ეს მსხვერპლშეწირვა გამოი-

ხატება ადამიანის კიდურების მიმართებაში მის დანარჩენ სხეულთან. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ: ადამიანის თავისა და კიდურების ბუნება ურთიერთსაპირისპიროა, შუაში მყოფი მკერდისა და ტორსის ბუნება კი გარკვეული გაგებით არის ის, რაც ამ ორ პოლუსს შორის წონასწორობას ინარჩუნებს.

ადამიანის მკერდში იმდენადვე არსებობს თავის ბუნება, რამდენადაც კიდურებისა. მკერდის ბუნებაში კიდურებისა და თავის ბუნება ერთმანეთს ერევა. მკერდს ზევითკენ განუწყვეტლივ გააჩნია მიდრეკილება, გახდეს თავი, ქვევით კი მიდრეკილია მიესადაგოს გაწვდილ კიდურებს, გარე სამყაროს, სხვა სიტყვებით, იქცეს კიდურების ბუნებად. მკერდის ბუნების ზედა ნაწილს გამუდმებით გააჩნია ტენდენცია, გახდეს თავი, ქვედა ნაწილს კი გამუდმებით აქვს კიდურების ადამიანად ქცევის ტენდენცია. ე.ი. ადამიანის ტორსის ზედა ნაწილს განუწყვეტლივ სურს, გახდეს თავი, ოღონდ მას არ ძალუძს ეს. მეორე თავი ხელს უშლის ამაში. ამიტომაც იგი მხოლოდ თავის ანარეკლს წარმოქმნის გამუდმებით, ასე ვთქვათ, იმას, რაც თავის წარმოქმნის დასაწყისს შეადგენს. ხომ არ შეგვიძლია ცხადად შეცნობა იმისა, თუ როგორ იწყება თავის წარმოქმნა მკერდის წარმონაქმნის ზედა ნაწილში? დიახ, აქ არსებობს ხორხი, რომელსაც გულუბრყვილო მეტყველების მიერ სწორედ ეს სახელი აქვს შერქმეული.[1] ადამიანის ხორხი თავიდან ბოლომდე ადამიანის განუვითარებელი თავია, თავი, რომელსაც არ ძალუძს მთლიანად თავი გახდეს და ამიტომ საკუთარ თავისმიერ ბუნებას ადამიანურ მეტყველებაში გამოხატავს. ადამიანური მეტყველება არის გამუდმებით ხორხის მიერ ჰაერში განხორციელებული მცდელობა თავად ქცევისა. როდესაც ხორხი ცდილობს, იქცეს ადამიანის თავის ყველაზე ზედა ნაწილად, მაშინ აღმოცენდება ის ბგერები, რომელნიც გარკვევით აჩვენებენ, რომ ისინი ყველაზე ძლიერად შეკავდნენ ადამიანის ბუნებიდან. როდესაც ადამიანის ხორხი ცდილობს,

[1] გერმანულად Kehlkopf – სიტყვა-სიტყვით ყლის თავი

გახდეს ცხვირი, იგი ვერ ახერხებს ამას, ვინაიდან ამაში ხელს უშლის სინამდვილეში არსებული ცხვირი. მაგრამ იგი ჰაერში ახორციელებს მცდელობას, გახდეს ცხვირი – ცხვირისმიერ ბგერებში. ამგვარად, არსებული ცხვირი ცხვირისმიერ ბგერებში აგუბებს ჰაერის ცხვირს, რომელსაც ამ დროს ნებავს წარმოშობა. არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ახორციელებს მეტყველებისას ადამიანი განუწყვეტლივ ჰაერში მცდელობას, წარმოქმნას ადამიანის თავის ნაწილები და თუ როგორ გრძელდება თავის ეს ნაწილები ტალღოვან მოძრაობებში, რომელნიც შემდეგ გუბდებიან სხეულებრივად ჩამოყალიბებულ თავში. აქ თქვენ ხელთა გაქვთ ის, რაც ადამიანურ მეტყველებას წარმოადგენს.

ამდენად, აღარ გაგვიკვირდება, რომ იმ მომენტში, როდესაც თავი გარკვეულწილად დასრულებულია სხეულებრივად, დაახლოებით შვიდი წლის ასაკისათვის, კბილების მოცვლასთან ერთად გვეძლევა შესაძლებლობა, მშვინვიერი თავი, რომელიც ხორხიდან ამოიზრდება, ერთგვარი ძვლოვანი სისტემით განიმსჭვალოს. ოღონდ ეს მშვინვიერი ძვლოვანი სისტემა უნდა იყოს. ჩვენ ვაკეთებთ ამას, როდესაც მეტი აღარ ვმეტყველებთ ველურად, უბრალოდ მიბაძვის საშუალებით, არამედ გრამატიკულად მეტყველებას ვეჩვევით. დაე, ვაცნობიერებდეთ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, რომ როდესაც ჩვენთან სკოლაში მოდის ბავშვი, ჩვენ მასთან მშვინვიერად იმის მსგავსი აქტივობა უნდა განვახორციელოთ, როგორიც სხეულმა შეასრულა, როდესაც მუდმივი კბილები ამოზარდა ამ ორგანიზმში! ასე ვამყარებთ, ოღონდ მხოლოდ მშვინვიერად, მეტყველების განვითარებას, როცა კი გონივრული გზით შეგვაქვს მასში გრამატიკა: ის, რაც მეტყველებიდან მოქმედებს წერა-კითხვაში. ადამიანური მეტყველებისადმი სწორ მშვინვიერ დამოკიდებულებას ჩვენ მაშინ შევიძენთ, როდესაც გვეცოდინება, რომ ადამიანის მიერ წარმოქმნილი სიტყვები ნამდვილად მიდრეკილი არის თავი გახდეს.

თუ ადამიანის მკერდის წილს ზევით გააჩნია თავად ქცე-

ვის ტენდენცია, ქვევით მას კიდურებად ქცევის ტენდენცია აქვს. ისევე, როგორც ის, რაც მეტყველების სახით აღმოცენდება ხორხიდან, დახვეწილ, ჰაეროვნად დარჩენილ თავს წარმოადგენს, ასევე, ყოველივე ის, რაც ადამიანის მკერდის არსებიდან ქვევით მიედინება და კიდურებისდარად ორგანიზდება, გაუხეშებულ კიდურების ბუნებას წარმოადგენს. გამკვრივებული, გაუხეშებული კიდურების ბუნებაა ის, რაც გარე სამყაროს შემოაქვს გარკვეულწილად ადამიანში. და როდესაც ბუნებისმეტყველება ოდესმე მიაღწევს იმ საიდუმლოს გარკვევას, თუ როგორაა ხელის მტევნები და ტერფები, მკლავები და ფეხები ადამიანში გაუხეშებული და შიგნით შეწეული, მაშინ ამოიცნობს ეს ბუნებისმეცნიერება სქესის საიდუმლოს. და მხოლოდ მაშინ მოძებნის ადამიანი სწორ ტონს, რათა ისაუბროს მასზე. ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ ყოველგვარი ლაპარაკი, რომელსაც დღესდღეობით აწარმოებენ იმაზე, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ სექსუალური ახსნა-განმარტებანი, საკმაოდ არაარსებითია. ვინაიდან შეუძლებელია კარგად ავხსნათ ის, რაც თავად არ გვესმის. რასაც თანამედროვე მეცნიერება საერთოდ ვერ იგებს, არის ის, რაზეც მხოლოდ მიგანიშნეთ, როდესაც კიდურების ადამიანი ტორსის ადამიანთან მიმართებით დავახასიათე. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ როგორც დაწყებით სასკოლო ასაკში მშვინვიერში გარკვეულწილად შეგვაქვს ის, რაც შვიდი წლის ასაკამდე აღწევს კბილების ბუნებაში, ასევე გვიან სასკოლო ასაკში ბავშვის მშვინვიერ ცხოვრებაში შემოგვაქვს ყოველივე ის, რაც კიდურების ბუნებიდან წარმოდგება და რაც პირველად სქესობრივი მომწიფების შემდეგ პოვებს სრულ გამოხატულებას.

და როგორც დაწყებით სასკოლო ასაკში წერა-კითხვის სწავლის უნარში თავს გვამცნობს მშვინვიერი კბილების ამოსვლა, ასევე ყოველივე იმაში, რაც ფანტაზიის აქტივობას წარმოადგენს და შინაგანი სითბოთია განმსჭვალული, თავს განაცხადებს ის, რასაც სამშვინველი გვიან სასკოლო ასაკში ავითარებს თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი წლიდან

დაწყებული. ამ დროს სრულიად განსაკუთრებულად იჩენს თავს ყოველივე ის, რასაც მშვინვიერ უნარებს შორის მართებს განიმსჭვალოს შინაგანი მშვინვიერი სიფაერულით, ანუ ის, რაც ფანტაზიის ძალის სახით გამოხატავს თავს. სწორედ ფანტაზიის ძალაზე უნდა მოვახდინოთ აპელაცია განსაკუთრებით ბოლო სასწავლო წლებში. როდესაც შვიდი წლის ასაკში ბავშვი სკოლაში შემოდის, ჩვენ შეგვიძლია მოველოდეთ, რომ წერა-კითხვის სწავლისას იგი ინტელექტსაც განივითარებს, ხოლო როდესაც განვითარებას დაიწყებს მსჯელობის ძალა — მსჯელობის უნარი ნელ-ნელა ვითარდება თორმეტი წლის შემდეგ —, მას განუწყვეტლივ უნდა უერთდებოდეს ფანტაზია. სწორედ ფანტაზიის აღძვრით უნდა მივაწოდოთ ბავშვს ყოველივე ის, რაც მან უნდა ისწავლოს; ასე უნდა მივაწოდოთ მას ის, რაც ისტორიის, გეოგრაფიის სწავლებაში შედის.

ფანტაზიაზე აპელაციას მაშინაც ვახდენთ, როდესაც, მაგ., ბავშვს ვასწავლით: აი ლინზა, შემკრები ლინზა, რომელიც სინათლეს კრებს; ამდაგვარი ლინზა გაქვს შენ თვალში. ხომ იცი ფოტოსურათების გასამეღავნებელი ბნელი ოთახი, სადაც გარე საგნები გამოისახება; ასეთივე ბნელი ოთახია შენი თვალი. — მაშინაც, როცა ვაჩვენებთ, თუ როგორაა გარე სამყარო გრძნობის ორგანოების საშუალებით ადამიანის ორგანიზმში ჩაშენებული, მაშინაც ბავშვის ფანტაზიაზე ვაპელირებთ. ვინაიდან იმას, რაც ჩაშენებულია, ჩვენ მხოლოდ თავის გარეგნულ მკვდარ მდგომარეობაში ვხედავთ, როდესაც სხეულიდან ამოგვაქვს; ცოცხალ სხეულში მისი დანახვა შეუძლებელია.

მთლიანი სწავლებისას, გეომეტრიისა და მათემატიკის ჩათვლით, არასოდეს უნდა შევწყვიტოთ ფანტაზიაზე აპელირება. ფანტაზიაზე აპელაციას ვახდენთ მაშინ, როდესაც ვცდილობთ, როგორც ეს პრაქტიკულ-დიდაქტიკურ ნაწილში ვცადეთ, არა მარტო ბავშვის განსჯისათვის გავხადოთ გასაგები სიბრტყე, არამედ ნამდვილად ისე გავაგებინოთ მას სიბრტყის ბუნება, რომ ბავშვს ფანტაზიის გამოყენება გეომეტრიასა და არით-

მეტიკაშიც კი მოუხდეს. ამიტომაც ვთქვი გუშინ: მიკვირს, არავის მოფიქრებია, ისე აეხსნა პითაგორას თეორემა, რომ ეთქვა: იყო სამი ბავშვი. ერთ ბავშვს იმდენი მტვრისათვის უნდა შეებერა, რომ ერთი კვადრატი დაფარულიყო მტვრით; მეორე ბავშვს იმდენი მტვრისათვის უნდა შეებერა, რომ მეორე კვადრატი დაფარულიყო მტვრით; მესამეს კი იმდენი, რომ პატარა კვადრატი დაფარულიყო მტვრით. ჩვენ ხელს ვუწყობთ ბავშვის ფანტაზიას, როდესაც მას ვუჩვენებთ: დიდ სიბრტყეს იმდენი მტვერი უნდა დაეყაროს, რომ ტოლი იყოს ყველაზე პატარა და შედარებით დიდ სიბრტყეებზე დაფენილი მტვრისა. ამ დროს თუმცაღა არა მათემატიკური სიზუსტით, არამედ ფანტაზიით სავსე ფორმით, მიუყენებს ბავშვი დაფენილ მტვერს წვდომის ძალას. იგი ფანტაზიით გაჰყვება თან სიბრტყეს. ჰაერში მოფარფატე და ძირს დაშვებული მტვრის დახმარებით, რომელიც, გარდა ამისა, კვადრატის ფორმითაც უნდა დაეფინოს — ბუნებრივია, შეუძლებელია ეს სინამდვილეში მოხდეს, აქ ფანტაზია უნდა დაიძაბოს — ბავშვი ფანტაზიით სწვდება პითაგორას თეორემას.

ასე გამუდმებით არის გასათვალისწინებელი, რომ განსაკუთრებით ამ წლებში უნდა განვითარდეს ის, რაც მასწავლებლიდან მოსწავლეზე გადადის და ფანტაზიას ბადებს. მასწავლებელმა საკუთარ თავში ცოცხლად უნდა შეინარჩუნოს სასწავლო მასალა, ფანტაზიით უნდა განმსჭვალოს იგი. ამას კი მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუ მას გრძნობისმიერი ნებით გაეღენთს. ეს გვიანდელ ასაკშიც ზოგჯერ მეტად გასაოცრად მოქმედებს. რაც ბოლო სასწავლო წლებში უნდა გაძლიერდეს და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არის მასწავლებლისა და მოსწავლის ცოცხალი ურთიერთობა, მათ შორის ჰარმონიული ცოცხალი ურთიერთობა. ვერავინ გახდება კარგი მასწავლებელი, თუკი კვლავ და კვლავ არ შეეცდება, მთელ სასწავლო მასალას ფანტაზიით სავსე სახე მისცეს, კვლავ და კვლავ ახლებურად ჩამოაყალიბოს სასწავლო მასალა. ვინაიდან სინამდვილეში ასეა: როდესაც იმას, რაც ერთხელ ფანტაზიით

შევქმენით, წლების შემდეგ უცვლელად ვიმეორებთ, მაშინ ის განსჯისმიერადაა გაყინული. ფანტაზია აუცილებლად გამუდმებით ცოცხლად უნდა შევინარჩუნოთ, თორემ მისი პროდუქტები განსჯისმიერად გაიყინება.

მაგრამ ეს შუქს ჰფენს იმას, თუ როგორი უნდა იყოს თავად მასწავლებელი. იგი არასოდეს უნდა დაძმარდეს. და კიდევ: არსებობს ორი ცნება, რომელიც მუდამ ურთიერთშეუთავსებელია, თუკი სიცოცხლის გახარებაზეა საუბარი, ესაა მასწავლებლის პროფესია და პედანტიზმი. თუ ოდესმე ცხოვრებაში ერთმანეთთან შეუღლდება მასწავლებლის პროფესია და პედანტიზმი, ამ შეუღლებიდან იმაზე დიდი უბედურება წარმოიქმნება, ვიდრე სადმე ცხოვრებაში შეიძლება წარმოიშვას. მე არა მგონია, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, საკვარაუდო იყოს ის აბსურდი, რომ ოდესმე ცხოვრებაში მასწავლებლის პროფესია და პედანტიზმი შეუღლდეს!

აქედან იმასაც ხედავთ, რომ არსებობს სწავლების გარკვეული შინაგანი მორალი, სწავლების შინაგანი ვალდებულება. ჭეშმარიტად კატეგორიული იმპერატივი მასწავლებლისთვის! და ეს კატეგორიული იმპერატივი მასწავლებლისთვის შემდეგია: შეინარჩუნე ცოცხლად შენი ფანტაზია. და თუ გრძნობ, რომ პედანტური ხდები, მაშინ თქვი: შესაძლოა პედანტიზმი სხვა ადამიანებისათვის სენი იყოს, ჩემთვის კი — სიმდაბლე, ამორალიზმია! — ეს უნდა გახდეს მასწავლებლის სულისკვეთება. და თუ ის არ იქცევა მასწავლებლის სულისკვეთებად, მაშინ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მასწავლებელმა უნდა იფიქროს იმაზე, რომ რაც მასწავლებლობისათვის შეუძენია, თანდათან სხვა პროფესიისათვის გამოიყენოს. ბუნებრივია, ყოველივე ეს ბოლომდე იდეალურად ცხოვრებაში ვერ განხორციელდება, მაგრამ იდეალს მაინც უნდა ვიცნობდეთ.

მაგრამ ამ პედაგოგიური მორალისათვის ვერ მოიპოვებთ სათანადო ენთუზიაზმს, თუკი არ განიმსჭვალებით ფუნდამენტური რაღაცით: შემეცნებით, თუ როგორაა თავი მთლიანი ადამიანი, რომლის კიდურები და მკერდი განუკვითარებელია;

თუ როგორაა ადამიანის ყოველი ნაწილი მთლიანი ადამიანი, ოღონდ კიდურების ადამიანში თავია განუვითარებელი, მკერდის ადამიანში კი თავი და კიდურები წონასწორობას ინარჩუნებს. თუ ამ ფუნდამენტურ ცოდნას გამოიყენებთ, მაშინ მისგან იმ შინაგან ძალას შეიძენთ, რომელსაც ძალუძს საჭირო ენთუზიაზმით განგიმსჭვალოთ თქვენი პედაგოგიური მორალი.

იმას, რასაც ადამიანი ინტელექტის სახით ავითარებს, გააჩნია ძლიერი მიდრეკილება ზარმაცი, უქნარა გახდეს. და იგი ყველაზე მეტად ზარმაცდება, როდესაც ადამიანი გამუდმებით მხოლოდ მატერიალისტური წარმოდგენებით კვებავს მას. მაგრამ მას ფრთები ესხმება, როცა ადამიანი მას სულიდან მოპოვებული წარმოდგენებით ასაზრდოებს. მათ კი მხოლოდ ფანტაზიის გზით ვიღებთ ჩვენს სამშვინველში.

რას არ გაჟიროდა XIX საუკუნის მეორე ნახევარი სწავლებაში ფანტაზიის შემოღწევის წინააღმდეგ! XIX საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდნენ ისეთი ბრწყინვალე ფიგურები, როგორიცაა, მაგ., *შელინგი*; ადამიანები, რომელნიც პედაგოგიკაშიც ჯანსაღად აზროვნებდნენ. წაიკითხეთ შელინგის მშვენიერი, წარმტაცი თხზულება აკადემიური სწავლების მეთოდის შესახებ — რაც, მართალია, ეხება არა საშუალო, არამედ უმაღლეს სკოლას —, სადაც XIX საუკუნის პირველი ნახევრის პედაგოგიკის სული ცოცხლობს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში იგი შენიღბული ფორმით განაქიქეს; ამ დროს ლანძღავდნენ ყოველივე იმას, რასაც ადამიანის სამშვინველში ფანტაზიის გზით შესვლა ნებავს, ვინაიდან მშვენიერი ცხოვრების ეშინოდათ, რადგანაც სჯეროდათ, რომ როგორც კი რაიმენაირად ფანტაზიას მივეცემით, მაშინვე სიცრუის ხელში ჩავვარდებით. არ გააჩნდათ ვაჟკაცობა, დამოუკიდებელნი, თავისუფალნი ყოფილიყნენ აზროვნებაში, რადგანაც ეგონათ, რომ ამ დროს სამშვინველში სიცრუეს შეუშვებდნენ. ამიტომ იმას, რაც ახლა გითხარით — სასწავლო მასალის ფანტაზიით განმსჭვალვას, მასწავლებელმა უნდა დაუმატოს

სიქველე ჭეშმარიტებისათვის. ჭეშმარიტებისათვის ამ სიქველის გარეშე მას არ ეყოფა ნება სწავლებისას, განსაკუთრებით დიდი ასაკის ბავშვებთან. ის კი, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, რაც ჭეშმარიტებისათვის სიქველის სახით ვითარდება, მეორე მხრივ, უნდა შეწყვილდეს ჭეშმარიტებისადმი პასუხისმგებლობის ძლიერ გრძნობასთან.

ფანტაზიის მოთხოვნილება, ჭეშმარიტების გრძნობა, პასუხისმგებლობის გრძნობა არის სამი ძალა, რომელიც პედაგოგიკის ნერვს წარმოადგენს. და ვისაც სურს საკუთარ თავში მიიღოს პედაგოგიკა, დაე, ამ პედაგოგიკას დევიზის სახით წინ წარუმძღვანოს:

განიმსჭვალე ფანტაზიის უნარით,

იქონიე სიქველე ჭეშმარიტებისათვის,

გაიმახვილე გრძნობა მშვინვიერი პასუხისმგებლობისათვის.

დანართი

კურსის წინა საღამოს წარმოთქმული სიტყვა
შტუტგარტი, 20 აგვისტო, 1919 წელი

ამ საღამოს მხოლოდ შესავალს გავაკეთებთ. ვალდორფის სკოლა ნამდვილი კულტურული აქტი უნდა იყოს, რათა მიიღწეს ჩვენი თანადროულობის სულიერი ცხოვრების განახლება. ჩვენ ჯელაფერში გარდაქმნის იმედი უნდა გვქონდეს; მთელი სოციალური მოძრაობა ხომ ბოლოს და ბოლოს სულიერამდე მიდის, სკოლის საკითხი კი თანამედროვეობის ერთ-ერთი მწვავე სულიერი საკითხი არის. ვალდორფის სკოლის შესაძლებლობები უნდა გამოვიყენოთ, რათა სკოლის არსზე რეფორმატორულად, რევოლუციურად ვიმოქმედოთ.

ამ კულტურული აქტის მიღწევა თქვენს ხელთაა. ამით ბევრი რამ გეძლევათ ხელთ, რათა მაგალითის ჩვენებით იღვაწოთ. ბევრია დამოკიდებული ამ აქტის წარმატებაზე. ვალდორფის სკოლა პრაქტიკული დასაბუთება იქნება ანთროპოსოფიული მსოფლმხედველობის გამრღვევი ძალისა. იგი ერთიანი სკოლა იქნება იმ გაგებით, რომ მარტოოდენ ისეთ აღზრდა-განათლებას გაუწევს ანგარიშს, როგორსაც ადამიანი, ადამიანის მთლიანი არსება მოითხოვს. ჯელაფერი ამ მიზანს უნდა ვამსახუროთ.

მაგრამ ჩვენ გვიხდება კომპრომისებზე წასვლა. კომპრომისები აუცილებელია, ვინაიდან ჯერ არა ვართ ისე შორს წასულნი, რომ ჭეშმარიტად თავისუფალი აქტი განვახორციელოთ. სახელმწიფო ცუდ სასწავლო მიზნებს, ცუდ საბოლოო მიზნებს გვიწესებს. ეს მიზნები წარმოუდგენლად ცუდია, მათზე კი უდიდესი შეხედულება აქვთ. ამიერიდან პოლიტიკა, პოლიტიკური მოღვაწეობა იმაში გამოვლინდება, რომ შაბლონურად მოეპყრობა ადამიანს, რომ მომავალში უფრო და უფრო შეეცდება, შაბლონებში გამოამწყვდიოს იგი. ადამიანს

მიუდგებიან როგორც საგანს, რომელიც მავთულებით უნდა ჭაჩო და ეგონებათ, რომ ეს უდიდეს წინსვლას ნიშნავს. მიზანშეუწონლად და უდიდესი ქედმაღლობით ჩამოაყალიბებენ ისეთ რამეს, როგორიცაა აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ერთ-ერთი მაგალითი და წინამორბედია რუსული ბოლშევიკური სკოლების შექმნა, რომელნიც ნამდვილი სწავლების არსის ჭეშმარიტ სამარეს წარმოადგენენ. ჩვენ მძიმე ბრძოლა მოგველის, მაგრამ მაინც უნდა განვახორციელოთ ეს კულტურული აქტი.

ამ დროს ორი საპირისპირო ძალაა ურთიერთშესატყვისობაში მოსაყვანი. ერთი მხრივ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა არის ჩვენი იდეალები და ამასთან ერთად უნდა გაგვაჩნდეს მოქნილობა, რათა მოვერგოთ იმას, რაც შორსა დგას ჩვენი იდეალებისაგან. ამ ორი ძალის ურთიერთშესატყვისობაში მოყვანა ძნელი იქნება თითოეული თქვენგანისთვის. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ყოველი თქვენგანი მთელ თავის პიროვნებას აამოქმედებს. თითოეულმა თავიდანვე მთელი თავისი პიროვნება უნდა ჩართოს.

ამიტომაც სკოლას მოვაწყობთ არა დირექტიული ხელისუფლების, არამედ გამგეობის პრინციპით და რესპუბლიკურად ვმართავთ მას. მასწავლებელთა ჭეშმარიტ რესპუბლიკაში ჩვენს ზურგს უკან არ იარსებებს რექტორატიდან წამოსული და საკუთარი პასუხისმგებლობის მომხსნელი ბრძანებები, არამედ ჩვენ უნდა ვატაროთ (საკუთარ თავში ვატაროთ) ის, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, რაც თითოეულ ჩვენთაგანს სრულ პასუხისმგებლობას ანიჭებს იმაზე, რაც ჩვენი გასაკეთებელია. თითოეულმა თავად უნდა აგოს მთლიანად პასუხი.

რექტორატის მმართველობის შემცვლელის შექმნა იმითაა შესაძლებელი, რომ ამ მოსამზადებელ კურსს ვაწყობთ და აქ მუშაობისას ვიღებთ იმას, რაც სკოლას ერთიანობად აქცევს. თუკი ნამდვილად სერიოზულად ვიმუშავებთ, კურსის მეშვეობით ჩვენ ერთიანობას გამოვიმუშავებთ.

კურსის განრიგის შესახებ შემდეგი უნდა გამცნოთ:

ჯერ ერთი, ზოგად-პედაგოგიური საკითხების თანმიმდევრული განხილვა;

მეორე, უმნიშვნელოვანესი სასწავლო საგნების სპეციალურ-მეთოდური საკითხების განხილვა;

მესამე, ერთგვარი სემინარული მუშაობა იმაზე, რაც ჩვენი პედაგოგიური ამოცანები გახდება. ჩვენ შევიმუშავებთ ამგვარ პედაგოგიურ ამოცანებს და სადისკუსიო სავარჯიშოებით გავაშუქებთ მათ.

ყოველდღე შუადღემდე უფრო თეორიული მუშაობა გვექნება, ნაშუადღევს კი — სემინარული.

ამგვარად, ხვალ დღის ცხრა საათზე ზოგადი პედაგოგიკით დავიწყებთ, შემდეგ თერთმეტის ნახევარზე გვექნება სპეციალურ-მეთოდური განხილვა, ნაშუადღევს სამიდან ექვსამდე კი — სემინარული სავარჯიშოები.

ჩვენ სრულად უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ ყოველი მიმართულებით უდიდესი კულტურული აქტი უნდა განხორციელდეს.

ვალდორფის სკოლის სახით ჩვენ არ გვსურს რაიმე მსოფლმხედველობრივი სკოლის ჩამოყალიბება. ვალდორფის სკოლა არ უნდა იყოს მსოფლმხედველობრივი სკოლა, სადაც ბავშვებს ყოველგვარი ანთროპოსოფიული დოგმებით დავტენით. ჩვენ არ გვსურს რაიმენაირი ანთროპოსოფიული დოგმატიკის სწავლება, ანთროპოსოფია არ არის სასწავლო საგანი, არამედ ჩვენ ვესწრაფვით ანთროპოსოფიის პრაქტიკულ გამოყენებას. ჩვენ გვსურს სწავლების ჭეშმარიტ პრაქტიკაში გადავიტანოთ ის, რაც შეიძლება მოპოვებულ იქნეს ანთროპოსოფიის სფეროში.

მთავარი ანთროპოსოფიული სწავლების შინაარსი კი არ იქნება, არამედ იმის პრაქტიკული გამოყენება, რაც პედაგოგიკაში შეიძლება ანთროპოსოფიიდან დაიბადოს, როგორც ზოგადპედაგოგიური, ისე სპეციალურ-მეთოდური მიმართულე-

ბით — ის, თუ როგორ შეძლებს ანთროპოსოფია სწავლების წარმართვაში გადასვლას.

რელიგიურ დამოძღვრას რელიგიურ ერთობებში ექნება ადგილი. ანთროპოსოფიას მხოლოდ სწავლების მეთოდიკაში ავამოქმედებთ. ამრიგად, რელიგიის მასწავლებლებს ბავშვებს მათი აღმსარებლობის მიხედვით გავუნაწილებთ.

ეს კომპრომისის მეორე ნაწილია. გამართლებული კომპრომისის საშუალებით ჩვენ ვაჩქარებთ ჩვენს კულტურულ აქტს.

ჩვენ უნდა ვაცნობიერებდეთ დიად ამოცანებს. ჩვენ არა მარტო პედაგოგები უნდა ვიყოთ, არამედ კულტურის ადამიანები უნდა გავხდეთ ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით. ჩვენ ცოცხალი ინტერესი უნდა გვქონდეს ყველაფრისადმი, რასაც დღესდღეობით ადგილი აქვს ჩვენს დროში, თორემ ჩვენ არ ვივარგებთ ამ სკოლის მასწავლებლებად. ჩვენ არა მარტო ჩვენი სპეციფიკური ამოცანებისთვის უნდა ვიღვაწოთ. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიქნებით კარგი მასწავლებლები, როდესაც ცოცხალი ინტერესი გვექნება ყველაფრისადმი, რაც ამქვეყნად ხდება. მსოფლიოსადმი ინტერესის საშუალებით უნდა მოვიპოვოთ ის ენთუზიაზმი, რომელიც გვჭირდება სკოლისა და ჩვენი მუშაობის ამოცანებისთვის.

ჩვენი მოღვაწეობის წყარო მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რისი მიღწევაც შეიძლება დღესდღეობით, თუკი ინტერესს მივაპყრობთ

ჯერ ერთი, ეპოქის უდიდეს გასაჭირს,

მეორეც, ეპოქის უდიდეს ამოცანებს, რომელთაგან ვერც ერთი ვერ წარმოუდგენიათ საკმარისი სიდიადით.

შენიშვნები

1932 წლის პირველ გამოცემაში გამოქვეყნებული იყო თავისუფალი ვალდორფის სკოლის მასწავლებელთა სამადლობელო სიტყვა, სადაც აღწერილი იყო ის ვითარება, რომელშიც წინამდებარე კურსი იქნა წაკითხული:

„მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ანთროპოსოფიული საზოგადოების ზოგიერთი წევრის თხოვნით დოქ. რუდოლფ შტაინერმა შტუტგარტშიც წაიკითხა ყოვლისმომცველი ლექციები სოციალური ორგანიზმის სამწევროვნების შესახებ, რომელნიც მისი წიგნის „სოციალური საკითხის ცენტრალური პუნქტები" შინაარსს შეადგენენ.

ამ ლექციებმა მოამწიფა ემილ მოლტის გადაწყვეტილება, დაეარსებინა სკოლა, რომელიც თავისუფალი სულიერი ცხოვრების ჩანასახი იქნებოდა. მისი თხოვნით დოქ. რუდოლფ შტაინერმა საკუთარ თავზე აიღო ამ სკოლის სულიერი ხელმძღვანელობა და დაუღლელად ზრუნავდა მის განვითარებაზე.

თავისუფალი ვალდორფის სკოლის დაარსებას წინ უძღოდა პედაგოგიური კურსი, რომელსაც დოქ. რუდოლფ შტაინერი 1919 წლის აგვისტო-სექტემბერში სამი კვირის მანძილზე უკითხავდა ვალდორფის სკოლის პირველ მასწავლებლებსა და იმ პიროვნებებს, რომელთაც მისეული პედაგოგიკის სულისკვეთებით სურდათ მოღვაწეობა.

ეს კურსი სამ ღონისძიებას მოიცავდა. პირველ რიგში წაკითხულ იქნა თოთხმეტი ლექცია ანთროპოსოფიული ადამიანთმცოდნეობის — როგორც ჩვენი თანადროულობისა და უახლესი მომავლის შესატყვისი პედაგოგიკის საფუძვლის — შესახებ. ისინი წინამდებარე წიგნშია გამოქვეყნებული. მათ ებმოდა ლექციები, რომელნიც აღზრდა-განათლების მეთოდიკისა და დიდაქტიკის ფლობისათვის ანთროპოსოფიული ადამიანთმცოდნეობის ქმედითობას ცხადყოფდნენ. წინამდებარე გამოცემის ლექციებთან ერთად, რომელთა შინაარსზეც გამუდმებით ხდებოდა მითითება, ისინი ერთიანობას ქმნიან.

ლექციებს მოსდევდა სემინარული განხილვები, სადაც რუდოლფ შტაინერი მასწავლებლებთან ერთად განიხილავდა გარკვეული სასწავ-

ლო სფეროების პრაქტიკულ დამუშავებასა და აღმზრდელობითი პრობლემების გადაჭრის გზებს. ეს განხილვებიც გამოქვეყნებულ იქნა.

ამ კურსის დროს მსმენელები განიცდიდნენ, რომ ადგილი ჰქონდა სულიერ მოვლენას, რომელსაც – ყოველგვარი ხმაურის გარეშე ხორციელდებოდა რა ადამიანთა მცირე წრეში – კაცობრიობის აღმავალი განვითარების სამსახური ნებავდა. თავისუფალი ვალდორფის სკოლის პედაგოგები უღრმესი მადლობის გრძნობას მიადევნებენ თან რუდოლფ შტაინერის ამ ნაშრომს, რომელიც ქვეყნდება, რათა ყველგან, სადაც კი მას გაგებით მოეკიდებიან, გაანაყოფიეროს აღზრდა და განათლება".

კურსის ამ გამოცემის ტექსტის გასამართად გამოყენებულ იქნა:

სტენოგრამული ჩანაწერის მანქანური ნაბეჭდი; თავად სტენოგრამა არ არის შემონახული,

უფრო გვიანი დროის ჰექტოგრაფული ასლი, რომელიც მონაწილეთა ჩანაწერებიდან დამატებებს შეიცავს,

1932 წლის პირველი გამოცემა, სადაც მონაწილეთა ჩანაწერებიდან შემდგომი არსებითი დამატებებია შესული.

წინადადებების წყობაში შეძლებისამებრ აღდგენილ იქნა თავდაპირველი სიტყვათა წყობა.

რუდოლფ შტაინერის მიერ დაფაზე შესრულებული ჩანახატები ლექციის შემდეგ წაშლილ იქნა. წინამდებარე გამოცემის ნახაზები მონაწილეთა ჩანახატების მიხედვით იქნა გაკეთებული.

რუდოლფ შტაინერის ნაშრომები შენიშვნებში მითითებულია ბიბლიოგრაფიის ნომერთან ერთად.

გვერდი

1 *ამბობდა იგი – შესავალ სიტყვაში:* 1919 წ. 7 სექტემბერს. ტექსტი დაბეჭდილია წიგნში: „Rudolf Steiner in der Waldorfschule", ბიბლ. №298.

2 *ჩვენს ძვირფას ბატონ მოლტს:* ემილ მოლტი, 1876-1936. სიგარეტების ფაბრიკის „ვალდორფ ასტორია" მფლობელი. დააარსა ვალდორფის სკოლა, რომელიც თავდაპირველად განკუთვნილი იყო ფაბრიკის მუშა-ქოსამსახურეთა ბავშვებისათვის.

მან სთხოვა რუდოლფ შტაინერს, საკუთარ თავზე აეღო სკოლის ჩამოყალიბება და წარმართვა.

რუდოლფ შტაინერის სამადლობელო სიტყვების შემდეგ ემილ მოლტმა თქვა: „თუ ამ სადღესასწაულო ჟამს შემიძლია სიტყვის წარმოთქმა, ეს იმისთვის ხდება, რათა გამოვხატო გულითადი მადლობა, რომ ამ მომენტის განცდა მერგო წილად და რათა მსურს დავდო აღთქმა, რომ ჩემი სუსტი ძალებით ვიღვაწებ იმ დიადი საქმისათვის, რომელიც დღეს წამოვიწყეთ".

34 *ჰერბარტიანული პედაგოგიკა* და *ფსიქოლოგია:* იოჰან ფრიდრიპ ჰერბარტი; 1776-1841, გერმანელი ფილოსოფოსი და პედაგოგი.

35 *Cogito, ergo sum:* ვაზროვნებ, ე.ი. ვარ – რენე დეკარტე (რენატუს კარტეზიუსი), 1596-1650, ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ასტრონომი, ფიზიკოსი.

38 *არტურ შოპენჰაუერი,* 1788-1860, გერმანელი ფილოსოფოსი.

52 *869 წლის საეკლესიო განაცხადის:* მერვე საეკლესიო კრება კონსტანტინეპოლში.

იულიუს რობერტ მაიერი, 1814-1878, ექიმი და ბუნებისმკვლევარი, 1842 წელს დაადგინა ენერგიის შენახვის კანონი.

55 *პლატონი,* ძვ.წ. 428-348, იხ. „ტიმეოსი".

56 *ლოტცეს ფილოსოფიაში:* რუდოლფ ჰერმან ლოტცე, 1817-1881, გერმანელი ფილოსოფოსი

66 *ედუარდ ფონ ჰარტმანი,* 1842-1906, გერმანელი ფილოსოფოსი

67 *ჩემს პირველ ნაშრომებში:* იხ. „გოეთეს მსოფლმხედველობის შემეცნების თეორიის ძირითადი ნიშნები" (1886), ბიბლ. №2; „ჰეშმარიტება და მეცნიერება" (1892), ბიბლ. №3; „თავისუფლების ფილოსოფია" (1834), ბიბლ. №4.

71 *„თეოსოფია"* (1804) ბიბლ. №9

83 *ანატოლი ვასილის ძე ლუნაჩარსკი,* 1875-1933, რუსი მწერალი და პოლიტიკოსი. 1917-1929 სახალხო განათლების კომისარი.

85 *თუ გუშინ ნათქვამზე იფიქრებთ:* იხ. ამავე დროს წაკითხული კურსი Erziehungskunst. Methodisch - Didaktisches, ბიბლ. № 294.

91 *გოეთეს ფერთა მოძღვრება:* იხ. „გოეთეს საბუნებისმეტყველო ნაშრომები“.

97 *ფრანც ბრენტანო,* 1838-1917, გერმანელი ფილოსოფოსი.

ქრისტოფ ფონ ზიგვარტი, 1830-1904, გერმანელი თეოლოგი და ფილოსოფოსი.

100 *ედუარდ ჰანსლიკი,* 1825-1904, მუსიკის კრიტიკოსი, მწერალი.

114 *როგორ მივაღწიოთ უმაღლეს სამყაროთა შემეცნებას?* (1904/05), ბიბლ. №10.

121 *კარლ ლუდვიგ მიშელეტი,* 1801-1893, ფილოსოფოსი.

ედუარდ ცელერი, 1814-1908, თეოლოგი და ფილოსოფოსი.

126 *მორიც ბენედიქტმა თავის ფსიქოლოგიაში:* მორიც ბენედიქტი, 1895-1920, ექიმი, ნევროპათოლოგი.

129 *ფრიც მაუთნერი,* 1849-1923, ჩეხი რომანისტი, ლინგვისტი და ფილოსოფოსი.

143 *„თავისუფლების ფილოსოფიის“ ახალ გამოცემაში წაიკითხოთ:* იხ. 1918 წ. გამოცემის დანართი.

151 *გუშინ მე გამოვიყენე სფეროს ფორმა თავისთვის, მთვარის ფორმა მკერდისთვის, წრფის ფორმა კი კიდურებისთვის:* იხ. Erziehungskunst. Methodisch-Didaktisches, მეშვიდე ლექცია, ბიბლ. №294.

159 *ჰერმან ბარი,* 1863-1934, ავსტრიელი მწერალი და კრიტიკოსი.

160 *როცა ერთმანეთის გვერდით აყენებთ მელანოვეზას, თაგვს და ადამიანს.* იხ. Erziehungskunst. Methodisch-Didaktisches, მეშვიდე ლექცია, ბიბლ. №294 და Erziehungskunst. Seminarbesprechungen und Lehrplanvorträge, მერვე სემინარი, ბიბლ. №295.

163 *ამას მე შევეხე, როდესაც ორი ლიტერატურული ნაწყვეტი მოგიყანეთ* — იხ. Erziehungskunst. Seminarbesprechungen und Lehrplan vorträge, მეექვსე სემინარი.

166 *ჩვენ ყურადღება მივაქციეთ:* იხ. Erziehungskunst. Methodisch-Didaktisches, მეშვიდე ლექცია.

169 *რომ თავის ქალაში ჩასმულია, მაგ., ქვედა და ზედა ყბის*

ძვლები: ემბრიონული განვითარების თანახმად ქვედა ჯბა, რომელიც აღმოცენდება ლაყუჩის რკალის მონათესავე ნაწილიდან, ყალიბდება წინიდან (ქვევიდან) უკან (ზევით); ზედა ჯბას კი აქვს ტენდენცია, ჩამოყალიბდეს გვერდიდან (უკნიდან) წინისკენ.

171 *სხვა ლექციებშიც:* იხ. Erziehungskunst. Methodisch-Didaktisches, მეშვიდე ლექცია.

179 *სხვა დროს გითხარით:* იხ. Erziehungskunst. Methodisch-Didaktisches, მეშვიდე ლექცია.

188 *როგორც სხვა დროს გითხარით უკვე:* იხ. Erziehungskunst. Methodisch-Didaktisches, პირველი და მეთხუთმეტე ლექციები.

200 *როგორც ეს სხვა დროს ვნახეთ:* იხ. მეთერთმეტე სემინარული განხილვა.

229 *როგორც ეს პრაქტიკულ-დიდაქტიკურ ნაწილში ვცადეთ:* იხ. Erziehungskunst. Methodisch-Didaktisches, მეათე ლექცია და მეათე სემინარული განხილვა.

230 *ფრიდრიხ ვილჰელმ შელინგი,* 1775-1854, გერმანელი ფილოსოფოსი.